ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ირაკლი ირემაძე

# საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალური პოლიტიკა

ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ისტორიის დოქტორი, ასოც. პროფ. **ზონდო კუპატაძე**

თბილისი

2024

## აბსტრაქტი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო ევროპაში პირველი სახელმწიფო, რომლის სათავეშიც იმ პერიოდის პროგრესული მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკური ძალა აღმოჩნდა. სოციალ-დემოკრატიული პარტიები XIX საუკუნის მიწურულიდან ევროპულ სახელმწიფოებში წამყვან პოლიტიკურ ძალებად გარდაიქმნენ, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური ბრძოლის მთავარ მიზნად საყოველთაო თანასწორობაზე დაფუძნებული, ეგალიტარული საზოგადოების ფორმირებას ისახავდნენ.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის, როგორც XX საუკუნის დასაწყისის ევროპის ერთ-ერთი ყველაზე უთანასწორო სახელმწიფოს - რუსეთის იმპერიის ნგრევის შედეგად შექმნილი სახელმწიფოსათვის, უმნიშვნელოვანესი იყო მოკლე ვადებში ქმედითი სოციალური პოლიტიკის გატარება, რომელიც მაქსიმალურად ხელს შეუწყობდა უთანასწორობაზე, სოციალურ ჩაგვრაზე და მასთან დაკავშირებულ ბარიერებზე ორიენტირებული სისტემის სწრაფ დემონტაჟს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავისი არსებობის 1028 დღის განმავლობაში მუდმივად რეფორმირებისა და ტრანსფორმირების პროცესში იყო, ის ერთგვარ რეფორმების ლაბორატორიას წარმოადგენდა. ამ რეფორმათა დიდი ნაწილი კი, სწორედ მემკვიდრეობით მიღებული სოციალური და პოლიტიკური სისტემის გარდაქმნას და ახალი სოციალური პოლიტიკის დანერგვას გულისხმობდა.

აღნიშნული კვლევა შეეხება სწორედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალური პოლიტიკის ფორმირების პროცესის შესწავლასა და ანალიზს. თუ რა ფორმითა და შინაარსის ხორციელდებოდა რეფორმები შრომის, სოციალური დაცვის, განათლებისა და საკუთრების მიმართულებით. რა ტიპის ცოდნასა და გამოცდილებას ეფუძნებოდა რესპუბლიკაში არსებული რეალობის შეფასება, გარდაქმნის გზის დაგეგმვა და საბოლოო სამიზნე შედეგების განსაზღვრა, რადგანაც ეს სამი კომპონენტი უმნიშვნელოვანესია ზოგადად ყოველი სისტემური რეფორმის გატარებისას.

კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სხვადასხვა პოლიტიკურ აქტორთა ხედვებსა და მოსაზრებების განხილვასა და შედარებებს. ამ მიდგომის საფუძველზე შესაძლებელი ხდება გავაანალიზოთ არა მხოლოდ კონკრეტულ მიმართულებით უკვე გატარებული მთავარი პოლიტიკური ხაზი, არამედ მისი ალტერნატიული ვარიანტებიც.

საკვლევი საკითხები შესწავლილია საარქივო მასალის, პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურის ფართო გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სოციალური პოლიტიკა, შრომა, საყოველთაო განათლება, სოციალური დაცვა, საპენსიო სისტემა, აგრარული რეფორმა.

## Abstract

In May 1918, the Democratic Republic of Georgia emerged as the first European state led by a progressive leftist social-democratic political force of its time. From the late 19th century, social-democratic parties became the dominant political entities across European states, aiming at establishing an egalitarian society based on universal equality.

Implementing the effective social policy was the essential for the Democratic Republic of Georgia since it was formed from the disintegration of the Russian Empire and have been one of the most unequal states in early 20th-century Europe. Furthermore, it required rapid transformation of a system entrenched in inequality, social oppression, and other barriers.

Throughout its 1028-day existence, the Democratic Republic of Georgia was a constant arena of reform and transformation, functioning as a laboratory of the reforms. A significant portion of these reforms aimed at changing the inherited social and political systems and establishing a new social policy framework.

This research represents the comprehensive analysis of the formation of social policies at the Democratic Republic of Georgia. It examines the reforms commenced in the realms of labor, social security, education, and property. The study explores the knowledge and experience that informed the three essential components for systemic reform: careful examination of the reality, planning the transformation, and defining the final objectives.

A crucial aspect of this research is the discussion and comparison of the perspectives and opinions of various political actors. This approach enables a comprehensive analysis of the primary political direction taken in specific policy areas, as well as the alternative options considered. The research employs archival materials, printed media, and scholarly literature to examine these issues.



**Key wards:** The Democratic Republic of Georgia, Social-Democratic, Social Policy, Universal Education, Social Security, Pension System, Agrarian Reforms.

**შინაარსი:**

აბსტრაქტი ..................................................................................................................... II

შესავალი ....................................................................................................................... 1

**თავი I. შრომა და შრომის პოლიტიკა ........................................................................ 11**

I.1. საიმპერიო მემკვიდრეობა ......................................................................................... 11

I.2. გარდამავალი პერიოდი -1917-1918 წლები ................................................................. 14

I.3. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და რესპუბლიკის ახალი პოლიტიკა ....................................................................................................................... 17

I.4. შეფასებები შრომის პოლიტიკისა და პროფკავშირების მოქმედების შესახებ ......... 44

**თავი II. სოციალური დაცვის მექანიზმები: პენსია და სოციალური დახმარების სისტემა ......................................................................................................................... 49**

II.1. მემკვიდრეობა ............................................................................................................ 49

II.2. რესპუბლიკის სოციალური პოლიტიკის ფრაგმენტულობა ...................................... 50

II.3. საპენსიო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ........................... 56

II.4. სოციალური დახმარების სისტემა .............................................................................. 61

II.5. სოციალური დაცვის მუნიციპალური პოლიტიკა (თბილისი) ................................. 67

**თავი III. საყოველთაო განათლების სისტემა, როგორც სოციალური პოლიტიკის ნაწილი ........................................................................................................................... 72**

III.1. რუსეთის იმპერიის საგანმანათლებლო პოლიტიკა „განაპირა მხარეებში“ ......... 72

III.2. დამოუკიდებლობის გამოცხადება და სისტემური მუშაობის დაწყება ................. 77

III.3. ეროვნული სკოლის მშენებლობა ........................................................................... 79

III.4. სისტემური სასკოლო რეფორმა ........................................................................ 90

III.5. სასკოლო განათლების სისტემის რეფორმის შედეგები ......................................... 98

III.6. განათლების ხელმისაწვდომობა ზრდასრულთათვის .......................................... 106

**თავი IV. აგრარული რეფორმა, როგორც სოციალური პოლიტიკის ნაწილი ............. 112**

IV.1. მიწა - სოციალური უთანასწორობის მიზეზი ........................................................ 112

IV.2. გარდამავალი პერიოდი (1917-1918) ....................................................................... 116

IV.3. რეფორმის ქაოტური ხასიათი 1918 წელს ................................................................ 125

IV.4. მიწათმოქმედების სამინისტროს სტრუქტურა ........................................................ 132

IV.5. რეფორმის პირველი შედეგები ................................................................................ 145

IV.6. 1919 წლის 28 იანვრის კანონი - მიწა გლეხებს! ....................................................... 149

IV.7. რეფორმის პროცესი ................................................................................................. 162

IV.8. მიწათა სიმცირე და გადასახლების პროგრამა ........................................................ 182

IV.9. რეფორმის შედეგები ................................................................................................ 185

ბოლოსიტყვაობა ......................................................................................................... 190

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა ..................................................................... 195

# შესავალი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც რუსეთის იმპერიის ნგრევის შედეგად თავისუფლება მოპოვებული სახელმწიფო, დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე არაერთი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. პოლიტიკური, სამხედრო და სოციალური გამოწვევები განპირობებული იყო, როგორც ქვეყნის შიგნით არსებული რთული მდგომარეობით, ასევე, საგარეო ფაქტორებითაც.

საქართველოსთვის, ისევე როგორც მსოფლიო ომის პირობებში და ომის შემდგომ ევროპაში წარმოქმნილი ახალი სახელმწიფოებისათვის უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენდა სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირება. 1918 წლის მაისიდან საქართველოს მოქალაქეებს და მის მთავრობას უხდებოდა სრულიად ახალი და მოდერნული, დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობა, რის გამოცდილებაც სრულებითაც არ გააჩნდათ. 1918 წლის მაისში სახელმწიფოს სათავეში მოსულ პოლიტიკურ ძალებს, მართალია, არ ჰქონდათ სახელმწიფოს მართვისა და ძალაუფლებაში ყოფნის გამოცდილება, მაგრამ ამ ჯგუფის უდიდეს ნაწილს გააჩნდათ პოლიტიკურ ველზე ყოფნის 20-30-წლიანი ცოდნა, როგორც სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის, მასების მობილიზაციის, ერთგვარი დისიდენტობის, პოლიტიკური დევნის, ამბოხების ორგანიზების, რევოლუციის დაგეგმვისა და განხორციელების, არჩევნებში მონაწილეობის, ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნის გამოყენებისს და თავად იმპერატორის და მისი პოლიტიკის კრიტიკის.

აღნიშნული პოლიტიკური კლასის სასარგებლოდ დამატებით უნდა ითქვას, რომ მათ მართვის პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობის კვალდაკვალ დიდი თეორიული ცოდნა გააჩნდათ, როგორც კონკრეტული პროფესიების შესწავლის, ასევე, ზოგად პოლიტიკური ხედვების თვალსაზრისით. ცოდნასა და გამოცდილებაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ ვიდრე 1918 წლის 26 მაისამდე, გარდამავალ პერიოდში საქართველოს პოლიტიკური კლასის მოქმედებების შესახებ. ამ რთულმა პოლიტიკურმა პერიოდმა ქართულ პოლიტიკურ

კლასს აჩვენა, თუ რა მიმართულებით შეიძლება დამუქრებოდათ მათ პოლიტიკური კრახის და სრული კოლაფსის საფრთხე.

1918 წლის 26 მაისიდან საქართველოს წინაშე არსებული ეგზისტენციალური საფრთხეების პარალელურად, მთავრობასა და მოქალაქეებს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის აუცილებელი პოლიტიკური სისტემისა და ინსტიტუტების მშენებლობა უხდებოდა, ფაქტობრივად, ნულიდან. მეტიც, ახალი ინსტიტუტების მშენებლობა პირველ რიგში უნდა დაწყებულიყო  მძიმე რუსული იმპერიული მემკვიდრეობის დემონტაჟით, რაც კიდევ უფრო ართულებდა მდგომარეობას.

სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა 1918 წელს დაიწყო ცალკეულ სამინისტროთა ჩამოყალიბებით, შემდეგ კი სისტემური რეფორმის დაგეგმვით. 1918 წლის ივნისშივე იწყება ადგილობრივი თვითმმართველობების - სამაზრო ერობების შექმნა და უკვე არსებული საქალაქო თვითმმართველობების გაძლიერება. შემდგომში - სასამართლო სისტემის დემოკრატიზაცია, შრომის სისტემისა და აგრარული სისტემის რეფორმირება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა სფეროს შესახებ უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში არაერთი მონოგრაფია, დისერტაცია და სამეცნიერო სტატია შეიქმნა. ამ ნაშრომთა თემატური ხასიათი მრავალფეროვანია - კულტურიდან სამხედრო საკითხებამდე, პარტიებიდან საგარეო ურთიერთობებამდე, განათლებიდან თვითმმართველობებამდე და ასე შემდეგ. თუმცა, დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ სამეცნიერო კვლევები თითქმის არ შეეხება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს - სოციალურ პოლიტიკას. აღნიშნული სფეროს შესახებ კვლევების ნაკლებობა ნამდვილად დიდ  პრობლემას წარმოადგენს სამეცნიერო თვალსაზრისით, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო 1918 წლის მაისიდან სოციალური რეფორმების ერთგვარი ლაბორატორია იყო ამ ტერმინის პოზიტიური გაგებით. ამ პროცესს ხელს, პირველ რიგში, ის ფაქტორიც უწყობდა, რომ საქართველო იყო პირველი ქვეყანა ევროპაში, რომელიც იმართებოდა (კოალიციური სახით) სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის პოლიტიკური ძალის მიერ, რომელსაც თავის მხრივ თავის გაცხადებულ პროგრამაში ხაზგასმული ჰქონდა - მისი მთავარი მიზანი იყო

დემოკრატიზაციის გზით სოციალისტური (რეფორმისტული, სოციალ-დემოკრატიული) სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბება. აღნიშნული ნაშრომი ერთ-ერთი პირველი მცდელობაა რესპუბლიკის სოციალური პოლიტიკის ოთხი ბურჯის - შრომის პოლიტიკის, საყოველთაო განათლების, სოციალური დაცვის სისტემისა და აგრარული რეფორმის შესწავლის მიმართულებით.

დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის საწყის ეტაპზევე დაიწყო განათლების სისტემის რეფორმირება და, ფაქტობრივად, ახალი სისტემის მშენებლობა. თავიდანვე გაცხადდა, რომ საყოველთაო განათლების სისტემის დანერგვა და ზოგადად მოქალაქეთა განათლებაზე ზრუნვა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი მსაზღვრელი იყო. რესპუბლიკის ამგვარი დამოკიდებულება განათლებისადმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც 1918 წლამდე რუსეთის იმპერიის პირობებში, განათლების უფლება მხოლოდ საზოგადოების საშუალო და მაღალი ფენისათვის იყო გარანტირებული, ხოლო მოქალაქეთა დაბალი ფენისათვის - გლეხებისა და მუშებისათვის, რომელიც მოსახლეობის 88%-ს შეადგენდნენ, განათლება იყო არა უფლება, არამედ ნაწყალობევი პრივილეგია.

ჯერ კიდევ 1917 წლის მარტში რუსეთის დროებითმა მთავრობამ დაიწყო შრომის პოლიტიკის რეფორმირება, შემოღებული იქნა 8-საათიანი სამუშაო დღის სტანდარტი. თუმცა, დროებით მთავრობის სისუსტის გამო, შრომის ახალი სისტემის შექმნა ვერ მოხერხდა. 1918-1920 წლებში რესპუბლიკის მთავრობამ ფაქტობრივად ახალი ტიპის შრომის რეგულირების სისტემა შექმნა, შეიმუშავა შრომის ახალი კანონმდებლობა, შექმნა სპეციალური ინსტიტუტები - სატარიფო პალატა, შრომის ბირჟა და სხვა. თუმცა, ამავე დროს სახელისუფლებო პარტიისა და მუშათა პროფესიული კავშირების ერთმანეთში აღრევამ მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოშვა გაფიცვების უფლების დამკვიდრების და ზოგადად მუშების მიერ ხელისუფლების გადაწყვეტილების წინააღმდეგ მოქმედების კუთხით.

რუსეთის იმპერიას, რომელიც თავისი მოდერნიზაციის ტემპებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ევროპელ მეზობლებს, 1917 წლისათვის ფაქტობრივად არ ჰქონდა

სოციალური დაცვის და საპენსიო სისტემა. იმპერია მხოლოდ ფრაგმენტულად პროფესიებზე მორგებით იღებდა სოციალურ ვალდებულებას. ეს ვალდებულებები საიმპერიო ხელისუფლებას დიდწილად ადმინისტრაციულ და ძალოვან უწყებებში ხანგრძლივად დასაქმებულ პირთა მიმართ გააჩნდა. შესაბამისად, 1917 წელს ისევე, როგორც ბევრი სხვა მიმართულება, სოციალური დაცვისა და საპენსიო სფეროც უთანასწორო და მხოლოდ პრივილეგირებულ კლასებზე მორგებით ფუნქციონირებდა.

დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა სოფლის მეურნეობის მხრიდან მიიღო. ამის მიზეზი სოფლად მცხოვრებ მოქალაქეთა 80% იყო, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას 1860-იანი წლებიდან მოყოლებული აგრარული რეფორმების კვალდაკვალ ჯერაც არ მიეღო საკუთრებად მიწა. რეალური აგრარული რეფორმა იყო რესპუბლიკის სოციალური სისტემის მშენებლობის ერთ-ერთი ფუნდამენტი. 1918-1920 წლებში აგრარული რეფორმა ძირითადად გატარდა კიდეც, რესპუბლიკის გლეხები სრულიად უქონელი, ღატაკი მოქალაქეებიდან მესაკუთრეებად ტრანსფორმირდნენ.

**კვლევის მიზანი**: კვლევა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალური პოლიტიკის ოთხ კონკრეტულ სფეროს შეეხება და მიზანიც ოთხი მიმართულებით იშლება. კერძოდ, კვლევის მიზანია შევისწავლოთ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული სასკოლო განათლების რეფორმა, როგორც საზოგადოების სოციალურ თანასწორობის მიღწევის ინსტრუმენტი; რესპუბლიკის შრომის ახალი პოლიტიკის შესწავლა და დადგენა იმისა, თუ რა შედეგების მიღწევას ემსახურებოდა იგი. დავაზუსტოთ რა ტიპის სოციალური დაცვის და საპენსიო სისტემა გააჩნდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. კვლევის მიზანია, აგრეთვე რესპუბლიკაში განხორციელებული აგრარული რეფორმის, როგორც არსებული სოციალური სისტემის ტრანსფორმაციის პროცესის შესწავლა.

**კვლევის ამოცანა**: კვლევის ამოცანაა საკვლევი თემების გარშემო დაგროვებული მოცულობითი სამეცნიერო და საარქივო მასალების დამუშავება, კვლევის მეთოდების გამოყენებით მათი ანალიზი, კონკრეტულად კი, საარქივო, პრესისა და მეორეული

წყაროების აღწერა, ანალიზი, სინთეზი, შედარება და საბოლოო კვლევის შედეგების მიღება.

**საკვლევი კითხვები:** ნაშრომის საკვლევი კითხვები შესასწავლი საკითხების შესაბამისად მრავალფეროვანია:

1. როგორი მემკვიდრეობა მიიღო საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ რუსეთის საიმპერიო რეჟიმისაგან განათლების, შრომის, აგრარული სისტემისა და სოციალური დაცვის სფეროების მიმართულებით?
2. რა თეორიულ ცოდნასა და გამოცდილებას დაეყრდნო ახლად შექმნილი რესპუბლიკის მთავრობა განათლების, შრომის, აგრარული სფეროს, სოციალური დაცვისა და საპენსიო სისტემის რეფორმირების დაწყებისას?
3. რა ძირითად მიზნებს ისახავდა სოციალური პოლიტიკის (განათლების, შრომის, სოფლის მეურნეობის, სოციალური დაცვის) ახალი სისტემის შემოღება?
4. როგორი ადამიანური და ფინანსური რესურსებით იგეგმებოდა და ხორციელდებოდა რეფორმები?
5. რა ტიპის შედეგები იკვეთებოდა სოციალური პოლიტიკის რეფორმირების კუთხით 1921 წლის თებერვალში?

**კვლევის მეთოდოლოგია:** აღნიშნული საკითხის კვლევის მეთოდოლოგია ძირითადად ემყარება ოთხ მიდგომას:

პირველი - შინაარსობრივი ანალიზის (კონტენტ-ანალიზი) მეთოდით საშუალებით კვლევისათვის დამუშავდა ათასობით საარქივო საქმე საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული ფონდებიდან, ასევე, 1917-1921 წლებში გამოცემული ჟურნალ-გაზეთების 4000-ზე მეტი ნომრის ათი ათასამდე სტატია.

მეორე - შედარების მეთოდის გამოყენებით კონტენტ-ანალიზის შედეგად დამუშავებული მასალები ნაშრომში შედარებულია სხვა ქვეყნების გამოცდილებებთან - თუ რა ფორმით განხორციელდა და წარიმართა ესა თუ ის რეფორმა და პროცესი სხვა სივრცესა და რეალობაში.

მესამე - ისტორიული შემეცნებითი მეთოდის გამოყენებით ნაშრომში ცალკეული პროცესები შესწავლილია დინამიკაში. წარმოდგენილია როგორც უშუალოდ 1918-1921 წლებში მიმდინარე მოვლენები, ასევე, 1918 წლამდე არსებული რეალობა და ერთგვარი მემკვიდრეობაც.

მეოთხე - კომპლექსურ-ისტორიული კვლევის მეთოდით თითოეული საკითხის გარშემო შესწავლილია არა მხოლოდ ხელისუფლების მიერ განხორციელებული კონკრეტული რეფორმა თუ პროცესი, არამედ ოფიციალური პოლიტიკის პარალელურად გაკეთებულია ალტერნატიული (ძირითადად, ოპოზიციური ძალების) ხედვების ანალიზიც.

**სიახლე (ნაშრომის მნიშვნელობა) -** ამ ნაშრომით ვცდილობთ სამეცნიერო სივრცეში ნაკლებად ცნობილი წყაროები და ცოდნა შემოვიტანოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შედარებით შეუსწავლელ საკითხთან მიმართებაში. სოციალური პოლიტიკა კი, თავისი მოცულობითი ხასიათიდან გამომდინარე, ამ მხრივ ნამდვილად იძლევა შესაძლებლობებს. ნაშრომის განათლების ნაწილი საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, ჩვენ არა მხოლოდ აღვწერთ განათლების სისტემის რეფორმას, არამედ ვცდილობთ თავისი მიზნებითა და პარამეტრებით წარმოვაჩინოთ იგი, როგორც სოციალური პოლიტიკის პარადიგმის ნაწილი.

ნაშრომი, ფაქტობრივად, არის პირველი საფუძვლიანი მცდელობა რათა შესწავლილი და გააზრებული იქნას დემოკრატიული რესპუბლიკის შრომის პოლიტიკა და მისი პროფკავშირები. ნაშრომის სიახლის თვალსაზრისით, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება აგრარული რეფორმის ნაწილს, რადგანაც აღნიშნულ თემაზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული საქმეების ნაწილი პირველად იქნა გამოწერილი მკვლევრის მიერ (ამას მოწმობს საქმეების დაუნომრავი გვერდები). კიდევ ერთ სამეცნიერო სიახლესა და ნაშრომის მნიშვნელობის დამადასტურებელ ფაქტორს წარმოადგენს სოციალური დაცვისა და საპენსიო სისტემის შესწავლის მცდელობა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სისტემების ფრაგმენტულობიდან გამომდინარე, მისი შესწავლა მაინც არ იძლევა სრულფასოვნად გააზრების საშუალებას.

**ნაშრომის აპრობაცია** - ნაშრომზე დაყრდნობით უკვე გამოქვეყნებულია ცალკეული სტატიები ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. ცალკეული ქვეთავები კი - სამეცნიერო კრებულებში.

**წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა** - შრომისა და მუშათა მოძრაობების შესახებ კვლევისათვის უმნიშვნელოვანეს ნაშრომს წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის, იურისტისა და ისტორიკოსის, გრიგოლ გიორგაძის მიერ 1920-იან წლებში საბჭოთა რეჟიმის მიერ დაპატიმრებებსა და გადასახლებაში დაწერილი ფუნდამენტური ნაშრომი „საზოგადოებრივი ურთიერთობები საქართველოში 1864-1905“[1]. ნაშრომში გიორგაძე საფუძვლიანად იკვლევს საქართველოში მუშათა მოძრაობებისა და შრომის პოლიტიკის განვითარების პერიოდებსა და ტენდენციებს. საიმპერიო მემკვიდრეობის შესწავლის მხრივ ეს ნაშრომი ფასდაუდებელ ინფორმაციას გვაწვდის.

აგრარული რეფორმისა და შრომის პოლიტიკის შესახებ ფუნდამენტური ნაშრომია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის - კონსტანტინე კანდელაკის ემიგრაციაში ორ ტომად გამოცემული წიგნი „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“.[2] მინისტრი კანდელაკი წყაროებზე დაყრდნობით აანალიზებს საქართველოს ეკონომიკას და მასთან დაკავშირებულ სფეროებს, ის საკმაოდ კრიტიკულია საკუთარი თავისა და მისი მთავრობის მიერ განხორციელებულ რეფორმებთან მიმართებაში. აღნიშნულ ნაშრომთა ერთ-ერთი მთავარი ღირებულება უამრავი სტატისტიკური მასალის თავმოყრა და ამავე პერიოდის ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებაა.

ზოგადად რესპუბლიკის შესახებ კვლევის განხორციელება წარმოუდგენელია პროფესორ ალექსანდრე ბენდიანიშვილის მიერ გამოცემული წიგნის „საქართველოს პირველი

---

[1] გრიგოლ გიორგაძე, *საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905*. თბილისი: სახელგამი, 1928.

[2] კონსტანტინე კანდელაკი, *საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი პირველი*. პარიზი: დ. ხელაძის გამოცემა, 1935; კონსტანტინე კანდელაკი, *საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე*. პარიზი: Institute for the study of the USSR, 1960.

რესპუბლიკა (1918-1921 წწ.)“[1] გამოყენების გარეშე. ეს წიგნი ერთ-ერთი პირველი ფუნდამენტური ნაშრომია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ და მასში საკმაო ადგილი ეთმობა რესპუბლიკის განათლების სისტემისა და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მიმოხილვას, კვლევისათვის აღნიშნული წიგნი გვაძლევს ძირითად წყაროებს, რომელთა დეტალური შესწავლა უმნიშვნელოვანესი იყო კვლევის დაგეგმვის პროცესში, ამასთან, წიგნში საკმაოდ მრავლად არის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც არაერთ საკითხს აზუსტებს.

აღნიშნულ კვლევაში გამოყენებულია არაერთი უცხოელი ავტორის გამოქვეყნებული ნაშრომები, რომლებიც ბოლო პერიოდში ითარგმნა და გამოქვეყნდა (ჩემი ჩართულობითაც) ქართულ ენაზე. რესპუბლიკის შესწავლის პროცესში უმნიშვნელოვანეს ნაშრომს წარმოადგენს ვლადიმერ ვოიტინსკის წიგნი „ქართული დემოკრატია“.[2] იგი თავდაპირველად ფრანგულენოვანი აუდიტორიისათვის იყო განკუთვნილი და საკმაოდ პოზიტიური პროპაგანდისტულ ელემენტებს შეიცავდა, ამიტომ აღნიშნული წყაროს ანალიზისას კრიტიკული დამოკიდებულება გვმართებს. თუმცა, აღსანიშნავია ავტორის უდიდესი უპირატესობაც იმ მხრივ, რომ კონკრეტული რეფორმის განხორციელების პროცესის აღწერისას იგი თავად იყო უშუალო დამკვირვებელი. ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკურ სისტემასა და განათლების რეფორმას.

ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ავტორიტეტული თეორეტიკოსი, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ გამოუქვეყნებია ნაშრომი კარლ კაუცკი გახლავთ. მისი წიგნი - „საქართველო: სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა – შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი“,[3] 1921 წლიდან არაერთ ენაზე გამოქვეყნდა და ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ წყაროდ გადაიქცა უცხოენოვანი

---

[1] ალექსანდრე ბენდიანიშვილი, *საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.).* თბილისი: მემატიანე, 2001.

[2] ვლადიმერ ვოიტინსკი, *ქართული დემოკრატია.* თბილისი: თსუ, 2018.

[3] კარლ კაუცკი, *საქართველო: სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა – შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი.* თბილისი: თსუ, 2018.

აუდიტორიისათვის. კაუცკი 3 თვის განმავლობაში უშუალოდ სწავლობდა რესპუბლიკის მშენებლობის პროცესს საქართველოში საბოლოოდ კი, თავის ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საქართველოს ეკონომიკას, სოციალურ პოლიტიკას და მუშათა მოძრაობას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სისტემის შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი შექმნილა, რომლებიც ძირითად ინფორმაციას გვაწვდის სისტემაში არსებული პრობლემებისა და რეფორმების შესახებ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია პროფესორ დოდო ჭუმბურიძის ნაშრომი „განათლება 1918-1921 წლებში"[1], რომელიც 2000 წელს გამოიცა, მის მიერვე დაცული დისერტაციის საფუძველზე. ნაშრომში აღწერილია 1918-1921 წლებში განხორციელებული ძირითადი რეფორმები, არსებული გამოწვევები, პროცესში მონაწილე აქტორები და განათლების რეფორმის შედეგები. აღნიშნული გამოცემა ძირითად ბაზას გვაძლევს ამ მიმართულებით კვლევის მიმართულების განსასაზღვრად.

კვლევისათვის უმნიშვნელოვანეს დამაზუსტებელ წყაროს წარმოადგენდა 2013 წელს პროფესორ დიმიტრი შველიძის რედაქტორობით გამოსული მოცულობითი პუბლიკაცია - „დამოუკიდებლობის 1028 დღე“[2], რომელშიც აღწერილია რესპუბლიკის არსებობის ყოველი დღე. ეს ნაშრომი პროცესის დინამიკაში დაკვირვებისათვის საუკეთესო წყაროა. 2018 წელს, ასევე, პროფესორ დიმიტრი შველიძის სამეცნიერო რედაქტორობით გამოიცა წიგნი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი“[3] რომელშიც არაერთი სტატიაა თავმოყრილი საკვლევი თემის გარშემო. პროფესორ შველიძის ავტორობითვე გამოცემული წიგნი „გიორგი ლასხიშვილი“[4] შეეხება

---

[1] დოდო ჭუმბურიძე, *განათლება 1918-1921 წლებში.* თბილისი: მემატიანე, 2000.

[2] *დამოუკიდებლობის 1028 დღე.* (ავტორ შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი/რედაქტორი - დიმიტრი შველიძე), თბილისი: თსუ, 2013.

[3] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი.* (ავტორ შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი/სამეცნიერო რედაქტორი - დიმიტრი შველიძე), თბილისი: თსუ, 2018, გვ. 361-362.

[4] დიმიტრი შველიძე, *გიორგი ლასხიშვილი.* თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2018,

განათლების რეფორმის წამომწყებ მინისტრს, ნაშრომი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის სისტემის დამფუძნებელი მამის შესახებ.

კვლევისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციებს შეიცავს ირაკლი ხვადაგიანის მიერ მომზადებული გამოცემა „საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919“[1], რომელშიც გადმოცემულია კრების წევრთა ბიოგრაფიები, მათი კავშირები საგანმანათლებლო სისტემასთან, ამ სისტემის რეფორმირების პროცესთან, მუშათა მოძრაობასთან, შრომის პოლიტიკის დაგეგმვასთან და ასე შემდეგ.

და ბოლოს, კვლევისათვის განსაკუთრებულ წყაროებს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოცემულ კრებულთა ორი უმნიშვნელოვანესი სერია - „საქართველოს დამფუძნებელი კრება - სხდომის ოქმები - ტომი I-VIII”[2] და “საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტომი XIII-XV, ნოე ჟორდანია”.[3] სერიაში თავმოყრილია ასობით პირველწყარო, საკანონმდებლო ორგანოს სხდომების ოქმები, რესპუბლიკის მეთაურის გამოსვლები, წერილები და ასე შემდეგ.

ნაშრომის მომზადებისას სამართლებრივი აქტების გამოყენების კუთხით დავეყრდენით 34 წლის წინ გამოცემულ პუბლიკაციას - „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული“.[4] აღნიშნულ გამოცემაში თავმოყრილია რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონებისა და აქტების უმრავლესობა, რომელიც კვლევის პროცესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

---

[1] ირაკლი ხვადაგიანი, *საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919*. თბილისი: SovLab, 2016

[2] *საქართველოს დამფუძნებელი კრება - სხდომის ოქმები - ტომი VII* (სარედ. საბჭო: ირაკლი იაკობაშვილი, მზია ხოსიტაშვილი და ემზარ ჯგერენაია). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019.

[3] *საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტომი XIII-XV, ნოე ჟორდანია* (მთავარი რედ. სტივენ კონსი, რედ. ემზარ ჯგერენაია). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2018.

[4] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული* (სპეც. რედ. ვ. შარაშენიძე). თბილისი: ივერთა მხარე, 1990.

# თავი I. შრომა და შრომის პოლიტიკა[1]

## I.1. საიმპერიო მემკვიდრეობა

რუსეთის იმპერიაში, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ და არაინდუსტრიალიზებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რა თქმა უნდა, შრომის პოლიტიკა და მუშების საკითხი ნაკლებად აქტუალური იყო. პეტერბურგში პირველი მუშათა გამოსვლები მხოლოდ 1870 წელს მოხდა. საიმპერიო ხელისუფლებამ, როგორც მსგავს შემთხვევებში სჩვეოდა, მუშათა გამოსვლების მოთავეები ციმბირში გადაასახლა.

ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი, 1918-1919 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი, გრიგოლ გიორგაძე თავის ნაშრომში „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905“ წარმოადგენს ერთგვარ ქრონოლოგიას საქართველოში მშრომელთა გამოსვლებისა და გაფიცვების შესახებ.[2] პირველი გაფიცვა საქართველოში 1872 წლის 1 აპრილს (ძვ. სტ.) გამართულა მირზოევის ფაბრიკაში. ჟურნალ „დროების“ ცნობით ამ გაფიცვას წარმატება ვერ მოუპოვებია მშრომელებისთვის.

მუშათა შემდეგი გაფიცვა 1878 წელს გერმანელი მრეწველის ზეიცერის ფაბრიკაში მომხდარა. ზეიცერს თვითნებურად გადაუწყვეტია მუშებისთვის 14-საათიანი სამუშაო დღე 16-17 საათამდე გაეხანგრძლივებინათ ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე. ზეიცერის ფაბრიკაში გაფიცვის რამდენიმე მოთავე მუშა პოლიციამ დააპატიმრა, რის გამოც შეტაკებები დაიწყო პოლიციასა და მუშებს შორის. საბოლოოდ კი, გაფიცვის მასშტაბების გამო, დამსაქმებელი იძულებული გახდა მშრომელების მოთხოვნები

---

[1] აღნიშნული თავის ძირითადი ნაწილის მომზადებისათვის კვლევა [გრანტის ნომერიFR2113590] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნ იერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით/This research [grant number FR-21-13590] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) / აღნიშნული თავის მომზადებისათვის კვლევა განხორციელდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „შრომის ისტორია საქართველოში“ - ფარგლებში.

[2] ამგვარ ქრონოლოგიას ამყარებს ზაქარია ჩიჩუას მიერ 1933 წელს პარიზში გამოცემული მოზრდილი ბროშურა - „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოკლე ისტორია“.

დაეკმაყოფილებინა და სამუშაო პირობები გაეუმჯობესებინა. 1880 წელს გაფიცვა განხორციელდა თბილისის (ამიერკავკასიის) რკინიგზის მთავარ სახელოსნოში. თუმცა, გიორგაძის ცნობით გაფიცვის სტიქიურობიდან გამომდინარე წარმატებული არ გამოდგა. 1889 წელს გაფიცვები დაიწყო ტფილისის რკინიგზის სახელოსნოსა და ბათუმში, ძმები ნობელების ნავთობის ქარხანაში. თუმცა, იმხანად მშრომელებს ერთიანი მუშათა ორგანიზაცია არ გააჩნდათ და ხშირი იყო გაფიცვის მომხრე და მოწინააღმდეგე მუშებს შორის დაპირისპირებები, რასაც საიმპერიო ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლები და დამსაქმებლები თავისდა სასარგებლოდ ეფექტურად იყენებდნენ. ამის ნათელი მაგალითი იყო ნობელების ქარხნის მუშებს შორის გაფიცვის გარშემო, გაფიცვის მომხრე და მოწინააღმდეგე მშრომელებს შორის ბათუმში ატეხილი შეტაკებებიც.[1]

საქართველოში მუშათა მოძრაობის მასშტაბები 1890-იანი წლების მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ძირითადად თბილისში, ბათუმსა და ჭიათურაში თავმოყრილი მშრომელთა ორგანიზების ხარჯზე. ამ მოძრაობის გაფართოებისა და კავშირების გაზმის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1892 წელს ჩამოყალიბებულმა პირველმა ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ - „მესამე დასი“. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა 1890-იანი წლების მეორე ნახევარში მჭიდრო კავშირები დაამყარეს თბილისსა და ბათუმში არსებულ მუშათა წრეებთან. 1898 წელს შეიქმნა თბილისის სოციალ-დემოკრატ მუშათა პირველი კომიტეტებიც. სოციალ-დემოკრატთა ორგანიზებით 1898 წლის 1 მაისს თბილისში პირველად აღინიშნა მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაული, რომელსაც სულ რაღაც 35 მუშა დაესწრო,[2] 1900 წლის 1 მაისს დღესასწაულზე მონაწილეთა რაოდენობა 500-ს მიაღწია, ამასთან, მუშები მარქსის, ენგელსისა და ფერდინანდ ლასალის სურათებით გამოჩნდნენ. 1899 და

---

[1] გრიგოლ გიორგაძე, *საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905.* თბილისი: სახელგამი, 1928), გვ. 493-394.

[2] გიორგი ჭკადუა, *პირველი მაისი.* ჟურნალი ინდიგო, 2021 წლის 1 მაისი. იხ. ბმული https://indigo.com.ge/articles/pirveli-pirveli-maisi (ინახა 07.05.2024).

1900 წელს სოციალ-დემოკრატების ორგანიზებით ფართომასშტაბიანი გაფიცვები განახორციელეს რკინიგზის მუშებმა.[1]

მუშათა გაფიცვების ეპიცენტრს 1900-იან წლების დასაწყისში ბათუმი და ჭიათურა წარმოადგენდა. ამ პერიოდისათვის, მუშები ხშირად დღეში 14 საათს მუშაობდნენ, მათი ანაზღაურება კი ოჯახების ელემენტარულ სასურსათო საჭიროებებს ძლივს ფარავდა. 1902-1903 წლებში ბათუმში განხორციელებული მუშათა ფართომასშტაბიანი გაფიცვების საპასუხოდ საიმპერიო ხელისუფლებამ ქალაქიდან რამდენიმე ასეული (ზოგიერთი მონაცემით ათასეული) მუშა გააძევა (ძირითადად, გურიის რეგიონიდან ჩამოსული), რომლებიც 1905 წელს გურიის გლეხთა მოძრაობის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ. ბათუმელი მუშების აბსოლუტურ უმრავლესობას გავლილი ჰქონდა სოციალ-დემოკრატების მიერ შექმნილი  არალეგალური - პოლიტიკის სწავლების სკოლები და კურსები. ისინი პოლიტიკურად განვითარებული და მარქსიზმით ინდოქტრინებული მოქალაქეები იყვნენ, რომლებმაც გურიაში დაბრუნების შემდეგ აქტიური პარტიული საქმიანობა დაიწყეს.[2]

1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში მუშათა ორგანიზაციებს წარმმართველი როლი ეკავათ, განსაკუთრებით ინდუსტრიულ ქალაქებში. რევოლუციის შემდგომ ხელისუფლება პროფესიულ კავშირთა ლეგალიზებას დათანხმდა და მანამდე არალეგალურად არსებულ კავშირებს ოფიციალური სტატუსი მიენიჭათ. თუმცა რევოლუციის მარცხის შედეგად პროფკავშირები პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, საქართველოში, ისევე როგორც მთელ იმპერიაში, რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე აღმოჩნდა, როგორც ოპოზიციური აზრის გამტარებლები და რეჟიმის მოწინააღმდეგეები. 1907 წლის დასაწყისში მხოლოდ ტფილისში 28 პროფესიული კავშირი მოქმედებდა, რომლებიც 13 000 მუშას აერთიანებდა. 1908 წლისათვის კი, როდესაც საიმპერიო ხელისუფლებამ რევოლუციისას გამოცემული ლამის ყველა პროგრესული კანონი უკან

---

[1] ზაქარია ჩიჩუა (შემდგენელი), *საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მოკლე ისტორია.* პარიზი: საქართველოს ს.-დემ, მ. პ. საზღვ.-გარ. ბიუროს გამომცემლობა, 1933, გვ. 12.-13.

[2] სტივენ ჯონსი, *სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 130.

წაიღო და შეზღუდვები კიდევ უფრო გაამკაცრა, ლეგალური პროფესიული კავშირები ფაქტობრივად გაქრა და მუშათა გაერთიანებებმა კი კვლავ არალეგალური საქმიანობა განაგრძეს.[1]

## I.2. გარდამავალი პერიოდი - 1917-1918 წლები

1908 წლიდან 1917 წლამდე პროფესიულ კავშირებისა და შრომის პოლიტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რეფორმები არ განხორციელებულა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ კი ყველაფერი თავდაყირა დააყენა, პროფესიული კავშირები და მათი ჩართულობით შექმნილი მუშათა საბჭოები ახალი მმართველობის დასაყრდენი გახდა. 1917 წლის მაისიდან 1917 წლის აგვისტომდე მხოლოდ ტფილისში მუშათა პროფესიულ კავშირებში გაწევრიანებულ მშრომელთა რაოდენობა 12 000-იდან 25 000-მდე გაიზარდა, მუშები 31 სხვადასხვა ტიპის პროფესიულ კავშირში იყვნენ გაწევრიანებული.[2]

1917 წლის მარტის დასაწყისშივე პეტერბურგში დროებითმა მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომლის წყალობითაც მშრომელებმა ლამის ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლის შემდგომ ღირსეული შრომის უფლებები მოიპოვეს. 1917 წლის 19 მარტს ქართველ სოციალ-დემოკრატთა გაზეთი „ერთობა" წერდა: "ამ ორი კვირის წინ ჩვენ ფიქრადაც არ მოგვივიდოდა, რომ ასე მალე განვთავისუფლდებოდით აუტანელ მეფის და მისი დამქაშების ბატონობიდან, ამგვარადვე ძნელი წარმოსადგენი იყო 8 საათის სამუშაო დღის განხორციელება. მაგრამ დღეს ერთიც და მეორეც სინამდვილეა. ერთიც და მეორეც განხორციელდა რევოლუციონერი ხალხის მოთხოვნით. რვა საათიანი სამუშაო დღე მინისტრის ბრძანებით შემოღებულია ყველა რკინის გზაზე. ასე რომ, მალე მთელ რუსეთში ეს გამარჯვება ფაქტიურათ ყველგან დაკანონდება".[3]

---

[1] სტივენ ჯონსი, *სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 265-266.

[2] იქვე. გვ. 329-330.

[3] *რვა საათის სამუშაო დღე.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 19 მარტი, N5, გვ. 1.

საქართველოში დროებითი მთავრობის დადგენილების გავრცელების საკითხი 1917 წლის 16 აპრილს განიხილა თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ, რომელმაც მსჯელობის შემდგომ ერთხმად დაადგინა, რომ - 19 აპრილიდან (ახ. სტ. 2 მაისიდან) თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში 8-საათიანი სამუშაო დღე შემოეღოთ. საბჭოს წევრების განცხადებით დამსაქმებლებმა და მშრომელებმა ერთხმად დაადასტურეს, რომ 8-საათიანი სამუშაო დღე წარმოებას ზარალს კი არ მიაყენებდა, არამედ პირიქით, შრომის ნაყოფიერებას გაზრდას გამოიწვევდა.[1]

1917 წლის 1 მაისი გრანდიოზულად აღინიშნა თბილისსა და საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში. ადგილებზე მუშებს სიტყვით მიმართავდნენ სოციალ-დემოკრატების ლიდერები. ქუთაისში შეკრებილ ასობით მუშას მიმართა ევგენი გეგეჭკორმა, რომელმაც მიულოცა 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღება.[2]

8-საათიანი სამუშაო დღის უფლებას საწყის ეტაპზე ხშირად არღვევდნენ დამსაქმებლები, განსაკუთრებით კი საცხობების მფლობელები. მცხობელები გაფიცვასაც კი გეგმავდნენ ახალი ღირსეული შრომის უფლებების მოსაპოვებლად. ხელისუფლების წარმომადგენლები თავდაპირველად მხოლოდ გაფრთხილებას აძლევდნენ დამსაქმებლებს. პრესის ცნობით, თბილისის მილიციამ მოქალაქე ქამალიანს საცხობი ჩამოართვა იმ მიზეზით, რომ გაფრთხილების მიუხედავად ის სისტემატურად არღვევდა მშრომელთა უფლებებს.[3]

მსოფლიო ომისგან გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გამო ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელ რუსეთის იმპერიასა და ევროპაში, უმუშევრობის დონე სწრაფად იზრდებოდა, ადგილობრივი საბჭოებისა და ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის დადგენილებით უნდა მოწყობილიყო თბილისის შრომის ბირჟა, რომელსაც უნდა ეზრუნა უმუშევრობის დაძლევასა და მოქალაქეთა დასაქმებაზე.[4]

---

[1] *რვა საათის სამუშაო დღის შემოღება.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 20 აპრილი, N27, გვ. 2.

[2] *1 მაისი პროვინციებში.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 21 აპრილი, N28, გვ, 2.

[3] *ფურნეებში მომუშავეთა გაფიცვა.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 8 ივლისი, N91, გვ. 3

[4] *შრომის ბირჟა.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 12 ოქტომბერი, N168, გვ. 1.

1917 წლის ზაფხულიდან პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ საწარმოო რესურსების ნაკლებობის გამო თბილისსა და სხვა ქალაქებში გაჩერდა მნიშვნელოვანი საწარმოები. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადელხანოვის ტყავის ქარხანა, რომელშიც 400-ზე მეტი მუშა იყო დასაქმებული.[1]

1917 წლის მარტიდან პროფესიულმა კავშირებმა დაიწყეს გაფართოება და გაშალეს ორგანიზაციული მუშაობა. 1917 წლის მიწურულს კი, პირველი ყრილობის მოწვევა გადაწყვიტეს. ცნობილი გერმანელი მარქსისტი თეორეტიკოსი კარლ კაუცკი საქართველოს შესახებ გამოცემულ თავის წიგნში აღნიშნავდა, რომ 1917 წლის დეკემბრის დამლევს თბილისში გამართულ პროფესიული კავშირების პირველ კონგრესზე (რომელსაც, სავარაუდოდ დელეგატები მთელი კავკასიიდან ესწრებოდნენ) საქართველოში მოქმედი 41 პროფესიული კავშირი იყო წარმოდგენილი, ეს კავშირები დაახლოებით 29 000 წევრს აერთიანებდა.[2]

1917 წლის ოქტომბერში პეტერბურგში განხორციელებული ბოლშევიკური გადატრიალების შემდგომ ამიერკავკასიაში დიდმა პოლიტიკურმა გაუგებრობამ დაისადგურა. საბოლოოდ, ამიერკავკასიის ბედი 1917 წლის 12 დეკემბერს სოციალ-დემოკრატი მუშების წითელი გვარდიის მიერ თბილისის სამხედრო გარნიზონის განიარაღებამ და სამხედრო საწყობების დაკავებამ გადაწყვიტა. 1917 წლის 12 დეკემბერი სახალხო (თავდაპირველად „წითელი“) გვარდიის საზეიმო თარიღად - „გვარდიის დღედ“ ითვლება. 1917-1921 წლებში სახალხო გვარდია საქართველოს სხვადასხვა სოციალურ ფენებთან ერთად, ძირითადად, სწორედ მუშებს აერთიანებდა და რესპუბლიკის ერთ-ერთ მთავარ სამხედრო საყრდენს წარმოადგენდა.

1917 წლის ბოლოს პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ გადაწყვიტა თავიანთი წევრებისათვის გაემართათ სამთვიანი კურსები, რომელთა საშუალებითაც

---

[1] *მუშების დათხოვნა.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 14 ოქტომბერი, N170, გვ. 2.

[2] კარლ კაუცკი, *საქართველო: სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა – შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი.* თბილისი: თსუ, 2018, გვ. 84; ასევე, ირაკლი ირემაძე, *შრომის საკითხი და პროფკავშირები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში,* კრებულში - *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ - მოდელი ევროპისთვის?* თბილისი: თსუ, 2018, გვ. 357-358.

მუშებს შეასწავლიდნენ - პროფესიული კავშირების ისტორიას,  თეორიასა და მისი მოქმედების პრაქტიკას, პოლიტიკურ ეკონომიას და ეკონომიური ყოფა-ცხოვრების ისტორიას, ასევე, კოოპერატივების საქმიანობის თეორიას.  კურსები ფასიანი იქნებოდა და მსმენელები სიმბოლურ თანხას გადაიხდიდნენ.[1]

1917 წლის დასასრულსა და 1918 წლის დასაწყისში რამდენიმე გაფიცვა მოხდა ტფილისსა და რეგიონებში. ოქტომბერში გაიფიცნენ სომხური გაზეთის „ჰორიზონის" ასოთამწყობნი. გაფიცვის მიზეზად მუშები მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებდნენ.[2]

1918 წლის დასაწყისში გაიფიცნენ სახალხო მასწავლებლები, რომელთაც მხარი დაუჭირა სოციალისტ-ფედერალისტურმა პარტიამ, ხოლო სოციალ-დემოკრატებმა გაფიცვა დაგმეს, როგორც კონტრრევოლუციური და არსებული ეკონომიკური მდგომარეობისათვის შეუფერებელი მოქმედება. მასწავლებლები ხელფასების გაზრდასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ითხოვდნენ.[3]

თებერვლის რევოლუციიდან თითქმის 1 წლის თავზე, 1918 წლის თებერვალშიც კი, ცალკეულ დარგებში არ იყო შემოღებული 8-საათიანი სამუშაო დღე, მაგალითად, თბილისის სადალაქოებში. დალაქთა პროფესიონალური კავშირი სულ ახლად შექმნილი იყო და სათანადოდ ვერ ფუნქციონირებდა.[4]

## I.3. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და რესპუბლიკის ახალი პოლიტიკა

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ შრომის პოლიტიკის რეფორმები ახალ ეტაპზე გადავიდა. ახალი საკანონმდებლო სისტემა არა იმპერიის ყოფილ ცენტრში, პეტერბურგში, არამედ დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქ თბილისში უნდა შექმნილიყო და მასში ადგილობრივი თავისებურებების ასახვის უფრო მეტი შესაძლებლობა ჩნდებოდა. ამასთან, საქართველო პირველი

---

[1] *კურსები.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 28 ოქტომბერი, N182. გვ. 3.

[2] *გაფიცვა.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 20 ოქტომბერი, N175, გვ. 2.

[3] *ისევ მასწავლებელთა გაფიცვის გამო,* გაზ. ერთობა, 1918 წლის 17 იანვარი, N12, გვ. 1.

[4] *მუშათა შორის.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 10 თებერვალი, N33, გვ. 2.

სახელმწიფო იყო ევროპაში, რომლის სათავეშიც მშრომელთა ინტერესების გამტარებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია მოვიდა. 1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცებულ მთავრობის შემადგენლობაში შრომის მინისტრის პორტფელი მიწათმოქმედების სამინისტროსთან გააერთიანეს და მინისტრად ნოე ხომერიკი დანიშნეს. უწყებაში შრომის საკითხებს მისი მოადგილე (ამხანაგი) მუშა გიორგი ერაძე განაგებდა. 1919 წლის ბოლოს შრომის სამინისტრო ცალკე უწყებად ჩამოყალიბდა და მის ხელმძღვანელად გიორგი ერაძე დამტკიცდა. 1918 წლის ივნისიდან ჯერ ეროვნულ საბჭოში, შემდგომ კი, დამფუძნებელ კრებაში არსებობდა შრომის კომისია.

1918 წლის მდგომარეობით რესპუბლიკის მთელ მოსახლეობასთან მიმართებაში მუშათა წილის განსაზღვრა საკმაოდ რთულია. თუმცა, 1926 წელს საბჭოთა საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ ცალკეული პარამეტრები. კერძოდ, 1926 წლისათვის საბჭოთა საქართველოს მოსახლეობის 83% სოფლად ცხოვრობდა და სოფლის მეურნეობაში იყო ჩართული, მოსახლეობის 7%-ზე მეტი ადმინისტრაციულ უწყებებსა და საფინანსო დაწესებულებაში, ხოლო მოსახლეობის 10% ფაბრიკა-ქარხნებსა და მსუბუქი მრეწველობის დარგებში იყო დასაქმებული.[1]

საინტერესოა, თუ როგორ აფასებდნენ წარსულის გამოცდილებას და რა როლს ანიჭებდნენ დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის პროცესში მუშათა კლასს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერები. ამ საკითხს ფართოდ ეხება ნოე ჟორდანია თავის ცნობილ გამოსვლაში, რომელიც 1918 წლის აგვისტოს დამლევს მუშათა წინაშე წაიკითხა და რომელიც აკადემიურ სივრცეში ცნობილია სათაურით - „სოციალ-დემოკრატია საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია“. ჟორდანიამ გამოსვლაში განაცხადა: „მუშათა კლასი, გლეხებთან შედარებით მცირერიცხოვანი, მაგრამ ყველაზე შეგნებული და ორგანიზაციულად მოწყობილი იყო. როგორც რევოლუციამდე, ისე რევოლიუციის დროსაც მთელი გლეხობა და წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი მას მისდევდა

---

[1] კონსტანტინე კანდელაკი, *საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი პირველი.* პარიზი: დ. ხელაძის გამოცემა, 1935, გვ. 167.

და სცნობდა მის პოლიტიკურ გეგემონიას“.[1] ჟორდანიას მუშათა კლასი ახალი რესპუბლიკის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ საყრდენად ესახებოდა.

ჯერ კიდევ 1918 წლის 29 ივნისის სხდომაზე საქართველოს მთავრობამ განიხილა საკითხი უმუშევრებისთვის სავალდებულო (იძულებითი) შრომის ზეგარის დაკისრების შესახებ. მთავრობამ მიწათმოქმედებისა და შრომის სამინისტროს დაავალა შესაბამისი კონონ-პროექტის მომზადება.[2] თუმცა, დიდი პროგრესი ამ კუთხით არ ყოფილა. 1919 წელს სახალხო გვარდიაში დაინერგა ნებაყოფლობითი შრომის ბეგარა (ყარაიაზის ველი დაამუშავეს), რომელიც წარმატებული აღმოჩნდა. საბოლოოდ, ხელისუფლებამ სათანადო კანონმდებლობის შემუშავებაც დაიწყო. სახელისუფლებო პრესა აცხადებდა: „ნებაყოფილობითი შრომის ზეგარის იდეა, რომელიც გვარდიაში იშვა, მომავალში, უეჭველია, დიდ ნაყოფს გამოიღებს. მან შეიძლება საზოგადოების სხვა წრეებშიც ჰპოვოს წაბაძულობა, მეტადრე იმ წრეებში, რომლებიც მუშებთან დაახლოებულნი არიან“.[3]

1918 წლის მაისიდან დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, მრავლად დაარსდა ე. წ. „სალიკვიდაციო კომისიები“, მათი ძირითადი ფუნქცია უკვე გაუქმებული საიმპერიო ხელისუფლების ინსტიტუტებში დასაქმებულ მოქალაქეთათვის კომპენსაციების გაცემა და ამ უწყებებიდან განთავისუფლებულ მოქალაქეთა დასაქმება იყო. 1918 წლის ივლისში რესპუბლიკის მთავრობამ კომპენსაციის სახით 250 000 მანეთი გასცა საიმპერიო კონტროლის გაუქმებული სამსახურის ყოფილ თანამშრომლებისათვის.[4] ამავე დროს 500 000 მანეთი გაიცა უსაქმოდ დარჩენილი ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებზე.[5] „სალიკვიდაციო კომისიების“ საქმიანობა ძირითადად მხოლოდ მცირე კომპენსაციების

---

[1] *საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტომი XIII, ნოე ჟორდანია* (მთავარ. რედ. სტივენ ჯონსი, რედ. ემზარ ჯგერენაია). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2018, გვ. 51, ასევე, ირაკლი ირემაძე, *შრომის საკითხი და პროფკავშირები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში,* კრებული - *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ - მოდელი ევროპისთვის?* თბილისი: თსუ, 2018, გვ. 358.

[2] საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი - შემდგომში „სცსა“, ფონდი 1861, ანაწ. 3, საქმე 3, ფურც. 18.

[3] *ნებაყოფილობითი შრომის ბეგარა.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 28 იანვარი, N20, გვ. 1.

[4] სცსა, ფონდი 1861, ანაწ. 3, საქმე 3, ფურც. 50

[5] იქვე. ფურც. 76.

გაცემით შემოიფარგლებოდა და ნაკლებ ეფექტურად გამოსდიოდა სამსახურიდან დათხოვნილი მოქალაქეების სხვა პოზიციაზე დასაქმება. მაგალითად, 1919 წლის განმავლობაში სალიკვიდაციო კომისიამ „შრომის ბირჟის" დახმარებით მხოლოდ 210-მდე ადამიანის ხელახლა დასაქმება შეძლო.[1]

1918 წელს დიდ პრობლემას წარმოადგენდა მუშათა შორის გავრცელებული ლოთობა. 1917-1918 წელს საქართველოში წარმოებული ალკოჰოლური სასმელების უდიდესი ნაწილი მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომის გამო ექსპორტზე აღარ გადიოდა, ალკოჰოლი ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო, განსაკუთრებით კი მუშებისათვის. ლოთობის შესახებ ცნობები ხშირად იწერებოდა, მთვრალი მუშები დებოშს სტეხდნენ სამუშაო ადგილებზე, უფროსების მითითების შემდეგ კი, მათ შორის შესაძლოა კონფლიქტი უფრო გამწვავებულიყო.[2]

1918 წლის ზაფხულში კვლავ ქვეყნდებოდა მოწოდებები მშრომელების მიმართ, რათა მათ შეექმნათ თავიანთი პროფესიული გაერთიანებები. კავშირების ჩამოყალიბება განსაკუთრებით გვიანდებოდა პროვინციებში. გაზეთ „ერთობის" გვერდებზე მოქალაქე მოუწოდებდა ქუთაისელ მკერავ ქალებს ჩამოეყალიბებინათ პროფკავშირები და ამით ჩაბმულიყვნენ მშრომელთა მოძრაობასა და პარტიულ საქმიანობაში.[3]

1918 წლის ზაფხულისათვის მშრომელთა ყველაზე გავლენიან პროფესიულ გაერთიანებად რკინიგზელთა კავშირი მიიჩნეოდა, ამ ორგანიზაციას დიდი ისტორია გააჩნდა. მსოფლიო ომით და იმპერიის ნგრევით გამოწვეული სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისების ფონზე რკინიგზის მუშები ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. თუმცა, მთავრობისადმი ყველაზე ლოიალურად განწყობილი სწორედ რკინიგზაზე მომუშავეები გახლდნენ.[4] რკინიგზელებს გააჩნდათ თავისი დიდი გაერთიანება, რომლის წესდებაში გაცხადებული იყო - „1. რკინის გზის კავშირი ისახავს

---

[1] ალექსანდრე ბენდიანიშვილი, *საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.).* თბილისი: მემატიანე, 2001, გვ. 221.

[2] *ლოთობა მუშა-ხელოსნებში.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 30 ივლისი, N159, გვ. 3.

[3] *ქუთაისის მკერავი მუშა-ქალები.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 3 აგვისტო, N163, გვ. 4.

[4] *მუშათა შორის.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 20 აგვისტო, N175, გვ. 4.

თავის მიზნათ: ა) რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებას, ბ) თავის წევრთა პოლიტიკურ, უფლებრივ, კლასობრივ, პროფესიონალურ და ეკონომიურ ინტერესების დაცვას, ამ ინტერესებისათვის ბრძოლას და თავის წევრთა კულტურულ და კლასობრივ თვითშეგნების განვითარებას. 2) ამ მიზნის მისაღწევათ კავშირი სცდილობს განახორციელოს: ა) სამუშაო დღის მოგვარება, ბ) სამუშაო ხელ-ფასის მომატება, გ) წარმოებაში გიგიენური პირობების დამყარება და დ) სახელმწიფოსაგან სოციალური დაზღვევას მუშებისას უმუშევრობისაგან, უბედურ შემთხვევებისაგან, ავათმყოფობისაგან, მოხუცობილობისაგან და ინვალიდობისაგან, ქალთა და მცირე წლოვანთა შრომის დაცვას, და საზოგადოთ მუშათა კლასის უფლებების კანომდებლობის გზით დაკანონებას".[1] რკინიგზის პროფკავშირებს გააჩნდა საქალაქო და სარაიონო სექციები.

1918 წლის აგვისტოსა და სექტემბერში მუშათა დიდი გაფიცვები განხორციელდა ტყიბულის მაღაროებში, მუშები ანაზღაურების გაზრდასა და სურსათზე ხელმისაწვდომობას მოითხოვდნენ. სოციალ-დემოკრატები აკრიტიკებდნენ მუშათა გაფიცვას და წამოყენებულ პირობებს არაადეკვატურად მიიჩნევდნენ, რადგანაც მუშები შრომის ანაზღაურებას ნატურის გზით - სურსათით მოითხოვდნენ, ეს კი მთავრობის მტკიცებით, არსებული სასურსათო კრიზისის ფონზე შეუძლებელი იყო.[2] ტყიბულელი მუშების გაფიცვა მალევე შეწყდა, ხელისუფლებამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას შეჰპირდა. 1918 წლის 17 ოქტომბერს მთავრობის სხდომაზე განიხილეს ტყიბულელი მუშების მოთხოვნები და დაამტკიცეს, რომ მათი ხელფასების ზრდისათვის უნდა გამოყოფილიყო გზათა სამინისტროს ბიუჯეტიდან 400 000, ხოლო სამხედრო სამინისტროდან 450 000 მანეთი.[3] 1919 წლის აპრილში პროფკავშირების ყრილობაზე შრომის სამინისტროს წარმომადგენელი აცხადებდა, რომ 1918 წლის შემოდგომაზე მთავრობას მოუხდა ტყიბულელი მუშების მოთხოვნების დაკმაყოფილება, რადგანაც მაღაროების გაჩერება ავტომატურად ნიშნავდა რკინიგზის გაჩერებას, რაც რესპუბლიკის

[1] სცსა, ფონდი 2047, ანაწ. 1, საქმე 2, ფურც. 1.

[2] *ტყიბულის მუშების გაფიცვა.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 20 სექტემბერი, N201, გვ. 1.

[3] სცსა, ფონდი 1861, ანაწ. 3, საქმე 3, ფურც. 168.

ეკონომიკის სრულ კოლაფსს გამოიწვევდა, ასევე, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა აფხაზეთის ფრონტი,[1] სადაც სახალხო გვარდია და ჯარი, ძირითადად, საზღვაო დესანტით გადადიოდა.[2]

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ დადგა საკითხი პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს საქმისწარმოების რუსული ენის ნაცვლად ქართულ ენაზე წარმოების შესახებ. სოციალ-დემოკრატები პირობას დებდნენ, რომ მალე მოხდებოდა პროფკავშირთა „ნაციონალიზაცია", 1918 წლის ზაფხულში ეროვნულ-დემოკრატები აკრიტიკებდნენ სოციალ-დემოკრატებს, რადგან ისინი ხელს არ უწყობდნენ პროფკავშირების ნაციონალიზაციას და პროფკავშირებში ქართული ენის საბოლოოდ გაბატონებას.[3] სოციალ-დემოკრატები ამ პროცესის გაჭიანურების მიზეზად პროფესიულ კავშირების საბჭოში ეროვნებით რუსი და სომეხი მუშების სიმრავლეს ასახელებდნენ.

1918 წლის მიწურულს შრომის სამინისტრომ და პროფესიულმა კავშირებმა დაიწყეს მუშაობა იმისთვის, რომ არსებული კავშირების და მუშათა კლუბების ბაზაზე მომხდარიყო მუშათა საჭიროებების შესწავლა და მუშებისთვის გახსნილიყო იაფი სასადილოები, ამასთან, შრომის სამინისტრო განსაკუთრებით ზრუნავდა სახელმწიფო სექტორში დასაქმებული მუშებისთვის შეღავათიან ფასებში მიეწოდებინა სურსათი, ამგვარ პოლიტიკას სამინისტრო ასაბუთებდა იმით, რომ სახელმწიფო სექტორში ანაზღაურება მიზერული იყო.

მიუხედავად სიდუხჭირისა, მუშათა გაერთიანებები სოლიდარობის აქციებს მართავდნენ სხვადასხვა საკითხის გარშემო. მაგალითად, 1918 წლის 24 დეკემბერს თბილისის ტრამვაის მუშებმა გადაწყვიტეს თავიანთი ხელფასის 2% ყოველთვიურად გადაედოთ საქართველოს თავდაცვითი ომებისათვის.[4] 1918-1921 წლებში მუშები ერთიანდებოდნენ

---

[1] 1918 წელს აფხაზეთში ერთმანეთის მიყოლებით ხდებოდა პროოსმალური, ბოლშევიკური და დენიკინური სამხედრო აჯანყებები.

[2] *საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა კონფერენცია.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 30 აპრილი, N93, გვ. 3.

[3] *ნაციონალიზაცია და საპროფესიო კავშირები.* გაზ. საქართველო, 1918 წლის 24 ივლისი, N146, გვ. 2.

[4] *ახალი ამბები.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 26 დეკემბერი, N280, გვ. 3.

უმუშევართა დასახმარებლად. იმართებოდა - „უმუშევართა დღეები“. მუშები 1919 წლის მარტში თანამოაზრეებსა და მხარდამჭერებს მოუწოდებდნენ: „თფილისი უმუშევრებით აივსო. მრავალი ქარხანა გაჩერებულია, ცხოვრება კი საზღაპროთ გაძვირებულია, ამით უმუშევართა ბედი ერთ-ერთი საშინელი და აუტანელი შეიქმნა. სპეკულიაცია ყოველ თვის ხალხს ვნებს. უმუშევრებს კი ყოველი მოუწყობლობის ცოდვები ატყდებათ თავზე... უმუშევართ მიეცით ლუკმა! იგი ჩვენი გამდიდრების საწინდარია. უმუშევართ დაუდეთ წილი თქვენს მოგებაში: იგი მათი ოფლის ღვრით და ტანჯვით მოპოვებულია... 7-8-9 მარტს გამოცდაა ერთხელ კიდევ თქვენი საზოგადოების“.[1] უმუშევრების დღეები 1920 წლის ივნისის დასაწყისშიც გაიმართა, ერთი კვირის განმავლობაში საზოგადოებრივი დაწესებულებებიდან და პროფესიული კავშირებიდან უმუშევრობის ფონდში 125 ათასი მანეთი შეგროვდა.

1919 წლის თებერვალში ჩანიშნული იყო რესპუბლიკის მომავალი საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომლისთვისაც პოლიტიკური პარტიები თვეების განმავლობაში ემზადებოდნენ. არჩევნებში მონაწილეობას იღებდა საქართველოს სამი ყველაზე გავლენიანი მემარცხენე პარტია - სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური და სოციალისტ-რევოლუციონერთა. სამივე პარტიის პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მუშათა საკითხს - სოციალ-დემოკრატები საარჩევნო პროგრამის მეხუთე თავში - „მუშათა საკითხში“ - ვკითხულობთ: „8 საათის სამუშაო დღე ყველა დაქირავებულ მუშებისთვის სავალდებულო ყოველკვირეული დასვენებით არა ნაკლებ 42 საათისა; ზედმეტ მუშაობის სრულიად მოსპობა იქ, სადაც ის აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს; 16 წლამდე ბავშვების მუშაობის აკრძალვა; მცირე წლოვანთა და ქალთა შრომის შეზღუდვა; მრეწველთა მიერ ზედმეტი ყვლეფისაგან მუშათა დაცვა და მრეწველთა პასუხისმგებლობა უბედურ შემთხვევის გამო. აგრეთვე მოითხოვენ სახელმწიფოებრივ დაზღვევას – ავათმყოფობისა, მოხუცებულობისა და უმუშევრობისაგან. სოც-დემოკრატები მოითხოვენ შრომის ინსპექციის დაწესებას მუშათაგან არჩეულ პირთა მონაწილეობით და სასტიკ სანიტარულ თვალყურის

[1] *უმუშევართა დღეები.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 7 მარტი, N53, გვ. 1.

დევნებას იმ შენობებისას, სადაც მუშაობა სწარმოებს და მუშები ცხოვრობენ. დასასრულ, მოითხოვენ შრომის კანონის დარღვევისათვის დამქირავებელთა სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობაში მიცემას, მომრიგებელ კამერებისა და შრომის ბირჟების ყოველ ადგილას დაარსებას და სხვ“.[1] გამომდინარე იქიდან, რომ სოციალ-დემოკრატებმა არჩევნები დიდი უპირატესობით მოიგეს, სწორედ ეს პროგრამა გახდა შემდგომში შექმნილი შრომის კანონმდებლობის საფუძველი.

სოციალისტ-ფედერალისტებს თავიანთი პროგრამის მეექვსე თავში - „მუშათა მდგომარეობა“, ფაქტობრივად, იდენტური საკითხები ჰქონდათ წარმოდგენილი. დამატებით კი მოითხოვდნენ, რომ სახელმწიფო ფინანსურად დახმარებოდა პროფესიულ კავშირებს, ხოლო მუშა-მოსამსახურეებს ჰქონოდათ უფლება ჩარეულიყვნენ საწარმოთა მართვა-გამგეობაში. ფედერალისტები აცხადებდნენ: „მოვითხოვთ, რომ გაძლიერდეს მუშა ხალხის როლი და გავლენა მრეწველობა-წარმოებაში და დაწესდეს მისი მონაწილეობა მრეწველობის მართვა-გამგეობაში და მუშებს მიეცეთ ნაწილი მოგებისა“.[2] ასეთივე დებულებებს იზიარებდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია თავის პროგრამაში მუშათა საკითხის გარშემო და საჯაროდ დებდა პირობას, რომ გამარჯვების შემთხვევაში - „სოც.-რევ. პარტია მოითხოვს მინიმალურ ხელფასის დაწესებას და წარმოებაზე მუშათა კონტროლს“.[3]

1919 წლის 12-14 თებერვალს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამფუძნებელი კრების არჩევნები გაიმართა, რომელზეც ხმების 80%-ზე მეტი მიიღო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ. საინტერესოა, რომ კრებაში არჩეულ 130 დეპუტატიდან 25 მუშათა კლასს წარმოადგენდა. ხოლო რვა „მიწის მუშა“ ანუ გლეხი იყო.[4] ამ მოცემულობას ხაზს უსვამდა კარლ კაუცკი, რომელიც წერდა, რომ კრების

---

[1] ირაკლი ირემაძე, ლევან ლორთქიფანიძე, სოფიკო შუბითიძე და ხვიჩა ყაზაიშვილი, *ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია, ტ. I.* თბილისი: თბილისის ფაბიანური საზოგადოება, 2015, გვ. 143.

[2] იქვე. გვ. 153.

[3] იქვე. გვ. 161.

[4] ირაკლი ხვადაგიანი, *საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919.* თბილისი: Sovlab, 2016, გვ. 42-43. ასევე, ირაკლი ირემაძე, *შრომის საკითხი და პროფკავშირები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში,*

102[1] სოციალ-დემოკრატ დეპუტატიდან 32 მუშა იყო, ეს ყველაზე დიდი სოციალური ჯგუფი იყო საკანონმდებლო ორგანოში.[2] ახლად არჩეულმა დამფუძნებელმა კრების 1919 წლის 22 მარტის სხდომაზე დაამტკიცა შრომის კომისიის შემადგენლობა: სოციალ-დემოკრატებიდან - გერასიმე მახარაძე, იოსებ ელიგულაშვილი, ილია ბადრიძე, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძისა, მინადორა ტოროშელიძე, ანდრია ლოსკუტოვი, ელისაბედ ბოლქვაძე, გერასიმე შევჩუკი, ვასილ ნოდია, ფილიპე ლორია, სოციალისტ-ფედერალისტებიდან - იოსებ ბარათაშვილი.[3]

1919 წლის გაზაფხულიდან ახლად არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ და მთავრობის განახლებულმა შემადგენლობამ კიდევ უფრო აქტიურად დაიწყეს ნაბიჯების გადადგმა შრომის კანონმდებლობის დასახვეწად. შრომის სამინისტრომ 1919 წლის მარტში სპეციალური თათბირი გამართა პროფესიულ კავშირებთან, დამსაქმებლებთან და სახელმწიფო უწყებებთან ერთად შრომითი დავების ეფექტურობის გასაზრდელად და ე.წ. „შრომის მომრიგებელი სასამართლოსა" და „შრომის კამერების" შესაქმნელად.[4] ამავდროულად, სამინისტრომ დროებით თავის თავზე აიღო შრომის დაზღვევისა და სამუშაო ადგილებზე ტრამვების მიღების შემთხვევაში პენსიის გაცემის ვალდებულება, რომელსაც მანამდე კერძო ორგანიზაცია - კავკასიის საოლქო დამზღვევი საზოგადოება უზრუნველყოფდა.[5] შრომის სამინისტრო აქვეყნებდა დაზღვევის ფონდის მუშაობის ანგარიშებს, მის შემოსავალსა და გასავალს. 1920 წელს დაზღვევის ფონდიდან პენსია

---

კრებული - *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ - მოდელი ევროპისთვის?* თბილისი: თსუ, 2018) გვ. 359.

[1] 1919 და 1920 წლებში გამართული დამატებითი არჩევნების შედეგად სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 1919 წლის თებერვლის არჩევნებში მიღებული 109 მანდატიდან 7 მანდატი დაკარგა (პარტიის ლიდერების პირადი მიმოწერიდან ირკვევა, რომ ეს მათ მიერ გადადგმული ტაქტიკური ნაბიჯების შედეგი იყო, რათა კრებაში ოპოზიციის წარმომადგენლობა გაზრდილიყო, სოციალ-დემოკრატებმა დამატებით არჩევნებში უჩვეული პასიურობა გამოიჩინეს).

[2] კარლ კაუცკი, *საქართველო: სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა – შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი.* თბილისი: თსუ, 2018, გვ. 85

[3] *საქართველოს დამფუძნებელი კრება - სხდომის ოქმები - ტომი I.* თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019, გვ. 154.

[4] *შრომის სამინისტროში.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 8 მარტი, N54, გვ. 3.

[5] *შრომის სამინისტროსგან.* გაზ. საქართველო, 1919 წლის 11 მარტი, N55, გვ. 1.

მიეცა 107 მუშას, რომლებიც სამუშაო პროცესისას დაშავდნენ და მოითხოვეს შესაბამისი პენსია.[1]

1919 წლის გაზაფხულზე თბილისის ქალაქის თვითმმართველობის მუშაკებმა ფართო გაფიცვა წამოიწყეს. თვითმმართველობის მოხელეები 3 თვით დაგვიანებული ხელფასების გაცემას და ანაზღაურების ზრდას მოითხოვდნენ. საინტერესოა, რომ მუშათა პარტიის - სოციალ-დემოკრატების - პრესა ღიად გმობდა თბილისის ქალაქის თვითმმართველობის მოხელეების გაფიცვებს. განსაკუთრებით კრიტიკულად უდგებოდა ქალაქის ექიმთა გაფიცვას და მათ პაციენტების უყურადღებოდ მიტოვების გამო განზრახ მკვლელობაშიც კი ადანაშაულებდა.[2] თბილისელი მოხელეების გაფიცვა დაგმო თავად პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ და მოხელეთა პროფკავშირი პოლიტიკურ სპეკულაციაში დაადანაშაულა: „სოციალისტური პრაქტიკა და თეორია გვეუბნება, რომ პროფკავშირები, უპირველეს ყოვლისა, აწარმოებენ კლასობრივ ბრძოლას ეკონომიურ სფეროში, იცავენ მუშათა ეკონომიურ ინტერესებს, ცდილობენ მათი შრომის პირობების გაუმჯობესებას და მხოლოდ იმდენათ ერევიან პოლიტიკურ ბრძოლაში, რამდენათ ეს აუცილებელია ამ ეკონომიკურ ბრძოლის პროცესში. პროფკავშირები გმობდა პარტიების ჩარევას თბილისის თვითმმართველობის მუშათა გაფიცვაში“.[3]

მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია მთელ თავის რესურს იყენებდა თბილისის თვითმმართველობების მოხელეების გაფიცვის დისკრედიტაციისათვის. გაფიცულებს კონტრრევოლუციონერებად სახავდა. არც თუ იშვიათად საჯარო გამოსვლებში და პრესის გვერდებზე ჩნდებოდა მითითებები, რომ გაფიცულები უმეტესად ეთნიკურად რუსი და სომეხი მოხელეები იყვნენ და გაფიცვის რეალური მიზეზი არა ობიექტური სოციალური საკითხები, არამედ მოხელეებისათვის საიმპერიო რეჟიმისას არსებული პრივილეგიების დაკარგვა იყო. მალევე გაფიცულთა შორის გაჩნდა დაპირისპირებებიც. ქალაქის თვითმმართველობის დაქვემდებარებაში არსებული წყალსადენის მუშათა

---

[1] *მუშათა დაზღვევა.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 23 ოქტომბერი, N241, გვ. 3.

[2] *ორი გაფიცვა.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 25 მარტი, N67, გვ. 1.

[3] *პროფესიონალური კავშირები და პოლიტიკა.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 10 აპრილი, N80, გვ. 1.

პროფკავშირებმა ოფიციალურად  უარი განაცხადეს გაფიცვაში მონაწილეობაზე და პროფკავშირის ცენტრალურ საბჭოსაც მიმართა.[1] მალევე გაფიცვა შეწყვიტეს ქალაქის მასწავლებლებმა.[2] ოფიციალური განცხადებით თბილისელი კოლეგების გაფიცვა დაგმეს ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის მუშებმა.[3] თვითმმართველობის მოხელეთა გაფიცვა, ფაქტობრივად, ჩავარდა, ქალაქის საბჭო მართალია დათანხმდა დავალიანების ეტაპობრივად გასტუმრებას, თუმცა მალევე სახელმწიფო ენის შესახებ კანონის[4] გამოყენებით და რეორგანიზების მომიზეზებით გაფიცულთა დიდი ნაწილი მცირედი კომპენსაციების მიცემით სამსახურიდან დაითხოვეს.

ოპოზიციური მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გაფიცვასა და ზოგადად, შრომითი პოლიტიკის მოუწესრიგებლობაში მმართველ პარტიასთან ერთად დამნაშავედ პროფესიულ კავშირებს მიიჩნევდნენ. გაზეთი „საქართველო“ წერდა: „დღეს ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების სრული არევ-დარევის, ყოველგვარი წარმოების დაცემისა და საშინელი სიძვირის მთავარი მიზეზი იყო და არის ის უპასუხისმგებლო პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებენ პროფესიონალური კავშირები. ყოველგვარი წარმოება იხურება და ჩერდება, ვინაიდან მუშათა ორგანიზაციების მუდმივი ჩარევა წარმოების ადმინისტრატიულ მუშაობაში, შეუძლებლად ხდის მრეწველობის განვითარებას“. [5]

1919 წლის თებერვალში დაიწყო მსჯელობა ამიერკავკასიის პროფკავშირების საერთო კონფერენციის მოწვევის შესახებ, ბაქოელმა მუშებმა განაცხადეს, რომ კონფერენცია ბაქოში უნდა გამართულიყო, რასაც საქართველოს მუშათა კლასი უარყოფდა და თბილისის კანდიდატურას აყენებდა.[6] საბოლოოდ კონფერენცია თბილისში გაიმართა, მაგრამ მასში ბაქოელმა მუშებმა მონაწილეობა არ მიიღეს.  1919 წლის თებერვლიდან

[1] სცსა, ფონდი 2075, ანაწ. 1, საქმე 30, ფურც. 92.

[2] *გაფიცული მასწავლებლები.* გაზ. საქართველო, 1919 წლის 11 აპრილი, N80, გვ. 3.

[3] სცსა, ფონდი 2075, ანაწ. 1, საქმე 30, ფურც. 110.

[4] 1918 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, რომლის ძალითაც რესპუბლიკის ოფიციალური სახელმწიფო ენის სტატუსი ქართულ ენას მიენიჭა, მოხელეთათვის სავალდებულო გახდა სახელმწიფო ენის ცოდნა და საქმისწარმოება ქართულ ენაზე.

[5] *მუშათა საკითხი.* გაზ. საქართველო, 1919 წლის 2 აპრილი, N73, გვ. 1.

[6] *პროფესიონალურ კავშირთა ყრილობა.* გაზ. ერთობა, 1919 წლის  25 თებერვალი, N44, გვ. 1.

ცალკეული პროფესიული კავშირები პროფესიული კავშირების ცენტრალურ საბჭოში აგზავნიდნენ წერილებს და თავიანთი წარმომადგენლების მანდატებს.[1]

პროფესიული კავშირების ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ცენტრალურ კომიტეტში ნომინირებულ წარმომადგენელთა მანდატების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დელეგატთა მნიშვნელოვან ნაწილს ეთნიკურად სომეხი, რუსი და მუსლიმი (აზერბაიჯანელი) მშრომელები შეადგენდნენ.[2] საქართველოში მშრომელთა ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას ითვალისწინებდა შრომის სამინისტრო და ამ ჯგუფებისათვის უშვებდა დასვენების განსაკუთრებული დღეების გამოყოფას: „შრომის სამინისტრო აუწყებს სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა უფროსებს, რომ აღდგომის გამო მათ უფლება ეძლევათ გაანთავისუფლონ სამუშაოდან ებრაელები 3 და 4 აპრილს, კათოლიკეები 2, 4 და 5 აპრილს, იმ შემთხვევაში, თუ მათი განთავისუფლება ხელს არ შეუშლის საერთო მუშაობას. ამასთანავე, მუშები და მოსამსახურეები ამ გაცდენილ დღეების ხელფასს არ მიიღებენ. კერძო დაწესებულებაში და წარმოებებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეებს უფლება ეძლევათ არ იმუშაონ ზემოხსენებულ დღეებში, თუ არ გამოიწვევს წარმოების შეჩერებას. შრომის მინისტრის ამხანაგი (მოადგილე) ა. ბახტაძე“.[3] ამგვარი გამონაკლისები მოქმედებდა მუსლიმ მუშებთან მიმართებაშიც.

1919 წლის 11-16 აპრილს თბილისში გაიმართა პროფკავშირების კონფერენცია, რომელსაც 198 დელეგატი დაესწრო. კონფერენციის თავმჯდომარედ სოციალ-დემოკრატი, დამფუძნებელი კრების წევრი მუხრან ხოჭოლავა აირჩიეს, კონფერენცია 6 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და აქტიურად განიხილავდა თითოეულ პროფესიულ გაერთიანებაში არსებულ მდგომარეობას, პრობლემებს, გამოწვევებს და შრომის კანონმდებლობის დახვეწის საკითხებს.[4] პროფკავშირების ყრილობაზე სიტყვით გამოვიდნენ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წარმომადგენლები და მშრომელებს

[1] სცსა, ფონდი 2075, ანაწ. 1, საქმე 61, ფურც. 1, 6, 7.

[2] იქვე. ფურც. 20.

[3] *შრომის სამინისტროსგან.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 4 აპრილი, N77, გვ. 2.

[4] ირაკლი ირემაძე, *შრომის საკითხი და პროფკავშირები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში,* კრებულში - *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ - მოდელი ევროპისთვის?* თბილისი: თსუ, 2018, გვ. 362.

პირობების გაუმჯობესებას შეჰპირდნენ, თავის მხრივ კი, მოითხოვეს მუშებს კვლავ გაეგრძელებინათ დემოკრატიული რესპუბლიკის მხარდაჭერა. ამავე კონფერენციაზე სოხუმის ოლქის პროფკავშირების დელეგატებმა კონფერენციის მონაწილეებს აცნობეს, რომ ოლქში 12 პროფესიული კავშირი არსებობდა, რომელშიც სულ რაღაც 2 000 მუშა იყო გაწევრიანებული.[1]

პროფკავშირების კონფერენციაზე გაცხადდა, რომ პროფესიული კავშირები აქტიურად იყო ჩართული სახალხო უნივერსიტეტების ქსელის გაფართოების საკითხში. ახალი განყოფილებები იქმნებოდა მუშათა უბნებში.[2] პროფკავშირებს ჰქონდათ თავიანთი იაფი სასადილოები, კლუბები, თეატრები, სამკითხველო-ბიბლიოთეკები და სხვა საგანმანათლებლო-კულტურული და სოციალური დაწესებულებები. პროფკავშირები დახმარებას უწევდნენ სახალხო უნივერსიტეტებს, რომელთა მსმენელებს შორის მუშები დომინირებდნენ. საინტერესოა, რომ მუშათა კლუბები განთავისუფლებული იყო ყოველგვარი გადასახადებისაგან.[3]

1919 წლის აპრილში პროფკავშირების კონფერენციაზე გადაწყდა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჩამოაყალიბებდა პარიტეტულ საწყისებზე დამყარებულ ორგანოს - „სატარიფო პალატას“[4], რომლის მთავარი ფუნქციაც შრომითი საკითხების რეგულირება, მუშათა, დამსაქმებელთა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვა იქნებოდა კონსენსუალური გადაწყვეტილების მიღების გზით. 1919 წელს მთავრობა გეგმავდა პროფესიული კავშირების წარმომადგენლების გაგზავნას ევროპაში, რათა მუშები ადგილზე გაცნობოდნენ წარმატებული პროფკავშირების საქმიანობას და საქართველოშიც დაენერგათ ეს გამოცდილება.[5]

---

[1] *საქართველოს პროფ. კავშირთა ყრილობა.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 16 აპრილი, N85, გვ. 1.

[2] სცსა, ფონდი 2075, ანაწ. 1, საქმე 54, ფურც. 42.

[3] იქვე. ფურც. 111.

[4] ირაკლი ირემაძე, *სატარიფო პალატა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ენციკლოპედია- ლექსიკონი* (სამეცნიერო რედაქტორი დიმიტრი შველიძე). თბილისი: თსუ, 2018, გვ. 361-362.

[5] *შრომის სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 1 ივლისი, N142, გვ. 1.

პროფესიული კავშირები მუდმივად ცდილობდნენ ევროპელ კოლეგებთან ურთიერთობების დამყარებას და შესაბამის მისალმებებს და თანამშრომლობის წერილებსაც ხშირად აგზავნიდნენ დასავლეთ ევროპაში. საქართველოს პროფკავშირებმა 1919 წლის ივლისში მუშათა პროფესიული კავშირების საერთაშორისო კონფერენციისათვის სპეციალური მისალმება გაგზავნა - „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირთა ყრილობის საბჭო მხურვალედ მიესალმება პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო კონფერენციას და უსურვებს სრულ გამარჯვებას პროლეტარიატის შეკავშირების და მისი საერთაშორისო სოლიდარობის აღდგენის საქმეში“.[1] კონფერენციას საქართველოს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

პროფკავშირების გაფართოებული კონფერენცია 1920 წელსაც გაიმართა, რომელზეც შეჯამდა ერთი წლიანი საქმიანობა და მოწონებულ იქნა მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები.

1919 წლის აპრილში პროფკავშირების კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ხორცი მალევე შეესხა და 1919 წლის 25 მაისს გაიმართა სატარიფო პალატის პირველი სხდომა. დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა სატარიფო პალატის დებულება, რომელიც აზუსტებდა ამ უმნიშვნელოვანესი ორგანოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს - „დებულება სატარიფო პალატაზე:

1. შრომის ფასის ნაყოფიერებისა და დაქირავებული შრომის ყველა დარგში მთელ რესპუბლიკაში არსდება სატარიფო პალატა.
2. სატარიფო პალატა ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

   ა) ცნობებს კრებს მუშათა ბაზრის მდგომარეობაზე.

   ბ) ცნობებს კრებს მუშათა ხელფასზე.

   გ) იძლევა ცხოვრების სიძვირის შესახებ დასკვნებს.

   დ) არკვევს და იძლევა დასკვნას მუშათა წამოყენებულ მოთხოვნილებებზე.

   ე) იხილავს და ამტკიცებს კოლექტიურ-ხელშეკრულებებს.

---

[1] *მისალმება საერთაშორისო პროფ. კავშ. კონფერენციას.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 26 ივლისი, N164, გვ. 2.

ვ) რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და მაზრაში აწესებს და არკვევს საცხოვრებელ მინიმუმს.

ზ) აწესებს ნორმალურ ხელფასს, პროფესიას-კატეგორიის წარმოებისა და რაიონის მიხედვით.

თ) აწესებს გამომუშავებულ ტიპურ ნორმებს.

ი) აწესებს ზედმეტ მუშაობის დროს ხელფასით დაკმაყოფილებას.

კ) ასრულებს არბიტრაჟის ფუნქციას ხელ-ფასის საკითხებში.

ლ) აწესებს დროს პერიოდიულს და განსაკუთრებითს, ხელფასის გადასასინჯავად.

მ) პოულობს ყოველივე საზომს სპეკულიაციასთან და სიძვირესთან საბრძოლველათ.

ნ) ამუშავებს კითხვებს, რომლებიც ეხება წარმოების ძალთა განვითარებას და ხელფასის გათანასწორებას.

ო) ამუშავებს პროექტებს სავალდებულო დადგენილებისა დაკანონებისა შრომის მინისტრთან წარსადგენად.

3. სატარიფო პალატა არსდება პარიტეტულ პრინციპის წარმომადგენლობით მუშაობისა და დამქირავებელთა ორგანიზაციებიდან, შრომის სამინისტროს მიერ დანიშნულ თავმჯდომარეობით და შესდგება 21 წევრისგან:
4. მუშათა ორგანიზაციებიდან ირჩევიან წარმომადგენლები:

   ა) სამი - საქართველოს [პროფკავშირთა] ცენტრალურ კავშირთა საბჭოდან

   ბ) ოთხი რკინის-გზელების ცენტრალური კავშირიდან.

   გ) სამი ტფილისის კავშირთა ცენტრალურ საბჭოდან.
5. დამქირავებელთა ორგანიზაციების წარმომადგენლები:

   ა) ერთი საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის პალატისაგან

   ბ) ორი ტფილისის მექარხნე-მრეწველთა რაიონიდან

   გ) ერთი ჭიათურის შავი ქვის-მრეწველთა საბჭოდან

   დ) ერთი ქალაქთა კავშირიდან

   ე) ერთი ბანკების კომიტეტიდან

   ვ) ერთი ერობის ცენტრალური ბიუროდან

ზ) ერთი ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროდან

თ) ერთი გზათა სამინისტროდან

ი) ერთი მიწათ-მოქმედების სამინისტროდან.

6. სატარიფო პალატის წევრები ირჩევიან ერთი წლის ვადით.
7. საჭიროების გამო რესპუბლიკის ზოგიერთ ადგილას არსდება სატარიფო პალატი განყოფილება
8. სატარიფო პალატას ცნობების მისაწვდენად ჰყავს ყველგან კორესპონდენტები
9. სატარიფო პალატა ყოფს წევრებიდან პრეზიდიუმს 5 კაცს, რომელნიც მიუძღვება პალატის მუშაობას
10. წარმოებათა დარგის მიხედვით სატარიფო პალატა იყოფა სექციებად
11. სექციის სხდომაზე იღებს მონაწილეობას დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები“.[1]

1920 წლის მიწურულს საქართველოში მყოფი კარლ კაუცკი აქტიურად ეცნობოდა საქართველოს პროფკავშირების, შრომის სამინისტროსა და სატარიფო პალატის საქმიანობას. დაკვირვების შედეგად კი აღნიშნავდა რამდენიმე ასპექტს: ა) პროფკავშირებს გააზრებული ჰქონდათ ქვეყნის ეკონომიკური სიდუხჭირე და იშვიათად, გამოუვალ მდგომარეობაში თუ იყენებდნენ გაფიცვის უფლებას, პროფკავშირები იაზრებდნენ, რომ გაფიცვა ვერ გამოიწვევდა პირობების გაუმჯობესებას და პირიქით შეამცირებდა წარმოებებს. ბ) სატარიფო პალატის ჩამოყალიბება იყო პროგრესული ნაბიჯი, მით უფრო მისი დაკომპლექტების წესი, როდესაც თანაბრად ათ-ათი წევრით იყვნენ წარმოდგენილი პროფკავშირები და დამსაქმებლები და ერთიანად განიხილავდნენ შრომით დავებს. ამგვარმა ინსტიტუტმა თავიდან აარიდა ქვეყანას ყველა ღია და მწვავე შრომითი კონფლიქტი, სატარიფო პალატის შექმნის შემდგომ გაფიცვების ინტენსივობა, ფაქტობრივად, შეუმჩნეველი გახდა. გ) სატარიფო პალატის დაარსებასთან ერთად განსაზღვრული მისი ფუნქცია - ინფლაციის პირობებში დაედგინა მცოცავი

[1] *პროექტი: დებულება სატარიფო პალატისა.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 29 მაისი, N116, გვ. 2-3.

სახელფასო განაკვეთები - განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.[1] კაუცკი ხაზს უსვამდა, რომ მიუხედავად ბოლშევიკების გულუხვი დაფინანსებისა, რესპუბლიკის მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების წყალობით მათ პროფესიულ კავშირებსა და ზოგადად მუშებში ფეხი ფართოდ ვერ მოიკიდეს.

1919-1920 წლებში გაუთავებელი ინფლაციის გამო, ხანდახან მუშები ლამის ყოველკვარტალურად ითხოვდნენ ხელფასების მომატებას. მაგალითად, 1919 წლის მაისში ღვინის სარდაფებში მომუშავეთა პროფკავშირები ითხოვდნენ წლის დასაწყისში უკვე გაზრდილი ხელფასების 50%-ით მომატებას, მიზეზად კი ინფლაციას ასახელებდნენ, დამსაქმებლებთან გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნულია, რომ 1919 წლის მარტში ერთი გირვანქა[2] მჭადი 2.2 მანეთი ღირდა, ხოლო 15 მაისისათვის 3.6 მანეთამდე გაძვირდა, ხოლო გირვანქა ხორცის ღირებულება 5 მანეთიდან 8 მანეთამდე გაიზარდა.[3]

1919 წლის 2 აგვისტოს გაიზარდა მთავრობის წევრთა ხელფასები, თავმჯდომარის ხელფასი გახდა 7 000 მანეთი, ხოლო მინისტრების 5 000.[4] 1919 წლის 10 ოქტომბერს დამფუძნებელი კრების დადგენილებით მთავრობის თავმჯდომარის ხელფასი გაიზარდა და 10 000 მანეთი შეადგინა, ხოლო მინისტრების 8 000.[5] სახელმწიფო მოხელეები 1919 წლის სექტემბრიდან მხოლოდ 6 საათი მუშაობდნენ.

1919 წლის 21 ნოემბრის დეკრეტით დამფუძნებელი კრების წევრის ხელფასი 2 500 მანეთიდან 6 000 მანეთამდე გაიზარდა.[6] ამავე პერიოდში სხვადასხვა ტიპის მუშათა ხელფასების ზრდა მოხდა 40-50%-ით.[7]

---

[1] კარლ კაუცკი, *საქართველო: სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა – შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი.* თბილისი: თსუ, 2018, გვ. 84-85.

[2] გირვანქა - წონის ერთეული, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულ ზომას მოიცავს, საქართველოში დაახლოებით 0,4267 კგ.-ს უდრიდა.

[3] სცსა, ფონდი 2075, ანაწ. 1, საქმე 37, ფურც. 28.

[4] სცსა, ფონდი 1861, ანაწ. 3, საქმე 15, ფურც. 211.

[5] იქვე. ფურც. 255.

[6] იქვე. ფურც. 262.

[7] იქვე. ფურც. 41.

1919 წლის 29 ნოემბერს დამფუძნებელმა კრებამ განიხილა დეკრეტის პროექტი მასწავლებელთა ხელფასების 100%-ით გადიდების შესახებ. მომხსენებელმა, დეპუტატმა ნიკიფორე იმნაიშვილმა შესავალ სიტყვაში აღნიშნა: „თავის მოსამსახურეთა ქონებრივი უზრუნველყოფის მხრივ არც ერთი უწყება ისე ჩამორჩენილი არ არის, როგორც სახალხო განათლების უწყება და არც ერთი მოხელე სახელმწიფოში - შეიძლება ისე დაჩაგრული არ იყოს, როგორც მოსამსახურენი ამ უწყებისა - მასწავლებელი. ეს უსამართლობა იმათ მიმართ იყო ძველი წესწყობილების დროს და საუბედუროდ რევოლუციის შემდეგ ის არ შეცვლილა დღემდისაც. ამის გამო იყო, რომ შეუძლებელი გახდა უზრუნველყოფა რესპუბლიკის სკოლების მასწავლებელთა საკმაო რიცხვის მხრით“.

საბოლოოდ კრებამ ერთხმად დაამტკიცა პედაგოგთა ხელფასების 100%-ით ზრდის დეკრეტი. 1919 წლის 1 დეკემბრიდან გაორმაგებული ხელფასები ასე გამოიყურებოდა: - საშუალო სკოლის დირექტორი (დამსახურებული მასწავლებელი) - 3800 მანეთი,[1] საშუალო სკოლის ინსპექტორი - 3632 მანეთი, საშუალო სკოლის პედაგოგი - 3400 მანეთი, უმაღლესდაწყებითი (4 კლასიანი) სკოლის დირექტორი - 3184, უმაღლესდაწყებითი სკოლის პედაგოგი - 2820, პირველდაწყებითი (2 კლასიანი) სკოლის პედაგოგი - 1600 მანეთი.[2] აღნიშნული დადგენილების გამოტანიდან 6 თვის შემდგომ 1920 წლის მაისში პედაგოგები ხელფასების კვლავ 100%-იან ზრდას მოითხოვდნენ. 1920 წლის ზაფხულში ქუთაისის მაზრის მასწავლებელთა კავშირი მოითხოვდა ხელფასების 200%-ით ზრდას, პენსიების სისტემის შემოღებას და სურსათ-სანოვაგით მასწავლებელთა მომარაგებას.[3]

ინფლაციის გათვალისწინებით 1919 წლის 1 ნოემბრიდან სატარიფო პალატის გადაწყვეტილებით 40%-ით გაიზარდა ყველა დაწესებულებაში დასაქმებულ მუშათა ხელფასები.[4] ორთვენახევრის შემდეგ, 1919 წლის 14 იანვარს სატარიფო პალატამ დაადგინა ყველა მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირი და ხელფასი გაზრდილიყო 60

---

[1] ამავე პერიოდში მთავრობის თავმჯდომარის ხელფასი 6000 მანეთს არ აღემატებოდა, 1920 წლის 1 იანვრიდან კი 7000 მანეთამდე გაიზარდა.

[2] *საქართველოს დამფუძნებელი კრება - სხდომის ოქმები - ტომი IV.* თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 219, გვ. 100-102.

[3] სცსა, ფონდი 2047, ანაწ. 1, საქმე 1, ფურც. 129.

[4] *შრომის სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 9 ნოემბერი, N254, გვ. 2.

პროცენტით.[1] 1920 წლის თებერვალში შრომის სამინისტრომ რკინიგზის პენსიონერებს პენსიის მოცულობა 100%-ით გაუზარდა.

ინფლაციაზე დიდ გავლენას, რა თქმა უნდა, ახდენდა ვალუტის კურსიც. 1920 წლის 29 აპრილს ერთი გირვანქა სტერლინგი 600 ქართულ მანეთს უტოლდებოდა.[2] სულ 22 დღის შემდეგ კი, 1 სტერლინგის ღირებულება 1000 მანეთს შეადგენდა.[3] შემდეგ თვეებში ინფლაციამ კიდევ უფრო სწრაფი ტემპით დაიწყო ზრდა. 1920 წლის ოქტომბერში 1 გირვანქა სტერლინგი 4 500 მანეთს აღემატებოდა.[4]

ჰიპერინფლაციიდან გამომდინარე, ხელფასების ზრდის ტენდენცია 1920 წლის მეორე ნახევარშიც გაგრძელდა. სატარიფო პალატაში 1921 წლის იანვარში მუშათა ხელფასების კვლავ 100%-იან ზრდაზე მსჯელობდნენ.

1919-1920 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჰიპერინფლაციის და ვალუტის დევალვაციის მთავარ მიზეზად დემოკრატიული რესპუბლიკის მკვლევარი პროფესორი სტივენ ჯონსი მთავრობის ხარჯების შემოსავლებზე მრავალჯერ გადაჭარბებას ასახელებს, მზარდი ხარჯების დასაფარავად ხელისუფლებას ერთადერთი მექანიზმი - ფულის ბეჭდვა - გააჩნდა, მთავრობის მიერ განხორციელებულმა ბონების ემისიამ 1920 წელს 8.4 მილიარდს გადააჭარბა.[5]

სურსათზე ფასების ზრდის კიდევ ერთი მიზეზი საშუალო და დაბალ დონეზე გავრცელებული კორუფცია იყო, განსაკუთრებით მომარაგების სამინისტროში. რესპუბლიკის ფინანსების მთავარი მაკონტროლებელი ორგანო - სახელმწიფო

---

[1] *შრომის სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 18 იანვარი, N13, გვ. 1.

[2] სცსა, ფონდი 1861, ანაწ. 3, საქმე 20, ფურც. 134.

[3] *საქართველოს დამფუძნებელი კრება - სხდომის ოქმები - ტომი VII.* თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 219, გვ. 371-372

[4] კონსტანტინე კანდელაკი, *საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა.* პარიზი: Institute for the study of the USSR, Paris, 1960, გვ. 72.

[5] Stephen Jones, *Between ideology and pragmatism: social democracy and economic transition in Georgia 1918-20. Caucasus Survey, Vol. 1, N2, April 2014, pp. 63-81.*

კონტროლის აპარატი - თავის ანგარიშებში მიუთითებდა მილიონობით მანეთის სურსათის დამალვის ფაქტებზე და სასურსათო უწყებებში გავრცელებულ კორუფციაზე.[1]

გარდა ხელფასების ზოგადი ზრდისა მთავრობა დასაქმებულებს ფრაგმენტულად აძლევდა ერთჯერად დახმარებებს, განსაკუთრებით პედაგოგებსა და მუშებს.[2] სატარიფო პალატამ თავის სხდომაზე 12 ივნისს, 1920 წელს დაადგინა: - „დაევალოს ყველა დამქირავებლებს დაუყოვნებლივ მისცენ მათ ყველა მუშებს და მოსამსახურეებს ერთი თვის ჯამაგირის ოდენი ერთდროული დახმარება. მაგრამ არა უმეტეს 3000 მანეთი ყოველივეს, იმნაირათ, რომ აღნიშნული დახმარებიდან არ იქნება არავითარი გამოკლებული. ეს განცხადება უკვე ეცნობა დამქირავებლებს სისრულეში მოსაყვანად. თავმჯდომარე სატარიფო პალატისა - ილია გოლდმანი[3], მდივანი ტრეიმანი“.[4]

1919-1920 წლებში პროფესიული კავშირების ცენტრალური კომიტეტის სხდომები ხშირი ინტენსივობით იმართებოდა, მასზე განიხილებოდა ცალკეული პროფკავშირების მიერ აღძრული საკითხები. განსახილველი საკითხების 90% დაკავშირებული იყო ხელფასების ზრდის მოთხოვნასთან.[5]

ხელფასების ზრდისა და სატარიფო პალატის მოქმედების მიუხედავად 1919 წელს გაიფიცნენ ვარციხის მამულის მუშები. გაფიცულ მუშებთან მოლაპარაკებებს თავად შრომის მინისტრის ამხანაგი გიორგი ერაძე აწარმოებდა.[6]

1919 წლის ოქტომბერში სატარიფო პალატას ხელფასების ზრდის მოთხოვნით მიმართეს თბილისელმა ფარმაცევტებმა, თუმცა პალატამ არ დააკმაყოფილა მიმართვა. აფთიაქართა პროფკავშირი აპროტესტებდა სატარიფო პალატის გადაწყვეტილებას და აღნიშნავდა,

---

[1] ბექა კობახიძე, ირაკლი ირემაძე, ირაკლი ხვადაგიანი, დავით ხვადაგიანი, *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონტროლი / The State Controller's Office of the Democratic Republic of Georgia.* თბილისი: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2020, გვ. 106-107.

[2] *ახალი ამბები.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 12 ივნისი, N130, გვ. 2.

[3] ილია გოლდმანი 1920 წლიდან შრომის მინისტრის ამხანაგის პოსტს იკავებდა.

[4] *სატარიფო პალატის ცირკულიარი.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 17 ივნისი, N134, გვ. 3.

[5] სცსა, ფონდი 2075, ანაწ. 1, საქმე 41, ფურც. 16, 18, 21.

[6] დიმიტრი შველიძე (ავტორ შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი/რედაქტორი), *დამოუკიდებლობის 1028 დღე.* თბილისი, თსუ, 2013, გვ. 162.

რომ სატარიფო პალატა სპეკულიანტების გავლენის ქვეშ მოექცა.[1] აფთიაქარებმა გაფიცვა გამოაცხადეს, პროფკავშირებმა, შრომის სამინისტრომ და სატარიფო პალატამ გაფიცვა დაგმო და პრესაში ფარმაცევტების წინააღმდეგ სალანძღავი სტატიები გამოაქვეყნა, საბოლოოდ ფარმაცევტებმა გაფიცვის მომენტში საწადელს ვერ მიაღწიეს და მხოლოდ სატარიფო პალატის 1919 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით ისარგებლეს.

1920 წლის ზაფხულში გაიფიცნენ ფოთის პორტის მტვირთავები, მუშები 8-საათიანი სამუშაო დღის მკაცრ რეგლამენტირებას და ხელფასების ზრდას მოითხოვდნენ. მშრომელსა და დამსაქმებლებს შორის მოლაპარაკების პროცესში შრომის სამინისტროს ჩართვის შემდეგ 1920 წლის 19 აგვისტოს ფოთის მუშებმა გაფიცვა შეწყვიტეს, მათ დაუკანონდათ 8-საათიანი სამუშაო დღე, რომელიც მოიცავდა 2-საათიან დასვენებას.

შრომის სამინისტრო და მთავრობა, გარდა ხელფასების ზრდისა, ზრუნავდნენ მშრომელებისთვის ხელმისაწვდომი გაეხადათ სურსათი, რომელიც ევროპაში, კავკასიის რეგიონსა და რესპუბლიკაში დეფიციტური იყო. მთავრობამ შექმნა „მუშათა მაგიდები“, საიდანაც მშრომელები იაფად ყიდულობდნენ პირველადი მოხმარების სურსათს. 1920 წლის თებერვლის დასაწყისისათვის 600 უწყებასა და საწარმოში დასაქმებული 50 000 მოქალაქე იღებდა იაფ სურსათს.[2] 1920 წლის აგვისტოში ეს რიცხვი 60 000 მშრომელს აჭარბებდა. 1921 წლისათვის 65 პროფესიული კავშირების წარმომადგენლები იღებდნენ იაფ პურს მუშათა მაგიდიდან.[3] პურის გარდა ისინი ზამთრობით იაფად იღებდნენ ნავთსა და სათბობ ქვანახშირს. „მუშათა მაგიდას“ მთავრობის გარდა აფინანსებდნენ კერძო დაწესებულებები, რომელთაც ჰქონდათ ვალდებულება თითოეულ დასაქმებულზე გადაეხადათ 3 000 მანეთი.[4]

უმუშევართა სოციალური ყოფის შემსუბუქების საქმეს ემსახურებოდა უფასო და იაფი საჩაიეები და სასადილოები, რომელიც შრომის ბირჟის დაქვემდებარებაში მოქმედებდა.[5]

---

[1] სცსა, ფონდი 2075, ანაწ. 1, საქმე 82, ფურც. 12.

[2] *შრომის სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 3 თებერვალი, N25, გვ. 1.

[3] სცსა, ფონდი 2075, ანაწ. 1, საქმე 15, ფურც. 13.

[4] *შრომის სამინისტროს განცხადება.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 13 ოქტომბერი, N232, გვ. 3.

[5] *უფასო საჩაიეში.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 18 ივლისი, N158, გვ. 2.

მართალია, უფასო სასადილოებს ნორმალურად უძღვებოდა შრომის ბირჟა, მაგრამ თავის უშუალო მოვალეობას - უმუშევართათვის სამსახურის მოძებნასა და დასაქმებას ნაკლებად ასრულებდა. 1920 წლის მაისში „შრომის ბირჟამ“ დააკმაყოფილა მასთან მიმართულ განმცხადებელთა 27.4%, მაშინ როდესაც 1920 წლის იანვარში 6%-იც კი ვერ დაკმაყოფილდა.

1919-1920 წლის განმავლობაში სატარიფო პალატის საქმიანობა დადებითად ფასდებოდა. თუმცა, გამოიკვეთა, რომ შრომის კანონმდებლობა კიდევ უფრო დასახვეწი იყო. პროფკავშირების, დამფუძნებელი კრების, სატარიფო პალატისა და მთავრობის ჩართულობით მომზადდა შესაბამისი კანონპროექტიც. 1920 წლის 20 ივლისის სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ გამართა ზოგადი მოსმენა „შრომის ხელშეკრულების“ კანონპროექტის შესახებ. კანონპროექტის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა სოციალ-დემოკრატმა ილია ფირცხალაიშვილმა, რომელმაც მიმოიხილა საქართველოში შრომის კანონმდებლობის განვითარების ეტაპები და მუშათა იმჟამინდელი მდგომარეობა. ფირცხალაიშვილის შემდგომ კრების სხდომაზე სიტყვით მიმართა სოციალისტ-რევოლუციონერმა ლეო შენგელაიამ და სოციალისტ-ფედერალისტმა თევდორე ღლონტმა. მემარცხენე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა ზოგადად მოიწონეს კანონპროექტის ძირითადი შინაარსი, თუმცა გააკრიტიკეს ცალკეული მუხლები, განსაკუთრებით კი ის დებულებები, რომლებიც აზუსტებდა კანონის გავრცელების ფარგლებს და აცხადებდა, რომ კანონი არ გავრცელდებოდა ცალკეულ სახელმწიფო უწყებებზე. განხილვა საათზე მეტხანს გაგრძელდა და შემდეგი განხილვები მომდევნო სხდომებზე ჩაინიშნა.[1] 1920 წლის 23 ივლისის სხდომაზე გაგრძელდა ვრცელი განხილვები შრომის ხელშეკრულების კანონპროექტის შესახებ, ამჯერად კანონპროექტი გააკრიტიკა მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენელმა ალექსანდრე ასათიანმა. მემარჯვენე ოპოზიცია, ძირითადად, აკრიტიკებდა იმ საკითხს, რომ კანონპროექტი მხოლოდ დასაქმებულთა ინტერესებს იცავდა და მასში თითქმის არაფერი იყო ნათქვამი კაპიტალისტების ინტერესების დასაცავად. ასათიანის გამოსვლა თითქმის 2 საათს

[1] *საქართველოს დამფუძნებელი კრება - სხდომის ოქმები - ტომი VII.* თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019, გვ. 51-68.

გაგრძელდა. მან ფართოდ მიმოიხილა არსებული გამოწვევები, მათ შორის შრომის ნაყოფიერების დაცემის ტენდენცია და მიუთითა, რომ იქმნებოდა კიდევ უფრო დიდი საფრთხე აღნიშნულ კანონს სრულად გაენადგურებინა საქართველოს ეკონომიკა, რადგანაც მწარმოებელი რჩებოდა დაუცველი და სახელმწიფოსგან შევიწროებული. [1] 1920 წლის 3 აგვისტოს სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ დაიწყო კანონპროექტის მუხლობრივ განხილვა ამჯერად მომხსენებელი სოციალ-დემოკრატი პავლე ბერიშვილი იყო, განხილვებში მონაწილეობას იღებდნენ ეროვნულ-დემოკრატი ალექსანდრე ასათიანი და სოციალ-დემოკრატი ბიქტორ თევზაია.[2] კანონპროექტის განხილვა 10 აგვისტოს სხდომაზეც გაგრძელდა, ხოლო 1920 წლის 14 აგვისტოს რიგგარეშე „სასწრაფო სხდომაზე“ დაამტკიცეს შრომის ხელშეკრულების კანონი.[3]

1920 წლის 14 აგვისტოს დამტკიცებული კანონი „შრომის ხელშეკრულებისა“ სულ 14 თავისა და 91 მუხლისგან შედგებოდა. კანონი აუქმებდა 14 აგვისტომდე არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოს. განსაკუთრებით საინტერესო იყო კანონის პირველი მუხლი, რომელიც განსაზღვრავდა კანონის მოქმედების ფარგლებს. – „1. ამ კანონს ექვემდებარება შრომის ყოველი ხელშეკრულება, რომლითაც ერთი პირი - დაქირავებული - თავის სამუშაო ძალას აძლევს სხვა პირს - დამქირავებელს - განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ან გარიგებულ სამუშაოს დამთავრებამდე და ვალდებული ხდება დამქირავებლის მიერ ნაჩვენები განსაზღვრული სახის მოქმედება შეასრულოს სასყიდლით - სამუშაო ფასით, რომელიც აღირიცხება დროის მიხედვით, ნაჭრობით ან სხვა საშუალებით. შენიშვნა: ამ კანონს არ ექვემდებარებიან: ა) სახელმწიფოსი და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებათა თანამდებობის პირნი და ადმინისტრაციაში მოსამსახურენი; ბ) ის ხელშეკრულებანი, რომელსაც დასდებენ საზოგადოდ

---

[1] *საქართველოს დამფუძნებელი კრება - სხდომის ოქმები - ტომი VII.* თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019,
 გვ. 113-132. ასევე, ირაკლი ირემაძე, *შრომის საკითხი და პროფკავშირები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში,* კრებული - *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ - მოდელი ევროპისთვის?* თბილისი: თსუ, 2018, გვ. 364-365.
[2] *საქართველოს დამფუძნებელი კრება - სხდომის ოქმები - ტომი VII.* თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 219, გვ. 270-281.
[3] იქვე, გვ. 415-416.

ადმინისტრატიული მოქმედებისათვის დაქირავებულნი; გ) აგრეთვე ის პირნი, რომელნიც საზოგადოების წევრთა განუსაზღვრელ რიცხვს აწვდიან დამოუკიდებელი ხელობის სახედ მათ მიერ შეკავშირებულსა ან პირად შრომას“.[1] კანონი ადგენდა ხელშეკრულების ტიპებს - კოლექტიურსა და ინდივიდუალურს, განსაზღვრავდა დამსაქმებლის ვალდებულებას, შეექმნა ღირსეული სამუშაო პირობები, განსაზღვრული იყო მხარეების მიერ ხელშეკრულების გაუქმების წესები, კანონი აზუსტებდა შრომითი დავების განხილვის საკითხებსაც. შრომის ხელშეკრულების დარღვევა ისჯებოდა სისხლის სამართლით.[2]

შრომის კანონმდებლობის შექმნის შემდეგ შრომის სამინისტრომ დაიწყო შრომითი დავების კიდევ უფრო ეფექტურად წარმართი მექანიზმების შემუშავება. მაგალითად, 1920 წლის ნოემბერში შრომის სამინისტრო იუწყებოდა, რომ უნდა შემოეღოთ ახალი წესი შრომითი დავების საკასაციო წესით განსახილველად. თუ აქამდე მხარეებს საჩივარი უნდა შეეტანათ შრომის სამინისტროში და აქედან იგი გადაიგზავნებოდა მომრიგებელ კამერებში, ახალი წესის დამტკიცების შემდეგ საჩივარი უნდა შეიტანონ პირდაპირ მომრიგებელ კამერაში. აქედან კი, განხილული საქმეები კანონის შესაბამისად გადაეცემა აღსასრულებლად შრომის მინისტრს ან/და სასამართლოს. [3]

1920 წლის განმავლობაშიც აქტიურად გრძელდებოდა პროფესიული კავშირების უჯრედების ჩამოყალიბება. მაგალითად, მძიმე შრომითი პირობების, გამო 1920 წლის ივნისში პროფკავშირული უჯრედი ჩამოაყალიბეს თბილისის სამხედრო ჰოსპიტლის თანამშრომლებმა.[4] რესპუბლიკის ინტენსიური თავდაცვითი ომებიდან გამომდინარე, სამხედრო საავადმყოფოები მუდმივად გადავსებული იყო, ამ დროს კი, ექიმები მიზერულ ანაზღაურებას იღებდნენ.

---

[1] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული* (სპეც. რედ. ვ. შარაშენიძე). თბილისი: ივერთა მხარე, 1990, გვ. 408.

[2] იქვე, გვ. 408-431. ასევე. ირაკლი ირემაძე, *შრომის საკითხი და პროფკავშირები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კრებული* - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ - მოდელი ევროპისთვის? თბილისი: თსუ, 2018, გვ. 365-366.

[3] *შრომის სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 6 ნოემბერი, N251, გვ. 2.

[4] სცსა, ფონდი 2075, ანაწ. 1, საქმე 60, ფურც. 1.

1920 წლის მარტში ბრიტანული ჯარების მიერ ოკუპირებულ ბათუმში გაიმართა მუშათა პროფესიული კავშირების კრება, რომელმაც „ანტანტისაგან“ მოითხოვა ბათუმის ოლქის საქართველოსათვის გადაცემა, ბათუმის მუშებში სოციალ-დემოკრატები დომინირებდნენ. 1920 წლის ივლისში ბათუმის ოლქის საქართველოში შემოერთების შემდგომ ქალაქ ბათუმში გააქტიურდა პროფესიული კავშირების საქმიანობა. 1920 წლის აგვისტოში ბათუმში 22 მუშათა პროფესიული გაერთიანება ფუნქციონირებდა და მათში 7500 კაცი იყო გაწევრიანებული.[1]

1920 წლის სექტემბერში საქართველოს ევროპელ სოციალისტთა დელეგაცია ეწვია, რომლებმაც შეისწავლეს საქართველოში მშრომელთა მდგომარეობა და აღფრთოვანებული დარჩნენ შრომის კანონმდებლობით, პროფკავშირების გავლენითა და მშრომელებისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულებით. 17 სექტემბერს დელეგაციის წევრები მუშებს შეხვდნენ თბილისის მუშათა სასახლეში, ასევე, მოინახულეს ჭიათურა და სხვა ინდუსტრიული ზონები.

1920 წლის 28 დეკემბერს მუშათა სასახლე გაიხსნა არამიანცის ყოფილ სახლში, რუსთაველის გამზირზე, ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ შენობაში (დღევანდელ თბილისი მერიოტში). თავის მხრივ ამ უზარმაზარი შენობის პროფესიულ კავშირებზე გადაცემის საკითხი თბილისის მუნიციპალიტეტის მოსამსახურეების პროფესიულმა კავშირმა წამოჭრა.[2] 1919-1920 წლებში უამრავი წერილი შედიოდა პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტში, რომელთა საფუძველზეც ცალკეული პროფკავშირული უჯრედები მოითხოვდნენ ბინას თავიანთი კომიტეტების განსათავსებლად.[3] 1920 წლისათვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ პროფკავშირს - მასწავლებელთა კავშირს - არ გააჩნდა საკუთარი ბინა, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა მასწავლებელთა კავშირს ხშირად ფინანსურ დახმარებასაც უწევდა.[4]

---

[1] *ბათომში.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 21 აგვისტო, N189, გვ. 3.

[2] სცსა, ფონდი 2075, ანაწ. 1, საქმე 89, ფურც. 11.

[3] სცსა, ფონდი 2075, ანაწ. 1, საქმე 104, ფურც. 2.

[4] სცსა, ფონდი 2075, ანაწ. 1, საქმე 104, ფურც. 2.

1919-1920 წლებში ბოლშევიკები აქტიურად ცდილობდნენ პროფკავშირებში გავლენის მოპოვებას. 1919 წლის დასაწყისში საგანგებო რაზმმა დააკავა პროფკავშირლები მელიქ-აბაზიანი და მჟავანაძე. მათ კონტრრევოლუციური საქმიანობა ბრალდებოდათ და ქვეყნიდან გასახლება მიუსაჯეს, პროფკავშირების ცენტრალურმა საბჭომ ეს საკითხი განიხილა და საბოლოოდ დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ ეს პირები პროფკავშირების შენობაში დააკავეს, ეს პროცესი მაინც სამართლიანი იყო და მუშათა სახელმწიფოს მშენებლობა მოითხოვდა კონტრრევოლუციასთან ბრძოლას.[1] 1920 წლის გაზაფხულიდან ცალკეული პროფესიული კავშირების კომიტეტებში ბოლშევიკები დაწინაურდნენ და პროფკავშირულ საქმიანობასთან ერთად, რესპუბლიკის მთავრობის შეფასებით, ბოლშევიკურ პარტიულ საქმიანობასაც ეწეოდნენ, რის გამოც რესპუბლიკის უსაფრთხოების ძალებმა - საგანგებო რაზმმა რამოდენიმე პროფესიული კავშირის ლიდერი დააკავა, მათ შორის - მესტამბეთა, ლითონისა და ტყავის დამმუშავებელ მუშათა, მკერავთა და ფარმაცევტთა პროფკავშირის ხელმძღვანელები.[2]

გაზეთ „ერთობის" ცნობით 1920 წლის 1 მაისს მშრომელთა დემონსტრაციაზე პროფკავშირებს შორის ბოლშევიკებიც გაერივნენ, რომლებსაც ბანერებზე, გარდა სტანდარტული მისალოცი წარწერებისა, ხელისუფლების საწინააღმდეგო განცხადებებიც ჰქონდათ გამოტანილი. განსაკუთრებით აქტიურობდნენ მეტალურგიის სექტორში დასაქმებული მუშები. შემდეგ დღეს ლითონზე მომუშავეთა პროფკავშირი ოფიციალურად აცხადებდა, რომ ეს ბოლშევიკები პროფკავშირის კომიტეტთან არ იყვნენ დაკავშირებული და პროვოკატორები იყვნენ.[3] 1920 წლის ივლისში მეტყავეთა კავშირში კომუნისტების გაბატონების გამო გარიცხეს საქართველოს ცენტრალური პროფესიული კავშირიდან.[4]

ბოლშევიკ მუშებს ქვეყნის გარედანაც უმაგრებდნენ ზურგს. კომუნისტურ გაზეთებს საინფორმაციო ომიც ჰქონდათ გაჩაღებული საქართველოს წინააღმდეგ. 1920 წლის

---

[1] *პროფესიონალურ კავშირების საბჭოში.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 4 თებერვალი, N27, გვ. 3.

[2] *ბოლშევიკების მუშაობა პროფ. კავშირებში.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 29 აპრილი, N95, გვ. 3.

[3] *პროფესიონალურ კავშირებში.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 7 მაისი, N101, გვ. 4.

[4] *პროფესიონალურ კავშირებში.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 18 ივლისი, N160, გვ. 3.

ივნისის დასაწყისში ბაქოში გამომავალ კომუნისტურ გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, თითქოს თბილისში მუშათა დიდი მიტინგი გაიმართა, რომელიც შსს-მ იარაღის ძალით დაშალა. რეალურად კი, ამგვარი მოვლენები არ მომხდარა საქართველოში.

1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა ოფიციალურად აღიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და სამშვიდობო ხელშეკრულებაც გააფორმა საქართველოსთან. სამშვიდობო ხელშეკრულებას გამოეხმაურა პროფესიული კავშირების ცენტრალური კომიტეტი, რომელიც მიესალმა ამგვარ აქტს და გამოთქვა სურვილი დაემყარებინა კავშირი რუსეთის პროფკავშირებთან.[1] ამ იდეას იწონებდა საქართველოს მთავრობა და მიაჩნდა, რომ მშრომელებს გააჩნდათ რესურსი სახალხო დიპლომატიის გზით საქართველოსადმი კეთილგანწყობა მოეპოვებინათ ბოლშევიკების რიგებში. 1920 წელს იგეგმებოდა მუშათა დელეგაციის გაგზავნაც რუსეთში, თუმცა ბოლშევიკებმა უარი განუცხადა დელეგაციის რუსეთში მიღებაზე.

ბოლშევიკების მცდელობები, შეეღწიათ მუშათა შორის უშედეგოდ სრულდებოდა, ამას ამტკიცებს ისიც, რომ 1921 წლის დასაწყისში გაიმართა ყველაზე დიდი პროფკავშირის - რკინიგზელების ყრილობა, რომელზეც აირჩიეს პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი, სადაც სოციალ-დემოკრატებმა მოიპოვეს სრული დომინირება,[2] ბოლშევიკებმა ვერ გაიყვანეს თავიანთი კანდიდატები. ასევე, კიდევ ერთ დიდ გაერთიანებაში - მასწავლებელთა კავშირში - სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები იყვნენ დომინანტნი და ბოლშევიკებს არავითარი გავლენა არ გააჩნდათ.

1921 წლის 21 თებერვალს დამტკიცებული საქართველოს კონსტიტუცია და განსაკუთრებით მისი XIII თავი „სოციალურ-ეკონომიკური უფლებანი“ იყო რესპუბლიკის შრომის პოლიტიკის ერთგვარი გვირგვინი. რესპუბლიკის მთავარ სამართლებრივ-პოლიტიკურ დოკუმენტში გამოხატული იყო რესპუბლიკის მოქალაქეებისა და მის მიერ არჩეული პოლიტიკური კლასის ძირითადი ღირებულებები შრომის საკითხების მიმართ. კონსტიტუციის 117-ე მუხლში გაცხადებული იყო - „შრომა

[1] სცსა, ფონდი 2077, ანაწ. 1, საქმე 5, ფურც. 1-4.

[2] *რას გვასწავლის რკინის გზის დემოკრატია.* გაზ. ერთობა, 1921 წლის 11 იანვარი, N6, გვ. 1.

საფუძველია რესპუბლიკის არსებობისა და მისი უზრუნველყოფა რესპუბლიკის განსაკუთრებული მოვალეობაა“.[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში სრულად აისახა 1920 წელს მიღებული კანონის -„შრომის ხელშეკრულების“ ძირითადი დებულებები.

## I.4. შეფასებები შრომისა პოლიტიკისა და პროფკავშირების მოქმედების შესახებ

1920 წლის 28 დეკემბერს მუშათა სასახლის გახსნაზე ნოე ჟორდანიას მიერ წარმოთქმული სიტყვა მნიშვნელოვნად ნათელჰყოფს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამოკიდებულებას მშრომელებისა და მუშათა პოლიტიკის მიმართ. ჟორდანიამ განაცხადა: „ამხანაგებო, ნება მომეცით, მოგილოცოთ თქვენ მუშათა სასახლის გახსნა. ეს სახლი გარეგნულათ სრულად არ გავს მუშათა სახლს. არც ეს ქუჩა გავს იმ ქუჩებს, რომელზედაც უხდებოდათ ცხოვრება მუშებს. და აი, მუშათა სასახლის გახსნა სწორედ ამ სახლში, რომელიც აგებული იყო მაღალი კლასებისათვის, სწორედ ეს გვიჩვენებს რევოლიუციის აზრსაც, გვიჩვენებს იმასაც, რომ მუშები გამოდიან თავიანთ ბნელი, ვიწრო ქუჩებიდან და იკავებენ საუკეთესო სახლებს ჩვენ დედა ქალაქ ტფილისისას. მას შემდეგ, რაც მუშებმა დაიპყრეს პოლიტიკური ძალაუფლება და დაიკავეს ის სასახლე (დამფუძნებელი კრების სასახლე), სრულიად ბუნებრივია ამ მუშათა სასახლის დაკავება. და აი, ამ სასახლის გახსნა გვიჩვენებს, რომ მუშები უფრო ახლო დგებიან, მჭიდრო კავშირს იკავებენ იმ ხალხთან, რომელნიც იმყოფებიან იმ სასახლეში და რომლებიც თქვენზე ეყრდნობიან. ჩვენ მიჩვეული ვართ თქვენგან დირექტივების, დახმარების მიღებას და მე იმედი მაქვს, რომ თქვენ კვლავ არ მოგვაკლებთ ამ დახმარებას, გააგრძელებთ თქვენს პოლიტიკას. თუმცა პროფესიონალური კავშირები პოლიტიკას არ ეწევიან, მაგრამ წმინდა პროფესიონალური მოძრაობა არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს. და აი, თქვენ უნდა გვიკარნახოთ დირექტივები და ჩვენ მათ ცხოვრებაში გავატარებთ მუშათა კლასის სახელით, მისი ინტერესების მიხედვით. აი ამ სახლში გაერთიანებულია

---

[1] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული* (სპეც. რედ. ვ. შარაშენიძე). თბილისი: ივერთა მხარე, 1990, გვ. 476.

თფილისის პროფესიონალური კავშირები და მე ვისურვებ, რომ ამ სახლში გაერთიანებულიყვნენ მთელი საქართველოს კავშირები. ეს ცოტაა, მე ვისურვებდი, რომ ეს საღი პოლიტიკა, რომელსაც თქვენ აწარმოებთ, გადასროლილ იყოს საქართველოს საზღვრებს გარეშე, განსაკუთრებით ბაქოში და სხვა ცენტრებში. გილოცავთ ბრწყინვალე დღეს".[1] სასახლის გახსნას ესწრებოდა საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ცნობილი მარქსისტი თეორეტიკოსი კარლ კაუცკი.

1920 წლის მიწურულს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 113 პროფესიონალური გაერთიანება არსებობდა, რომელიც 64 000 მშრომელს აერთიანებდა, მათგან 33 კავშირი 33 000 მშრომელით თავმოყრილი იყო დედაქალაქში, ხოლო 80 კავშირი 31 ათასი მშრომელით საქართველოს რეგიონებში. პროფკავშირებს 1919 წლიდან გააჩნდათ ჟურნალი „მუშათა ცხოვრება," რომელიც 3000-იდან 4500-მდე ეგზემპლარად გამოიცემოდა. ყველაზე დიდ პროფკავშირს - რკინიგზისას - გააჩნდა თავისი ქართულ და რუსულენოვანი გამოცემა „რკინისგზელი", რომლის 10 000 ეგზემპლარი ქართულად იბეჭდებოდა ხოლო 3000 რუსულ ენაზე.[2] ამავე პერიოდში პროფესიული კავშირების წევრთა 95% სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან აფელირდებოდა და პარტიის წევრის მანდატს ფლობდა, თავად პარტიის წევრთა რაოდენობა 80 000 აღემატებოდა.[3]

1920 წლისთვისაც კი, პროფესიონალური კავშირების საქმისწარმოება გაუმართავი და უწესრიგო იყო, ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებდა ცალკეულ პროფკავშირებს საქმისწარმოება ერთგვაროვნად მოეწყოთ.[4] თუმცა ამის განხორციელება მარტივი არ იყო, რადგანაც პროფკავშირების დიდი ნაწილი საქმისწარმოებას რუსულ ენაზე ეწეოდა.

1920 წლის ბოლოს კარლ კაუცკი საქართველოს პროფესიულ კავშირებს ამგვარად ახასიათებდა - „პროფესიული კავშირები ორგანიზებული არიან არა პროფესიული ნიშით, არამედ მრეწველობის დარგების მიხედვით. პროფესიული პრინციპი ჯერ მყარად არ არის

---

[1] *საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტომი XIII, ნოე ჟორდანია* (მთავარ. რედ. სტივენ ჯონსი, რედ. ემზარ ჯგერენაია). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2018, გვ. 196-197.
[2] სცსა, ფონდი 2077, ანაწ. 1, საქმე 1, ფურც. 3.
[3] ერიკ ლი, *ექსპერიმენტი: საქართველოს მივიწყებული რევოლუცია.* თბილისი: პოეზია, 2018, გვ. 159.
[4] სცსა, ფონდი 2075, ანაწ. 1, საქმე 86, ფურც. 16

ფეხმოკიდებული. თბილისში აღნიშნული კავშირები ფლობენ თავიანთ ნაგებობებს, თეატრს, შეხვედრების ადგილს - პლეხანოვის მუშათა სასახლეს, რომელიც მუშებმა დიდი მსხვერპლის ფასად ააშენეს. რკინიგზელებს სპეციალურად განკუთვნილი შენობაც აქვთ თავიანთი ორგანიზაციისათვის. პროფკავშირების ორგანოები და მისი მისწრაფებები დასავლეთ ევროპულს ჰგავს, მაგრამ მომეჩვენა, რომ პროფკავშირები საგრძნობ დაქსაქსულობას განიცდიან. თუმცაღა, მოძრაობა, რომელიც სულ რაღაც სამი წლისაა, სრულყოფილი ვერ იქნება. იმის გამო, რომ ორგანიზაცია ახლად ჩამოყალიბებულია, მისი ინტერესი არ არის ვიწრო და მხოლოდ პროფესიული. იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ მუშათა საკითხებით, არამედ კონცენტრირებულია მთელ საზოგადოებაზე. ეს თვალსაჩინოდ იკვეთება პროფკავშირების დამოკიდებულებაში გაფიცვის მიმართ. ისინი გაფიცვას პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში ყველაზე ბასრ იარაღად მიიჩნევენ. ის თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პროფკავშირები ამას, ცხადი ხდება იმ ფაქტით, რომ ისინი კონსტიტუციაში გაფიცვის უფლების ასახვას ითხოვენ. მათ ისიც კარგად იციან, რომ ეს მრისხანე იარაღი მხოლოდ უკიდურეს საჭიროების შემთხვევაში უნდა გამოიყენონ“.[1]

ნოე ჟორდანიას ეკონომიკური მრჩეველი, ცნობილი ეკონომისტი ვლადიმერ ვოიტინსკი, პარიზში გამოცემულ თავის ნაშრომში - „LA DÉMOCRATIE GÉORGIENNE“ აფასებდა 1918-1921 წლებში საქართველოში შრომის პოლიტიკასთან მიმართებაში განხორციელებულ რეფორმებს და მისდამი პროლეტარიატის დამოკიდებულებას - „ქართულმა პროლეტარიატმა სწორად შეაფასა არსებული ვითარება – რევოლუციის პერიოდში ხალხის მმართველის როლში ყოფნა და მუშათა კლასის მოთხოვნების რეალიზაცია მისგან დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა. აქ უნდა დავინახოთ სოციალ-დემოკრატიული სკოლის გავლენა, რომელმაც ქართველ მუშათა პოლიტიკური ცნობიერება ჩამოაყალიბა. საქართველოში მუშათა პოლიტიკას მაქსიმალიზმი არ ახასიათებდა. მისი იდეალი და არსი სოციალისტური იყო, მაგრამ სოციალიზმისკენ მიემართებოდა არა

---

[1] კარლ კაუცკი, *საქართველო: სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა – შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი.* თბილისი: თსუ, 2018, გვ. 83-84.

ამბოხებათა და ტერორის, არამედ დემოკრატიის გზით. აქ პოლიტიკური ამოცანები არ სცდებოდა შესაძლებლობათა ფარგლებს, მაგრამ ქვეყანაში, რომელიც ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდა, ფართო ასპარეზს აძლევდა მუშათა კლასს მისი მატერიალური და მორალური მდგომარეობის გარანტირებით. ამ წყობამ დადებითი შედეგი მოიტანა ევროპის განვითარებული ქვეყნებისთვის, ქართველ მუშათა კანონმდებლობა კი მხოლოდ ეტაპობრივად მიდიოდა სამუშაოსა და კაპიტალს შორის არსებულ მიმართებათა რადიკალურ ტრანსფორმაციამდე. ამ გზაზე გადადგმულ თითოეულ მეტ-ნაკლებად გაბედულ ნაბიჯს წინ უძღვოდა შედეგების ვრცელი და სიღრმისეული შესწავლა... საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოს მუშათა პოლიტიკა დიამეტრალურად განსხვავდებოდა საბჭოთა რუსეთის შრომის პოლიტიკისაგან“.[1]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი 1960 წელს პარიზში გამოცემულ თავის ნაშრომში აღწერდა 1918-1921 წლებში მშრომელთა რეალურ მდგომარეობას და საზოგადოების ზოგად წარმოდგენებს შრომის პოლიტიკის კუთხით - „ბევრის წარმოდგენით თუმცა დამოუკიდებელ საქართველოში ნივთიერი გასაჭირი დიდი იყო, მაგრამ რადგან ხელისუფლება სოციალისტებს ეჭირა, მუშები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ და ამიტომ საუკეთესო ნივთიერ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ საზოგადოების ფართე წრეებთან შედარებით. სამწუხაროთ, ... ეს სულ ასე არ ყოფილა. მუშა მოსამსახურის მდგომარეობა დამოუკიდებელ საქართველოში საერთოდ ისეთივე იყო, როგორც დანარჩენ საზოგადოების, ისინიც განიცდიდნენ ნივთიერ გაჭირვებას. და არა იმიტომ, რომ მათ არ ჰქონდათ პროფესიული ორგანიზაციები და თავის უფლებებს და მოთხოვნებს საკმარისად ვერ იცავდენ, არამედ სწორედ იმიტომ, რომ ისინი, დარაზმულნი პროფესიულ კავშირებში და პოლიტიკურ ორგანიზაციებში, სრულის შეგნებით ერკვეოდენ არსებულ მდგომარეობაში. დემაგოგიას არ მიყვებოდენ, განუხორციელებელ მოთხოვნილებებს არ აყენებდნენ და ყოველგვარ უპასუხისმგებლო

---

[1] ვლადიმერ ვოიტინსკი, *ქართული დემოკრატია.* თბილისი: თსუ 2018, გვ. 219.

ნაბიჯის გადადგმას ერიდებოდნენ. ამ მხრივ საქართველოს მუშათა კლასი ისეთ თავდაჭერილობას და პოლიტიკურ სიმწიფეს იჩენდა, რომ მისი ყოფაქცევა იმ დროს სანაქებო და დიდი პატივისცემის ღირსი იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენ დავინახეთ მრავალი მაგალითი მუშათა თავდაუჭერილობის, ევროპის ზოგიერთ ქვეყნებშიც კი, ასეთივე კრიზისების და გარდამავალი ხანის პერიოდში“.[1]

1914 წლიდან 1920 წლამდე მუშათა ხელფასები სხვადასხვა დარგში 50-100-ჯერ გაიზარდა, თუმცა ამავე პერიოდში პირველადი მოხმარების პროდუქტების ფასები 100-200-ჯერ გაიზარდა. მაგალითად, 1914 წლის თებერვალში 1 გირვანქა ხორცი ღირდა 14 კაპეიკი, ხოლო 1920 წლის იანვარში 15.50 მანეთი. 1 გირვანქა პური 1914 წელს 4 კაპიკად შეიძენდა მოქალაქე, ხოლო 1920 წლის იანვარში 10.58 მანეთად. ყველაზე მეტად კი 300-ჯერ ყველი და ზეთი გაძვირდა, რომელთა ფასები 1 გირვანქაზე 18-20 კაპიკიდან 60 მანეთმდე გაიზარდა.[2]

---

[1] კონსტანტინე კანდელაკი, *საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე.* პარიზი: Institute for the study of the USSR, Paris,, 1960, გვ. 135.

[2] იქვე. გვ. 139.

## II. სოციალური დაცვის მექანიზმები: პენსია და სოციალური დახმარების სისტემა

### II.1. მემკვიდრეობა

რუსეთის იმპერიაში ერთიანი საპენსიო და სოციალური დახმარების სისტემა არ არსებობდა. 1827 წლიდან დაინერგა აქ პენსიების გაცემის სისტემა სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი ყოფილი ოფიცრებისათვის სამუშაო სტაჟის კვალობაზე. ათწლეულების შემდგომ იმპერიაში პენსია გავრცელდა სახელმწიფო მოხელეებსა და ადმინისტრაციის დაბალი რანგის თანამშრომლებზე.[1] 1917 წლისათვის პენსიები გაიცემოდა პედაგოგებზე, რომელთაც სკოლებში ნამსახურევი ჰქონდათ 20 წელზე მეტი. იმპერიის დასასრულსაც არ არსებულა გეგმა საყოველთაო საპენსიო სისტემის შემოღების შესახებ, თუმცა ცალკეულ სფეროებში სახელმწიფოს ხელშეწყობით დაწყებული იყო კოლექტიური საპენსიო სისტემათა დანერგვა.

1894 წლიდან რუსეთის სახაზინო რკინიგზაში გაჩნდა საპენსიო სალარო, რომელშიც მშრომელები ხელფასის 6%-ს იხდიდნენ, თავის მხრივ, სახელმწიფოს დამატებით ხელფასის 6.5% შეჰქონდა აღნიშნულ სალაროში. როდესაც მოსამსახურე მუშაობას ანებებდა თავს ის იღებდა კუთვნილ პენსიას. 1899 წლიდან ამავე სალაროს დაევალა უბედური შემთხვევის დაზღვევაც. 1917 წლისათვის საერთო სალაროს საქართველოს ნაწილი შეადგენდა 7 მილიონ მანეთს. 1918 წლიდან რკინიგზაში პენსიების გაცემის ტემპი დაჩქარდა, რის გამოც სალაროში არსებული მარაგი აღარ იყო საკმარისი. ამასთან მუშები გაჭირვების გამო, ერთდროულ დახმარებას ითხოვდნენ. 1919 წლის 23 დეკემბერს დამფუძნებელმა კრებამ რკინიგზის საპენსიო სალაროს (კასას) დამატებით 4.2 მილიონი მანეთი გამოუყო.[2]

საპენსიო სისტემათა ჩანასახები ძველ რომშიც გამოჩნდა, როდესაც მებრძოლებს წლობით სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ სახელმწიფო ფინანსურ დახმარებებს-პენსიას

---

[1] ჯაბა უროტაძე, *საპენსიო სისტემები: განვითარების ტენდენციები და მოლოდინები.* თბილისი: თსუ, ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი, 2016 წლის 3 ივლისი, N3, გვ. 63.

[2] *საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტ. IV.* თბილის: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019. გვ. 272-274.

აძლევდა. თუმცა ათეული საუკუნეები ეს სისტემა ჩაკეტილი იყო და ძირითადად, სამხედრო სამსახურის სფეროს მოიცავდა. პირველი საყოველთაო საპენსიო სისტემა 1889 წელს გერმანიაში დაინერგა, რომელიც მოიცავდა როგორც ასაკობრივ პენსიას, ასევე, შრომის უნარის დაკარგვის დაზღვევასაც. აღნიშნული სისტემის დანერგვა იმპერიის კანცლერ ოტო ფონ ბისმარკს უკავშირდება. ორი წლის შემდეგ საპენსიო სისტემა შემოიღეს დანიის სამეფოში.[1] შემდეგ წლებში კი, სისტემა თითქმის მთელ დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში დაინერგა.

## II.2. რესპუბლიკის სოციალური პოლიტიკის ფრაგმენტულობა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკა სოციალური დაცვისა და პენსიების მიმართებაში იყო სრულიად ქაოსური და არასისტემური. მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია თავის მოგონებებში წერდა, რომ მთავრობა ფულს დახმარებად და სესხად აძლევდა ლამის ყველა მთხოვნელს.[2]

ზოგადი მოლოდინები დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალური პოლიტიკისადმი ძალზე მაღალი იყო იმთავითვე, მმართველი პარტიის იდეოლოგიიდან გამომდინარე. შესაბამისად, ამ რესპუბლიკის მკვლევრები ხაზს უსვამდნენ, რომ სწორედ სოციალური პოლიტიკა იქცევდა ყურადღებას. ამასვე წერდა 1921 წელს კარლ კაუცკი: „აი, რამ მიიპყრო ჩემი ყურადღება საქართველოში – რასაც ამ წიგნში შევეჭიდე, არ არის არც გეოგრაფიული, არც ეთნოლოგიური, არამედ ესაა სოციალური საკითხი. რეალური კითხვა ეხება იმას, არის თუ არა შესაძლებელი სოციალისტური მმართველობა ისეთ ქვეყანაში, რომელიც ეკონომიკურად საკუთარ რუს მეზობელზე უფრო ჩამორჩენილია; როგორ შეძლო ამგვარმა მთავრობამ აქ ფეხის მოკიდება ყოველგვარი დიქტატურისა და ტერორის გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიული მეთოდებისა და საშუალებების

[1] ჯაბა უროტაძე, საპენსიო სისტემები: განვითარების ტენდენციები და მოლოდინები, ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი, 2016 წლის 3 ივლისი, N3, გვ. 62.
[2] ნოე ჟორდანია, *ჩემი წარსული.* თბილისი: სარანგი, 1990, გვ. 114.

გამოყენებით – და ამასთან ერთად, ამგვარ პირობებში, კიდევ რისი მიღწევა იყო შესაძლებელი“.[1]

კარლ კაუცკი თავისივე წიგნში წერდა მთავრობის მხრიდან სიღარიბის დასაძლევად სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის გატარების მნიშვნელობის შესახებ: „სოციალისტურმა მთავრობამ არა მარტო სოციალისტური წარმოებისათვის უნდა მოამზადოს ნიადაგი, რომელიც ჩვენი სულსწრაფი საზომებით თუ გავზომავთ, ცოტა არ იყოს გაჭიანურებულ ამოცანად მოგვეჩვენება, არამედ მან ასევე ბოლო უნდა მოუღოს ამქვეყნად არსებულ ყოველგვარ სიღარიბეს“.[2]

ნოე ჟორდანია მთავრობის სოციალური პოლიტიკის შესახებ არაერთხელ აკეთებდა საჯარო მოხსენებებს. მათ შორის 1920 წლის 25 მარტს პარტიულ თათბირზე ფართოდ ისაუბრა რესპუბლიკის სოციალური პოლიტიკის საბოლოო მიზნის - სოციალიზმის დამყარების შესახებ: „უნდა გადაჭრით განვაცხადო, რომ ჩვენ სოციალისტურ წყობილებას მანამ ვერ დავამყარებთ, სანამ ევროპაში არ იფეთქებს სოციალური რევოლუცია. ჩვენ თუ იქ მოვაწყვეთ საერთო, საზოგადო მეურნეობა, შევქმენით მისი ორგანოები და სხ. მაშინ მზათ გვექნება ნიადაგი სოციალიზმისათვის. აი ასეთია ის გეგმა და მიმართულება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ. ეს აზრები და შეხედულება ადვილი მისახვედრი არ არის მასისათვის, რასაც ჩვენ ვამზობთ, ამას სჭირდება დიდი დრო, მოთმინება. მოთმინებას კი არ ვაძლევთ „ობივატელურ“ მნიშვნელობას, არამედ - მოთმინებას სოციალიზმისათვის. ის, რაც დღეს მუშას უჭირს - სანოვაგე, ამას სახელმწიფო აწვდის იაფათ და ამაში ის ზარალობს მილიონებს. ამ ყოველდღიურ სასურსათო პოლიტიკას ვაწარმოებთ და მას უერთებთ ჩვენ დიდ სოციალისტურ პოლიტიკას“.[3]

---

[1] კარლ კაუცკი, საქართველო - გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა: შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი. თბილისი: თსუ, 2018, გვ. 56.

[2] იქვე, გვ. 100-101.

[3] საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტომი XIV, ნოე ჟორდანია. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2018, გვ. 72-73.

რესპუბლიკის სოციალურ პოლიტიკასთან მიმართებაში მკაფიოდ ხაზგასასმელია, რომ 1918-1921 წლებში სოციალური დახმარებების ქაოსურ გაცემებს, თავად სახელმწიფო ინსტიტუტების გაუმართავ მუშაობასთან ერთად, ერთგვარად ამართლებდა ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში სასურსათო ფასები 100-300-ჯერ გაიზარდა, მაშინ როდესაც ნომინალურმა ხელფასმა მხოლოდ 50-100-ჯერ მოიმატა.[1] შესაბამისად, მოქალაქეების უდიდესი ნაწილი მძიმე სოციალურ გაჭირვებაში აღმოჩნდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალური დახმარებისა და საპენსიო სისტემის ქაოსურობას ადასტურებდა ის, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა მხოლოდ ფრაგმენტული და ინდივიდუალურ შემთხვევებზე რეაგირებას მოიცავდა და ხანგრძლივ დაგეგმილ მოქმედებას არ ექვემდებარებოდა. 1918-1920 წლებში სოციალური დაცვის სისტემა, ძირითადად, სამხედრო მოქმედებებისას დაღუპულთა და დასახიჩრებულთა მხარდასაჭერად მოქმედებდა, ამგვარი კატეგორიის პირებსა და მათი ოჯახის წევრებს სოციალურ დახმარებებსა და პენსიებს უნიშნავდა სახელმწიფო.[2]

რესპუბლიკის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა ღარიბ მოსწავლეთა და სტუდენტთა დახმარება. 1920 წლის აგვისტოში განათლების სამინისტრო ერობებს წერდა, რომ გეგმავდა მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის შეექმნა დამხმარე საზოგადოება, რადგანაც მოსწავლეები განიცდიდნენ დიდ გაჭირვებას.[3] 1919-1920 წლებში ცალკეულმა თვითმმართველობებმა, მათ შორის თბილისის ქალაქის თვითმმართველობამ დააწესა სტიპენდიები მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის, ასევე, შეიქმნა სპეციალური იაფი სასადილო სტუდენტებისათვის.

რესპუბლიკის პოლიტიკური კლასის ხედვები სოციალური დახმარების პოლიტიკასთან და ზოგადად სოციალურ პასუხისმგებლობებთან მიმართებაში საბოლოოდ აისახა 1921

[1] კონსტანტინე კანდელაკი, *საქართველოსეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე.* პარიზი: Institute for the study of the USSR, 1960, გვ. 139.

[2] *მთავრობაში: დახმარება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 9 სექტემბერი, N201, გვ. 2.

[3] *სოციალური დახმარებისთვის.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 14 აგვისტო, N183, გვ. 3.

წლის 21 თებერვალს მიღებულ კონსტიტუციაში, რომლის მეცამეტე თავი სრულად დაეთმო სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს. კონსტიტუციაში გაცხადებული იქნა:

„მუხლი 113.

რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის.

მუხლი 119.

უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით.

მუხლი 120.

მოხუცებულობით, დაავადებით თუ სხვა მიზეზით შრომის უნარს მოკლებული მოქალაქე, რომლისთვისაც ზრუნვა კანონით ან ჩვეულებით დავალებული არა აქვს მემკვიდრეს, მზრუნველს, მწარმოებელს ან სხვა კერძოსა თუ საზოგადოებრივ დაწესებულებას, და რომელსაც არსებობის სახსარი არ მოეპოვება, მიიღებს დახმარებას სახელმწიფო ხაზინიდან დაზღვევით ან სხვა სახით. ასევე დაეხმარება ხაზინა, უკეთუ მემკვიდრეს ან მზრუნველს შრომის უნარდაკარგულის რჩენა არ შეუძლია.

მუხლი 121.

დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაჰკარგავს სავსებით ან ნაწილობრივ შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით თავის ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შესდგეს დამქირავებელზე შეწერილ საგანგებო გადასახადისაგან.

მუხლი 125.

რესპუბლიკის საზრუნავი საგანია განსაზღვროს მინიმუმი ხელფასი და შრომის ნორმალი პირობანი წარმოებაში.

არსდება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა, რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს დამქირავებელთაგან.

მუხლი 128.

რესპუბლიკას და ადგილობრივ მმართველობას ევალება დედობის და ბავშვების დაცვისათვის მზრუნველობა“.[1]

რესპუბლიკის სოციალური პოლიტიკის ნაწილად შეგვიძლია განვიხილოთ 1918-1920 წლებში ფართოდ გავრცელებულ პანდემიის - „ესპანური გრიპის“ საპასუხო მოქმედებებიც. ეს მიდგომა პრინციპულად შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც კონცეპტუალური მიდგომა ჯანმრთელობისა და სოციალური პოლიტიკის სინთეზით. ერთი მხრივ, რესპუბლიკა ცდილობდა სისტემურად ემოქმედა პანდემიის კატასტროფული შედეგების შესამცირებლად და სალიკვიდაციო, მეორე მხრივ, კი დახმარება გაეწია როგორც პანდემიით დაზარალებულთათვის, ასევე, პანდემიასთან ბრძოლაში ჩართულ პირთა მხარდასაჭერად.

თავად ჯანმრთელობის სამმართველო (საექიმო-სასანიტარო განყოფილება) მთავრობის განკარგულებით დაარსდა 1918 წლის 1 აგვისტოდან შინაგან საქმეთა სამინისტროში. სამმართველოს გადაეცა საიმპერიო ხელისუფლებისაგან დარჩენილი ყველა მატერიალური რესურსი.[2] სამმართველოს ადამიანური რესურსის მობილიზებაში ეხმარებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი.

1919 წლის 30 მაისს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა კანონი „ეპიდემიასთან ბრძოლაში დაღუპულ და შრომის უნარ-დაკარგულ მოსამსახურეთა და იმათ ოჯახების დახმარებისა“. კანონში გაცხადებული იყო: „ყოველს ექიმს, რომელიც მთავრობის მიერ გაგზავნილი იქნება ეპიდემიასთან საბრძოლველად და თავისი პირდაპირი მოვალეობის ასრულების გამო შრომის უნარს სრულიად დაჰკარგავს ეპიდემიასთან ბრძოლის დროს,

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (სპეც. რედ. ვ. შარაშენიძე). თბილისი: ივერთა მხარე, 1990. გვ. 477-480.

[2] სცსა, ფონდი 1861, ანაწ. 3. საქმე. 3, ფურც, 64.

და აგრეთვე ექიმის ოჯახობას, თუ ოჯახის მარჩენალი დაიღუპება, მიეცეს ერთდროული დახმარება თხუთმეტი ათასი მანეთი. ფერშლებს კი 10 000 მან.“[1]

ეპიდემიის წინააღმდეგ ძირითადი ზომები მიღებულ იქნა 1920 წლის ზაფხულში, როდესაც პანდემიის მასშტაბებმა საქართველოში პიკს მიაღწია. სახელმწიფომ აკრძალა მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საქონლის გატანა რესპუბლიკის საზღვრებიდან.[2] 1920 წლის 16 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მოქმედ ჯანმრთელობის სამმართველოს (დეპარტამენტს)[3] მთავრობამ გამოუყო 30 მილიონი მანეთი.[4]

1920 წლის შემოდგომაზე ესპანურ გრიპთან ერთად სახელმწიფო დიდ ქალაქებში ქოლერის ეპიდემიასაც ებრძოდა. მხოლოდ თბილისში 1920 წლის აგვისტო-სექტემბერში ქოლერით 54 ადამიანი დაავადდა, მათგან 23 გარდაიცვალა. ჯანმრთელობის დეპარტამენტი და ქალაქის თვითმმართველობა მოქალაქეებს უზიარებდა ქოლერის ეპიდემიისაგან თავის არიდების გზებს:

„ა. დაიცავით საერთო სისუფთავე თქვენს ბინებში.

ბ. არ დალიოთ გადადუღებელი წყალი.

გ. დაიცავით საჭმელ-სასმელი ბუზებისაგან.

დ. ერიდეთ ხილს; ნამეტურ ყურძენსა და ლეღვს, რომელთა გასუფთავება შეუძლებელია.

ე. აიცერით ხოლერის საწინააღმდეგოთ.

---

[1] *კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილების გამოცემა.* 1919 წლის 25 ივნისი, N9, პირველი ნაწილი, გვ. 145.

[2] *ახალი ამბები: მედიკამენტების გატანის აკრძალვა.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 12 აგვისტო, N180, გვ. 3.

[3] დროთა განმავლობაში სასანიტარო-საექიმო განყოფილება გარდაიქმნა ჯერ ჯანმრთელობის სამმართველოდ, ხოლო შემდეგ დეპარტამენტად, ფუნქციურად კი, მისი საქმიანობა არ იცვლებოდა.

[4] *დეკრეტი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 25 აგვისტო, N191, გვ. 2.

მხოლოდ ამით უზრუნველჰყოფთ თქვენს სიცოცხლეს. ხოლერის საწინააღმდეგო აცრა სწარმოებს უფასოდ ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოში (სალდათის ბაზარი) და კუკიის სამკურნალოში (ანდრეევის და ჩერქეზოვის ქუჩების კუთხე) 9-1 საათამდე“.[1]

ფრაგმენტული სოციალური პოლიტიკის კიდევ ერთი მიმართულება სახელმწიფოს მხრიდან თავშესაფრების დაფინანსება იყო. სახელმწიფო ფინანსურ დახმარებას უწევდა ბავშვთა და დედათა საზოგადოების თავშესაფრებს.[2]

## II.3. საპენსიო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

1918 წლის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაგრძელდა იმ საპენსიო სისტემის მოქმედება, რომელიც რუსეთის საიმპერიო რეჟიმის პირობებში ფუნქციონირებდა. 1919 წლის დასაწყისში კი, დაიწყო საპენსიო სისტემის რეფორმირებისათვის ზრუნვა.

1919 წლის თებერვალში ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა გიორგი ჟურულმა გამოსცა განკარგულება, რომლითაც შეიქმნა კომისია სამინისტროების წარმომადგენლებისაგან, რომელთაც სხვა საკითხებთან ერთად უნდა შეემუშავებინათ სახელმწიფო ხაზინიდან პენსიების გაცემის ერთიანი წესი. კომისიის წინაშე არაერთი კითხვა იდგა, რომელიც რესპუბლიკამ იმპერიისაგან მემკვიდრეობით მიიღო და პირველი 8 თვის განმავლობაში ჯერ კიდევ არ იყო გადაჭრილი. კერძოდ: უნდა განეგრძოთ თუ არა პენსიის მიცემა საქართველოს ხაზინიდან საქართველოს მოქალაქეობის არმქონე იმ პენსიონერებისათვის, რომლებსაც პენსია უკვე დანიშნული ჰქონდათ საქართველოს საზღვრებში 26 მაისამდე (ამ საკითხის გადაწყვეტის დროს უნდა განეხილათ თუ არა პირისეროვნულობა და მოქალაქეობა)? ასევე, უნდა გაგრძელებოდათ თუ არა პენსიის მიცემა იმ პირებს, რომლებმაც პენსია მოიპოვეს საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და შემდეგ იგი გადმოიტანეს საქართველოს ხაზინაში?

[1] *მოქალაქენო.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 17 სექტემბერი, N210, გვ. 4.
[2] *დეკრეტი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 18 აგვისტო, N185, გვ. 1.

კომისიას, ასევე, უნდა განეხილა ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური საკითხი - კერძოდ, სანამ პენსიის ერთიანი სისტემა შეიქმნებოდა, შეეძლოთ თუ არა პირებს პენსიის დანიშვნის მოთხოვნა. კომისიამ მუშაობა 1919 წლის 22 თებერვალს დაიწყო, სხდომები სახაზინო პალატაში მიმდინარეობდა.[1] კომისიის მუშაობამ მყისიერი შედეგი ვერ გამოიღო და დროში მნიშვნელოვნად გაიწელა.

ცალკეულ შემთხვევებში საპენსიო საკითხებზე მომუშავე კომისიის წინაშე არსებულ კითხვების კონტექსტში მთავრობა უკვე გამოსცემდა განკარგულებებს. მაგალითად, მოქალაქე ნინო გელოვანს მთავრობამ უარი განუცხადა საქართველოს ხაზინიდან გადაეხადათ რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული პენსია 3000 მანეთის ოდენობით.[2]

ფინანსთა სამინისტროს საპენსიო საკითხების კომისიის მუშაობის პარალელურად, ფინანსთა სამინისტროს და მთავრობის კანცელარია სავსე იყო მოქალაქეებისაგან მიღებული წერილებით, რომლებიც კოლექტიურად და ინდივიდუალურად მოითხოვდნენ პენსიების დანიშვნას. მაგალითად, 1919 წლის 27 თებერვლის სხდომაზე მთავრობამ უარყო თბილისის ყოფილ სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლის პედაგოგთა მოთხოვნა მათთვის პენსიის დანიშვნის შესახებ.[3]

1918 წელს საპენსიო სისტემაზე პასუხისმგებლობა მიწათმოქმედებისა და შრომის სამინისტროსა და ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ჰქონდათ აღებული, 1919 წლის ბოლოდან კი, ფინანსთა სამინისტროსთან ერთად პასუხისმგებლობა ცალკე - შექმნილ შრომისა და მომარაგების სამინისტროზე დელეგირდა. ამავე პერიოდში დამფუძნებელ კრებაში გაისმა მოწოდებები ცალკე შექმნილიყო საპენსიო ინსტიტუტები. მეტიც, ცალკეულ დეპუტატებს მოჰყავდა მაგალითები, რომ მსოფლიო ომის შემდგომ ევროპის სახელმწიფოებში, მათ შორის

[1] *ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 13 თებერვალი, N35, გვ. 2.
[2] *მთავრობაში: უარი პენსიაზე.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 12 სექტემბერი, N204, გვ. 1.
[3] სცსა, ფონდი 1861, ანაწ. 1. საქმე 13, ფურც. 69.

საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში მოქმედებდა საპენსიო სამინისტრო და აუცილებელი იყო საქართველოს მთავრობაში მინიმუმ დეპარტამენტის შექმნა.

1919-1920 წლებში მუშებისათვის პენსიების დანიშვნის გადაწყვეტილებებს იღებდა შრომის სამინისტროს მუშათა დაზღვევის კომისია, რომელიც ინდივიდუალურად განიხილავდა დაშავებულ თუ დაუძლურებულ მუშებისათვის პენსიების დანიშვნის შესახებ საკითხებს. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" 1919 წლის 26 ივნისს იუწყებოდა: „შრომის სამინისტროს მუშათა დამზღვევ კომისიამ დაუნიშნა პენსიები: 1) მარქარიანცს (მთვარაძის ბამბის ქარხნის მუშას) წლიურად 179 მან. 2. კ. 2) კუპატაძეს (ტრამვაის მუშას) 139 მან და 20 კ. 3) სოფიო ფანცულიძეს (მთვარაძის ქარხნის მუშას) 16 მან. 77 კ. 4) გაბუნიას (საჭილაოს ხე-ტყის ქარხნის მუშას) 139 მ. 20 კ. 5) გოგებაშვილს (მესხიშვილის ლიტოგრაფიის მუშას) 163 მ. 79 კ. 6. ლეილოიანცს (ტრამვაის მუშას ) 289 მ. 51 კ. 7) კაკოიშვილს (ტრამვაის მუშას) 29 მან. 64 კაპ. 8) როსტიაშვილს ეფემიას (მთვარაძის ქარხნის მუშას) 416 მან. 26 კაპ".[1]

1919 წლის აგვისტოშიც შრომის სამინისტროშიც აქტიურად მიმდინარეობდა საპენსიო საკითხების გარშემო მუშაობა, რომელიც ძირითადად, შემოიფარგლებოდა უკვე არსებული საპენსიო განაკვეთების გადახედვით. 18 აგვისტოს სხდომაზე კომისიამ განიხილა საქართველოს რკინიგზის დაშავებული მოსამსახურეების პენსიის გადიდების და სახელმწიფო მოხელეთა პენსიის წესდების ახალი რედაქციის შემუშავების საკითხი. კომისიამ მსჯელობის შემდეგ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელს დაავალა სხდომისათვის წარმოადგინა ვრცელი მოხსენება სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პენსიის წესდების პროექტზე, ხოლო საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტს კი, რკინის გზის დაშავებულ მუშათა პენსიის გადადიდებლად.[2] მართალია ეს კომისიები აგრძელებდა ფუნქციონირებას, თუმცა მათი მუშაობის საბოლოო შედეგები სისტემურ-ინსტიტუციურ დონეზე კვლავ ვერ დგებოდა. მოქმედი პენსიონრები და პენსიის მომლოდინენი კი იძულებული იყვნენ კვლავ

[1] *შრომის სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 26 ივნისი, N138. გვ. 1.

[2] *შრომის სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 23 აგვისტო, N187, გვ. 2.

ინდივიდუალურად ან ცალკეულ შემთხვევებში სექტორულად ებრძოლათ პენსიის გასაზრდელად თუ მოსაპოვებლად.

1920 წლის თებერვალში კახეთის რკინიგზის ყოფილმა თანამშრომლებმა მოითხოვეს პენსიების ზრდა. ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ მოქმედებდა რუსეთის იმპერიის 1912 წლის 28 ივნისის კანონი, რომელზე დაყრდნობითაც პენსიონრები მოითხოვდნენ ახალ საპენსიო განაკვეთებს: პენსიონრები, რომელთაც ესაჭიროებათ დამხმარე პენსია, გაეზარდოთ 900 მანეთამდე, ხოლო ვინც დაკარგა შრომის უნარი დაშავების ხარისხის მიხედვით შემდეგნაირი ტარიფის მიხედვით: 100-95% - 600 მან.

90-85% - 540 მან.

80-75% - 450 მან.

70-65% - 375 მან.

60-55% - 300 მან.

50-45% - 225 მან.

40-35% - 180 მან.

30-25% - 150 მან.

25 % და ნაკლები - 75 მან.[1]

საკანონმდებლო ორგანოს დონეზე 1920 წლის 16 აგვისტოდან მოქმედებდა საპენსიო კომისია. ამავე დღეს დამფუძნებელი კრების სხდომაზე დამტკიცდა საპენსიო კომისიის შემადგენლობა: სოციალ-დემოკრატები - ზაქარია გურული, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძისა, ილია ფირცხალაიშვილი, ანა სოლოღაშვილი, სოციალ რევოლუციონერი - ივანე გობეჩია, სოციალისტ-ფედერალისტი - იოსებ ბარათაშვილი, ეროვნულ-დემოკრატი - ალექსანდრე ასათიანი, ნაციონალისტური პარტია - გრიგოლ ვეშაპელი, დაშნაკცუთიუნი - გარეგინ ტერ-სტეპანიანი.[2]

---

[1] *პენსიები რკინის გზის მოსამსახურეთათვის.* გაზ. საქართველო რესპუბლიკა, 1920 წლის 19 თებერვალი, N39, გვ. 2.

[2] საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტ. VII. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019, გვ. 437.

1920 წლის ზაფხულში სამთავრობო კომისიამ კიდევ ერთხელ დაიწყო მუშაობა საპენსიო სისტემის შემოსაღებად. თუმცა, მუშაობა დროში კვლავ გაიწელა.

1920 წლის ნოემბერში გაზეთ „ერთობაში" ავტორი ფსევდონიმით „ი.ბ." წერდა: "ორ წელიწად ნახევარია, რაც დამოუკიდებლად არსებობს საქართველოს რესპუბლიკა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი კარგი საქმე გაკეთდა, მაგრამ ბევრი საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია. ერთ ასეთ საკითხთაგანს შეადგენს საპენსიო საკითხის გადაუჭრელობა, ვინ იცის რამდენი ოჯახი გაუბედურდა საქართველოს ომების დროს, რამდენი ჯარისკაცი თუ აფიცერი დაიღუპა ბრძოლის ველზე, სამშობლოსადმი თავიანთი მოვალეობის აღსრულების დროს და მათი ოჯახები დარჩა ღვთის ანაბარად. სახელმწიფო მოვალეა რამოდენიმეთ მაინც მატერიალურად უზრუნველჰყოს ასეთი ოჯახები, მაგრამ ჯერჯერობით ეს დახმარება არ არის მოწყობილი".[1]

ავტორი, ასევე, აკრიტიკებდა 1919 წლის 31 იანვრის კანონს, რომელიც, მართალია, ითვალისწინებდა ომში დაღუპულთა და დაჭრილთა ოჯახის წევრებისათვის დახმარებებისა და პენსიების დანიშვნას, თუმცა ეს პროცესი ბიუროკრატიულად ძალიან იწელებოდა. დახმარებისა და პენსიის მომთხოვნთ სჭირდებოდათ მოწმეების ძებნა და კანცელარიებში მრავალჯერადი ვიზიტები, რომ დაემტკიცებინათ მათი სტატუსი. ავტორის თქმით, ბევრი მოქალაქე საერთოდ ვერ ერკვეოდა ამ ბიუროკრატიულ ლაბირინთებში და, ფაქტობრივად, უარს ამბობდა მისთვის განკუთვნილ დახმარებაზე - „ასეთი გარემოებით უკმაყოფილო მთხოვნელი იმედებს ამყარებს მომავალზე ფიქრობს. დღეს თუ ხვალ პენსიის კანონები გამოვა და ჩემს კუთვნილს მივიღებო, მაგრამ დრო მიდის, ოჯახის მდგომარეობა თანდათან აუტანელი ხდება და პენსიის კანონების გამოსვლას არაფერი ეშველა. ხუთი თვე იქნება, რაც მთავრობის თუ დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით შესდგა საპენსიო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს პენსიის წესდების გამომუშავება, და საკვირველი რა არის, რომ ამ ხნის განმავლობაში ეს საკითხი ვერ გადაწყდა".[2] სტატიის ავტორს მიაჩნდა, რომ პრესას კიდევ უფრო აქტიურად

---

[1] *საპენსიო კომისია და მომავალი პენსიონერები.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 30 ნოემბერი, N273, გვ. 4.

[2] იქვე, გვ. 4.

უნდა გაეშუქებინა ეს პრობლემა და ხელისუფლებაზე მოეხდინა ზეწოლა პროცესის დასაჩქარებლად.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1921 წლის თებერვალშიც რესპუბლიკის კანონმდებლობა საპენსიო სისტემასთან მიმართებაში სრულად ქაოტური და ფრაგმენტული იყო, რის გამოც საზოგადოების მასებში აშკარად იკვეთებოდა უკმაყოფილება. სისტემის მოუწესრიგებლობის ერთ-ერთი მიზეზი შესაბამისი ინსტიტუტების არარსებობასაც უკავშირდებოდა, ასევე, მნიშვნელოვანი იყო ფინანსების სიმცირე, რაც აძნელებდა რესპუბლიკას ეფიქრა საერთო-საყოველთაო საპენსიო სისტემის დანერგვაზე.

### II.4. სოციალური დახმარების სისტემა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალური დახმარების პოლიტიკა თავისი ფრაგმენტულობიდან გამომდინარე, დიდწილად ორიენტირებული იყო ინდივიდუალურიი დახმარებების გაცემაზე, ვიდრე ერთიანი სისტემის გამართვაზე. 1918 წელს, ძირითადად, სოციალური დახმარებები გაიცემოდა იმ პირთა მიმართ, რომლებიც ან სისტემური პენსიის დანიშვნის მოლოდინში იყვნენ, ანდაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულ პირებზე, რომლებიც უკიდურეს სიღარიბეში იმყოფებოდნენ.

დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე საქართველო უკვე ჩართული იყო არაერთ თავდაცვით ბრძოლაში, 1918 წლის 26 მაისის შემდგომაც რესპუბლიკა მის საზღვრებთან თუ შიდა რეგიონებში არაერთ საბრძოლო მოქმედებაში იყო ჩაბმული. ათასობით მებრძოლი დაიღუპა და დაიჭრა. 1918 წლიდანვე დაიწყო ზრუნვა დაღუპულთა და დაჭრილთა ოჯახის წევრებისათვის ერთჯერადი სოციალური დახმარებებისა და პენსიების (დაჭრილთა მიმართ) დანიშვნა. 1919 წლის 31 იანვარს საქართველოს პარლამენტმა (ყოფილმა ეროვნულმა საბჭომ) დაამტკიცა „დროებითი წესები დახოცილ ან მუშაობის უნარდაკარგულ სამხედრო პირთა, სახალხო გვარდიელთა და მოხალისეთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფისა“. „საქართველოს რესპუბლიკის ხაზინიდან, ვიდრე პენსია დაენიშნებოდეთ, ფულით დახმარების მიღების უფლება აქვს საქართველოს ჯარში და სახალხო გვარდიაში იმ სამხედრო მოსამსახურის და მოხალისეს ოჯახს,

რომლის წევრიც მოიკლა ან გარდაიცვალა სომხებთან ომში მიღებული ჭრილობისა, დაშავებისა და ავადმყოფობისაგან. ასეთივე უფლებით სარგებლობს მუშაობის უნარდაკარგული დაშავებულიც". დაშავებულებს ეძლეოდათ ხელფასის 2/3.[1]

მთავრობის სხდომებზე განიხილებოდა საკითხი ცალკეული მოქალაქეებისათვის სოციალური დახმარებების დანიშვნის ან გაზრდის შესახებ. მაგალითად, 1918 წლის 29 ოქტომბერს მთავრობამ 1906 წელს საიმპერიო რეჟიმის აგენტის მიერ მოკლული ცნობილი პედაგოგის შიო ჩიტიძის ობლებს ყოველთვიური სოციალური დახმარება (სტიპენდია) 25 მანეთიდან 50 მანეთამდე გაუზარდა, ასევე, მათვე მიეცათ ერთდროული დახმარება 200 მანეთი.[2] 1918 წლის 19 ნოემბრის სხდომაზე განათლების მინისტრის გიორგი ლასხიშვილის ინიციატივით ბათუმის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელს მარიამ ასათიანს სოციალური შემწეობის სახით მიეცა ხუთასი მანეთი.[3]

ინფლაციის კვალობაზე 1919 წელს მთავრობის მიერ გაცემული სოციალური დახმარებების მოცულობები მუდმივად იზრდებოდა. 1919 წლის 25 მარტს მთავრობის დადგენილებით, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს და წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის დამფუძნებელს მძიმედ დასნეულებულ ილია წინამძღვრიშვილს სოციალური დახმარების სახით 5000 მანეთი გადასცეს.[4]

1919 წლის 24 ივნისს მთავრობის დადგენილებით, დამფუძნებელი კრების გარდაცვლილი (სავარაუდოდ, მოკლული) წევრის ყადირ შერვაშიძის ქვრივს, ნადეჟდა შერვაშიძეს ოცი ათასი მანეთი გადასცეს.[5]

1919 წლის მეორე ნახევრიდან მთავრობის სხდომებზე ხშირად განიხილებოდა საკითხი ეპიდემიასთან ბრძოლის პროცესში დაღუპულ ექიმთა და დაბალი რანგის სამედიცინო პერსონალთა ოჯახებისათვის სპეციალური სოციალური დახმარებების გაცემის შესახებ.

---

[1] *კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილები გამოცემა.* 1919 წლის 12 მარტი, N5, პირველი ნაწილი, გვ. 65-66.

[2] სცსა, ფონდი 1861, ანაწ. 3. საქმე 3, ფურც. 188.

[3] იქვე. ფურც. 215.

[4] სცსა, ფონდი 1861, ანაწ. 1. საქმე 13, ფურც. 94.

[5] იქვე. ფურც. 207.

1919 წლის 29 ნოემბრის სხდომაზე მთავრობამ გამოსცა დადგენილება ტიფით გარდაცვლილ ლეჩხუმის მაზრის სამაზრო ექიმის ასლან გელოვანისა და გორის მაზრის მეჯვრისხევის თემის ფერშლის ვასილ შპილევის ოჯახებისათვის 25000-25000 მანეთის გადაცემის შესახებ.[1]

მძიმე სოციალური ფონის გამო 1920 წლის ზაფხულიდან მოქალაქეებზე აქტიურად გაიცემოდა ერთდროული დახმარებები, 1920 წლის ათ აგვისტოს მთავრობამ დაადგინა: „მიეცეს სოფ. ჩალაბარგის მცხოვრებ მარიამ მაქსიმენის ასულ ჭანტურიას ერთდროული დახმარების სახით ორმოცდა ათი ათასი მანეთი. ხსენებული თანხა სათანადო დეკრეტით გამოთხოვნილ იქნეს დამფუძნებელ კრებიდან“.[2]

1921 წლის დასაწყისში ეპიდემიასთან ბრძოლაში დაღუპულ სამედიცინო პერსონალის ოჯახებზე სოციალური დახმარების სახით გაიცემოდა მთელი წლის ხელფასები.[3]

მძიმე სოციალური ფონისა და ხელფასების სიმცირის გამო, სოციალური დახმარებები გაიცემოდა მაღალი თანამდებობების პირთა ოჯახებზეც. მაგალითად, 1921 წლის 9 თებერვალს მთავრობის საქმეთა მმართველი და დამფუძნებელი კრების წევრი კონსტანტინე ჯაფარიძე „მუშათა იაფი მაგიდის“ წარმომადგენლებს წერდა: „წარმოგიდგენთ რა ამასთანავე ტფილისის მილიციის უფროსის ამა წლის 24 იანვრის #140 მოწმობას იმის შესახებ, რომ ჩემს ხარჯზე ცხოვრობენ ჩემი სიდედრი ერმონია ყიფიანისა და ცოლის ძმა პლატონ ყიფიანი გთხოვთ გასცეთ შესაფერისი განკარგულება, რო მე მომეცეს დამატებული კიდევ ორი რაციონი პურისა, შაქრისა და სხვა სანოვაგისა, რომელიც ეძლევათ საერთო წესით სახელმწიფო მუშათა მოსამსახურეთ და მათ ოჯახებს“.[4]

1920 ივნისში დამფუძნებელმა კრებამ მიიღო სოციალური დახმარების გაცემის დროებითი წესი. ეს წესი, ფაქტობრივად, აუქმებდა 1919 წლის 31 იანვარსა და 10 ივნისს

---

[1] სცსა, ფონდი 1861, ანაწ. 3, საქმე 13, ფურც. 394.

[2] სცსა, ფონდი 1861, ანაწ. 2. საქმე 20, ფურც. 257.

[3] სცსა, ფონდი 1861, ანაწ. 3. საქმე 36, ფურც. 13.

[4] სცსა, ფონდი 1861, ანაწ. 3. საქმე 38, ფურც. 8.

გამოცემულ დროებით დეკრეტებს, რომელთა მიზანი, ასევე, სოციალური დახმარების სისტემის დროებით მოწესრიგება იყო. 1920 წლის  დეკრეტს უნდა ემოქმედა რესპუბლიკაში ერთიანი საპენსიო სისტემის შექმნამდე. დროებითი წესების თანახმად, სოციალური დახმარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემოდათ:  ყოფილ საჯარო მოხელეებს, პენსიაში გასულ სამხედრო პირებს, სახელმწიფო წარმოებების ყოფილ მუშებს, რომლებმაც სამუშაო ადგილებზე დაკარგეს შრომის უნარი. ასევე, სოციალური დახმარება მიეცემოდათ ამავე კატეგორიის პირთა ქვრივებს გათხოვებამდე და მცირეწლოვან შვილებს 17 წლის შესრულებამდე. დროებითი წესის დეკრეტის პირველ მუხლს ერთვოდა შენიშვნა, რომლითაც ნათელი ეფინებოდა, რომ აღნიშნულ დეკრეტამდე მოქმედ 1919 წლის 31 იანვრისა და 10 ივნისის კანონების მიხედვით, ეს ჩამონათვალი არ ვრცელდებოდა ომში დახოცილების შვილებზე, რადგანაც ისინი განსხვავებული წესით იღებდნენ დახმარებას, ასევე, 1919 წლის მდგომარეობით შემწეობა მიეცემოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეს რომლსაც ორი წლის განმავლობაში აქ ცხოვრობდნენ და სამუშაო სტაჟის ნახევარი საქართველოში ჰქონდათ გატარებული. ძველი და ახალი დებულებების თანახმად, შემწეობა არ მიეცემოდათ ძველი რეჟიმის ყოფილ ჟანდარმებს.[1]

დეკრეტის მეორე მუხლში გაცხადებული იყო, რომ სოციალური დახმარების მიღების უფლება ჰქონდათ პირველ მუხლში აღნიშნულ პირთაგან მხოლოდ იმას, რომელსაც სხვა საარსებო საშუალება არ მოეპოვებოდათ. სოციალური დახმარება შეიძლება გაცემული ყოფილიყო შემდეგი სახით: დროგამოშვებით, მხოლოდ ერთჯერადად, ან უკიდურეს შემთხვევაში თავშესაფარში მოთავსების სახით. დროგამოშვებით გასაცემი დახმარების მოცულობა დგინდებოდა ინდივიდუალურად, თუმცა არაუმეტეს თვეში 1000 მანეთისა,[2] იმ პირთ, ვისაც ესაჭიროებოდა მომვლელი შეეძლო მიეღო თვიურად 1500 მანეთი. ქვრივებს მიეცემოდათ თავის ქმარზე გასაცემი შემწეობის ნახევარი, ხოლო ობლებს მშობლის შემწეობის ¼, თუმცა ოჯახზე გასაცემი ზღვრული შემწეობა არ უნდა ყოფილიყო 1000 მანეთზე მეტი. ერთდროული სოციალური დახმარებების მაქსიმალურ ნორმად

[1] *სოციალური დახმარების ორგანიზაცია.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 4 ივნისი, N123, გვ. 3.
[2] აღნიშნული პერიოდისათვის ეს თანხა 1 ბრიტანულ გირვანქა-სტერლინგზე ნაკლები იყო.

განისაზღვრა 3000 მანეთი, ხოლო წლიურად ერთდროული დახმარების გაცემა მაქსიმუმ ორჯერ შეიძლებოდა. თავშესაფარში მოთავსებულ პირთათვის გასაცემი შემწეობები განისაზღვრებოდა ინდივიდუალურად თავად თავშესაფრების მიხედვით.[1]

დეკრეტის მე-8 მუხლი ადგენდა სოციალური დახმარების გაცემის ორგანიზების წესს, რომელსაც აღასრულებდა შრომის სამინისტროში არსებული - „სოციალური დახმარების კომიტეტი". კომიტეტს თავმჯდომარეობდა შრომის მინისტრი ან მისი ამხანაგი და სადაც წევრებად შედიოდნენ: თითო-თითო წარმომადგენელი შრომის სამინისტროსი და პროფესიონალური კავშირის ცენტრალური საბჭოსი. შემწეობის მიცემა წარმოებდა ადგილობრივ თვითმმართველობათა საშუალებით. კანონის მე-10 მუხლი კი ადგენდა სოციალური დახმარების მოთხოვნისა და გაცემის წესებს - „განცხადება სოციალური დახმარების აღმოჩენისათვის უნდა შეტანილ იქნეს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ადგილობრივი ქალაქის და სამაზრო ერობის გამგეობაში, რომელიც თვითეულ შემთხვევას შეამოწმებს ორი ექიმის საშუალებით, რომელთა შორის ერთი უნდა იქნეს ქალაქისა და ერობის სამსახურში მყოფი. გამგეობა თავის დასკვნას და ყოველ საბუთს, მთხოვნელის განცხადებასთან ერთად წარუდგენს შრომის სამინისტროს (სდს)".[2]

დამფუძნებელი კრების მიერ სოციალური დახმარების შესახებ გამოცემულ დეკრეტში გამოტოვებული იყო ცნობა საომარი მოქმედებებისას დაღუპულ პირთა მშობლების შესახებ. დეკრეტის გამოცემიდან მალევე შრომის სამინისტრომ მოითხოვა დეკრეტში სოციალური დახმარების მიმღებ პირთა კატეგორიაში დამატებული ყოფილიყო მოქალაქეთა ეს კატეგორია. შრომის სამინისტროს ამ მოთხოვნას თან ერთვოდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დადებითი დასკვნა იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს შეეძლო ამ კატეგორიისათვისაც გაეცა სოციალური დახმარება.[3]

1920 წლის აგვისტოში სამინისტრომ სოციალური დახმარების მარეგულირებელი დეკრეტიდან გამომდინარე, დაიწყო განცხადებების მიღება სოციალური დახმარებების

---

[1] *სოციალური დახმარების ორგანიზაცია.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 4 ივნისი, N123, გვ. 3.

[2] იქვე, გვ. 3.

[3] *ახალი ამბები: ომში დაღუპულ და დაჭრილ პირთა მშობლების დახმარება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 18 ივლისი, N159, გვ. 3.

გასაცემად. გაზეთებში გამოქვეყნდა განცხადებები, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მოქალაქეები კონკრეტულ ადმინისტრაციულ არეალებში.

პრესასა და არქივებში მოიპოვება არაერთი ცნობა, რომელთა მიხედვითაც სამხედრო სამინისტრო მოითხოვდა შრომის სამინისტროსა და დამფუძნებელი კრებისაგან განსაკუთრებული ყურადღება გამოეჩინათ შრომისუნარდაკარგულ ყოფილ სამხედროებისადმი.[1]

დამფუძნებელი კრების ახალი დეკრეტის გამოსვლამდეც სახელმწიფო სოციალური დახმარების სისტემის ფარგლებში ფინანსურ რესურსებს გამოყოფდა სხვადასხვა ტიპის სოციალური თავშესაფრების დასაფინანსებლად. მაგალითად, 1919 წლის 1 ნოემბრიდან 1920 წლის 1 ივლისამდე თბილისი მოხუცთა თავშესაფრის შესანახად სახელმწიფომ 99 750 მანეთი დახარჯა, ამავე პერიოდში ქუთაისის სულით ავადმყოფთა[2] თავშესაფარი 170 800 მანეთით დააფინანსა. თბილისის მიხეილის საავადმყოფოს სულით ავადმყოფთა განყოფილებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 286 300 მანეთი.[3] ამავე პერიოდში შსს-ს სანიტარულ-ჰიგიენურ განყოფილებასთან (ჯანდაცვის სამმართველოსთან) არსებულ „მიგდებულ ბავშვთა თავშესაფრისათვის“[4] 1 111 300 მანეთი დახარჯა.[5]

1920 წელს ინფლაციის მასშტაბების სწრაფად ზრდის ფონზე, შრომის სამინისტრომ დაავალა ყველა დაწესებულებას, თავისი თანამშრომლებისათვის მიეცათ ერთი თვის დამატებითი ხელფასი (თუმცა არა უმეტეს 2000 მანეთი) სოციალური დახმარების ფორმით. შრომის სამინისტროს განკარგულებას ხელს მინისტრის მოადგილე და სატარიფო პალატის თავმჯდომარე ილია გოლდმანი აწერდა.[6]

---

[1] *ახალი ამბები: სოციალური დახმარება ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთ.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 12 ივნისი, N129, გვ. 2.

[2] ფსიქო-სოციალური საჭიროების პირთა თავშესაფარი

[3] *დეკრეტი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 11 მარტი, N57, გვ. 1.

[4] მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარი.

[5] *დეკრეტი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 15 აპრილი, N82, გვ. 1.

[6] *მუშა მოსამსახურეთა ერთდროული დახმარება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 27 ივლისი, N166, გვ. 3.

## II.5. სოციალური დაცვის მუნიციპალური პოლიტიკა (თბილისი)

რესპუბლიკის არსებობის პირობებში თბილისის ქალაქის თვითმმართველობა დამოუკიდებელ სოციალურ პოლიტიკას ახორციელებდა. ქალაქის თვითმმართველობის სოციალური პოლიტიკის დაგეგმვა 1919 წლის იანვარში საბჭოს არჩევნებისათვის შემუშავებულ პლატფორმასთან ერთად დაიწყო. საარჩევნო პლატფორმაში გაცხადებული იყო: 2. ფინანსურ სფეროში: გაუქმდება ყველა არაპირდაპირი გადასახადები, დაწესდება პროგრესული გადასახადები, გაიზრდება ქონებისა და დაუმუშავებელი მიწების გადასახადები, შემოღებული იქნება გადასახადები ფუფუნების საგნებზე. 3. სასურსათო საქმე: 1. თვითმმართველობებს ენიჭებათ სურსათის მარაგების შექმნისა და განაწილების უფლება. აფუძნებენ საქალაქო დუქნებს და პურის მაგიდებს. 4. ეკონომიკური საქმე: 1. ყველა იმ საწარმოთა ნაციონალიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს მცხოვრებთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. გათბობა, განათება, ტრანსპორტი, საქალაქო აფთიაქები და სხვა. ახალი მუნიციპალური საწარმოების შექმნა. 5. სახალხო განათლება: 1. საერთო, უფასო, საყოველთაო და სავალდებულო განათლება ბავშვებისათვის 16 წლამდის. დაარსება უფასო პროფესიონალური სკოლებისა და საბავშვო ბაღების. სკოლის მოსწავლეებს უფასოთ უნდა მიეცეთ სასწავლო ნივთები და საუზმე, სწავლება სკოლაში დედა ენაზე უნდა სწარმოებდეს. 2. უფასო არაფორმალური განათლება - სახალხო სახლები, სახალხო უნივერსიტეტები და სხვა. 3. უფასო სასადილოები და თავშესაფრები. სპეციალური ფონდი ხელმოკლე ბავშვებისათვის. 6. ჰიგიენა და საბინაო საკითხი: 1. იაფფასიანი და ჰიგიენური ბინები, აბანოებისა და საპირფარეშოების მოწყობა. ღარიბი მოსახლეობისათვის თავშესაფრების მოწყობა, ქალაქის ქუჩების გაფართოება და დასუფთავება. 7. საზოგადოებრივი მზრუნველობა და დახმარება: 1. მცხოვრებთათვის უფასო იურიდიული დახმარება. 2. მაწოვარ დედათა და ძუძუ მწოვარ ბავშვთა დაცვა. 3. მოხუცთა და ობლებისათვის ქალაქის თავშესაფარის მოწყობა. ბრმებისა და ყრუ-მუნჯებისათვის სკოლა თავშესაფართა გახსნა. უფასო ღამის თავშესაფრებისა და მუნიციპალური ოთახების მოწყობა. 8. მუშათა საკითხი: ქალაქის საწარმოებში კოლექტიური ხელშეკრულების და 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესება, მინიმუმ 42-საათიანი განუწყვეტლივი დასვენება კვირაში ერთხელ და მინიმალური

ხელფასის შემოღება. ქალთა შრომის აკრძალვა მძიმე პირობებში. 16 წლამდე ბავშვთა შრომის აკრძალვა. უმუშევრობის, ინვალიდობისა და ავადმყოფობის დაზღვევა.[1]

გამომდინარე იქიდან, რომ 1919 წლის 2 თებერვალს ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა გამარჯვებას მიაღწიეს, ეს პროგრამა გახდა მუნიციპალიტეტის საქმიანობის მთავარი დოკუმენტი.

ქალაქის თვითმმართველობამ 1919 წლის თებერვალში დაიწყო მუშაობა უფასო აბანოების გახსნით, რომელსაც ქალაქი 40 000 მანეთით დააფინანსებდა. ახალი აბანოები ქალაქში ჰიგიენურ-სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის უმნიშვნელოვანესი იყო. მით უფრო მაშინ, როდესაც ქალაქს არ გააჩნდა ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა.[2]

1919 წლის მაისში ქალაქის თვითმმართველობამ შექმნა ცენტრალური სამზრუნველო მცხოვრებთა დასახმარებლად. სამზრუნველოში შედიოდა: ქალაქის თვითმმართველობის წევრი, რომელიც განაგებდა შრომის განყოფილებას, ქალაქის ხმოსანთა საბჭოს შრომის კომისიის, შრომის სამინისტროს, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, შრომის ბირჟის, ქალაქის თვითმმართველობის სამოსწავლო განყოფილების, ქალაქის თვითმმართველობის მედიკო-სანიტარული განყოფილების, სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოების, შინაგან და მიწათმოქმედების სამინისტროების, რუსულ, სომხურ და ებრაულ ნაციონალურ საბჭოს წარმომადგენლები. დაიწყო მუშაობა ცენტრალური სამზრუნველოს წესდების შესაქმნელად, რომელიც წარედგინებოდა დასამტკიცებლად ქალაქის თვითმმართველობას. სამზრუნველოს მიზანი იყო, ფართო დახმარება აღმოუჩინა მცხოვრებთათვის. ეს დახმარება ასე უნდა წარმართულიყო: მოეწყოთ სახელოსნოები, საწარმოები, საზოგადო სამუშაო უმუშევართათვის, ბავშვების თავშესაფარი, სასადილოები, სამკითხველოები და სხვა. გარდა ცენტრალური

[1] *მუნიციპალური პლატფორმა საქართველოს სოც.-დემოკ. მუშათა პარტიისა.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 17 იანვარი, N12, გვ. 1-2.

[2] *ქრონიკა.* გაზ. საქართველო, 1919 წლის 26 თებერვალი, N44, გვ. 1.

სამზრუნველოსი, ქალაქში შეიქმნებოდა საუბნო (თორმეტივე უბანში) სამზრუნველოები.[1]

თვითმმართველობის წამოწყებას შეუერთდა კერძო საქველმოქმედო საზოგადოებები. მაგალითად, ავლაბარში მოქმედი ე.წ. „კაპეიკის საზოგადოება" შეუერთდა ცენტრალურ სამზრუნველო საზოგადოებას და მისი ქოლგის ქვეშ გააგრძელა საქმიანობა. „კაპეიკის საზოგადოება" განაგებდა ბავშვთა 4 თავშესაფარს დედაქალაქში, ასევე, ღამის გასათევ თავშესაფარს ორთაჭალაში.

1920 წლის 16 ივნისის სხდომაზე თბილისის პროფკავშირებმა მიიღეს დადგენილება, რომ ისინიც იზიარებდნენ ქალაქის თვითმმართველობის ინიციატივას და თავის ძალებსა და რესურსებს უერთებდნენ თბილისის სოციალური დახმარების ცენტრალურ საზოგადოებას.[2]

თბილისის სოციალური დახმარების ცენტრალურ საზოგადოებას გადაწყვეტილი ჰქონდა მოესპო საქველმოქმედო მიზნით ცალ-ცალკე ფულის შეკრების შემთხვევები და ამის ნაცვლად გეგმავდნენ ყოველთვიურად რეგულარულად შეკრებების დანერგვას ყველა ფირმიდან და დაწესებულებიდან ერთდროული განსაზღვრული თანხის გადარიცხვის სახით. საზოგადოება ყოველი თვის 26 რიცხვში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის სახსოვრად მოაწყობდა თანხის შესაკრები პუნქტებს.[3]

1920 წლის ივლისში თბილისის სოციალური დახმარების საზოგადოების დადგენილებით მოხდებოდა ცალკეულ ბავშვთა თავშესაფრების გაუქმება და ერთიანი „ბავშვთა სახლის" დაარსებას. ამავე საზოგადოების ფულადი რესურსები და შემოწირულებები უნდა შენახულიყო საქართველოს კოოპერატიულ ბანკში.[4]

---

[1] *მუნიციპალური ცხოვრება: სოციალური დახმარება მცხოვრებლებს.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 13 მაისი, N103, გვ. 2.

[2] *ახალი ამბები: სოციალური დახმარება.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 23 ივნისი, N139, გვ. 3.

[3] *ახალი ამბები: სოციალური დახმარება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 1 ივლისი, N145, გვ. 3.

[4] *ახალი ამბები: სოციალური დახმარების ორგანიზაცია.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 6 ივლისი, N149, გვ. 3.

1920 წლის ზაფხულში ქალაქის გამგეობა მოუწოდებდა მოქალაქეებს ცალკეული შემოწირულობების ნაცვლად დახმარებოდნენ სოციალური დახმარების ცენტრს/საზოგადოებას. თავის მხრივ სოციალური დახმარების საზოგადოებას ქალაქის თვითმმართველობა მოუწოდებდა აქტიურად შეემოწმებინათ შემწეობის მომთხოვნთა დოკუმენტაციები. ქალაქის გამგეობის ხელშეწყობით სოციალური დახმარების საზოგადოებამ თბილისში გახსნა ორი ახალი სასადილო.[1]

1918-1921 წლებში დედაქალაქში სოციალური დახმარებებისა და შემწეობების გაღების შესახებ პროფესორები: ოთარ ჯანელიძე, ალექსანდრე დაუშვილი და მირიან ხოსიტაშვილი თავიანთ კოლექტიურ ნაშრომში - „თავისუფალი საქართველოს დედაქალაქი" წერენ: „თბილისური ყოფისათვის დამახასიათებელი იყო ზრუნვა სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე და მისი გასაჭირის გაზიარება, რისთვისაც მოქალაქეები გარკვეულ ღონისძიებებს ატარებდნენ. გაზეთის ცნობით, „მცხოვრებთა სოციალური დახმარების ტფილისის ცენტრალურმა საზოგადოებამ დაადგინა, ყოველთვიურად 26 რიცხვში ღარიბთა სასარგებლოდ ფულის შეკრება გაიმართოს. ამ დღისთვის გამოვა გაზეთი სათაურით ,,სოციალური დახმარება", მოწყობილი იქნება ყულაბებით ფულის შეკრება და დაწესებულებების ხელმოსაწერ ფურცლით დავლა. საღამოობით კონცერტები გაიმართება, რომლის წმინდა შემოსავალი სოციალური დახმარების კასაში შევა".[2]

ქალაქის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა საბინაო სფერო. რუსეთის სამოქალაქო ომისა და ოსმალეთის იმპერიის მიერ სომხების მასობრივი დევნის შემდგომ ქალაქი სავსე იყო ლტოლვილებით. დედაქალაქში შეუძლებელი იყო ბინის პოვნა. 1919 წლის ზაფხულში ამხანაგობა „მომავალი" მოქალაქეებს იაფი ბინების აშენებას სთავაზობდა. 3-ოთახიანი ბინის ასაშენებლად 20 000 მანეთი იყო

[1] *მცხოვრებთა სოციალური დახმარება.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 20 ივლისი, N 161, გვ. 4.

[2] ოთარ ჯანელიძე, ალექსანდრე დაუშვილი და მირიან ხოსიტაშვილი, *თავისუფალი საქართველოს დედაქალაქი. თბილისი 1918-1921 წლებში.* თბილისი: თბილისის მერია & საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019, გვ. 208.

განსაზღვრული.[1] 1920 წელს „ერთობა“ წერდა, რომ აუცილებელი იყო დედაქალაქის გაწმენდა უსაქმური ელემენტებისაგან, რომლებიც არც ეკონომიკურ საქმიანობაშ იყვნენ ჩართული და არც რაიმე საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეს ეწოდნენ. გაზეთის მტკიცებით დედაქალაქში ბინის შოვნა შეუძლებელი იყო.

1919 წლის გაზაფხულზე მოქალაქე ს. დოლიძე გაზეთ „ერთობაში“ წერდა, რომ დედაქალაქი სავსე იყო მათხოვრებით. ავტორი მოითხოვდა, სანამ ქალაქში მათხოვრობა აიკრძალებოდა (თვითმმართველობა გეგმავდა მათხოვრობის აკრძალვას), მანამდე თვითმმართველობას შეექმნა ღარიბთა თავშესაფრები და დამხმარე საზოგადოებები.[2]

[1] *ტეხნიკურ საზოგადოებაში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა 1919 წლის 8 ივლისი, N148, გვ. 4.
[2] *ღარიბთა თავშესაფარი.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 24 ივნისი, N138, გვ. 3.

## თავი III. საყოველთაო განათლების სისტემა, როგორც სოციალური პოლიტიკის ნაწილი

### III.1. რუსეთის იმპერიის საგანმანათლებლო პოლიტიკა „განაპირა მხარეებში“

XIX საუკუნეში დასავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებში საყოველთაო განათლების სისტემის მშენებლობის პროცესი, ფაქტობრივად, სრულდებოდა. მოსახლეობის უმრავლესობამ იცოდა წერა-კითხვა. ამავე დროს 1897 წელს რუსეთში განხორციელებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თანახმად, იმპერიის მოსახლეობის მხოლოდ 26%-მა იცოდა წერა-კითხვა. ეს მონაცემი გაცილებით დაბალი იყო იმპერიის სამხრეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში.[1]

რუსეთის ცენტრალიზებული იმპერიული პოლიტიკის კონტექსტში ნაცმენური რეგიონებისათვის[2] დაწყებითი განათლების ინსტიტუტების შექმნისათვის არავითარ რესურს არ ხარჯავდა. სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ იმპერიის ხელისუფლება განსაკუთრებით და სისტემურად არც იმპერიის ცენტრალურ რეგიონებში ხარჯავდა დიდ რესურსსა და დროს საგანმანათლებლო სისტემის შესაქმნელად, თუმცა განაპირა მხარეებთან შედარებით ამ რეგიონებში განათლების კუთხით ბევრად უკეთესი მდგომარეობა იყო.

საიმპერიო რეჟიმი არათუ ხელს უწყობდა საგანმანათლებლო ინიციატივებს იმპერიის განაპირა მხარეში - კავკასიაში, არამედ პირიქით, ეჭვის თვალით უყურებდა და ხშირად ზღუდავდა ამგვარ ინიციატივებს. ფართო საგანმანათლებლო ინიციატივები საქართველოში 60-70-იანი წლების მიჯნაზე გაჩნდა და ამ მხრივ პირველ ინიციატორად დიმიტრი ყიფიანი და მისი თანამოაზრეები უნდა მივიჩნიოთ. 1870-იან წლებში საგანმანათლებლო ინიციატივებთან ერთად ქართველ ახალგაზრდა ინტელექტუალებში გამოჩნდნენ პირები, რომლებიც კონკრეტული პოლიტიკის გატარების აუცილებლობაზე დაიწყეს საუბარი. ამ კუთხით ნიკო ნიკოლაძე ცალსახად გამორჩეული ფიგურა იყო და

---

[1] Boris N. Mironov, *The Development of Literacy in Russian and the Ussr from the tenth to Twentieth Centuries.* History of Education Quarterly Vol. 31, No 2 (Summer, 1991), Cambric University Press p. 245 (pp.229-252).

[2] იმპერიის განაპირა მხარეები სადაც ძირითადადეროვნული უმცირესობები ცხოვრობდნენ.

1870-იანი წლების დასაწყისიდან პრესიდან და სხვა საჯარო „ტრიბუნებიდან“ იმპერატორს და მის მოხელეებს მოუწოდებდნენ, გაეხსნათ ამიერკავკასიაში უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები და შეექმნათ საგანმანათლებლო ქსელი. ნიკო ნიკოლაძე განათლების ფართო გავრცელებას მიიჩნევდა რეგიონის განვითარების მთავარ ხელშემწყობ ფაქტორად და ამავე დროს არ მალავდა, რომ ეს პროცესი იქნებოდა კავკასიის თითოეულ ერთა კონსოლიდაციის საფუძველი.[1]

პირველ სისტემურ საგანმანათლებლო ინიციატივას ოფიციალური სახე 1879 წელს მიეცა, როდესაც დიმიტრი ყიფიანმა მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ ოფიციალურად დააფუძნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავისი 40 წელზე მეტხნიანი საქმიანობით ასობით სკოლა გახსნა და ათასობით ახალგაზრდას დაწყებითი და საშუალო განათლების მიღების საშუალება მისცა, თუმცა განათლების სისტემაში არსებული უფსკრულის შევსება და მოქალაქეების ფართო მასებისათვის დაწყებითი განათლების მიცემა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული და ოფიციალური პოლიტიკით მხარდაჭერილი საგანმანათლებლო სისტემით იყო შესაძლებელი.[2]

ზოგადი განათლების სისტემის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობასთან ერთად 1870-იან წლებშივე „თერგდალეულთა“ თაობამ დაიწყო ფიქრი და ზრუნვა ერის განვითარებისათვის აუცილებელი უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის შექმნისთვის. ნიკო ნიკოლაძემ ოფიციალურადაც მიმართა იმპერატორს, რათა ამიერკავკასიაში შექმნილიყო უმაღლესი სასწავლებლები, განსაკუთრებით კი პროფესიული ტექნიკური სასწავლებლები, რომლებიც ხელს შეუწყობდა საქართველოს და კავკასიის რეგიონის ინდუსტრიულ განვითარებას. ნიკოლაძის ხედვების ალტერნატიულ აზრს ავითარებდა „თერგდალეულთა“ იდეური ლიდერი ილია ჭავჭავაძე, რომელიც თვლიდა, რომ ისეთი

---

[1] ირაკლი ჩხაიძე, *ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი „თერგდალეულები“.* თბილისი: ახალი აზრი, 2009, გვ. 82.

[2] Irakli Iremadze, „*Education System Construction in the Democratic Republic of Georgia”* (Article), in the book „Modern History of Georgia”. Wroclaw: KEW (The College of Eastern Europe), 2018, pp. 292.

აგრარული რეგიონისათვის როგორიც საქართველო იყო აუცილებელი იქნებოდა შექმნილიყო აგრარული - სასოფლო-სამეურნეო და არა ინდუსტრიული სასწავლებლები.[1]

1890-იანი წლებიდან განათლების საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის მხრივ უმნიშვნელოვანესი იყო ახალი პოლიტიკური ძალების და განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატების საქმიანობა. ამ პოლიტიკური ჯგუფის დამფუძნებელთა დიდი ნაწილი პროფესიით პედაგოგი იყო ზედმიწევნით კარგად იცოდნენ საგანმანათლებლო სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ. სოციალ-დემოკრატთა შესახებ ცნობილი ჟურნალისტის, გიორგი წერეთლის მიერ გავრცელებული ცნობაც სწორედ ამ საკითხს უსვამდა ხაზს: „ამ დასში [სოციალ-დემოკრატებში] არიან მრავალი სოფლის მასწავლებელნი, გონება-განვითარებულნი სემინარიელნი, სამოსწავლო ინსტიტუტში კურსდამთავრებულნი და მეოთხმოცდა ათე წლების ზოგიერთი სტუდენტობა... ...ამ მესამე დასმა საგნათ აღირჩია ისეთი მოქმედება, რომ გაუნათლებელს ხალხში მოჰფინოს წერა-კითხვა, შეიტანოს მეცნიერებისაგან გამორკვეული ნათელი აზრები“.[2]

განათლების სფეროში სისტემური რეფორმები საიმპერიო რეჟიმის არსებობის პირობებში ვერ განხორციელდებოდა. მხოლოდ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შეიმჩნეოდა მნიშვნელოვანი ძვრები, თუმცა დროებითი ხელისუფლების ქაოტურობისა და სისუსტის გამო ხელშესახები რეფორმების განხორციელება მაინც ვერ მოხერხდა.

რევოლუციიდან სულ მალე, 1917 წლის 7 აპრილს (ძველი სტილით), თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის სახალხო მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა, სადაც 92 პედაგოგი იყო მოწვეული. ყრილობის შესახებ აქტიურად იწერებოდა ქართულ პრესაში. სასკოლო განათლების წინაშე არსებულ გამოწვევებს უზუსტესად ასახავს ყრილობის თავმჯდომარის ვარლამ ბურჯანაძის განცხადება: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღემდის ჩვენ განსაკუთრებით „ინოროდცებს“[3] ნამდვილი სკოლა სრულიად არ გვქონდა და მის აღსადგენად მან [ბურჯანაძემ] აღნიშნა სახალხო მასწავლებლის მოვალეობა

---

[1] დოდო ჭუმბურიძე, *განათლება 1918-1921 წლებში.* თბილისი: მემატიანე, 2000, გვ. 5.

[2] *ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) გასვენება.* გაზ. კვალი, 1894 წლის 15 მაისი, N21, გვ. 4.

[3] ასე მოიხსენიებდნენ საიმპერიო ხელისუფლების წარმომადგენლები განაპირა მხარეებში მცხოვრებ მოქალაქეებს.

დღევანდელ სერიოზულ მომენტში, დიადი რევოლიუცის ხანაში მან ხაზი გაუსვა ამჟამად სოფლად შეუგნებელ მასაში მუშაობას, რომელსაც ამ ხანად საქმე აქვს და ექნება ისეთ სერიოზულ კითხვებთან, როგორიცაა დროებით მთავრობასთან დამოკიდებულება, დამფუძნებელი კრების მოწვევა, დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნა და სხვა ასეთები, რომლებზედაც შეუგნებელ მასას თითქმის არავითარი წარმოდგენა არ აქვს და მათი ახსნა-განმარტება კი ზნეობრივად სახალხო მასწავლებელს ევალებაო“.[1]

სოციალ-დემოკრატებმა 1890-იანი წლებიდან დაიწყეს არაფორმალური და ხშირად არალეგალური საგანმანათლებლო ინსტიტუტების შექმნა. თბილისში, ბათუმსა და ჭიათურაში გაჩნდა მუშათა წერა-კითხვის წრეები, სამკითხველოები. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ კი, სისტემური ლეგალური სახალხო უნივერსიტეტები და სახალხო თეატრები შექმნეს სოციალ-დემოკრატებთან აფილირებულმა მუშათა პროფესიულმა კავშირებმა და სხვა დაწესებულებებმა.

რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება მოითხოვდა ოფიციალურ სკოლებში რუსული ენა დომინანტი ყოფილიყო. მართალია, 1917 წლამდე არსებობდა მცირე ერთა ნაციონალური სკოლები, თუმცა რუსულენოვანი სკოლები აშკარა დომინანტურ პირობებში იმყოფებოდნენ განაპირა მხარეებშიც კი. 1917 წლის სექტემბრიდან ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა, რომელიც პეტერბურგის დროებითმა ხელისუფლებამ შექმნა, დაიწყო ზრუნვა ამიერკავკასიის სკოლების ადგილობრივ ერთა ენებზე გარდაქმნისათვის. თბილისში მოქმედი რუსულენოვანი სკოლების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულენოვან სასწავლო დაწესებულებად გადაიქცა. გიმნაზიებში გაიხსნა ქართული და სომხური სექციები. იქ სადაც რეფორმამდე მხოლოდ რუსულენოვანი კლასები მოქმედებდა.[2]

---

[1] *თფილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებლების დელეგატთა კრება.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 9 აპრილი, N19, გვ. 3.

[2] *სასწავლებელთა ნაციონალიზაცია.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 4 ოქტომბერი, N161, გვ. 4.

განათლების სისტემაში ძირეული რეფორმების გატარება ვერც ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომისიის შემდგომმა დროებითმა მმართველობითმა ორგანოებმა - ამიერკავკასიის კომისარიატმა და ამიერკავკასიის სეიმმა შეძლო.

გარდამავალ პერიოდში სკოლების, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების მთავარ პრობლემად მატერიალური სახსრების სიმცირე იყო. 1917 წლის ოქტომბრის თვის მონაცემებით საქართველოში სახალხო მასწავლებლებელთა საშუალო ხელფასი 80 მანეთს არ აღემატებოდა, სამრევლო სკოლებში ანაზღაურება მხოლოდ 40 მანეთი იყო, სოფლად მივლენილ პედაგოგებს კი, შრომა 100 მანეთით უფასდებოდათ. ხელფასების სიმცირე კიდევ უფრო ტრაგიკულად გამოიყურებოდა მზარდი ინფლაციის ფონზე და პედაგოგთა სასურსათო საჭიროებებსაც კი ვერ აკმაყოფილებდა.[1] ხელფასის სიმცირისა და მძიმე პირობების გამო, 1917 წლის მიწურულს პედაგოგებმა გაფიცვა გამოცახადეს. გაფიცული ჩოხატაურელი სახალხო მასწავლებლები მოითხოვდნენ: „სამრევლო და საერო სკოლების გაერთიანებას, მიუღებელი ჯამაგირების დაკმაყოფილებას, მასწავლებლისათვის (განურჩევლად) თვიური ჯამაგირის 300 მანეთით განსაზღვრას, ერთ დროულად 500 მან. დახმარებას, დღიურებს სანამ ომია 1 მ. 25 კ. დღეში უმაღლეს პირველდაწყებით სკოლების მასწავლებელთათვის ბინის და გათბობის. უკეთუ ეს მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებული, მასწავლებლები 7 იანვრიდან სრულიად ანებებენ თავს მასწავლებლობას“.[2]

გაფიცვების საპასუხოდ ამიერკავკასიის კომისარიატმა 1918 წლის 11 იანვარს გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც პედაგოგთა ხელფასები პირველდაწყებით (სახალხო) სკოლებში ყოველთვიურად 210 მანეთით განისაზღვრა. კომისარიატის გაანგარიშებით 120 მანეთი პედაგოგის საბაზო ხელფასი იყო, ხოლო 90 მანეთი ომის შედეგად არსებული ინფლაციური გამოწვევების კომპენსაცია.[3] დეკრეტის გამოსვლიდან მალევე, ინფლაცია კიდევ უფრო მზარდი გახდა და ეს ნამატი, ფაქტობრივად, სრულად შთანთქა.

---

[1] ა. გორგაძე, *სახალხო მასწავლებლის ცხოვრებიდან.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 13 ოქტომბერი, N169, გვ. 3.

[2] *პროვინციის ქრონიკა: ჩოხატაური.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 28 დეკემბერი, N226, გვ. 2.

[3] *პ. ჩარექიშვილი, თფ. გუბ. სახ. მასწავლებელთა საყურადღებოთ.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 20 იანვარი, N15, გვ. 2.

## III.2. დამოუკიდებლობის გამოცხადება და სისტემური მუშაობის დაწყება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრო შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს ბაზაზე, რომელიც თავის მხრივ ამიერკავკასიის კომისარიატის, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა და საიმპერიო რეჟიმის მემკვიდრეობაზე შეიქმნა, ეს უკანასკნელი კი, ძირითადად, ამიერკავკასიის სასწავლო ოლქსა და თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში სახალხო სკოლათა დირექციებს აერთიანებდა.[1] 1918 წელს სპეციალური დეკრეტით გაუქმდა კავკასიის სასწავლო ოლქი, სპეციალური კომპენსაციების გადახდით დაითხოვეს ამ უწყების ყოფილი თანამშრომლები.[2]

1918 წლის 26 მაისი, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის მშენებლობისათვის მთავარი ათვლის წერტილი გახდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს სათავეში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ლიდერი გიორგი ლასხიშვილი ჩაუდგა. ლასხიშვილი დიდი ნდობით და რეპუტაციით სარგებლობდა რესპუბლიკის კოალიციურ მთავრობასა და წარმომადგენლობით ორგანოში - ეროვნულ საბჭოში.

საქართველოს მთავრობას სრული პოლიტიკური ნება გააჩნდა, შეექმნა საყოველთაო განათლების სისტემა, რომლის განხორციელებისათვის ინტელექტუალური და პოლიტიკური ძალები ათწლეულები იბრძოდნენ. 1918 წლის მაისიდან 1919 წლის მარტამდე კოალიციური მთავრობის პირობებში განათლების სისტემაში რეფორმების განხორციელებას გიორგი ლასხიშვილი ხელმძღვანელობდა. 1919 წლის 21 მარტიდან 1920 წლის დეკემბრამდე სოციალ-დემოკრატების მთავრობაში მინისტრის პოსტს ფორმალურად ნოე რამიშვილი ითავსებდა, თუმცა რეალურად სამინისტროს საქმეებს და უშუალოდ განათლების რეფორმას რამიშვილის ამხანაგი, პროფესიით პედაგოგი, სოციალ-დემოკრატი, ნოე ცინცაძე ხელმძღვანეობს. 1920 წლის 3 დეკემბერს

---

[1] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 54, ფურც. 2.

[2] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 19, ფურც. 2.

დამფუძნებელმა კრებამ ნოე ჟორდანიას ინიციატივით სახალხო განათლების ახალ მინისტრად პროფესიით პედაგოგი, სოციალ-დემოკრატი, ყოფილი სამხედრო მინისტრი, გრიგოლ ლორთქიფანიძე დაამტკიცა, პარალელურად ლორთქიფანიძე იკავებდა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის პოსტსაც.[1]

1918-1921 წლებში საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრო 3 ძირითადი სტრუქტურული ერთეულისაგან შედგებოდა: 1. უმაღლესი და საშუალო სკოლების გამგეობისგან (სამმართველოსაგან), 2. სახალხო სკოლების გამგეობისაგან და 3. საპროფესიო და სატეხნიკო (პროფესიული) სკოლების გამგეობისაგან. სამინისტროს პირადი საშტატო შემადგენლობა, ძირითადად, 60-იდან 100 კაცამდე მერყეობდა, 1918 წელს სამინისტროს შექმნისას კი სულ 39 ადამიანი მუშაობდა. სამინისტროში იმ პერიოდის არაერთი ცნობილი პროფესორი და პედაგოგი მუშაობდა, მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი (შემდგომში პროფესორი) გრიგოლ ნათაძე, პედაგოგი სერგი დანელია, პროფესორი დიმიტრი უზნაძე, პედაგოგი ალექსანდრე მიქაბერიძე, პედაგოგი ვუკოლ ბერიძე და სხვები.[2] სამინისტროს თავისი წარმომადგენელი 1918 წლიდან ჰყავდა სოხუმის ავტონომიურ ოლქში, ხოლო 1920 წლის ზაფხულიდან, ბათუმის ოლქის შემოერთების შემდეგ, სამინისტრომ თავის წარმომადგენლად ცნობილი პედაგოგი, სოციალ-დემოკრატი, ეროვნული საბჭოს ყოფილი წევრი კალენიკე ქავთარაძე მიავლინა.[3]

სახალხო განათლების სამინისტროში, ისევე როგორც სახელმწიფო დაწესებულებათა უმრავლესობაში ხელფასები საკმაოდ მცირე იყო. მაგალითად, მინისტრის ხელფასი 1918 წლის სექტემბერში 1500 მანეთს, მისი ამხანაგის კი, 1350 მანეთს შეადგენდა, სისტემაში ყველაზე დაბალი ანაზღაურება 350 მანეთი დამლაგებელს ჰქონდა. სამინისტროს 39 თანამშრომლის ხელფასებზე სულ 254 400 მანეთის დახარჯვა იყო წლიურად

[1] დიმიტრი სილაქაძე, *ლორთქიფანიძე გრიგოლ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი.* თბილისი: თსუ, 2018, გვ. 248.

[2] დოდო ჭუმბურიძე, *სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი.* თბილისი: თსუ, 2018, გვ. 389-390.

[3] *განათლების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 8 აგვისტო, N177, გვ. 2.

ნავარაუდევი.[1] თუმცა ინფლაციისა და ხელფასების სწრაფად ზრდის გამო, ეს თანხა მრავალჯერ გაიზარდა. 1920 წლის დეკემბერში მინისტრის ხელფასი 9000 მანეთს შეადგენდა.

## III.3. ეროვნული სკოლის მშენებლობა

1918 წლის მაისშივე გაისმოდა კითხვა, თუ რა ტიპის სკოლა სჭირდება საქართველოს? ამ კითხვაზე უპირველესი პასუხი იყო ის, რომ ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც თანასწორობაზე, ეგალიტარულ პრინციპებზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული, სრულიად შეუძლებელი იყო მიეღო რუსეთის იმპერიის მემკვიდრეობა და გამოცდილება, რომელიც სოციალური მობილობის შეზღუდვაზე, განათლების ხელმიუწვდომლობასა და ჩაკეტილობაზე იყო ორიენტირებული.[2]

საიმპერიო რეჟიმის მემკვიდრეობა იყო სკოლების სიმცირე და წერა-კითხვის მასობრივი უცოდინარობა. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში (ბათუმისა და სოხუმის ოლქების ჩათვლით) 1914-1917 წლებში ყველა ტიპის სულ 864 სკოლა მოქმედებდა.[3] მაშინ, როდესაც დასახლებულ პუნქტთა რაოდენობა თითქმის 4000-ს უდრიდა. სკოლების სიმცირის კრიტიკულობა კიდევ უფრო მძიმედ გამოიყურება თუ მათი გეოგრაფიულ განაწილებას დავაკვირდებით. ამ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოში დაახლოებით 1.5 მილიონი მოქალაქე ცხოვრობდა, დასავლეთ საქართველოში კი, 1 მილიონამდე. სკოლათა თითქმის 65% კი, სწორედ დასავლეთ საქართველოზე მოდიოდა, ძირითადად ორ ადმინისტრაციულ ერთეულზე - ოზურგეთისა და ქუთაისის მაზრებზე. უშუალოდ ოზურგეთის მაზრაში 200-მდე სკოლა მოქმედებდა, ოზურგეთის მაზრა ითვლებოდა მოწინავედ მოსწავლეთა სასკოლო საჭიროებების დაკმაყოფილების კუთხით, სასკოლო ასაკის არასრულწლოვანთა 80%-ისთვის სკოლა ხელმისაწვდომი იყო.[4] 1917 წლისათვის

---

[1] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 50, ფურც. 1.

[2] Irakli Iremadze, *Education System Construction in the Democratic Republic of Georgia (Article), in the book Modern History of Georgia*. Wroclaw: KEW (The College of Eastern Europe), 2018, pp. 292

[3] ალექსანდრე ბენდიანიშვილი, *საქართველოს პირველი რესპუბლიკა*. თბილისი: მემატიანე, 2001, გვ. 266.

[4] *დელეგატ მასწავლებელთა კრება*. გაზ. ერთობა, 1917 წლის 9 ნოემბერი, N192, გვ. 2.

ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების სკოლებში დაახლოებით 80 000 მოსწავლე ირიცხებოდა.[1] რაც სასკოლო ასაკის მოზარდთა 1/3-საც კი არ შეადგენდა.

1918 წლის ზაფხულში სახალხო განათლების მინისტრი მოკლედ აყალიბებდა იმ თეზას, რომელიც აფასებდა საიმპერიო სისტემის მემკვიდრეობას: „უთანასწორობაზე დამყარებულ წესწყობილებასთან ერთად ჩვენი სწავლა-განათლების სისტემაც ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. ყოველგვარი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის დაწყებითი სკოლის მოწაფეებს, განაგრძონ სწავლა საშუალო სკოლის უმაღლეს კლასებში, უნდა მოისპოს, რათა სკოლა გაერთიანდეს სოციალურად“.[2] ლასხიშვილის შეფასებას იზიარებდა ნოე ჟორდანიას მრჩეველი ვლადიმერ ვოიტინსკი: „ქართული დემოკრატიის უმთავრესი საზრუნავი იყო განათლების ძირფესვიანი რეორგანიზაცია. ცარისტული რუსეთის სკოლებს მიზნად ჰქონდათ ორი რამ – სოციალური და ეროვნული ჩაგვრა. დემოკრატიული სახელმწიფოს მიერ დაარსებულ ახალ სკოლას უნდა განემტკიცებინა სოციალური თავისუფლება და ხელი შეეწყო ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. აღნიშნულის მისაღწევად, პირველ რიგში, საჭირო იყო, ხალხს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა მისცემოდა“.[3]

განათლების სისტემის სრული რეორგანიზაციისათვის აუცილებელი იყო ერთიანი პოლიტიკური დოკუმენტის შედგენა, რომელსაც საკმაო დრო სჭირდებოდა, ამიტომ 1918 წლის ზაფხულშივე დაიწყო სასკოლო სისტემაში ფრაგმენტული, მაგრამ აუცილებელი რეფორმების გატარება. პირველ რიგში, სკოლათა უმრავლესობა სახელმწიფოს ხელში გადავიდა, მოხდა მათი ერთგვარი ნაციონალიზაცია, ფაქტობრივად, სამრევლო სკოლები საერო სკოლებად გარდაიქმნა. ამასთანავე, მოხდა სკოლების გაეროვნულობა, რამაც მცირედი შეშფოთებები გამოიწვია სომხურ და რუსულ ეროვნულ საბჭოებში, თუმცა სამინისტრომ მკაფიოდ განაცხადა, რომ ყველა ეთნიკურ უმცირესობას ექნებოდათ სრული უფლება გაეგრძელებინათ და შეექმნათ ახალი სკოლები რომლებიც მათ ენებზე

---

[1] ალექსანდრე ბენდიანიშვილი, *საქართველოს პირველი რესპუბლიკა.* თბილისი: მემატიანე, 2001, გვ. 266

[2] სცსა, ფონდი 1935, ანაწერი. 1, საქმე 175.

[3] ვლადიმერ ვოიტინსკი, *ქართული დემოკრატია.* თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2018. გვ. 262.

იფუნქციონირებდა სახელმწიფოს ქოლგის ქვეშ.[1] მინისტრ ლასხიშვილის ერთ-ერთი მთავარი ინიციატივა სკოლების სრული ნაციონალიზაცია - საერო და ქართულ სასწავლებლად გარდაქმნა - იყო.[2] მშობლიური ენებზე სწავლის ორგანიზების შესახებ 1918 წლის ივლისში გიორგი ლასხიშვილმა განაცხადა: „უმთავრესი საფუძველი კულტურული ცხოვრებისა ენაა. სამშობლო ენა ეს ის ნიადაგია, რომელზედაც აღმოცენდა ნორმალური, კულტურული ზრდა და განვითარება ხალხისა. ამიტომ სწავლა-განათლება ხალხისა უსათუოდ სამშობლო ენაზე უნდა იყოს მოწყობილი“.[3] 1918 წლის ზაფხულშივე სამინისტრომ დაიწყო ახალ სკოლათა ფორსირებულ რეჟიმში დაარსება ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით.

სასკოლო რეფორმის მთავარ მიზნად და ნიშნულად უახლოეს წლებში საყოველთაო და უფასო დაწყებითი განათლების სისტემის შემოღება იყო.[4] ამ მიზნისათვის რესპუბლიკას 1500-ზე მეტი ახალი სკოლის შექმნა ესაჭიროებოდა. რეფორმის განსახორციელებლად სახალხო განათლების მინისტრმა შექმნა სამინისტროს სპეციალური საბჭო, რომელშიც სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად შედიოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, სკოლების პედაგოგები, თვითმმართველობების წარმომადგენლები და საკანონმდებლო ორგანოს წევრები.[5]

1918 წლის შემოდგომაზე სახალხო განათლების სამინისტრომ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც შეეხებოდა სკოლათა გეოგრაფიულ განაწილებას. სამინისტროს შეფასებით ქუთაისის გუბერნიაში თბილისის გუბერნიასთან შედარებით 2.5-ჯერ მეტი პირველდაწყებითი სკოლა იყო. კიდევ უფრო დრამატული იყო სხვაობა მაღალი საფეხურის სკოლებთან მიმართებაში. მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში 14 280 კაცზე მოდიოდა ერთი უმაღლეს დაწყებითი სკოლა, ხოლო თბილისის გუბერნიაში 100 000 კაცზე. სხვაობა, თითქმის 1/7-ზე თანაფარდობით იყო. სამინისტროს დადგენილებით

[1] *სახალხო განათლების მინისტრის განმარტება.* გაზ. შრომა, 1918 წლის 14 აგვისტო, N8, გვ. 4.
[2] დიმიტრი შველიძე, *გიორგი ლასხიშვილი.* თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2018, გვ. 112.
[3] სცსა, ფონდი 1925, ანაწ. 1. საქმე 58, ფურც. 1.
[4] დოდო ჭუმბურიძე, *განათლება 1918-1921 წლებში.* თბილისი: მემატიანე, 2000, გვ. 8-9.
[5]იქვე. გვ. 16.

თბილისის გუბერნიაში უახლოეს თვეებში სწრაფი ტემპით უნდა გახსნილიყო ათეულობით დაწყებითი და 7 უმაღლეს დაწყებითი სკოლა.[1]

საყოველთაო სწავლა-განათლების შემოღების გზაზე სკოლათა და ფინანსური სახსრების სიმცირესთან ერთად მთავარ პრობლემას პედაგოგთა სიმცირე წარმოადგენდა. მასწავლებელთა მოსამზადებლად ერთიანად ზრუნავდნენ მასწავლებელთა კავშირი და სახალხო განათლების სამინისტრო. მასწავლებელთა კავშირმა 1918 წლის ივნისშივე მოსამზადებელი კურსები შექმნა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, აქ პირველდაწყებით (ორკლასიან) სკოლებისათვის მასწავლებლებს ამზადებდნენ ქართულ ენაში, ლიტერატურაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში.[2] ამ წამოწყებას 200-მდე მსმენელი გამოუჩნდა. პედაგოგობის მსურველებს ქუთაისისა და ბათუმის გიმნაზიების გამოცდილი და აღიარებული მასწავლებლები ამზადებდნენ.[3] მასწავლებელთა მოსამზადებელი ფართო კურსები შეიქმნა თბილისში, სადაც მომავალ პედაგოგებს ამზადებდნენ პროფესორები - ივანე ჯავახიშვილი, დიმიტრი უზნაძე, გიორგი ახვლედიანი და სხვები.[4]

პედაგოგთა კურსები შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა, ამ კურსების გასაფართოებლად დამფუძნებელი კრება სპეციალურ დეკრეტებს გამოსცემდა. დამფუძნებელ კრებაში 1919 წლის 10 ივნისს სოციალ-დემოკრატმა თედო კიკვაძემ ინიციატივა წარადგინა და განაცხადა: „მოგეხსენებათ, რომ ჩვენ უნდა შემოვიღოთ პირველ დაწყებითი, სავალდებულო, და უფასო სწავლება. საამისო გეგმა უკვე მზად აქვს სამინისტროს. სამინისტრო ფიქრობს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის, ის საქმის ნაწილის განხორციელებას უნდა შეუდგეს. მაგრამ ამ ახალი სკოლებისთვის საჭიროა მასწავლებლები, ვინაიდან ჩვენ ძველ სკოლაშიაც საკმაო მასწავლებლები არ გვყავს, ამის გამო ზოგიერთი სკოლები დაკეტილი არის, და სწავლა არ სწარმოებს. ახალი

---

[1] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 27, გვ. 6-8.

[2] ლადო ბზვანელი, *მასწავლებელთა კურსები ქუთაისში.* გაზ. სახალხო საქმე, 1918 წლის 23 ივნისი, N264, გვ. 4.

[3] ლადო ბზვანელი, *მასწავლებელთა კურსები ქუთაისში.* გაზ. სახალხო საქმე, 1918 წლის 6 ივლისი, N274, გვ. 4.

[4] *მასწავლებელთა კურსებზე.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 6 აგვისტო, N165, გვ. 3.

სკოლებისთვის მასწავლებლების მოსამზადებლად საჭირო არის გაიხსნას კურსები. ეს კურსები იქნება ორთვიანი, და ორი თვის განმავლობაში უნდა მომზადდეს ახალგაზრდობა, რომელსაც შეეძლება სკოლაში სწავლება. რა თქმა უნდა, ორთვიანი კურსები ვერ მოამზადებს ისეთ მასწავლებლებს, რომელნიც სავსებით აკმაყოფილებენ სკოლის მოთხოვნილებას. მაგრამ, დღეს ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს და ჯერჯერობით ამით უნდა დავკმაყოფილდეთ“.[1]

სამინისტრო აორგანიზებდა თურქულენოვან (აზერბაიჯანულენოვან) სკოლებისათვის პედაგოგთა მოსამზადებელ კურსებს.[2] 1919 წლის ზაფხულში ბერძნულენოვან სკოლათა პედაგოგებისათვის მოსამზადებელი კურსები გაიხსნა თბილისის მაზრის წალკის რაიონის დაბა ბეშთაშენში.[3]

1920 წლის აგვისტოდან მასწავლებელთა კურსები რესპუბლიკის არაერთ ქალაქში გაიხსნა: „სახალხო განათლების სამინისტროდან იუწყებიან, რომ უწყების მიერ გახსნილია სამოსწავლო კურსები შემდეგ ადგილებში: თელავში, სიღნაღში, ზუგდიდში, ლეჩხუმისა და რაჭის მაზრაში, ქუთაისში, ზესტაფონში და თბილისში“.[4] გარდა ამ კურსებისა ტფილისში გახსნილია კურსები მაჰმადიანთათვისაც.

მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასთან ერთად უმძიმესი სოციალური გამოწვევები ედგათ წინ. ოპოზიციური სოციალ-რევოლუციონური პარტიის გაზეთი „შრომა“ 1918 წლის შემოდგომაზე წერდა: „უწყოდეს ყველამ, რომ მასწავლებელს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია სოფლათ, ვინემ კომისარს და მის ხუთ მილიციონერს. და ამ უკანასკნელებზე ხაზინა თვეში 1 850 მანეთს ხარჯავს. მდგომარეობა უცვლელი რჩება: სოფლის მილიციონერი თვეში 220 მანეთს, სოფლის კომისარი - 300 მან. სოფლის მასწავლებელი კი 210 მანეთს და იმასაც არ აძლევენ თავის დროზე. ბევრი რამ

---

[1] *საქართველოს დამფუძნებელი კრება - სხდომის ოქმები, ტომი II.* თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2018. გვ105-117.

[2] *მაჰმადიან მასწავლებელთათვის.* გაზ. საქართველო, 1919 წლის 21 იანვარი, N15, გვ. 3.

[3] *მასწავლებელთა კურსების შესახებ წალკაში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 4 ივლისი N145, გვ. 2

[4] *განათლების სამინისტროში.* გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა,* 1920 წლის 10 აგვისტო, N178, გვ. 1.

არის არანორმალური ჩვენს რესპუბლიკაში, მაგრამ ამ არანორმალურ მოვლენათა შორის მასწავლებლის მდგომარეობას პირველი ადგილი უჭირავს. ამიტომ მას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება. საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ დაინგრეს იერიქონის კედელი“.[1]

1918 წლის სექტემბრიდან, როდესაც მინისტრის ხელფასი 1 500 მანეთს შეადგენდა, პედაგოგთა საშუალო ხელფასი მხოლოდ 325 მანეთი იყო (სამინისტროს დამლაგებელთა ხელფასზე ნაკლები). 1918 წელს ხელფასები 210 მანეთიდან 325 მანეთამდე გაიზარდა. 1918 წლის ბოლოს კი, 400 მანეთამდე,[2] რაც ინფლაციის პირობებში ერთი მოქალაქის საარსებო საჭიროებებსაც კი ვერ ფარავდა. ხელფასების სიმცირე იწვევდა გამოცდილი პედაგოგების განათლების სისტემიდან წასვლას და გაფიცვებს.[3] საინტერესოა, რომ გაფიცვებს ეწინააღმდეგებოდა მასწავლებელთა პროფესიული კავშირი.[4] გაფიცვებს აკრიტიკებდა ხელისუფლებაც.

1920 წლის ოქტომბერში იგეგმებოდა პედაგოგთა ფართო გაფიცვა, განათლების მინისტრმა რამიშვილმა პედაგოგები ქვეყნის შიდაპოლიტიკურ დესტაბილიზაციის მცდელობაში დაადანაშაულა.[5] მასწავლებლები გაფიცვას გეგმავდნენ 1921 წლის იანვარშიც, თუმცა შემდგომში ეს გადაწყვეტილება შეცვალა მასწავლებელთა კავშირმა. მასწავლებეთა მიერ გაფიცვის გამოცხადებას აკრიტიკებდნენ სოციალ-დემოკრატები, მთავრობის ოფიციალურ გამოცემაში - „საქართველოს რესპუბლიკაში“ პედაგოგი ნ. ბოცვაძე წერდა: „ჩვენდა საბედნიეროთ გაფიცვის მომხრეებმა უკვე მოხსნეს თავიანთი დადგენილება, მაგრამ ის კი გულის ტკივილს უნდა იწვევდეს ჩვენში, რომ ამგვარი აზრის დაბადებაც კი შესაძლებელი ყოფილა ამ მძიმე დროს“.[6]

1919 წელს მასწავლებელთა ხელფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა და 1600 მანეთიდან 3800 მანეთამდე მერყეობდა პედაგოგის მიერ მოპოვებული ხარისხისა და სკოლის

---

[1] ფარი, *შკოლა და ცხოვრება.* გაზ. შრომა, 1918 წლის 10 აგვისტო, N6. გვ. 3-4.

[2] *თფ. გუბ. სახ. სკოლების მასწ. საყურადღებოდ.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 24 სექტემბერი, N203, გვ. 3.

[3] დოდო ჭუმბურიძე, *განათლება 1918-1921 წლებში.* თბილისი: მემატიანე, 2000, გვ. 88.

[4] იქვე. გვ. 91.

[5] იქვე. გვ. 95

[6] ნ. ბოცვაძე, *ცოტა რამ მასწავლებელთა ყრილობის შესახებ.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1921 წლის 28 იანვარი, N20, გვ. 3-4.

საფეხურის მიხედვით. 1920 წლის გაზაფხულზე პედაგოგთა ხელფასები საშუალოდ 30-50%-იანი გაიზარდა. თავად პედაგოგები 1920 წლის ოქტომბერში კვლავ ითხოვდნენ ხელფასების ზრდას და მთავრობას სთავაზობდნენ ახალ სახელფასო განაკვეთებს - დაწყებით სკოლების მასწავლებლისათვის 15 000 მანეთამდე, უმაღლეს დაწყებითის 18 000, ხოლო საშუალო სკოლათა პედაგოგებისათვის 20 000 მანეთამდე გაზრდას.[1] მასწავლებლები 1920 წლიდან მოითხოვდნენ სასურსათო პროდუქციაზე სპეციალურ შეღავათებსა და ფასდაკლებებს. სამინისტრო აღიარებდა მასწავლებელთა მძიმე სოციალურ მდგომარეობას და ამაზე პედაგოგთა კავშირის ყრილობაზე 1920 წლის 8 იანვარს ნოე რამიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვაც მეტყველებდა: „თქვენი მდგომარეობა მართლაც აუტანლათ შეიძლება ჩაგვერიცხა. ეს დაფუძნებული იყო იმაზე, რომ ძველი რეჟიმისათვის სწავლა-განათლება შეადგენდა ბოროტებას; სწავლა-განათლების გაფართოება, განვითარება მას აუცილებელ სამარეს უმზადებდა. დღეს, როცა ძველი რეჟიმი სამარეში გადაეშვა, მოისპო ის პირობებიც, რომელნიც სწავლა განათლების გავრცელებას ხელს უშლიდა. ჩვენ სხვა უწყებებთან შედარებით ოდნავ მაინც გავაუმჯობესეთ“.

განათლების სისტემის გამოწვევას წარმოადგენდა მოსწავლეთა და სტუდენტთა სიღარიბეც, რადგანაც ღარიბი მოსწავლეები და სტუდენტები ხშირად წყვეტდნენ სწავლას, განსაკუთრებით საშუალო სკოლებში. სამინისტრო კერძო პირებს, კომერციულ დაწესებულებებს, თვითმმართველობებსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს ღარიბ სტუდენტთა და მოსწავლეთა დასახმარებლად სახსრების გაღებას სთხოვდა. თბილისის ქალაქის თვითმმართველობამ ღარიბ სტუდენტთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად გახსნა იაფი სასადილო და საჩაიე, იაფი საჩაიები გახსნეს კერძო ინიციატორებმაც.[2] სამინისტროს მოწოდებას გამოეხმაურნენ კერძო პირებიც - „სახალხო განათლების სამინისტრომ მიიღო 30 000 მან. რომელიც დაუტოვა მას ანდერძით ჟენევაში გარდაცვლილმა ზ. ჯაყელმა. ეს ფული შეწირულია ქუთაისსა და ტფილისში ორი

---

[1] ნოდე, *სრულიად საქართ. მასწავლებელთა მეორე კონფერენცია.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 27 ოქტომბერი, N244, გვ. 3.

[2] *მოსწავლეთა უზრუნველყოფა.* გაზ, ერთობა, 1920 წლის 14 აგვისტო, N183, გვ. 3.

სტიპენდიის დასაარსებლად“.[1] აფხაზეთის კომისარიატმა 36 წარჩინებულ მოსწავლესა და სტუდენტს დაუნიშნა სტიპენდია.[2] სტიპენდიები დააწესეს ოზურგეთის, სენაკისა და სხვა სამაზრო ერობებმაც.

რეფორმამდელ გარდამავალ პერიოდში საქართველოს ქართულენოვან სახალხო ორკლასიან პირველდაწყებით სკოლებში სწავლობდნენ საბაზო საგნებს: არითმეტიკა-გეომეტრიას, ქართულ ენას, ბუნებისმეტყველებას, სამშობლოს აღწერას, საქართველოს ისტორიას, სიმღერა-გალობას, ხატვას, ფიზიკურ ვარჯიშს, ხელსაქმე-ხელგარჯილობას. მაღალი საფეხურის კლასებში - უმაღლეს დაწყებით ოთხკლასიან სკოლებში პირველდაწყებითი საფეხურის საბაზო საგნებთან ერთად ისწავლებოდა უცხო ენა, რუსული, ალგებრა, მსოფლიო ისტორია, ფიზიკა, გეოგრაფია-ბუნებისმცოდნეობა.[3] საათების განაწილება 8 კლასიან საშუალო სკოლებში კი ამგვარი იყო: ქართული ენა კვირაში 29 საათი, გერმანული 26[4], ფრანგული (ან ინგლისური) 17, რუსული 25, ლათინური 17, არითმეტიკა 9, გეომეტრია 8, ალგებრა 10, ფილოსოფიის პროპედევტიკა 2, ტრიგონომეტრია 3, კოსმოგრაფია 1, ფიზიკა 10, საქართველოს ისტორია 10, საზოგადო ისტორია 17, გეოგრაფია 17, ბუნების მეტყველება 10, ხატვა 5, გალობა 2, პირველ კლასში კვირაში უნდა იყოს 24 გაკვეთილი, მეორეში 23, მესამეში 26, მეოთხეში 26, მეხუთეში 28, მეექვსეში 28, მეშვიდეში 30, მერვეში 33.[5]

ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომუშავე სკოლებში თითქმის იგივე პროგრამით სწავლობდნენ, ქართულ ენას უმცირესობათა მშობლიური ენა ანაცვლებდა, ხოლო დამატებით სწავლობდნენ ქართულ ენას, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის მქონეს. 1918 წლის სექტემბერში გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ წერდა: „ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმში შეიტანეს კანონ-პროექტი არა-ქართულ სასწავლებლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლების შესახებ, პირველ ხანებში ქართული ენა სავალდებულო იქნება

---

[1] *განათლების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 11 ივლისი, N153, გვ. 3.

[2] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 1039, ფურც. 7.

[3] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 32, ფურც, 18.

[4] უცხო ენების სწავლება იწყებოდა უმაღლესდაწყებით საფეხურზე 3-4 კლასებში, თავდაპირველად იწყებოდა გერმანული და რუსული ენებით, ხოლო შემდგომ ემატებოდა ფრანგული ან ინგლისური ენა.

[5] *სახალხო განათლება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1918 წლის 11 სექტემბერი, N38, გვ. 5.

მეოთხე კლასამდე, ხოლო ქართული ისტორიის სწავლება უფროს კლასებში რუსულ ენაზე იქნება“.[1] ეთნიკურ უმცირესობათა სკოლებისათვის, ასევე, სავალდებულო იყო საქართველოს ისტორიის სწავლებაც. თბილისის ქალაქის თვითმმართველობა აცხადებდა: „თანახმად მთავრობის დადგენილებისა ქალაქის [თბილისის] ყველა არა ქართულ სკოლაში სავალდებულოა სახელმწიფო /ქართული/ ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლება“.[2]

გარდამავალ პერიოდში 1918 წლის შემოდგომაზე საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება სკოლებში საღვთო სჯულის სწავლების აკრძალვასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ 1918 წლის თებერვლიდან შეწყდა საღვთო სჯულის სწავლება თბილისის ქალაქის თვითმმართველობაზე დაქვემდებარებულ სკოლებში.[3] თუმცა დაშვებული იყო მშობლების მიერ თავიანთი სახსრებითა და სურვილით საღვთო სჯულის სწავლება სკოლის შენობაში. ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას მოსახლეობა ერთგვაროვნად არ შეხვედრია, ცალკეული თემები ითხოვდნენ გაეუქმებინათ ეს გადაწყვეტილება და თავიანთი შვილებისათვის ესწავლებინათ საღვთო სჯული.[4] საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საღვთო სჯულის სწავლება ოფიციალური დადგენილების მიუხედავად, გრძელდებოდა სომხურ, თურქულენოვან და კათოლიკური თემების სკოლებში.[5] სკოლებიდან საღვთო სჯულის სწავლების ფაქტობრივ განდევნას ეწინააღმდეგებოდა მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მოითხოვდა, ხელისუფლებას არ დაეშვა რელიგიის სწავლების სკოლებიდან გამორიცხვა.[6]

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური განცხადებით სახელმწიფო ისწრაფვოდა უფასო, საყოველთაო სწავლა-განათლების შემოღებისათვის, 1918-1920 წლებში მოსწავლეები ჯერ კიდევ იხდიდნენ სწავლის საფასურს წლიურად საშუალოდ 400-500 მანეთს. ინფლაციის ფონზე 1918 წლის ბოლოდან სწავლის ეს საფასური, ფაქტობრივად, სიმბოლური იყო.

---

[1] *სახალხო განათლება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1918 წლის 29 სექტემბერი, N53, გვ. 6.

[2] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 11, ფურც 5.

[3] *სამღვთო რჯულის სწავლების გაუქმება.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 18 იანვარი, N13, გვ.1.

[4] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 3, ფურც. 2.

[5] დოდო ჭუმბურიძე, *განათლება 1918-1921 წლებში.* თბილისი: მემატიანე, 2000, გვ. 164.

[6] რევაზ გაბაშვილი, *საღმვთო სჯული პარლამენტში.* გაზ. „კლდე“, 1918 წლის 1 დეკემბერი, №12, გვ. 1-2.

1919-1920 სასწავლო წლის მონაცემებით სწავლის საფასურის საერთო შემოსავლები შემოწირულობებთან ერთად სკოლათა საჭიროებების 25%-საც კი ვერ ფარავდა, სკოლათა ხარჯების 75% ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების პირდაპირ საბიუჯეტო დაფინანსებაზე მოდიოდა.[1]

1919 წლიდან სახელმწიფომ გააქტიურა მუშაობა უფასო სწავლა-განათლების დასანერგად: „განათლების სამინისტრომ ცირკულიარი დაუგზავნა რესპუბლიკის ერობათა გამგეობის და სახალხო სკოლების ინსპექტორებს, რათა დაუყოვნებლივ წარმოადგინონ ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი არის დაბალ სკოლებში და მაზრაში მოწაფენი 7-11 წლამდის. აღნიშნული ცნობები იკრიბება სამინისტროში იმისათვის, რომ რამდენათ შესაძლებელი იქნება პირველდაწყებითი უფასო სწავლის შემოღება“.[2] უფასო და საყოველთაო განათლების დანერგვის პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრებოდა სამაზრო და საქალაქო თვითმმართველობებს.[3] 1919 წლის მაისში თბილისში გაიმართა ერობათა წარმომადგენლების თათბირი განათლების სამინისტროში, რომელზეც გადაწყდა, რომ დააჩქარებდნენ უფასო საყოველთაო განათლების შემოღებას.

სასკოლო განათლების კუთხით 1918-1920 წლებში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა ე.წ. „ესპანური გრიპი“, მართალია ის საქართველოში დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით ბევრად ნაკლები მასშტაბის იყო, თუმცა ცალკეული აფეთქებები დროდადრო იჩენდა თავს, ამ აფეთქებებისას კი სახალხო განათლების სამინისტრო სწავლის შეჩერების რეკომენდაციით გამოდიოდა: „სახალხო განათლების სამინისტრომ ცირკულიარი დაუგზავნა საშუალო და სახალხო სკოლების ინსპექტორებს, რომ თანახმათ ექიმების დადგენილებისა სასწავლებლებში ზომები უნდა იქმნეს მიღებული ეპიდემიის წინააღმდეგ. ამავე ცირკულიარით აკრძალულია სასწავლებლებში საღამოები და წარმოდგენები მანამ, სანამ სახადიანი ავათმყოფობა არ მოისპობა“.[4]

---

[1] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 497, ფურც. 17.

[2] *განათლების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 17 აპრილი, N86, გვ. 2.

[3] *სახალხო განათლების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 26 ივნისი, N138, გვ. 1.

[4] *სახალხო განათლების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 12 მარტი, N57, გვ. 2.

განათლების უწყება ესპანური გრიპის გავრცელებისას კრძალავდა სკოლათა ექსკურსიებს, რომელსაც, ძირითადად, მატარებლის საშუალებით ახორციელებდნენ.[1]

სასწავლო პროცესს ხშირად მეტეოროლოგიური პირობებიც აფერხებდა. ზამთრის პერიოდში სიცივეებისა და სკოლების გაუთბობლობის გამო წყდებოდა სასწავლო პროცესი. გაზეთი „ერთობა“ წერდა: “ჩვენს სკოლებში განსაცვიფრებელი ამბები ხდება. უშეშობის გამო სკოლები ვერ თბება. ბავშვები ცუდათაა ჩაცმული და ამ დიდი სიცივეების დროს ბევრი სკოლაში ვერ დადის. ხშირათ ნახევარზე მეტი აკლდება სწავლას, გაყინულ ოთახებში სკოლაში მოსიარულე მეორე ნახევარსაც ვერ ასწავლიან ხეირიანათ. სხვები რომ არ ჩამორჩნენ, მასწავლებლები ცოტა გაკვეთილებს აძლევენ“.[2]

სასკოლო სისტემაში რეფორმების დაგვიანება ოპოზიციის მხრიდან მწვავე კრიტიკას იმსახურებდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთში არაერთი სტატია ქვეყნდებოდა სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის წინააღმდეგ. ეროვნულ-დემოკრატი იპოლიტე ვართაგავა გაზეთ „საქართველოში“ წერდა: „ეს ეროვნული საქმე უნდა მოეწყოს არა კაბინეტებში და ბიუროკრატიულად, მას უნდა მიეცეს ფართო ხასიათი; ამის შესახებ მსჯელობასა და გარჩევაში მონაწილეობას უნდა იღებდეს საზოგადოებაც“.[3] ვართაგავა აკრიტიკებდა იმ საკითხს, რომ სამინისტრომ თითქმის ერთი წლის განმავლობაში ვერ შეიმუშავა რეფორმის კონკრეტული ტექსტი.

1918-1921 წლებში განათლების სისტემისადმი სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო ის, რომ პარლამენტსა და დამფუძნებელ კრებაში მრავლად იყვნენ მასწავლებლები, 1919 წლის თებერვლიდან დამფუძნებელი კრების წევრთა 18 % პედაგოგი იყო.[4]

---

[1] *სახალხო განათლების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 23 მაისი, N112, გვ. 2.

[2] *რას ასწავლიან ბავშვებს?* გაზ, ერთობა, 1920 წლის 23 დეკემბერი, N293, გვ. 1.

[3] *სკოლის რეორგანიზაციისათვის.* გაზ. საქართველო, 1919 წლის 4 აპრილი, N75, გვ. 1-2.

[4] ირაკლი ხვადაგიანი, *საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919.* თბილისი: SovLab, 2016, გვ. 43.

1918 წელს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების სამინისტროს საჭიროებისათვის დახარჯული თანხა მთელი ხარჯვითი ბიუჯეტის მხოლოდ 2.73 პროცენტი იყო,[1] 1919-1920 წლის პროპორციები მნიშვნელოვნად შეიცვალა და განათლების სფეროზე ბიუჯეტის უკვე 4.7% იხარჯებოდა.[2] 1921 წლის საბიუჯეტო გეგმის თანახმად, რესპუბლიკის განათლების სფეროსათვის ბიუჯეტის 5.2% (450 მილიონი მანეთი) უნდა დახარჯულიყო.[3] ფაქტობრივად, ორი წლის განმავლობაში განათლების სფეროზე გაღებული ხარჯების პროპორცია ბიუჯეტში გაორმაგდა, ამავდროულად ინფლაციის გამო მნიშვნელოვნად იზრდებოდა თავად ბიუჯეტის მოცულობებიც.

შედარებისათვის მნიშვნელოვანია რეგიონში მეზობელ სომხეთის რესპუბლიკის განათლების სისტემის სხვადასხვა მონაცემების მოყვანა. ცნობილი პროფესორი რიჩარდ ჰოვანესიანი თავის ოთხტომეულში „The Republic of Armenia" აღნიშნავს, რომ 1919 წელს მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფმა სომხეთის რესპუბლიკამ განათლების სისტემის საერთო ხარჯებისათვის მხოლოდ 23 მილიონი მანეთი დახარჯა, რაც საერთო ხარჯების 3%-ს უტოლდებოდა.[4]

## III.4. სისტემური სასკოლო რეფორმა

ახალი ქართული სასკოლო სისტემის დაბადების თარიღად შეგვიძლია 1919 წლის 17 ივნისი მივიჩნიოთ, როდესაც სახალხო განათლების მინისტრის მოადგილემ, ნოე ცინცაძემ, მთავრობას წარუდგინა ერთ წლიანი მუშაობის შემდეგ განათლების სამინისტროს მიერ მომზადებული სკოლათა რეორგანიზაციისა და რეფორმირების პროგრამა.[5] ცინცაძის მიერ წარდგენილ მოხსენებასა და დოკუმენტში - „საშუალო სკოლათა რეორგანიზაციის შესახებ",

---

[1] კონსტანტინე კანდელაკი, *საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა.* პარიზი: Institute for the study of the USSR, Paris, 1960, გვ. 171.

[2] იქვე. გვ. 172.

[3] იქვე. გვ. 177-178.

[4] Richard G. Hovannisian, *The Republic of Armenia, Volume II: From Versailles to London, 1919-1920.* Los Angeles: University of California press, 1982, p. 7.

[5] ნოე ცინცაძე სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგად 1919 წლის 10 აპრილს დაინიშნა.

პირველივე გვერდზე გაცხადებული იყო: „ძველი სკოლა თავისი მიმართულებითა და შინაარსით ძველი სინამდვილის ღვიძლი შვილია და ცხადია, დღევანდელი ცხოვრებას და მის მიზნებს იგი ვერ დააკმაყოფილებს. მას აუცილებლად გარდაქმნა, რეორგანიზაცია ეჭირვება“.[1] რეფორმის არსი შემდეგ აბზაცში იყო წარმოდგენილი - „დემოკრატიზმი სოციალურის ინერციით - აი მთავარი საფუძველი, რომელზედაც ჩვენი ახალი სკოლა უნდა აღმოცენდეს, ადამიანის მთლიანი ჰარმონიული და კერძოდ ბუნების, მისი ნებისყოფის განვითარება - აი უმთავრესი მიზანი, რომელსაც სკოლა უნდა ემსახურებოდეს! თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ თანასწორობის იდეაზე აგებულს დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოვლად შეუწყნარებელია, რომ სოციალურად და წოდებრივად განკერძოებულს ერის ყოველ წრეს, ყოველ კლასს, ჰქონდეს თავისი საკუთარი დამოუკიდებელი გზა განვითარებისთვის. თანასწორობა არა მარტო უფლებრივი მოვლენაა, იგი აუცილებლად კულტურულ თანასწორობას ჰგულისხმობს, და, მაშასადამე, მთელი საზოგადოების ცოცხალი ძალები თავისი განვითარებისათვის ერთგვარს, თანასწორსა და თანაბარ პირობებში უნდა იყოს. ცხადია, რომ საზოგადოების ყველა ელემენტისათვის ერთი საერთო განათლების სკოლაა საჭირო თავისი შინაარსით, თავისი პროგრამით ... ყველასათვის ერთი ისეთი სკოლა უნდა შეიქმნას, რომელიც როგორც თავისის შინაარსით, ისე შემადგენლობითაც ერთიანი იქნება“.[2]

განათლების ახალი რეფორმის თანახმად, ერთიანი სასკოლო სისტემა შედგებოდა სამი საფეხურისაგან. სასკოლო განათლების პირველი საფეხური იყო ე.წ „სახალხო სკოლის“ პირველი ორი კლასი, რომელიც ერთგვარ მოსამზადებელ (პირველ დაწყებით, ოკლასიან საფეხურს) სკოლას წარმოადგენდა. მეორე საფეხური, „სახალხო სკოლის“ მესამე და მეოთხე კლასი, უმაღლეს დაწყებითი სკოლა იყო, რომელიც 4 (2 პირველ დაწყებით, ხოლო 2 საკუთრივ უმაღლეს დაწყებით) კლასს აერთიანებდა. სკოლის მესამე საფეხურს კი, რომელიც უმაღლეს დაწყებითი საფეხურის შემდგომ, დამატებით V-VIII კლასებს მოიცავდა (ჯამურად 8 კლასს) საშუალო სკოლად მოიხსენიებდნენ. რეფორმის გეგმის თანახმად, თავდაპირველად საშუალო სკოლის საფეხური ერთიანი პროგრამით იმუშავებდა, თუმცა მომავალში

[1]სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 509, ფურც. 6.
[2]იქვე. ფურც. 6-11.

შესაძლებელი იყო მოსწავლის სურვილის შესაბამისად პროფილური დიფერენციაცია. უკვე 1920 წლიდან მოსწავლეებს შეეძლოთ სწავლა გაეგრძელებინათ სასოფლო-სამეურნეო (საბუნებისმეტყველო) საშუალო სკოლაში, რომელიც კონკრეტული მიმართულებით ამზადებდა მოსწავლეებს. სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლები განათლების სამინისტროსთან კოორდინაციით მიწათმოქმედების სამინისტროს დაქვემდებარებაში იარსებებდა, სკოლის მიზანი სპეციალური კანონით იყო გაწერილი - „სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლის მიზანია მოწაფისათვის სამეცნიერო ნიადაგზე დამყარებული თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის მიწოდება სოფლის მეურნეობის სხვადა-სხვა დარგში და ამ გზით სოფლის მეურნეთა კადრის მომზადება“.[1]

რეფორმის ტექსტში გაცხადებული იყო, რომ საშუალო სკოლა იმუშავებდა ბიფურკაციის მეთოდით და ხელს შეუწყობდა მოსწავლის ინდივიდუალური ნიჭის განვითარებას. დოკუმენტში მიმოხილული იყო ევროპული სასკოლო სისტემის გამოცდილებები და მათგან საუკეთესო პრაქტიკების საქართველოში დანერგვის სურვილი. საშუალო სკოლათა რეფორმა დროში 4 წელზე იყო გათვლილი და 1919-1923 წლებში უნდა განხორციელებულიყო. რეფორმის ტექსტში გაცხადებული იყო, რომ არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე, უარი ითქვა კლასიკური ენების (ლათინური, ძველი ბერძნული) სწავლებაზე, სამაგიეროდ, გერმანული, ფრანგული და ინგლისური[2] ენების გაძლიერებულად სწავლის გადაწყვეტილება მიიღეს. სკოლაში უნდა გაძლიერებულიყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლება. პროგრამას დაემატა ფსიქოლოგიის, პოლიტიკური ეკონომიის, ლოგიკის და სამართლის ისტორიის, ასევე, ფიზიკური ვარჯიშისა და ხელსაქმის საგნები. დოკუმენტის თანახმად საქართველოს ახალ საშუალო სკოლებში შემდეგ პროგრამებს ისწავლიდნენ მოსწავლეები: „სასწავლო გეგმა ჩვენი სკოლისა: ჰუმანიტარული საგნები: ქართული ენა და სიტყვიერება, რუსული და მსოფლიო ლიტერატურა, ორი უცხო ენა მათ შორის ერთი რუსული, მეორე არჩევით ფრანგული, ან გერმანული ან ინგლისური, ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, სამართლის მეცნიერება, ფსიქოლოგია, ლოღიკა; სამათემატიკო-

---

[1] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული* (სპეც რედაქტორი ვ. შარაშენიძე). თბილისი: ივერთა მხარე, 1990, გვ. 433.

[2] ინგლისური ენა საქართველოს სკოლებში სწორედ ამ პერიოდიდან ინერგება.

საბუნებისმეტყველო საგნები: მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება და ჰიგიენა; აღმზდელობითი საგნები: ფიზიკური ვარჯიშობა, სიმღერა-გალობა, მუსიკა, ხელსაქმე და ხელგარჯილობა“.[1]

მთავრობამ მოიწონა ნოე ცინცაძის მიერ წარმოდგენილი რეფორმის ტექსტი და დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას გადასცა. კრებაში დაიწყეს კანონ-პროექტის - „დებულება საშუალო სკოლის რეორგანიზაციისა“ განხილვა და დამტკიცება. კანონ-პროექტში გაწერილი იყო - „საქართველოს რესპუბლიკის საერთო განათლების ყველა საშუალო სკოლა, რომელსაც მთავრობა თავისი ხარჯით ინახავს ერთი ტიპისაა. ქალაქების, ერობებისა და კერძო პირთა მატერიალური დახმარებით დაარსებული სკოლები შეიძლება რამდენადმე განსხვავდებოდეს პირველ მუხლში აღნიშნული ტიპისგან, მაგრამ თავისებური წესდებანი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დამტკიცდეს განათლების სამინისტროს მიერ. საერთო განათლების საშუალო სკოლის მიზანია აღზარდოს მოზარდი თაობა და მისცეს მას დასრულებული მთლიანი საშუალო განათლება და იმავე დროს მოამზადოს უმაღლესი სასწავლებლისთვის“.[2]

რეფორმის დებულების დამტკიცების შემდგომ დაიწყო მის იმპლემენტაციაზე ზრუნვა. სამინისტროში დაარსდა სპეციალური უწყება - სასწავლო კომიტეტი დიმიტრი უზნაძის ხელმძღვანელობით, რომელსაც ორგანიზება უნდა გაეწია რეფორმის ფარგლებში დაგეგმილ მოქმედებებისათვის. ბიფურკაციისა და ინდივიდუალურ უნარების განვითარების მიმართულებით სამინისტრო მიზნად ისახავდა მარია მონტესორის სასწავლო მეთოდების შემოღებას, რისთვისაც 1919 წელს ოფიციალური წერილი გაუგზავნეს თავად მარია მონტესორს. 1920 წლის ზაფხულში კი, მონტესორის პირველი მოსწავლეები ეწვივნენ საქართველოს. გაზეთი „ერთობა“ წერდა: „აგვ. 10 ვაჟების პირველ გიმნაზიაში ზეიმით გაიხსნა მონტესორის სისტემის კურსები. კურსები გახსნა ქალაქის თავის მოვალეობის აღმსრულებელმა ბატონმა კონიევმა (კონიაშვილმა), რომლის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა კურსების მოსაწყობათ მილანიდან ეხლახან ჩამოსულმა ქალბატონმა

---

[1] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 509, ფურც. 6-11.
[2] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 154.

კონდულმარიმ: ნება მომეცით, იტალიის წარმომადგენელი ქალი, პირველად ყოვლისა, მოგესალმოთ იტალიის ხალხისა და განსაკუთრებით მილანში არსებულ ჰუმანიტარულ საზოგადოების სახელით, რომელიც უკანასკნელ 12 წლის განმავლობაში დაუღალავათ შრომობს და ხელს უწყობს მუშათა ბავშვებს მონტესორის სისტემით განვითარებას. მილანში გავიგე რა, რომ საქართველოში გადასწყდა აღნიშნული კურსებისა და ამავე სისტემაზე საბავშვო ბაღების გახსნა, მე აღფრთოვანებით გადავსწყვიტე მთელი ჩემი ღონე და გამოცდილება მომენდომებია საქართველოში ამ საქმის კარგად დაყენებისათვის, ლექციების კითხვა აგვ. 11 დაიწყება. მსმენელი სულ 40 კაცია. კურსები 1 ½ თვეს გაგრძელდება (დ.ს.)“.[1]

***

1919-1921 წლებში სასკოლო კომიტეტის საქმიანობით და არაერთი პედაგოგისა და მეცნიერის მონაწილეობით შეიქმნა ახალი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები სკოლებისათვის. ახალი სახელმძღვანელოები გადიოდნენ სავალდებულო რეცენზირებას. ნოე ცინცაძის წარდგინებით დამფუძნებელმა კრებამ სახელმძღვანელოების ავტორთა წახალისებისათვის სპეციალური ფონდიც კი შექმნა, რომელშიც სახელმძღვანელოების ავტორთათვის ასი ათასი მანეთი გადაიდო.[2] სამინისტრომ ფინანსები გამოუყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და მასვე მიანდო ცალკეულ სახელმძღვანელოთა ხელახლა გამოცემა და ახალ სახელმძღვანელოთა ბეჭდვა. სამინისტრო ხელს უწყობდა სპეციალურ პედაგოგიურ და სამოსწავლო ჟურნალების გამოცემას.

სახალხო განათლების სამინისტროს მაღალჩინოსნის, ვუკოლ ბერიძის მიერ შემუშავდა ქართული ენისა და ლიტერატურის ახალი პროგრამა სკოლებისათვის.[3] ბერიძისეულ პროგრამაში შეტანილი იყო ქართველი კლასიკოსი პოეტების ნაწარმოებები. ასევე, ფართოდ იქნა წარმოდგენილი მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა, პროგრამაში

---

[1] *მონტესორის კურსების გახსნა.* გაზ, საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 11 აგვისტო, N179, გვ. 3.

[2] *სახალხო განათლების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 9 მაისი, N100, გვ. 2.

[3] *ქრონიკა.* გაზ. საქართველო, 1918 წლის 1 ოქტომბერი, N182, გვ. 3.

დიდი ადგილი ეთმობოდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგისა და სხვათა ნაწარმოებებს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლებში აკრძალული იყო საღვთო სჯულის სწავლება, ფართოდ ისწავლებოდა და განიხილებოდა ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები. სასკოლო პროგრამაში შეტანილი იყო ,,ვეფხისტყაოსანი.“[1] საშუალო სკოლათა ისტორიის პროგრამა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელმა ივანე ჯავახიშვილმა 1919 წელს შეადგინა. ისტორიის საგნის სწავლება იწყებოდა ქართული ტომების წარმოშობის ისტორიითა და სრულდებოდა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებითა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკით. პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა პარტიების წარმოშობას, 1905 წლის რევოლუციას. ეროვნულ და სოციალურ მოძრაობას, მსოფლიო ომსა და რუსეთის რევოლუციებს.[2] პროგრამების დანერგვის შემდგომ პრესაში ხშირად აკრიტიკებდნენ სასწავლო კურსებს, მათ შორის დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ გიორგაძემ გააკრიტიკა ისტორიის პროგრამა და აღნიშნა, რომ საშუალო სკოლის სამ კლასში ისტორიის სწავლება რეალურ საჭიროებებს ვერ პასუხობდა და მოსწავლეები პროგრამას ვერ ითვისებდნენ. ამის მიზეზად კარგი სახელმძღვანელოების არარსებობას ასახელებდა.[3] ისტორიის სახელმძღვანელოების ავტორი სიმონ ქვარიანი იყო.

1919 წლის სექტემბერში დაზუსტდა სასწავლო პროგრამები და სკოლები უკვე სისტემატიზებულ სწავლებაზე გადაერთნენ. ამაზე მიუთითებს სკოლებისათვის დაგზავნილი სასკოლო პროგრამები. მაგალითად, ქართული ენა და სიტყვიერების საგანი სკოლის რვავე კლასში ისწავლებოდა. დაწყებით კლასებში საგნის სწავლების მიზანი იყო წერა-კითხვის ცოდნის მიცემა, წაკითხულის შეთვისება და შეგნებული კითხვა, წაკითხულის გადმოცემა, წერა მოკლე ფრაზების და წიგნებიდან გადმოწერა, თავისი მოსაზრებების წერა. ხოლო ზედა კლასებში საგნის სწავლების მიზანი იყო წაკითხული ტექსტის ლიტერატურულად გადმოცემა, ზეპირი ცოდნა, ლექსებისა და იგავ-არაკების

---

[1] სცსა, ფონდი 1935. ანაწ. 1, საქმე 80.

[2] სცსა, ფონდი 1935. ანაწ. 1, საქმე 1000, ფურც 3-5.

[3] გიორგაძე, ა. *სასკოლო საკითხი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 9 მარტი, N55, გვ. 3.

ცოდნა, გარემოსა და ვითარების თავისუფალი აღწერა და სხვები. მოსწავლეები სკოლაში სწავლობდნენ ილია ჭავჭავაძის 20-მდე ნაწარმოებს, ასევე ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, რაფიელ ერისთავის, ეგნატე ნინოშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით კლდიაშვილის, დანიელ ჭონქაძის, გიორგი ერისთავის, ლავრენტი არდაზიანის, თეიმურაზ პირველის, არჩილ მეფის, დავით გურამიშვილის, ბესარიონ გაბაშვილის, ეკატერინე გაბაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ნიკო ლომოურის, სოფრომ მგალობლიშვილის, შიო არაგვისპირელის, იროდიონ ევდოშვილის, დუტუ მეგრელის, გიორგი ქუჩიშვილს, ია ეკალაძის, ვახტანგ ორბელიანის, ვარლამ რუხაძის, ლალიონისა (არსენ მამულაიშვილის) და ალექსანდრე აბაშელის (ჩოჩიას) ნაწარმოებებს. ბოლო - მერვე კლასში ისწავლებოდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო მეექვსე კლასში სასწავლო წლის უდიდესი ნაწილი ეთმობოდა - იაკობ ხუცესის, იონა საბანისძის, გიორგი მერჩულეს, ბასილ ზარზმელისა და სხვათა ტექსტებს.[1]

1919 წლის სასწავლო წლიდან სკოლებში ფართოდ იგეგმებოდა ტანვარჯიშის სწავლება, რის გამოც სკოლებიდან ითხოვდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, ჰყავდათ თუ არა პედაგოგები და ჰქონდათ თუ არა შესაბამისი იარაღები.[2] 1919-1920 წლებში ტანვარჯიშის სწავლების გასაფართოებლად განათლების სამინისტრომ სპორტსაზოგადოება „შევარდენს“ დამფუძნებელი კრების დადგენილებით 2 მილიონი მანეთი გამოუყო.[3]

სკოლებისათვის დიდ გამოწვევად რჩებოდა სასწავლო სივრცეების სიმცირე, მის გათბობასთან და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული გამოწვევები. პრესის ცნობით, სკოლები ზამთარში ვერ თბებოდა სათანადოდ, ხშირი იყო ამ ნიადაგზე მოსწავლეთა დავირუსების შემთხვევები და მასწავლებელთა ჯანმრთელობის პრობლემების გამოწვევა.[4] ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები

---

[1] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 1116, ფურც. 4-5.

[2] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 17, ფურც. 4.

[3] *სასკოლო საკითხი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 11 მარტი, N57, გვ. 1.

[4] რ. კობახიძე, დ. სილაქაძე, დ. ხვადაგიანი, ი. ხვადაგიანი, *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 100 ამბავი.* თბილისი: არტანუჯი, 2018, გვ. 52-53.

ხშირად მიმართავდნენ რეგიონებში ყოფილ თავადთა საკუთრებაში არსებულ ქონებათა რეკვიზიციას, რათა ამ შენობებში ახალი სკოლები გახსნილიყო.[1]

1919 წლის შემოდგომიდან დაწყებით სკოლათა აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივ თვითმმართველობების დაარსებული იყო და მათვე ექვემდებარებოდა მატერიალურად, თუმცა სასწავლო პროცესის მართვას სრულად სამინისტრო განაგებდა, ხელფასების დიდი ნაწილიც სამინისტროს ბიუჯეტიდან მიდიოდა. სამაზრო ერობები ცენტრალურ პრესის ორგანოებში ხშირად აცხადებდნენ მათდამი დაქვემდებარებულ სკოლებში არსებული ვაკანსიების შესახებ. 1919 წელს თბილისის სამაზრო ერობა პირველდაწყებითი სკოლებისათვის მასწავლებლებს ეძებდა - „ქართულ, სომხურ და თათრულ პირველ დაწყებით სახალხო სკოლებისთვის იწვევს მასწავლებლებს, ჯამაგირი თვეში 1200 მანეთი ბინით, განათებით და გათბობით, აგრეთვე იწვევს გამგე-მასწავლებელს ქართულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლისთვის, ჯამაგირი თვეში 1900 მანეთი, ბინა, გათბობა, განათება მსახურთ - ტფილისის მაზრის ერობის გამგეობა“.[2] ხელფასების სიმცირის გამო, ერობები ხშირად ვერ პოულობდნენ სათანადო კადრებს ახლად გახსნილი სკოლებისათვის, რაც, რა თქმა უნდა, სწავლების ხარისხის პრობლემებს ქმნიდა.

1919 წლიდან სახალხო განათლების სამინისტრომ დაიწყო მოქმედ სკოლებში რევიზიების განხორციელება, ჩამოყალიბდა სპეციალური სარევიზიო ინსტიტუტი. რევიზიას ექვემდებარებოდა ყველა ტიპის სკოლა. რევიზორები ესწრებოდნენ რესპუბლიკის ფარგლებში არსებულ ქართულ, სომხურ, რუსულ, აზერბაიჯანულ, ოსურ და ბერძნულ ენოვანი სკოლების საგაკვეთილო პროცესს, ამოწმებდნენ სკოლის ადმინისტრაციების საქმიანობას.[3] რევიზორები თავიანთ ანგარიშებს პრესაშიც აქვეყნებდნენ. 1920 წლის მონაცემებით სკოლების კუთხით ყველაზე მძიმე მდგომარეობა თიანეთის მაზრაში იყო, სადაც ისედაც მცირე რაოდენობის სკოლათაგან უმეტესობა ქაღალდზე არსებობდა.

---

[1] დოდო ჭუმბურიძე, *განათლება 1918-1921 წლებში.* თბილისი: მემატიანე, 2000, გვ. 31-32.

[2] *განცხადება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 6 ნოემბერი, N251, გვ. 1.

[3] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 734, ფურც. 4.

### III.5. სასკოლო განათლების სისტემის რეფორმის შედეგები

1921 წლის იანვრამდე განათლების სამინისტროს სისტემური ანგარიშები არ გამოუქვეყნებია, თუმცა პრესასა და არქივებში შემორჩენილი ანგარიშებით ცალკეული დასკვნების გაკეთება შესაძლებელია. მაგალითად, თბილისის ქალაქის თვითმმართველობა აქვეყნებდა თავისი საქმიანობის ანგარიშს 1918-იდან 1920 წლამდე: „1917 წელს, ძველი თვითმმართველობიდან აგვისტოში ჩაბარებული იქნა ქალაქის ახალ დემოკრატიულ გამგეობას სულ 35 საქალაქო სკოლა, 156 განყოფილებით (კლასით). ამ ჟამათ ქალაქის გამგეობის განკარგულებაში არის 82 სკოლა 382 განყოფილებით, ნაციონალურათ სკოლები შემდეგნაირათ ნაწილდებიან: ქართული 24 (სკოლა), 120 განყოფილებით (კლასით); სომხური 18, 99 განყოფილება; რუსული 23, 86 განყოფილება; მუსლიმების 2, 11 განყოფილება; ოსური 1, 4 განყოფილება. აგრეთვე ქალაქმა მიიღო თავის განკარგულებაში 1 ნემეცური სკოლა 4 განყოფილებით, 1 პოლონური, 4 განყოფ., ხელ-ახლა გახსნა ბერძნული 1 სკოლა 4 განყოფილებით და ერთიც აისორული ორი განყოფილებით. ყველა ზომით ხსენებულ სკოლებში სწავლება სწარმოებს მოწაფეთა მშობლიურ ენაზე“.[1]

სამინისტროში ანგარიშებს აგზავნიდნენ ცალკეული სკოლებიც, შემორჩენილი დოკუმენტების თანახმად, შეგვიძლია დავასახელოთ ცალკეული მონაცემები - 1920 წლის მარტში ბახვის უმაღლეს-დაწყებით სკოლაში გადასახადი 400 მანეთი იყო. სკოლაში 221 მოსწავლე სწავლობდა.[2] ლიხნში სულ 48 მოსწავლე ჰყავდათ.[3] ნიკორწმინდაში სიღარიბის მაღალი დონის გამო 200-240 მანეთი ღირდა სწავლა და 142 მოსწავლე ჰყავდათ.[4] გუდაუთაში სულ 60 მანეთი ღირდა სწავლა და 93 მოსწავლე ჰყავდათ.[5] დაბა ცხინვალში 200 მანეთი ღირდა და 97 მოსწავლე ჰყავდათ.[6] ლაილაში სწავლის საფასური სულ რაღაც

---

[1] *ქალაქის თვითმმართველობაში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 12 მარტი, N58, გვ. 2.
[2] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 902, ფურც. 32.
[3] იქვე. ფურც. 34.
[4] იქვე. ფურც. 38.
[5] იქვე. ფურც. 50.
[6] იქვე. ფურც. 53.

100 მანეთი იყო, სკოლაში 70 მოსწავლე სწავლობდა.[1] ბორჯომის ქალაქის დაბალ სკოლებში სწავლის საფასური 1919 წლის ოქტომბერში სულ რაღაც 80 მანეთი იყო.[2]

1921 წლის იანვარში თბილისში გამართულ მასწავლებელთა ყრილობაზე განათლების მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ და მისმა მოადგილემ ნოე ცინცაძემ განათლების სისტემის რეფორმირების შედეგები წარადგინეს. ლორთქიფანიძემ მასწავლებელთა წინაშე გამოსვლა დაიწყო სახელმწიფოს მშენებლობაში მათი როლის შესახებ საუბრით. ლორთქიფანიძემ სახელმწიფოს და თანამედროვე ერის მშენებლობის მთავარ მესაძირკვლედ და მშენებლად პედაგოგები დაასახელა: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა ქართველთა მოდგმა, ქართველი ტომი, იყო საქართველოს სახელმწიფო, მას მართავდენ ქართველნი მეფენი და მთავარნი, არსებობდა ქართული კულტურა, არსებობდა, ცხოვრობდა და იბრძოდა ქართველი ხალხი, მაგრამ ამისდა მიუხედავათ ჯერ არ არსებულა ქართველთა ნაცია, ქართველი ერი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ვინაიდგან საერთოთ ძველსა და საშუალო საუკუნეებში იყვნენ ხალხები და არა ერები. ქართველი ერიც, ამ სიტყვის ჭეშმარიტ მნიშვნელობით, იბადებოდა და ყალიბდება დღევანდელ ისტორიულ ხანაში. უდიადესი მოვლენა ხდება ჩვენს ცხოვრებაში - ქართველი ხალხი გარდაიქმნეს ქართველ ერათ. ამ დიადი მოვლენის ერთი ნაწილი გამოიხატება იმაში, რომ მთელი ხალხი, დემოსი, გახელმწიფდა, ის მთლიანათ შეიქმნა პოლიტიკური და უზენაესობის მატარებელი, ე. ი. დამყარდა დემოკრატია, მაგრამ ამ დიდი ისტორიული მოვლენის მეორე და უფრო მნიშვნელოვანი ნახევარი ჯერ არ დასრულებულა; ამისთვის საჭიროა სრულად და ყოველ მხრივ განვითარდეს ქართული მეცნიერება, სწავლა განათლება, დასრულდეს ქართული კულტურა და ქართველი ხალხი მთლიანად შეიქმნას არა მარტო პოლიტიკური ხელისუფლების მატარებელი, არამედ გახდეს ამ კულტურის ჭურჭელი. როდესაც არა მარტო მართველნი და ინტელიგენტები, დიდებულნი და მწიგნობარი, არამედ მთელი ხალხი შეიქმნება კულტურის მატარებელი, მაშინ გარდაიქმნება ქართველი ხალხი ქართველ ერათ. ეროვნული მეობის შეგნება,

[1] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 902, ფურც. 75.
[2] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 497, ფურც, 23.

ჭეშმარიტათ ნაციონალური კულტურის შექმნა და შესრულება, აი რა არის, ქვაკუთხედი და მთავარი საფუძველი. დიახ, დღეს შენდება ახალი, მტკიცე და ხალხური საქართველო და ამ შენობის მეტათ მნიშვნელოვანი ნაწილის ხუროთმოძღვარი და უბრალო დურგალიც არის ქართველი მასწავლებელი“.[1]

ნოე ცინცაძემ კი მოხსენება რეფორმის ზოგადი შედეგებით და ადგილობრივ დონეზე რეფორმის განხორციელების ტემპებისა და დონეების განხილვით დაიწყო: „საყოველთაო განათლება განხორციელებულია რიგიანად გურიაში, სენაკის, ქუთაისის და ზუგდიდის მაზრებში, სოხუმის ოლქში ნაკლებად. აღმოსავლეთ საქართველოში სკოლების რიცხვის ზრდა თვალსაჩინო ხდება გორის, თელავისა და სიღნაღის მაზრებში, საერთოდ ეს ზრდა სკოლებისა და მოწაფეთა რიცხვისა მომეტებულად სწარმოებს საქართველოს გამოცხადების შემდეგ, ქალაქებში თითქმის ყველგან სასკოლო ქსელი შევსებულია, მხოლოდ განვიცდით მასწავლებელთა ნაკლებობას“.[2]

ცინცაძემ კონფერენციის დამსწრეებს, პედაგოგებს, საკანონმდებლო ორგანოსა და პრესის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ გააცნო რეფორმის ზოგადი მიზნები, რომლებიც 9 პუნქტად ჩამოაყალიბა, კერძოდ, მან განაცხად: „1) რესპუბლიკის მოქალაქე ვალდებულია გაათავოს 8 წლიანი დაწყებითი სასწავლებელი. 2) დაწყებითი სკოლა ორ საფეხურიანია, პირველი ოთხი საბავშვო ბაღების და მეორე ოთხი ზოგადი განათლების სახით. 3) სასწავლო გეგმების დამუშავება. 4) სახ. სკოლის (პირველ დაწყებითი და უმაღლწეს დაწყებითი საფეხურების) გათავების შემდეგ საშუალო სასწავლებელში გადასვლა. 5) საშუალო სკოლის დიფერენციაცია, ზოგადი და პროფესიული. 6) ზოგადი საშუალო სასწავლებლის კურსი ოთხ წლიანია, 7) სახალხო მასწავლებელთა მოსამზადებლად არსდება 5 წლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტები. 8) საშუალო სკოლის მასწავლებელთა

[1] *სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების მე-2 ყრილობა.* გაზ. ერთობა, 1921 წლის 13 იანვარი, N8, გვ. 3.
[2] *იქვე.* გვ. 3-4.

მოსამზადებლად არსდება საპედაგოგო ინსტიტუტი უნივერსიტეტთან. 9) სკოლების მართვა გამგეობის საკითხის მოგვარება“.[1]

1921 წლის იანვარშივე ნოე ცინცაძემ მასწავლებელთა კონფერენციაზე დამსწრეებს გააცნო განათლების რეფორმის სტატისტიკური შედეგები, რომელშიც არ იყო შეყვანილი ბათუმის ოლქის მონაცემები. ცინცაძის მოხსენებაზე დაყრდნობით პრესაში გამოქვეყნდა სტატისტიკურიმონაცემთა ცრილებიც.[2]

| მაზრები | პირველ დაწყებითი | | | უმაღლეს დაწყებითი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რიცხვი | | | რიცხვი | | |
| | სკოლა | მასწავლებელი | მოწაფე | სკოლა | მასწავლებელი | მოწაფე |
| ქუთაისის გუბერნია | | | | | | |
| ქუთაისის მაზრა | 198 | 588 | 16 676 | 31 | 140 | 3 491 |
| სენაკის მაზრა | 125 | 312 | 11 435 | 19 | 109 | 2 150 |
| ლეჩხუმის მაზრა | 94 | 94 | 7 178 | 4 | 21 | 316 |
| რაჭის მაზრა | 67 | 132 | 4 423 | 4 | 13 | 308 |
| ზუგდიდის მაზრა | 119 | 271 | 10 046 | 12 | 62 | 1 845 |
| შორაპნის მაზრა | 143 | 263 | 9 354 | 11 | 53 | 1 285 |
| ოზურგეთის მაზრა | 134 | 346 | 15 889 | 21 | 122 | 3 773 |
| ქალაქები | 77 | 323 | 11 538 | 25 | 217 | 5 058 |
| სულ | 923 | 2 299 | 81 634 | 127 | 737 | 17 226 |
| თფილისის გუბერნია | | | | | | |
| ახალციხის მაზრა | 19 | 31 | 660 | 1 | 14 | 450 |
| ახალქალაქის მაზრა | 19 | 21 | 155 | 1 | 4 | 145 |
| გორის მაზრა | 195 | 318 | 9 965 | 6 | 18 | 406 |
| თიანეთის მაზრა | 16 | 22 | 412 | 1 | 6 | 69 |
| ბორჩალოს მაზრა | 46 | 72 | 1 451 | 1 | 2 | 34 |

[1] *სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების მე-2 ყრილობა.* გაზ. ერთობა, 1921 წლის 14 იანვარი, N9, გვ. 3-4

[2] *სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების მე-2 ყრილობა.* გაზ. ერთობა, 1921 წლის 19 იანვარი, N13, გვ. 3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუშეთის მაზრა | 39 | 59 | 1 583 | 2 | 5 | 64 |
| თფილისის მაზრა | 65 | 106 | 3 721 | 4 | 18 | 232 |
| სიღნაღის მაზრა | 74 | 159 | 5 138 | 6 | 25 | 406 |
| თელავის მაზრა | 44 | 127 | 2 450 | 2 | 7 | 99 |
| ქალაქები | 144 | 599 | | 19 | 211 | 3 718 |
| სულ | 620 | 1 514 | 46 344 | 43 | 310 | 5 623 |
| სოხუმის ოლქი | | | | | | |
| კოდორის მაზრა | 27 | 47 | 1 380 | 0 | 0 | 0 |
| სამურზაყანოს მაზრა | 55 | 104 | 3 898 | 4 | 15 | 309 |
| გუმისტინის (გუმისთის) მაზრა | 68 | 104 | 2 895 | 0 | 0 | 0 |
| გუდაუთის მაზრა | 34 | 45 | 1 049 | 1 | 4 | 48 |
| ქალაქები | 18 | 51 | 1 451 | 4 | 28 | 485 |
| სულ | 202 | 351 | 10 673 | 9 | 47 | 842 |
| საერთო ჯამში | 1 745 | 4 141 | 138 651 | 179 | 1 094 | 23 691 |

ცინცაძის მოხსენების, თანახმად 1921 წლის იანვარში დასავლეთ საქართველოში (ბათუმის ოლქის გამოკლებით) იყო: 1261 სკოლა, 3 434 პედაგოგი და 110 375 მოსწავლე აღმოსავლეთ საქართველოში იყო: 663 სკოლა, 1824 პედაგოგი და 51 967 მოსწავლე. 1918 წლის აგვისტოში კი, სახალხო განათლების სამინისტროს ცნობით აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ 790 მასწავლებელი ირიცხებოდა და დასავლეთ საქართველოში (ბათუმის ოლქის გამოკლებით) კი, 1936.[1]

სტატისტიკური მონაცემების წარდგენის შემდეგ ცინცაძემ ისაუბრა მომავალ წლებში დაგეგმილი ახალი სკოლების გახსნის შესახებ. ცინცაძის თქმით - „სულ საქართველოს სასკოლო ჰასაკის ბავშვი (მცხოვრებთა რიცხვის 9.5% რომ ვივარაუდოთ)[2] 211,560 იქნება. ჩვეულებრივი სახალხო სკოლის ოთხ განყოფილებიდან პირველ საფეხურისათვის

---

[1] *სახალხო განათლების სამინისტროს მოხსენებიდან.* გაზ. ერთობა, 1921 წლის 19 იანვარი, N13, გვ. 1-2.

[2] 1917 წლის ოფიციალური სტატისტიკით სწორედ 9.5% იყო სასკოლო ასაკის.

საშუალოდ 100 მოწაფე რომ ჩავთვალეთ, არსებული 1745 სკოლა 174 500 მოწაფეს დაიტევდა, მაგრამ თუ მოწაფეთა რაოდენობა მხოლოდ 138 651 განისაზღვრება, ეს უმთავრესად იმ გარემოებით აიხსნება, რომ აღნიშნულ 1745 სკოლათაგან ნაწილი დასრულებული არაა: მათი დიდი ნაწილი უკანასკნელ ორი წლის განმავლობაშია შექმნილი და მაშასადამე, 1 ან 2 განყოფილებისაგან შედგება მხოლოდ, არიან კიდევ, რასაკვირველია სხვა მიზეზებიც, მოწაფეთა სიმცირისა: მაგ., ჩამორჩენილ ადგილებში სკოლას და განათლებას ჯერ კიდევ არ აქვს სასურველი მიმზიდველობა ხალხის თვალში, თუმცა უმეტეს შემთხვევაში, ეს უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, ძველი ინერცია ძლეული იქნა. მაშასადამე თუ სკოლაში საშუალოდ 100 მოწაფეს ვიანგარიშებთ, საყოველთაო განათლების ცხოვრებაში გასატარებლათ რესპუბლიკაში (ბათუმის ოლქის გამოკლებით) საჭირო ყოფილა დაახლოებით 2 100 სკოლა, ამას რომ გამოვაკლოთ 1745 სკოლა, გამოვა, რომ მომავალში საყოველთაო განათლების სასკოლო ქსელის მოსასრულებლად დაახლოებით 360-400 სკოლა უნდა გაიხსნას. ე.ი. თუ სახალხო სკოლის ზრდა ისეთივე ტემპით წავიდა, როგორც უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, საყოველთაო სავალდებულო განათლების სასკოლო ქსელი 1923 წლისათვის, როგორც ეს ნავარაუდევი იყო, განხორციელებულად უნდა ჩაითვალოს“.[1]

ცინცაძის მოხსენებით, ოზურგეთის მაზრაში სასკოლო ასაკის მოსწავლეთა 100% უზრუნველყოფილია სკოლით, 1919 წლისათვის ოზურგეთის მაზრას სულ 6 ახალი სკოლის დაარსება დასჭირდა იმისათვის, რომ საყოველთაო სწავლა-განათლებაზე გადასულიყო.[2] პრობლემები იყო მუსლიმურ და ბერძნულ სკოლების სიმცირესთან დაკავშირებით, 1921 წლისათვის იგეგმებოდა ახალი სკოლების გახსნა. 1921 წლის თებერვალში გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად, ბათუმის ოლქის ჩათვლით მთელ რესპუბლიკაში ყველა ტიპის 2 034 სკოლა ფუნქციონირებდა.

ნოე ცინცაძისვე განცხადებით, 1920 წლის ბოლოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედებდა 60 რუსულენოვანი, 81 სომხურენოვანი, 31

---

[1] *სახალხო განათლების სამინისტროს მოხსენებიდან.* გაზ. ერთობა, 1921 წლის 19 იანვარი, N13, გვ. 2-3.

[2] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 161, ფურც, 4.

თურქულენოვანი, 66 ბერძნული, 48 ოსური და 20 აფხაზურენოვანი სკოლები. ასევე იყო ესტონური, გერმანული და აისორული სკოლები.[1] 1921 წლის იანვრისათვის ქალაქ თბილისში 20 რუსული, 19 სომხური, 2 თურქულენოვანი, 1-1 ბერძნული, ოსური, აისორული და პოლონური სკოლა მოქმედებდა. ბორჩალოს მაზრაში[2] 31 ბერძნული, 16 თურქულენოვანი და 3 სომხური სკოლა მოქმედებდა. თბილისის მაზრაში 14 რუსული, 1 სომხური, 5 თურქულ[3] და 4 ბერძნულენოვანი სკოლა იყო. რესპუბლიკაში არსებული 48 ოსურენოვანი სკოლიდან 41 გორის მაზრაში მოქმედებდა. გუმისთის მაზრაში 8 რუსული, 16 სომხური, 22 ბერძნული და 3 ესტონურენოვანი სკოლა მოქმედებდა, გუდაუთაში 15 სომხური, 5 რუსული და 3 ბერძნული. ახალციხის მაზრაში 4 სომხური და 4 თურქულენოვანი სკოლა მოქმედებდა. ახალქალაქის მაზრაში, სადაც მოსახლეობის 80% სომხურენოვანი იყო, მხოლოდ 1 სომხური სკოლა მოქმედებდა. სიღნაღის მაზრაში 7 რუსული, 2 სომხური, 4 თურქული, ხოლო 5 ოსურენოვანი სკოლა მოქმედებდა. აისორული სკოლა მოქმედებდა დუშეთის მაზრის სოფელ ქანდაში.[4] გარდა ამისა ებრაელთა ეროვნული სკოლები არსებობდა ონსა[5] და კულაშში.[6]

1918-1920 წლებში მხოლოდ გორის მაზრამ 104 ახალი სკოლა შექმნა, მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი ოსურენოვანი იყო.[7] გორის მაზრამ, ასევე, შექმნა 11 ახალი უმაღლესდაწყებითი სკოლა.[8] 1919 წლისათვის ერთადერთი ოსური გიმნაზია მოქმედებდა ქალაქ ცხინვალში, რომელიც 1918 წელს დაარსდა.[9] ბორჩალოს მაზრამ, რომელშიც 1918 წლამდე, ძირითადად, მხოლოდ ბერძნული და რუსული სკოლები

---

[1] *სახალხო განათლების სამინისტროს მოხსენებიდან.* გაზ. ერთობა, 1921 წლის 21 იანვარი, N14, გვ. 3-4.

[2] მაზრაში მცირე რაოდენობით მოქმედებდა ქართულენოვანი სკოლები.

[3] სოფლებში - სოღანლუღში, აგტაგლის, ყარაიაზის, ქესალოს და მუღანლოს.

[4] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 917, ფურც. 1.

[5] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 934, ფურც. 34.

[6] იქვე. ფურც. 36.

[7] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 161, ფურც, 1-3,

[8] იქვე. ფურც, 10.

[9] *სახალხო განათლების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 27 ივნისი, N139, გვ. 1.

ფუნქციონირებდა 1920 წლის ბოლოსთვის 22 ახალი სკოლა შექმნა, მათგან 9 თურქულენოვანი, 6 სომხური, 6 ქართული და 1 რუსული.[1]

შედარებისათვის 1918 წელს სომხეთის რესპუბლიკა განიცდიდა სკოლების სიმცირეს, ამასთან, არსებული სკოლები ვერ ფუნქციონირებდა, რადგანაც ომიანობის გამო გადაადგილებულ და ოსმალეთიდან დევნილ მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის დროებითი თავშესაფრები სწორედ სკოლებსა და სხვა საჯარო შენობებში იყო განთავსებული. 1919 წლის სექტემბერში დაახლოებით 300-მა სკოლამ დაიწყო ფუნქციონრიება.[2] განათლების მინისტრ ნიკოლო აღბალიანის გეგმის თანახმად, რესპუბლიკას საყოველთაო განათლების დიდწილად შესასრულებლად 900-ზე მეტი დაწყებითი სკოლა სჭირდებოდა.

1918-1920 წლებში რეგიონის ქვეყნებიც ცდილობდნენ დაენერგათ საყოველთაო დაწყებითი განათლება. სომხეთის რესპუბლიკამ თავის გამოწვევების ფონზე 1920 წელს შეძლო გარკვეულწილად გაეზარდა თავისი საგანმანათლებლო სისტემა. პროფესორ ჰოვანესიანის მიერ მოყვანილი მონაცემების თანახმად, 1920 წელს სომხეთში 420 სომხურენოვანი დაწყებითი სკოლა ფუნქციონირებდა, დაახლოებით 1000 პედაგოგითა და 38 000 მოსწავლით. 1919 წელთან შედარებით სომხეთის რესპუბლიკის მთავრობამ შეძლო სკოლათა რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდა, ამავე პერიოდში მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა 14 000-ით. 1920 წლისათვის სომხეთის რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა 25 მუსლიმური (აზერბაიჯანული), 22 რუსული და 10 ბერძნული სკოლა.[3]

1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციის 110-ე და 111-ე მუხლებში მკაფიოდ იყო გაწერილი საყოველთაო სწავლა-განათლებისა და განათლებაზე სახელმწიფოს ზრუნვის ბაზისები. კერძოდ, 110-ე მუხლი - „პირველდაწყებითი სწავლა

---

[1] სცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 161, ფურც, 3-4.

[2] Richard G. Hovannisian, *The Republic of Armenia, Volume II: From Versailles to London, 1919-1920.* Los Angeles: University of California press, 1982, p. 310.

[3] Richard G. Hovannisian, *The Republic of Armenia, Volume II: From Versailles to London, 1919-1920.* Los Angeles: University of California press, 1982 p. 310.

საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთს ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც პირველდაწყებითი სკოლა საფუძველია საშვალო და უმაღლესი სკოლისა. სწავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა.“ 111-ე -„სახელმწიფო მიზნად ისახავს: პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცეს. ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობანი თავის შემოსავლის ერთ ნაწილს გადასდებენ ყოველ წლიურად“.[1]

## III.6. განათლების ხელმისაწვდომობა ზრდასრულთათვის

მართალია განათლების სამინისტროს ძირითადი საზრუნავი საყოველთაო სასკოლო სისტემის დანერგვა იყო, თუმცა მასვე უნდა ეზრუნა ზრდასრულთა განათლებაზე. სასკოლო განათლებას შედეგები წლების შემდგომ უნდა მოეტანა, ხოლო იმჟამად არსებული პრობლემის - ზრდასრული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მხრიდან წერა-კითხვის არცოდნა, საბაზო განათლების გარეშე დარჩენა უდიდეს გამოწვევას წარმოადგენდა. წლების განმავლობაში, საიმპერიო რეჟიმის დროს სოციალ-დემოკრატიული პარტია მუშათა წერა-კითხვის წრეებით, სამკითხველოებით და სახალხო უნივერსიტეტებით ცდილობდა მცირე მასშტაბების დონეზე მაინც გამკლავებოდა წერა-კითხვის უცოდინარობის და საბაზო, პრაქტიკული მნიშვნელობით გამოყენებადი განათლების მიცემას. 1918 წლიდან არაფორმალური განათლების ქსელის შექმნის მხარდამჭერად და ერთ-ერთ ინიციატორად უკვე საქართველო გვევლინებოდა. 1920 წლის მიწურულს სამინისტრომ შექმნა სკოლის გარეშე განათლების, ანუ ზრდასრულთა არაფორმალური განათლების დანერგვის მთავარი ინსტრუქტორის აპარატი. მთავარ ინსტრუქტორად პეტერბურგის ერთ-ერთი გიმნაზიის ყოფილი დირექტორი ვ. კანდელაკი დანიშნეს.[2] ინსტიტუტის მთავარ მოვალეობას

[1] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921) (სპეც. რედ. ვ. შარაშენიძე).* თბილისი: ივერთა მხარე, 1990, გვ. 476.

[2] *სახ. განათ. სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 17 ნოემბერი, N261, გვ. 2.

არაფორმალური საგანმანათლებლო ქსელის შექმნა და არსებული დაწესებულებების სინქრონულად მუშაობა წარმოადგენდა. 1920 წლის მარტში რესპუბლიკის მთავრობამ სკოლის გარეშე განათლების დასაფინანსებლად 2 მილიონი მანეთიც გამოყო.[1]

1920 წლის დასაწყისში სახალხო განათლების სამინისტროს სპეციალურმა თათბირმა შეიმუშავა სკოლის გარეშე განათლების დანერგვის ერთგვარი სტრატეგია, რომელიც რამდენიმე ინსტიტუტის განვითარებაზე იყო დამყარებული. კერძოდ, ყველა სოფელში უნდა შექმნილიყო ბიბლიოთეკები, იქ, სადაც შესაბამისი შენობა არ იქნებოდა ბიბლიოთეკა სკოლებთან უნდა გახსნილიყო. სკოლებთან და ბიბლიოთეკასთან ზრდასრულებისათვის უნდა შექმნილიყო წერა-კითხვის სწავლების საღამოს კურსები. მოძრავ სახალხო უნივერსიტეტს უნდა ეზრუნა სოფლებში ლექციების გამართვისათვის.[2] სკოლის გარეშე განათლების გავრცელების მექანიზმად ითლებოდა თვითმმართველობების მიერ რეგიონებში შექმნილი სახალხო უნივერსიტეტის განყოფილებები, სახალხო თეატრები, მოძრავი კინო. ასევე, ჯარში მყოფთათვის სამხედრო სამინისტროს ხელშეწყობით არსებობდა ჯარისკაცთა უნივერსიტეტები, თეატრები და სამკითხველოები.[3]

სკოლის გარეშე განათლების კუთხით ინიციატივებს იჩენდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც 1919 წელს შექმნეს „საერთო განათლების კურსები“, ამ ფორმატის შექმნის მთავარი მიზანი სასკოლო განათლების გარეშე დარჩენილ მოქალაქეთათვის საბაზო განათლების მიცემა იყო.[4]

სამინისტროს ოფიციალური განცხადებით 1921 წლისათვის რესპუბლიკის ზრდასრულთა განათლების სისტემა შემდეგი ინსტიტუტებისაგან შედგებოდა: „1. წერა-კითხვის (საღამოს სკოლები, 2. სახალხო უნივერსიტეტები, 3. სკოლები გართულებული პროგრამით, სადაც წერა-კითხვის მცოდნეთ საშუალება ექნებათ ცხოვრებაში საჭირო

[1] *სასკოლო საკითხები.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 11 მარტი, N57, გვ. 1.

[2] *სკოლის გარეშე განათლება.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 18 იანვარი, N13, გვ. 1.

[3] დოდო ჭუმბურიძე, *განათლება 1918-1921 წლებში.* თბილისი: მემატიანე, 2000, გვ. 181-184.

[4] გრიშა შარაშიძე, *სწავლა-განათლების საქმე.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 31 მაისი, N118, გვ. 3-4

სხვადასხვა საგნის ელემენტარული შესწავლა. 4. სპეციალური კურსები მოზრდილთათვის, 5. მუშათა კლუბები, ბიბლიოთეკები“.[1]

ზრდასრულთა განათლების სისტემის ერთ-ერთი ხერხემალი - სახალხო უნივერსიტეტი პირველად 1905 წლის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა ქუთაისსა და თბილისში, 1907-1908 წლებში კი, აქტიურად დაიწყო ლექციების გამართვა. ის დიდი პოპულარობით სარგებლობდა მოქალაქეებში, განსაკუთრებით კი, მუშებში. 1918 წლის 11 თებერვალს 10 წელი შეუსრულდა თბილისის სახალხო უნივერსიტეტს. პრესაში გამოქვეყნდა ანგარიში, რომელიც 10 წლიან საქმიანობას აჯამებდა. ანგარიშის თანახმად, 1908 წელსვე უნივერსიტეტში 500-მდე წევრი შევიდა, გამართულ ლექციებს 18 685 მსმენელი დაესწრო. ზოგჯერ ლექციებს 600-700 კაცი ესწრებოდა. მოქალაქეებმა კონცერტებითა და აქტივობებით პირველივე წელს 3000-4000 მანეთი შესწირეს. გაიხსნა წერა-კითხვის წრეები, ქართულ, სომხურ, თათრულ, ოსურ და ებრაულ ენებზე. 1909-1912 წლებში ლექციების მსმენელთა რიცხვი შემცირდა, ხოლო 1913-1914 წლებში მცირედით გაიზარდა. შემცირდა შემოსავლებიც. 1908 წლის ბოლოს აკრძალულ იქნა რუსულის გარდა ადგილობრივ ენებზე ლექციების წაკითხვა და ეს აკრძალვა მხოლოდ 1913 წელს გაუქმდა. 1917 წლიდან უნივერსიტეტს მართავდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების კულტურა-განათლების განყოფილება.[2]

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს მოქალაქეები არაერთი სასოფლო თემიდან მოითხოვდნენ თავიანთ სოფლებშიც შექმნილიყო სახალხო უნივერსიტეტები.[3] 1918 წლის ზაფხულში პრესის გვერდებზე გამოჩნდა „მფრინავი (მობრავი) სახალხო უნივერსიტეტის“ შექმნის იდეა.

თბილისში სახალხო უნივერსიტეტს ფართო ქსელი ჰქონდა გაშლილი, ის ყველა რაიონში ფუნქციონირებდა. ვლადიმერ ვოიტინსკი სახალხო უნივერსიტეტების შესახებ წერდა:

---

[1] *სახალხო განათლების სამინისტროს მოხსენებიდან.* გაზ. ერთობა, 1921 წლის 25 იანვარი, N17, გვ. 3-4.

[2] *თფ. სახალ. უნივერსიტეტი.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 3 მაისი, N90, გვ. 3.

[3] თედო ხუხუნაიშვილი, *სახალხო უნივერსიტეტის განყ. საჭიროება სოფლათ.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 6 სექტემბერი, N190, გვ. 3.

„ტფილისის სახალხო უნივერსიტეტი სხვადასხვა უბანში გაფანტული 12 განყოფილებისგან შედგება. ზოგიერთი განყოფილება ძალიან კარგად იყო მოწყობილი და ფლობს ფიზიკის, ქიმიისა და სხვა სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებს… განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მასების პოლიტიკურ განათლებას და, ამ მიზნით, ტარდება ისტორიის, სამართლის, ეკონომიკის ლექციების... სახალხო უნივერსიტეტები პროვინციების მნიშვნელოვან ქალაქებშიც არსებობს. სახალხო უნივერსიტეტების საქმიანობა სოფლებშიც ვრცელდება, სარკინიგზო და დიდი გზებისგან მოწყვეტილ, ყველაზე მიყრუებულ ადგილებში კი... აწყობენ ე.წ. „მოძრავ ლექციებს“.[1]

1918-1921 წლებში სახალხო უნივერსიტეტებს მეურვეობას ადგილობრივი თვითმმართველობები, პროფესიული კავშირები, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციები და სახალხო განათლების სამინისტრო უწევდა. 1919 წლის 17-18 მაისს სახალხო უნივერსიტეტის დასახმარებლად გაიმართა სახალხო უნივერსიტეტის დღეები. სახალხო უნივერსიტეტები სრულიად ეგალიტარულ პრინციპებზე დაფუძნებულ ინსტიტუტს წარმოადგენდა. სახალხო უნივერსიტეტების გამგეობაში აქტიურად მუშაობდნენ და გადაწყვეტილებებს იღებდნენ ქალები. სახალხო უნივერსიტეტი ახალი ფილიალების გახსნისთვის და საქმიანობის გაფართოებისთვის ცდილობდა მოქალაქეებისგან მიეღო დამატებითი ფინანსები და ერთგვარ საზოგადოებრივ დონაციაზე გადასულიყო. ამ მიზნით უნივერსიტეტი ავრცელებდა მოწოდებებს და ცდილობდა მოეზიდა დამატებითი სახსრები. უნივერსიტეტის გამგეობა აწყობდა სახალხო უნივერსიტეტის დღეებს - „დღეს სახალხო უნივერსიტეტის დღეა. სახალხო უნივერსიტეტი, მოქალაქენო, მოითხოვს თქვენგან დახმარებას. თქვენ მოვალე ხართ ხელი გაუწოდოთ მას და გააძლიეროთ გათვითცნობიერების ჩირაღდანი. ხალხის უბედურება გონებრივ სიბნელეშია. ცოდნა-განვითარება ყოველგვარ მონობას სპობს! სახალხო უნივერსიტეტი ხალხის განვითარების საქმეს ემსახურება, ყველა მოვალე ხართ

[1] ვლადიმერ ვოიტინსკი, *ქართული დემოკრატია.* თბილისი: თსუ, 2018, გვ. 267.

მას ძმური დახმარება აღმოუჩინოთ. დაეხმარეთ სახალხო უნივერსიტეტს“.[1] მსგავსი ღონისძიებების შედეგად არაერთხელ შეგროვდა რამდენიმე ათეულ ათასი მანეთი.

სახალხო უნივერსიტეტები 1918-1919 წლებში განიცდიდნენ დიდ ფინანსურ პრობლემებს, სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თბილისის ქალაქის თვითმმართველობის მხარდაჭერა ვერ უზრუნველყოფდა ინსტიტუტს საჭირო ფინანსებით. 1919 წელს მას მხარდაჭერა აღმოუჩინა პროფესიულმა კავშირების ცენტრალურმა ბიურომ - „ფინანსიური კრიზის გამო, სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ მიმართა პროფ. კავშირთა საბჭოს მიიღოს თავის უწყებაში სახალხო უნივერსიტეტი. საბჭომ დაადგინა დააკმაყოფილოს სახალხო უნივერსიტეტის შუამდგომლობა, რადგან სახალხო უნივერსიტეტმა უნდა იარსებოს როგორც დემოკრატიულმა კულტურულმა ცენტრმა“.[2]

1920 წლის იანვარში სახალხო განათლების სამინისტრომ სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ საბჭოს 1 200 000 მანეთი გამოუყო. სამინისტრომ დაიწყო მუშაობა ამ ინსტიტუტის რეფორმირებასა და განვითარებაზე.[3] 1919-1920 წლებში სახალხო უნივერსიტეტში არაერთი პოლიტიკოსი კითხულობდა ლექციებს: ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, გრიგოლ გიორგაძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე, რაჟდენ არსენიძე, ალექსანდრე ლომთათიძე და სხვები.[4] სახალხო უნივერსიტეტების ლექციებს მუდმივად ბევრი მსმენელი ესწრებოდა, თითოეულ ლექციას საშუალოდ 60 კაცი უსმენდა. 1919 წელს თბილისის სახალხო უნივერსიტეტის 12 განყოფილებაში 812 ლექცია გაიმართა ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე. ჯამში ყველა ლექციას ერთად მოუსმინა 46 145 კაცმა.[5]

სახალხო უნივერსიტეტის მნიშვნელობის შესახებ პრესაში ათობით სტატია ქვეყნდებოდა - „ეს კათედრა - სახალხო უნივერსიტეტი - ნამდვილი სკოლაა მუშა ხალხის აღსაზრდელად, განსავითარებლად; აქ მიიღებ ყველა იმ კითხვებზე პასუხს, რომელსაც

---

[1] *განცხადება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 17 მაისი, №107, გვ. 2-3.

[2] *სახალხო უნივერსიტეტი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 27 ივლისი N165, გვ. 4.

[3] *ახალი ამბები.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 6 ივნისი, №125, გვ. 3.

[4] *სხვა და სხვა.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 9 აპრილი, №79, გვ. 3.

[5] *სახალხო უნივერსიტეტი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 5 მარტი, №52 , გვ. 3-4.

ჩვენი დუხჭირი ცხოვრება აყენებს; აქ აშკარავდება და ნათელი ეფინება იმ უსამართლობას, იმ ბოროტ-მოქმედებას, რომელსაც ასე დიდი გასავალი აქვს ჩვენს ცხოვრებაში; აქ მოისმენ კითხვა-პასუხს ბუნების მოვლენების შესახებ და სხვა. სახალხო უნივერსიტეტი - ეს თვალის ახელაა, სიმართლის დანახვაა. ამიტომაც იყო, რომ თვითმპყრობელობის დროს მუშა ხალხისთვის, დემოკრატიისთვის სახალხო უნივერსიტეტის კარები დახშული იყო. მიხ. თამაზაშვილი“.[1]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის 1918 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივ სამაზრო თვითმმართველობებთან და განათლების სამინისტროსთან ერთად უნდა უზრუნველეყო სასოფლო ბიბლიოთეკების შექმნა ადმინისტრაციულ დაწესებულებებთან და სკოლებთან. ოფიციალური მონაცემებით, 1920 წლის ბოლოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 2000-ზე მეტი სასოფლო ბიბლიოთეკა მოქმედებდა.[2]

[1] მიხეილ თამაზაშვილი, *სახალ. უნივერსიტეტი და მისი დანიშნულება.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 7 მაისი, N98.

[2] ვლადიმერ ვოიტინსკი, *ქართული დემოკრატია.* თბილისი: თსუ, 2018, გვ. 268.

## თავი IV. აგრარული რეფორმა, როგორც სოციალური პოლიტიკის ნაწილი[1]

### IV.1. მიწა - სოციალური უთანასწორობის მიზეზი

აგრარული საკითხის დროული და ეფექტური გადაჭრა 1918 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე ყველაზე დიდი გამოწვევა იყო. ამ საკითხის გადაუჭრელობა, ფაქტობრივად, რესპუბლიკის ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენდა. აგრარული საკითხის ამგვარი აქტუალობა დაკავშირებული იყო რუსეთის იმპერიისაგან მიღებულ მემკვიდრეობასთან, რადგანაც 1861 წლიდან მოყოლებული იმპერიაში წამოწყებული საგლეხო რეფორმა ორიენტირებული იყო არა აგრარული საკითხის საბოლოო გადაჭრაზე, არამედ უბრალოდ პროცესის გაჭიანურებაზე. საგლეხო რეფორმამ რუსეთის იმპერიის გლეხებს მოუტანა გარკვეული თავისუფლება, თუმცა ისინი ეკონომიკური თვალსაზრისით კვლავ დატოვა ყოფილ ბატონზე დამოკიდებულ სუბიექტებად. იმპერიის ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში საგლეხო რეფორმამ გლეხების ეკონომიკური მდგომარეობა შესაძლოა ითქვას, რომ გააუარესა კიდეც.

ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმა 1864 წელს დაიწყო. ყმობისაგან გათავისუფლებულ გლეხებს სახელმწიფო აკისრებდა ვალდებულებას, თავიანთი ყოფილი ბატონისაგან გამოესყიდათ მიწის ნაკვეთები კონკრეტული ვადებისა და ტარიფების დათქმით. სწორედ ამ ფორმის დანერგვის შემდგომ გაჩნდა ტერმინი ე.წ. „დროებით ვალდებული გლეხები“. რეფორმის დაწყებიდან 50 წლის შემდეგაც კი, ამიერკავკასიაში ყოფილი ყმების - გლეხების მცირე ნაწილმა შეძლო მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა თავიანთი ყოფილი ბატონებისაგან.

ემიგრაციაში 1960 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი თავის მნიშვნელოვან

[1] აღნიშნული თავის ძირითადი ნაწილის მომზადებისათვის კვლევა [გრანტის ნომერიFR2113590] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნ იერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით/This research [grant number FR-21-13590] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

კვლევაში „საქართველოს ეროვნული მეურნეობა: წიგნი მეორე“, აქვეყნებს 1917 წლის სტატისტიკას მიწათა ფონდის განაწილების შესახებ. კანდელაკი ამ სტატისტიკის შედგენისას ორი მეცნიერის, 1919-1920 წლებში მისი მოადგილის, პროფესორ სიმონ ავალიანისა[1] და პროფესორ გიორგი გეხტმანის კვლევებს ეყრდნობოდა. კანდელაკის თანახმად, 1917 წლისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწის ფონდის საერთო მოცულობა 5 537 207 დესეტინა იყო, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

ა) რუსეთის ხაზინა - 2 020 012 დეს. - 36.4 %

ბ) კერძო მიწისმფლობელები 3 517 195 - 63.5 %

კერძო მიწისმფლობელთა თანაფარდობა კი ასეთი იყო:

ა) თავად აზნაურობა - 621 695 - 17.7%

ბ) გლეხები და გლეხთა საზოგადოებები - 2 915 080 – 82.3%.[2]

საბჭოთა საქართველოში, 1931 წელს გამოცემულ სადავო კვლევების თანახმად 1900 წლისათვის საქართველოში გლეხები მიწის საერთო ფონდის მხოლოდ 6.2 %-ს ფლობდნენ, სახაზინო ფონდში იყო თავმოყრილი მიწების საერთო მოცულობის 57.8% (მათ შორის საეკლესიო მიწები), ყოფილ მებატონეებს (თავად-აზნაურობას) და ახლად ჩამოყალიბებულ მემამულეებს (ვინც მიწები თავადაზნაურობისაგან შეიძინა) მიწების ჯამური რაოდენობის 31.3% გააჩნდათ საკუთრებად.[3] შესაძლოა 17 წლის განმავლობაში მიწათა განაწილების ამგვარი ტრანსფორმაცია, დიდწილად შესაძლოა გამოწვეული

---

[1] სიმონ ავალიანი, *მიწისმფლობელობა საქართველოში.* ქუთაისი: სამაზრო ერობის სტამბა, 1920, გვ. 5-11.

[2] კონსტანტინე კანდელაკი, *საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა.* პარიზი: Institute for the study of the USSR, Paris, 1960, გვ. 147.

[3] გაიოზ დევდარიანი, *მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში.* ტფილისი, სახელგამი, 1931, გვ. 288-289.

ყოფილიყო ე.წ. „სტოლიპინის რეფორმით“[1], რომლის წყალობითაც დაჩქარდა გლეხებზე მიწების გადაცემა. თუმცა, საერთო ჯამში ეს მონაცემები საკმაოდ საკამათოა.

პროფესორ ავალიანის კვლევის თანახმად გლეხები 1917 წლისათვის მიწების 52.6 % ფლობდნენ,[2] თუმცა, გლეხთა უმრავლესობა ძალიან მცირე მოცულობის, ხშირად 1-2 ჰექტარ მიწას ფლობდნენ. ამავე პერიოდში თბილისის გუბერნიის გლეხების 64% და ქუთაისის გუბერნიის გლეხების 42% სამეურნეოდ გამოსაყენებელ მიწებს მოკლევადიანი იჯარით იღებდნენ, ეს კი უმძიმესი ტვირთი იყო მათთვის, რადგანაც ხშირ შემთხვევებში იჯარის ღირებულება გლეხის მიწებზე მოწეული მოსავლის 25-30%-ს უდრიდა, ცალკეულ შემთხვევებში კი, 50%-საც აღემატებოდა.[3]

1918 წელს რესპუბლიკას გააჩნდა მხოლოდ დაახლოებითი სტატისტიკური მაჩვენებლები მოსახლეობის საერთო სტრუქტურაში გლეხთა რაოდენობის შესახებ. მოსახლეობის უახლოესი აღწერა 1926 წელს განხორციელდა უკვე საბჭოთა საქართველოში. აღწერის თანახმად, ამავე პერიოდში საქართველოს მოსახლეობის 83.1% სოფელში ცხოვრობდა და სოფლის მეურნეობის დარგში იყო ჩართული.[4] შედარებისათვის ამავე პერიოდში შვეიცარიის კონფედერაციაში მოსახლეობის მხოლოდ 21.7% იყო დასაქმებული აგრარულ სექტორში. ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აგრარულ სექტორში ჩართულ მოქალაქეთა რაოდენობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ფინეთში ფიქსირდებოდა 30.4%.[5]

---

[1] პეტრე სტოლიპინი (1862-1911) - რუსეთის იმპერიის პრემიერ მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი. მის მიერ წამოწყებულ აგრარულ რეფორმას ეწოდა „სტოპილინის რეფორმა“, რომელიც ორიენტირებული იყო 1861 წელს წამოწყებული საგლეხო რეფორმის დასრულებაზე და გლეხებისათვის მიწების საბოლოოდ გადაცემაზე..

[2] სიმონ ავალიანი, *მიწისმფლობელობა საქართველოში.* ქუთაისი: სამაზრო ერობის სტამბა, 1920, გვ. 7.

[3] კონსტანტინე კანდელაკი, *საქართველოსეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა.* პარიზი: Institute for the study of the USSR, Paris, 1960, გვ. 149.

[4] კონსტანტინე კანდელაკი, *საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი პირველი: ტერიტორია და მოსახლეობა.* პარიზი: დავით ხელაძის გამოცემა, 1935 წელი, გვ. 167.

[5] იქვე, გვ. 167-168.

აგრარული რეფორმის აქტუალობა საქართველოში 1918 წლამდეც მწვავედ იდგა. ამ საკითხის გარშემო ქართული პოლიტიკური ძალები ხშირად წერდნენ პროგრამას. ქართველი სოციალ-დემოკრატები მიწათა მუნიციპალიზაციას და ამ კუთხით საერთო საკუთრების შემოღებას ემხრობოდნენ. თუმცა 1905 წელს გურიის რევოლუციური მოძრაობის წარმატების კვალდაკვალ მოხდა ამ პროგრამის ერთგვარი გადახედვა, რადგანაც გურული გლეხები, რომლებიც სოციალ-დემოკრატთა აქტიური მხარდამჭერები იყვნენ პარტიისეულ „მუნიციპალიზაციის" ეწინააღმდეგებოდნენ და მიწათა კერძო საკუთრებად გადაცემას ემხრობოდნენ.[1] ამ საკითხთან დაკავშირებით პროფესორი სტივენ ჯონსში, თავის ნაშრომში - „სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა" - სოციალ-დემოკრატთა მასშტაბურ იდეოლოგიურ ტრანსფორმაციაზე წერს, რომელმაც საბოლოოდ თავად პარტიისა და ზოგადად გურიის რევოლუციური მოძრაობის წარმატება განსაზღვრა - „გურია ვერ მიაღწევდა ასეთ გრძელვადიან წარმატებას სოციალ-დემოკრატების ჩარევის გარეშე. ზოგჯერ გლეხები თავიანთ ხელში იღებენ ინიციატივას და მთლიანად უარყოფდნენ სოციალ-დემოკრატების ლიდერობას, მაგრამ სოციალ-დემოკრატები, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში გმობდნენ გლეხურ მოძრაობას, როგორც „არამარქსისტულს", საბოლოოდ ამბოხების წარმატების გადამწყვეტ ფაქტორად იქცნენ. მათი როლი გადამწყვეტი აღმოჩნდა მას მერე, რაც ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გარედან მოხვეული აგრარული პროგრამა უარყვეს. მათ გლეხების მოთხოვნები გაითვალისწინეს. რაჟდენ არსენიძე იხსენებდა: ჩვენ ვიბრძოდით, რომ შეგვემსუბუქებინა და შეგვემცირებინა გადასახადები. ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი რამ. ჩვენ იმ აზრს ვუწევდით პროპაგანდას, რომ ბოლოს და ბოლოს, მთელი მიწა გლეხების საკუთრებაში უნდა გადავიდეს - ანუ იმათ ხელში, ვინ მიწას ამუშავებს. მიწა იმას, ვინ მას ამუშავებს, ეს იყო ჩვენი ლოზუნგი".[2]

---

[1] ერიკ ლი, *ექსპერიმენტი - საქართველოს მივიწყებული რევოლუცია.* თბილისი: პოეზია, 2018, გვ. 141.

[2] სტივენ ფ. ჯონსი, *სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 194.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ საფუძვლიანი აგრარული რეფორმისათვის უკვე შესაბამისი პოლიტიკური ნიადაგი შექმნილი იყო. რევოლუციური ხელისუფლებისაგან გლეხები სამართლიან გადაწყვეტილებას ელოდნენ. თუმცა, ამავე ხელისუფლების წინააღმდეგობრიობამ და სისუსტემ საფუძვლიანი რეფორმები გამორიცხა. საბოლოოდ კი, ოქტომბრის გადატრიალებამ თებერვლის რევოლუციას და დროებით ხელისუფლებას წერტილი დაუსვა. ცნობილი მკვლევარი ვლადიმერ ვოიტინსკი თებერვლის რევოლუციის მარცხის და რუსული დემოკრატიული ძალების კრახის ერთ-ერთ მიზეზად დაგვიანებულ აგრარულ რეფორმას და ზოგადად რეფორმირების პროცესის გაჭიანურებას მიიჩნევდა. 1917 წლის ოქტომბრისათვის დროებით ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ გააჩნდა არათუ საბოლოო რეფორმირების გეგმები, არამედ მათი პროექტებიც კი. თუმცა, არც ოქტომბრის რევოლუციის შედეგები და კომუნისტური პარტიის ძალაუფლებაში მოსვლა იყო იმპერიის გლეხთა ინტერესების გამომხატველი. მეტიც, რუსი გლეხები ბოლშევიკების მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოიაზრებოდნენ.[1]

## IV.2. გარდამავალი პერიოდი (1917-1918)

1917 წლის მიწურულიდან ამიერკავკასია რუსეთს, ფაქტობრივად, ჩამოშორდა და რეგიონის მმართველობა 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის მაისამდე საკუთარ თავზე ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატმა იკისრა, შემდეგ კი, ამიერკავკასიის სეიმმა და მის მიერ დამოუკიდებლობა გამოცხადებულმა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ. ეს დროებითი ორგანოები არსებული ქაოტური და ფორსმაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე, ვერ გეგმავდნენ განგრძობად რეფორმებს, შესაბამისად, აგრარული რეფორმის გატარების საკითხი 1918 წლის მაისიდან უკვე რეგიონში წარმოქმნილი სამი ახალი რესპუბლიკის პასუხისმგებლობას წარმოადგენდა. საქართველომ აგრარული რეფორმის გატარებისათვის მზაობა გამოხატა და გაატარა

[1] Wladimir S. Woytinsky, *Stormy Passage: A Personal History Through Two Russian Revolutions to Democracy and Freedom: 1905-1960.* New York: The Vanguard Press, 1961, P. 398.

კიდეც, სომხეთს მხოლოდ წარუმატებელი მცდელობები ჰქონდა.[1] აზერბაიჯანის ხელისუფლებამ კი, რომელიც დიდწილად არისტოკრატიასა და ბურჟუაზიას წარმოადგენდა, ფაქტობრივად არც კი დაიწყო რეფორმაზე მუშაობა. აქვე ისიც ხაზგასასმელია, რომ 1917 წელს ბაქოს, განჯის და ერევნის გუბერნიის გლეხები თითქმის ორჯერ მეტ მიწას ფლობდნენ კერძო საკუთრებად, ვიდრე თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის გლეხობა.[2] შესაბამისად საკითხის სიმწვავე რესპუბლიკებს შორის განსხვავებული იყო. 1918 წლიდან აგრარული რეფორმები დაიწყო ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე შექმნილ ახალ სახელმწიფოებში, მათ შორის უკრაინაში, სადაც გლეხებს უფლება მიეცათ შეეძინათ 25 დესეტინამდე მიწის ნაკვეთები. უკრაინაში, ასევე, დაუშვეს მიწების შესყიდვის კოლექტიური წესი კოოპერატივების საშუალებით. შეძენის პროცესის დასაჩქარებლად კი შეიქმნა სპეციალიზებული სახელმწიფო ბანკი.[3]

ყოფილი რუსეთის იმპერია არ იყო გამონაკლისი, მიწის რეფორმის გატარება დღის წესრიგში იდგა აღმოსავლეთ ევროპის ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოებში, ავსტრო-უნგრეთის იმპერიის ყოფილ ნაწილებში. ამასთანავე, აგრარულ რეფორმაზე მუშაობდნენ გერმანიის რესპუბლიკასა და დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც. მიწის რეფორმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ევროპის სოციალისტურ და გლეხთა (ფერმერთა) პარტიებისათვის. პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში, საფრანგეთის, ავსტრიის, ჩეხეთისა და გერმანიის სოციალისტური პოლიტიკური ჯგუფების საპროგრამო დოკუმენტებში გაცხადებული იყო: დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობის მამულების ნაციონალიზაციისა და გლეხებზე დარიგების პრინციპები. ცალკეულ პარტიებს დეტალურად ჰქონდათ გაწერილი მიწების ჩამორთმევისა და ყოფილ მფლობელებზე კომპენსაციის მიცემის პროცედურებიც, მაგალითად, გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. ისინი აზუსტებდნენ, რომ ჩამორთმეული მიწები გლეხებს უნდა გადასცემოდათ სახელმწიფოს ფინანსური (სასესხო) ხელშეწყობით. ევროპის მემარცხენე პარტიებში დომინირებდა ჩამორთმეულ მამულთა

[1] იქვე, P. 235.

[2] ფირუზ ქაზემზადე, *ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921.* თბილისი: პოეზია, 2016, გვ. 234.

[3] *მიწის ახალი კანონი უკრაინაში.* გაზ. საქართველო, 1918 წლის 25 ივლისი, N147, გვ. 3.

კოოპერატივიზაციისა და მუნიციპალიზაციის იდეები. ეს პოლიტიკური ჯგუფები აგრარულ რეფორმას განიხილავდნენ, როგორც მსოფლიო ომის შემდგომ აუცილებლად გასატარებელი სოციალური პოლიტიკის ნაწილს.

მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აგრარული რეფორმა დაიწყო აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში: ლატვიაში, ლიტვაში, ესტონეთში, ფინეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, იუგოსლავიასა და საბერძნეთში. აღნიშნულ ქვეყნებში გატარებული მიწის რეფორმა, რა თქმა უნდა, განსხვავებული ფორმისა და შინაარსის იყო, თუმცა ძირითადი პრინციპი უცვლელი იყო: მოქალაქეთა ფართო მასამ - გლეხებმა - კერძო საკუთრებად დაიკანონეს მიწები საზოგადოების ეს მასა ამ პერიოდამდე დიდწილად უმიწაწყლო ან მცირემიწიანი იყო.[1]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის აგრარული რეფორმის გატარება მხოლოდ მიწების ჩამორთმევითა და ახალ მესაკუთრეებისთვის გადაცემით არ შემოიფარგლებოდა, რადგანაც საქართველოში სოფლის მეურნეობა რეალურად ძალზე დაბალ დონეზე იყო განვითარებული და მისი მოსავლიანობა ევროპულ მაჩვენებლებს 4-5-ჯერ ჩამორჩებოდა ხოლმე. ამას ემატებოდა ტექნიკური თვალსაზრისით ჩამორჩენილობა, პროფესორ სტივენ ჯონსის შეფასებით, საქართველოს სოფლის მეურნეობა ფრანგთა მეფის „კარლოს დიდი ერაში“ იყო ჩარჩენილი .[2]

საქართველოში აგრარული რეფორმის გატარების მხრივ ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა მიწათა არათანაბარი განაწილება ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში მიწათმოქმედების მინისტრის ნოე ხომერიკის შეფასებით, გლეხები „მიწის შიმშილს განიცდიდნენ“, რადგანაც ამ მაზრებში მიწის დიდი ნაწილი ტყეებსა და მთაგორებს ეკავა.[3]

---

[1] კონსტანტინე კანდელაკი, *საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა.* პარიზი: Institute for the study of the USSR, Paris, 1960, გვ. 154-155.

[2] Stephen Jones, *Between ideology and pragmatism: social democracy and the economic transition in Georgia 1918-21*, Caucasus Survey, Vol. 1, No 2, April 2014, p. 63-81.

[3] იქვე, p. 72.

ვლადიმერ ვოიტინსკი თავის წიგნში „ქართული დემოკრატია“, 1920 წელს წერდა: „საქართველოში თითოეულმა გლეხმა იცის, რა მისცა რევოლუციამ და რევოლუციიდან შობილმა ახალგაზრდა რესპუბლიკამ - მიწა და დემოკრატიული თვითმმართველობა: მიწა - ანუ თავისუფლად მუშაობის უფლება შიშის გარეშე, რომ სხვა მოვა და შენი შრომითა და ოფლით დათესილ ხორბალს წაგართმევს; თვითმმართველობა - რწმენა იმისა, რომ ცხოვრება უფრო და უფრო ნათელი, ადვილი და ცივილიზებული გახდა“.[1]

კონსტანტინე კანდელაკის თავის წიგნში აღნიშნავს, რომ 1917 წლისათვის რუსეთის ყოფილი იმპერიის ყველა მოქალაქე ორი საკითხის გადაჭრას მოელოდა - “ორი დიდი საკითხის გადაჭრას მოელოდა საზოგადოება რევოლიუციიდან: თავისუფლების და მიწის საკითხის. დიდი ხანია, მრავალი ათეულ წლის განმავლობაში, ამ საკითხებს აყენებდნენ თავის პროგრამაში, როგორც ძირითად მოთხოვნილებას, თითქმის ყველა მოწინავე პარტიები“.[2]

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ისევე, როგორც მთელს ყოფილ იმპერიაში საზოგადოება მოელოდა რეფორმების წამოწყებას, მათ შორის კი, უპირველესად, აგრარული რეფორმის გატარებას. საზოგადოების მოლოდინებს აქტიურად ეხმაურებოდა ადგილობრივი პრესა. გაზეთმა „ერთობამ“ მოქალაქეებს აცნობა, რომ დროებითმა ხელისუფლებამ სპეციალური დეკრეტის საფუძველზე გააუქმა საზოგადოების წოდებრივი დაყოფა, გაუქმდა ე.წ. „არისტოკრატიული“ წოდებები, თუმცა ხელისუფლება არ შეხებია ყოფილ „თავად-აზნაურთა“ მიწებს და ისინი ჯერ-ჯერობით კვლავ ძველ მეპატრონეებს რჩებოდათ.[3] დროებითი ხელისუფლების შემდეგი ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო ის, რომ ყოფილი საუფლისწულო და საიმპერიო მამულები ჩამოერთვათ იმპერატორის ოჯახსა და მათთან დაახლოებულ პირებს და მიწის ფონდის ეს უზარმაზარი მასა ჩაირიცხა სპეციალურ სახელმწიფო ფონდში, რომელიც შემდეგ

[1] ვლადიმერ ვოიტინსკი, *ქართული დემოკრატია.* თბილისი: თსუ, 2018, გვ. 271.

[2] კონსტანტინე კანდელაკი, *საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა.* პარიზი: Institute for the study of the USSR, Paris, 190, გვ. 145.

[3] *აგრარული საკითხი.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 16 მარტი, N2, გვ, 1.

განაწილდებოდა რეფორმის ტიპის მიხედვით.[1] 1917 წლის ოქტომბერში, დროებითი ხელისუფლების დამხობამდე ჯერ კიდევ არ იყო ნაბიჯები გადადგმული თავად-აზნაურობისათვის მიწების ჩამორთმევის მიმართულებით.[2]

დროებითი ხელისუფლების დამხობისა და სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ, ამიერკავკასიის რეგიონი რეალურად ჩამოსცილდა ყოფილ საიმპერიო ცენტრს და ერთგვარად დამოუკიდებლად განაგრძო ცხოვრება. ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა კი, 1917 წლის ნოემბრიდან დროებითი ხელისუფლების ორგანო - ამიერკავკასიის კომისარიატი შექმნეს ქართველი სოციალ-დემოკრატის ევგენი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით. კომისარიატი ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ პოლიტიკურ ძალებს აერთიანებდა. 1917 წლის 16 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა პირველი ნაბიჯები გადადგა აგრარული რეფორმის მოსამზადებლად, კერძოდ, გამოსცა დეკრეტი, რომლის შესახებაც გაზეთი „ერთობა“ იტყობინებოდა: „მიწის შესახებ დებულების გამოცემა ამიერკავკასიის კომისარიატისაგან, საფუძვლათ დაედება სოფლის ცხოვრების მოწესრიგებას, და მოწესრიგების საფუძველი იქნება უმიწაწყლო და მცირე მიწის პატრონთა დაკმაყოფილება მიწით. ეს არის თავი და თავი. ყველა საეკლესიო, საუფლისწულო, ხოლო მსხვილ მემამულეთა ზედმეტი მიწები დღეიდან ხალხის ხელში გადადის, მის განკარგულებაში იმყოფება, იგია ამიერიდან ბატონ პატრონი ამ მიწების, მან უნდა მოუაროს და უხელმძღვანელოს მას“.[3] აღნიშნული დეკრეტი მიუღებელი აღმოჩნდა კავკასიაში მოქმედ კომუნისტების ჯგუფებისათვის, რომლებმაც საპროტესტო განცხადებებიც გაავრცელეს.

1917 წლის მარტიდან დეკემბრამდე აგრარული რეფორმის მიმართულებით რეალური რეფორმების არდაწყებამ საკმაოდ მძიმე გამოხმაურებები ჰპოვა გლეხებში. გლეხები, რომლებიც ღიად მოითხოვდნენ მიწების საკუთრებად გადაცემას, უკვე თვითნებურად ახორციელებდნენ ყოფილ თავადების მიწების რეკვიზიციასა და მიტაცებას. ამიერკავკასიის კომისარიატი 1917 წლის დეკემბრის მიწურულს მოქალაქეებს

---

[1] *საუფლისწულო მამულების ბედი.* გაზ. საქართველო, 1917 წლის 24 მარტი, N67, გვ. 3.

[2] *მამულების კონფისკაცია.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 7 სექტემბერი, N141, გვ. 1.

[3] *მიწის დეკრეტი.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 20 დეკემბერი, N221, გვ. 1.

მოუწოდებდა, ხელი აეღოთ თვითნებურ დესტრუქციულ მოქმედებებზე და დალოდებოდნენ რეფორმის გატარებას.[1]

1918 წლის 6 იანვარს კომუნისტების მიერ რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვამ საბოლოოდ დაასამარა რუსეთის დემოკრატიზაციის იმედი და ამიერკავკასიის პოლიტიკურ სუბიექტებს უბიძგა, კიდევ უფრო გაეფართოებინათ რეგიონის დროებითი მმართველობის ორგანოების საქმიანობის სფერო და ერთგვარი ლეგიტიმური ინსტიტუტების შექმნას შესდგომოდნენ. 1918 წლის თებერვალში პოლიტიკური ძალები შეთანხმდნენ 1917 წლის მიწურულს გამართული რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგებზე დაყრდნობით შეექმნათ ამიერკავკასიის დროებითი წარმომადგენლობითი ორგანო - ამიერკავკასიის სეიმი. 1918 წლის თებერვლის მეორე ნახევარში სეიმმა უკვე აქტიური კანონშემოქმედებითი საქმიანობა დაიწყო. სეიმი საკანონმდებლო ორგანოს როლს ასრულებდა, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების როლს კვლავ ამიერკავკასიის კომისარიატი აგრძელებდა. ამიერკავკასიის სეიმმა მალევე გამოაქვეყნა აგრარული რეფორმის დეკრეტის პროექტი:

1) „ყველა კერძო მეპატრონეთა მიწები, გარდა იმ ზომისა, რაც აღნიშნულია შემდეგ სტატიაში (2) ჩამოერთმევა მეპატრონეთ და სრულიად უფასოთ გადავა საადგილ-მამულო ფონდში, რომელიც საადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში იქნება.
2) ჩამორთმეულ მამულების მეპატრონეთ დაუტოვებენ.

ა) 7 დესეტინას[2], თუ ამ რაიონში ეწევიან ძვირფას კულტურის მეურნეობას.

ბ) 15 დესეტინას, უკეთუ მარტო პურის თესვას მისდევენ ამ რაიონში.

გ) და 40 დესეტინას უკეთუ შინაურ საქონლის მოშენებას მისდევენ.

შენიშვნა. 1) საოლქო და საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტებს უფლება ეძლევათ, ადგილობრივ პირობების მიხედვით, ამ სტატიის ძალით მიწის მეპატრონეზე

---

[1] *აგრარული არეულობის გამო.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 28 დეკემბერი, N226, გვ. 1.

[2] 1 დესეტინა - 1.09 ჰექტარი

დატოვებულ მიწების ზომა გაადიდოს; როცა პირველ კატეგორიის მამული ჩამოერთმევა ათ დესეტინამდე, როცა მეორე კატეგორიის 20 დესეტინამდე და მესამე - 50 დესეტინამდე.

შენიშვნა 2) მეპატრონეზე დატოვებულ მიწის ზომაში შედის სამოსახლო ადგილებიც.

3) ხიზნების და ჩამოსახლებულების მიწები, რომლებითაც იგინი „ტიპურ“ უფლებით სარგებლობენ მათ რჩებათ, მხოლოდ იმდენი, რამდენიც აღნიშნულია მეორე სტატიაში.
4) რომ კერძო პირთაგან, მონასტრების, სახაზინო და საუფლისწულო ჩამორთმეულ მიწების კომიტეტებზე გადაცემა ჩქარა მოხდეს, მიწათ-მოქმედების სამინისტროს კომისარს უფლება ეძლევა გაგზავნოს ადგილობრივ საგანგებო რწმუნებულნი, რომელთაც განსაკუთრებული უფლებები ექნებათ და იმოქმედებენ ამიერ-კავკასიის სეიმის სახელით.
5) ამ რწმუნებულებს უფლება ეძლევათ: დააარსონ საადგილ-მამულო კომიტეტები იმ ადგილებში, სადაც ეს არის, ამ კანონის გამოცხადების დღიდან ერთი კვირის განმავლობაში დაითხოვოს არსებული კომიტეტები, უკეთუ იგინი შესაფერათ ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, შეადგინონ ახალი და მიიღონ ყოველივე საჭირო ზომები დავალებულ საქმის ასასრულებლათ.

   შენიშვნა 1) საადგილ-მამულო კომიტეტში არ შეუძლიათ ისეთი პირნი შევიდენ, რომლების მამულები კომიტეტებს უნდა გადაეცეს.
6) უკეთუ მიწის რეფორმების განხორციელების დროს ვინმემ წინააღმდეგობა გაუწია დანაშაულობის დაგვარათ დაისჯებიან: 1-4 თვის დატუსაღებით ან ყოველივე ღირსება უფლების ჩამორთმევით და ერთიდან ოთხ წლამდე კატორღაში გაგზავნით.
7) ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1917 წლის 16 დეკემბრის დებულების პირველი სტატია და 1-3 შენიშვნა უქმდება.
8) ეს კანონი ძალაში შედის იმ დღიდან, რა დღიდანაც მას ამიერკავკასიის სეიმი მიიღებს“.[1]

[1] *მიწის საკითხი.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 8 მარტი, N54, გვ. 2.

ამიერკავკასიის სეიმმა რამდენიმე სხდომა დაუთმო კანონპროექტის განხილვას, საბოლოოდ კი, 1918 წლის 8 მარტში მიიღო კიდეც.[1] კანონის დამტკიცების შემდეგ სეიმის დეპუტატები მოქალაქეებს უკვე მაზრებსა და სოფლებში აცნობდნენ აგრარული რეფორმის ხასიათსა და პროცედურებს.[2] სეიმის მიერ მიღებულ კანონს რეალურ ცხოვრებაში, ფაქტობრივად, გატარებაც არ დასცალდა. 1918 წლის 22 აპრილს სეიმი მძიმე სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის გამო, იძულებული გახდა ოფიციალურად გამოეცხადებინა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. საბოლოოდ, ფედერაცია და სეიმი 1918 წლის 26 მაისს დაიშალა, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის მიერ რეალური რეფორმების დაგვიანებამ გლეხებში მძიმე გამოხმაურება ჰპოვა. ბოლშევიკების ხელშეწყობით 1918 წლის მარტშივე მიწის საკითხის გარშემო აჯანყება დაიწყო გორის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში - ჯავაში. აჯანყებულებს საწყის ეტაპზე ძირითადად აგრარული მოთხოვნები ჰქონდათ (მოითხოვდნენ ცხინვალისა და ჯავის რაიონში ყოფილ თავადაზნაურთა მიწების გადაცემას კერძო საკუთრებად), თუმცა მალევე ამიერკავკასიის ხელისუფლების წინააღმდეგ პოლიტიკური მოწოდებებიც გააჟღერეს. აჯანყებულთა მეთაურები, ძირითადად, ყოფილი ოფიცრები და კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ. აჯანყება საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობდა და რამდენიმე გავლენიანი სოციალ-დემოკრატი პოლიტიკოსიც შეეწირა აჯანყებულთა თავდასხმებს, საბოლოოდ კი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წითელმა გვარდიამ ვალიკო ჯუღელის მეთაურობით აჯანყებულები დაამარცხა.[3]

---

[1] *მიწების ჩამორთმევა.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 10 მარტი, N56, გვ. 1.

[2] *საად.-მამულო რეფორმა.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 30 მარტი, N73, გვ. 3.

[3] დავით ხვადაგიანი, *„სამხრეთ ოსეთი", წითელი ვანდეა.* თბილისი: სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი - საქართველო (საინფორმაციო თავდაცვის ლეგიონი - infoarmu.ge), 2020 წლის 18 ივნისი. გვ. 3. იხ.: https://www.infoarmy.ge/ge/news/148/samkhret-oseti-tsiteli-vandea (ნანახია: 28.09.2023)

1918 წლის აპრილში ხელისუფლება მოუწოდებდა მოქალაქეებს უარი ეთქვათ აჯანყებებსა და ქაოსზე, რადგანაც ეს ყველაფერი კიდევ უფრო ართულებდა აგრარული რეფორმის დაგეგმვასა და გატარებას.[1]

1918 წლის მაისში აგრარულ ნიადაგზე პირველი ღია უკმაყოფილება გაჩნდა სოხუმის ოლქში, სადაც ადგილობრივი თავადები და დიდი მიწათმფლობელები ღიად უპირისპირდებოდნენ ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის, ხოლო შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიდგომებს აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით. მკვლევარი ენდრიუ ანდერსენი, თავის წიგნში - „აფხაზეთი და სოჭი: კონფლიქტის ფესვები 1918-1921" წერს: „მსხვილი აფხაზი მიწათმფლობელი არისტოკრატები, რომლებსაც ეშინოდათ, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატ ლიდერებს შეიძლება მიწის მათთვის არახელსაყრელი რეფორმა გაეტარებინათ, ორიენტაციას ოსმანთა იმპერიაზე იღებდნენ".[2]

სოხუმის ოლქისა და გორის მაზრის ჯავის რაიონში აგრარულ ნიადაგზე არსებული დაპირისპირებები ფუნდამენტურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. კერძოდ, სოხუმის ოლქში აფხაზი თავადები ეწინააღმდეგებოდნენ რეფორმას, რადგანაც რეფორმის შედეგად მათ უხდებოდათ მიწების დათმობა, რომელიც შემდგომ ადგილობრივ მულტიეთნიკურ (ძირითადად, ქართველ და აფხაზ) გლეხებზე გადანაწილდებოდა. ხოლო ჯავას რაიონის შემთხვევაში მიწების დათმობა ქართველ თავადებს მოუხდებოდათ ადგილობრივ ოსი ეროვნების გლეხების სასარგებლოდ.[3]

---

[1] *საად.-მამული რეფორმა.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 11 აპრილი, N83, გვ. 4.

[2] ენდრიუ ანდერსენი, *აფხაზეთი და სოჭი: კონფლიქტის ფესვები 1918-1921.* Eagle head Publishing, 2016, გვ. 18.

[3] Cory Welt, *A missed Opportunity? Ethnic Autonomy and Revolutionary Violence in the democratic Republic of Georgia (1918-1921).* 2012, pp. 2-3. In book "Democracy and State Building in Georgia, 1918-2010" (ed. Stephen F. Jones). London: Forthcoming, 2013.

## IV. 3. რეფორმის ქაოტური ხასიათი 1918 წელს

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აგრარულ რეფორმაზე პასუხისმგებლობა მიწათმოქმედების სამინისტროს დაეკისრა, რომელსაც კოალიციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ნოე ხომერიკი ხელმძღვანელობდა. რესპუბლიკის მთავრობაში აგრარული რეფორმის აქტუალობის შესახებ ვლადიმერ ვოიტინსკი თავის წიგნში წერდა: „სოციალისტები დილემის წინაშე აღმოჩნდნენ: ან გლეხებისათვის უნდა მიენიჭებინათ საკუთრების უფლება მიწებზე, რომელსაც ისინი იჯარით იღებდნენ ან ახალი რესპუბლიკური რეჟიმის მტკიცე დასაყრდენად ექციათ, ან კოლექტივიზაციის აბსტრაქტულ საფუძვლებზე დაყრდნობით, აგრარული რევოლუცია დაესრულებინათ, რაც მინდვრების მიტოვებას, სამოქალაქო ომსა და სისხლიან მოსავლის მომკას ნიშნავდა. ასეთ შემთხვევაში გლეხები უარს განაცხადებდნენ მუშებთან გაერთიანებაზე, სოფელი ქალაქს აუჯანყდებოდა და ხალხის მითქმა-მოთქმის მიყურადებული მსხვილი მემამულეები კონტრრევოლუციას წამოიწყებდნენ. ასეთი არჩევანის წინაშე ყოყმანი შეუძლებელი იყო“.[1]

კარლ კაუცკი თავის ნაშრომში დიდ ადგილს უთმობს აგრარული რეფორმის მნიშვნელობის გაანალიზებას. რეფორმის გატარების აუცილებლობის შესახებ კი, წერს: „აგრარული რევოლუცია აუცილებელი გახადა რიგმა გარემოებებმა, რომელიც საქართველოშიც რუსეთის მსგავსი იყო. აგრარული რევოლუცია დემოკრატიის პირობებშიც იმავე დასასრულამდე მივიდა, სადამდეც დიქტატის ვითარებაში. მაგრამ დემოკრატიის პირობებში რევოლუცია უფრო მშვიდობიანად, სისტემურად და გაცნობიერებულად განხორციელდა, ნაკლები ქაოსისა და არეულობის გარეშე. წინდაუხედაობით გამორჩეულ გლეხთა ნაწილსა და პრივილეგირებულებს რაიმე განსაკუთრებული უპირატესობა არ მიენიჭებათ“.[2]

---

[1] ვლადიმერ ვოიტინსკი, *ქართული დემოკრატია.* თბილისი: თსუ, 2018, გვ. 213.

[2] კარლ კაუცკი, *საქართველო - გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა: შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი.* თბილის: თსუ, 2018, გვ. 88.

1918 წლის 26 მაისის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება ღიად აცხადებდა, რომ აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით საჭირო იყო ახალი საკანონმდებლო ბაზა. მაგალითად, ნოე ჟორდანიამ მთავრობის თავმჯდომარედ არჩევის დღესვე, 1918 წლის 24 ნოემბერს განაცხადა, რომ მისი მეთაურობით იმუშავებდნენ რეფორმის ახალ ფორმასა და კანონმდებლობაზე. აგრარული რეფორმის განხილვას დიდი დრო დაეთმო 1918 წლის ნოემბერში გამართულ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მე-7 ყრილობაზე, სადაც აღსდგა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი. ყრილობაზე მიწათმოქმედების მინისტრმა ნოე ხომერიკმა ვრცელი მოხსენება გააკეთა და განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატთა გეგმის თანახმად, მალევე დაიწყებოდა აგრარული რეფორმა, რომელიც ძირითადი მზიანი მიწების გლეხებისათვის კერძო საკუთრებად გადაცემას გულისხმობდა.[1] ეს, ფაქტობრივად, სოციალ-დემოკრატთა აგრარული პროგრამის მნიშვნელოვანი ცვლილება იყო, რადგანაც 1917 წლამდე პარტია მიწების მუნიციპალიზაციას მოითხოვდა და არა კერძო საკუთრებაში გადაცემას.

სოციალ-დემოკრატთა ხედვებს აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით ოპოზიციური პარტიები (ჯერ კიდევ კოალიციურ მთავრობაში მყოფნი) მარჯვნიდან და მარცხნიდან მწვავედ აკრიტიკებდნენ. მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატები აკრიტიკებდნენ სოციალ-დემოკრატებს მესაკუთრეებისგან მიწების კომპენსაციის გარეშე ჩამორთმევას ხოლო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები - სოციალ-დემოკრატებს საერთო საკუთრების ნაცვლად კერძო საკუთრების შემოღების გეგმების გამო. ეროვნულ-დემოკრატები სოციალ-დემოკრატებთან ერთად აკრიტიკებდნენ მემარცხენე ოპოზიციურ პარტიებსაც.[2]

1918 წლის ბოლოსა და 1919 წლის დასაწყისში მიწათმოქმედების სამინისტროს სტრუქტურულმა ერთეულმა, ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა დეტალურად დაითვალა რესპუბლიკის ფარგლებში არსებული მიწის ფონდი. კომიტეტის მიერ

---

[1] შოთა ვადაჭკორია, *ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში.* თბილისი: მეცნიერება, 2001, გვ. 299-300.

[2] ალექსანდრე ასათიანი, *მიწის საკითხი საქართველოში.* გაზ. საქართველო, 1918 წლის 9 ივნისი, N113, გვ. 2.

შედგენილი სტატისტიკის თანახმად, 1919 წელს საქართველოს მიწის ფონდი ბათუმისა და ზაქათალის ოლქის გამოკლებით (ამ ოლქებს რესპუბლიკა ვერ აკონტროლებდა) 7 067 676.8 კვადრატულ დესეტინა მიწას შეადგენდა, ამ ფონდის მხოლოდ 12%-ს 852 156 დესეტინას წარმოადგენდა სახნავ-სათესი მიწები. მიწის ფონდი მაზრების მიხედვით ამდაგვარად ნაწილდებოდა:[1]

| მაზრა | მიწათა ფონდი | სამეურნეო მიწები | სახნავ-სათესი მიწები | ვენახები |
|---|---|---|---|---|
| ბორჩალოს | 691 690.7 | 151 556.2 | 111 131.5 | 1 756.3 |
| სიღნაღის | 606 312.1 | 63 528.8 | 50 902.3 | 5 533.1 |
| დუშეთის | 390 910.4 | 24 072.9 | 18 740.0 | 1 298.1 |
| თფილისის | 458 771.5 | 70 239.5 | 55 650.5 | 2 685.3 |
| გორის | 688 322.2 | 84 293.3 | 72 019.5 | 3 703.2 |
| ახალციხის | 267 188.9 | 30 271.1 | 27 019.5 | 743.2 |
| თიანეთის | 486 954.9 | 13 845.5 | 11 660.8 | 316.7 |
| ახალქალაქის | 277 188.9 | 10 097.5 | 78 681.4 | 293.0 |
| ქუთაისის | 348 633.5 | 66 350.0 | 59 276.7 | 6 848 |
| რაჭის | 283 774.8 | 17 226.7 | 12 659.6 | 1 639.7 |
| სენაკის | 214 179.2 | 45 580.6 | 43 936.2 | 231.8 |
| ოზურგეთის | 217 598.3 | 27 889.8 | 25 912.1 | 806.6 |
| ლეჩხუმის | 490 632.1 | 12 700.6 | 10 702.6 | 611.2 |
| შორაპნის | 300 133.9 | 52 684.5 | 43 513.0 | 9 091.2 |
| ზუგდიდის | 268 861.8 | 51 049.0 | 49 412.9 | 1 594.6 |
| სოხუმის ოლქის | 831 103.9 | 99 103.6 | 90 826.3 | 6 658.0 |
| სულ | 7 067 676.8 | 851 155.8 | 787 949 | 48 084.7 |

[1] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 63, ფურც. 1-2.

1918 წლის ზაფხულში მემარცხენე ოპოზიციური პარტიები აცხადებდნენ, რომ მიწების უდიდესი ნაწილი ყოფილ თავადაზნაურობას ეკუთვნოდა და სასწრაფოდ უნდა ჩამორთმეოდათ. ამის საპასუხოდ მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გაზეთ „საქართველოში" გამოაქვეყნა სტატისტიკა, თუ რეალურად მიწის რა ფართობებს ფლობდა ყოფილი თავადაზნაურობა.

| კერძო მიწათმფლობელობა საქართველოში[1]<br>1. თავად აზნაურობის მიწები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თბილისის გუბერნიის მაზრები | სულ თ. აზნ. მიწები დესეტინობით | აქედან ა) ტყე და საძოვარი | რაც შეადგ. თ. მიწ. % | ბ) მიწადმოქმ. გამოს. მიწ. სახ.-სათიბ-ბაღ | მფლობელობათა რიცხვი |
| ახალქალაქის | 13 117.23 | 8 111.21 | 61.82 | 5 006.02 | 111 |
| ახალციხის | 27 233.35 | 24 081.27 | 88.43 | 3 152.08 | 147 |
| ბორჩალოს | 250 004 | 194 439.35 | 77.77 | 55 564.51 | 551 |
| გორის | 343 651.53 | 268 914.56 | 78.26 | 74 736.51 | 2 7 58 |
| დუშეთის | 93 381.25 | 74 792 | 80.08 | 18 589.25 | 560 |
| სიღნაღის | 85 224.80 | 70 828 | 83.11 | 14 396.80 | 566 |
| თელავის | 73 805.41 | 59 667 | 80.85 | 14 138.41 | 552 |
| თბილისის | 70 573.57 | 49 959 | 70.78 | 20 614.57 | 471 |
| თიონეთის | 35 224.94 | 30 422 | 86.37 | 4 802.94 | 168 |
| მთლიანად გუბერნიაში | 992 216.11 | 78 216 | 78.73 | 212 000.11 | 5884 |
| 2. ქუთაისის გუბერნიაში | | | | | |
| ზუგდიდის | 76 494.29 | 61 239.18 | 80.06 | 15 255.04 | 1986 |
| ქუთაისის | 40 052.86 | 24 105.58 | 60.19 | 15 946.77 | 2726 |
| ლეჩხუმის | 217 361.77 | 212 435 | 97.73 | 4 926.77 | 871 |
| ოზურგეთის | 58 429.41 | 44 664.16 | 76.44 | 13 765.25 | 1278 |
| რაჭის | 6 859.41 | 4 793.56 | 69.88 | 2 065.99 | 771 |

[1] ალექსანდრე ასათიანი, *მიწის საკითხი საქართველოში.* გაზ. საქართველო, 1918 წლის 23 ივნისი, N124, გვ. 2

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სენაკის | 63 309.56 | 48 223.93 | 76.01 | 15 085.63 | 2584 |
| შორაპნის | 32 618.50 | 21 681.94 | 66.48 | 10 96.56 | 2639 |
| მთლიანად მაზრაში | 495 125.36 | 417 043.35 | 84.23 | 78 082 01 | 12857 |

აღნიშნული სტატისტიკა ნათლად აჩვენებდა, რომ გუბერნიებსა და მაზრებს შორის დიდი დისბალანსი იყო მიწათა ფონდის განაწილების კუთხით. თავადაზნაურთა საკუთრებაში არსებული მიწების მოცულობებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. მაგალითად, თბილისის გუბერნიის არისტოკრატიის 11% 1 დესეტინაზე ნაკლებ მიწას განაგებდა, თავადაზნაურთა 54% 20 დესეტინაზე მეტ მიწას ფლობდა, ხოლო ამ კლასის 6.14%  500 დესეტინაზე მეტ მიწის ფართობებს ისაკუთრებდა. შედარებისათვის, დასავლეთ საქართველოში 500 დესეტინაზე მეტს აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით 10-ჯერ ნაკლებს, 0.64% ისაკუთრებდა, ხოლო გლეხების აბსოლუტური უმრავლესობა 90% ფლობდა 25 დესეტინაზე ნაკლებს.[1]  გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ მიწების უდიდესი ნაწილი არ იყო სახნავ-სათესი.

აგრარული რეფორმის გაჭიანურებამ 1918 წლის ზაფხულშივე გამოიწვია გლეხთა მნიშვნელოვანი აჯანყებები, რომელსაც მხარდაჭერას სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით ბოლშევიკები  უწევდნენ. აჯანყებები მოეწყო დუშეთში, თიანეთში, ლეჩხუმში, ოზურგეთსა და ზუგდიდში[2]. სოციალ-დემოკრატთა გაზეთი „ერთობა“ წერდა:   “ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი კუთხე აჯანყების ალშია გახვეული. ბევრი თავდადებული რევოლუციონერი გამოასალმეს წუთისოფელს ლეჩხუმში და ოსეთში, დუშეთის და თიანეთის ზოგ ადგილებში. ამის გამო უსაზღვრო სიხარულს ეძლევიან რევოლუციის მტრები, ხოლო ხალხის მოკეთენი სასოწარკვეთილებაში ვარდებიან. ჩვენსა და გლეხობას შორის ხიდია ჩატეხილი, გლეხობას ჩვენ ვერ მივეცით მიწა და ეს

[1] ალექსანდრე ასათიანი, *მიწის საკითხი საქართველოში.* გაზ. საქართველო, 1918 წლის 23 ივნისი, N124, გვ. 2

[2] ვასო-მუშა, *ანარქია ზუგდიდის მაზრაში.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 10 ივლისი, N142, გვ. 2-3.

გარემოებაა, რომ სოფელი ჩვენს მთავრობას აღარ ემორჩილებაო... ...შეგნებულ საქართველოს ვანდეა აუჯანყდა. საჭიროა მისი ალაგმვა და ქვეყნის გადარჩენა“.[1]

მალევე ამავე გაზეთში გამოქვეყნდა რეფორმის გარდაუვალობის შესახებ ცნობები, სოციალ-დემოკრატები რეფორმის აუცილებლობას, ფაქტობრივად, ეგზისტენციალურ საფრთხეებს უკავშირებდნენ: „მაშასადამე, ჩვენს წინაშე ამ ჟამათ ასე დგას კითხვა: - ან მივცეთ გლეხკაცობას ჩამორთმეული მიწები კერძო საკუთრებათ და ამით გლეხკაცობა რევოლიუციას გამოესარჩლება, როგორც აქტიური დამცველი და გადაარჩენს რა ქვეყანას ანარქიის ქარცეცხლისაგან, იხსნის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ანდა თუ ამას ვერ გავითვალისწინებთ, დავღუპავთ ყველაფერს“.[2]

1918 წლის ნოემბერში პარტიულ ყრილობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე რამდენიმე თვით ადრე სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ წამოიწყო კამპანია, რომლითაც მოქალაქეებს უმტკიცებდნენ, თუ რატომ იყო საჭირო პარტიის აგრარული პროგრამის მნიშვნელოვნად გადახედვა, მათთვის ტრადიციულ „მუნიციპალიზაციის“ დოგმის ცვლილება და კერძო საკუთრების პოლიტიკის გატარება. მაგალითად, ცნობილი სოციალ-დემოკრატი იოსებ სალაყაია ვრცელ სტატიებში წერდა: “მიწა უნდა გადაეცეს ადგილობრივ თვითმმართველობას, უნდა მოხდეს მისი მუნიციპალიზაცია, ვამბობთ ჩვენ [სოციალ-დემოკრატთა ნაწილი]... დღევანდელ პირობებში ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გამოცხადდეს მიწის ნაციონალიზაცია. მესაკუთრე ჩამორთმეული მამულის იქნება მთელი ერი და მისი უმრავლესობა - ის მოაწესრიგებს მის დამუშავების პირობას, როგორც მას სურს. ხვალ შეიძლება ის იყოს ლიბერალურ-რადიკალურ უმრავლესობის ხელში, ხოლო ზეგ ის უსათუოდ სოციალისტურ უმრავლესობის ხელში გადავა, როდესაც სოციალისტები შეეცდებიან უკეთესი და ხელსაყრელი გეგმა წარუდგინონ ამომრჩევლებს. რაც შეეხება მიწის ადგილობრივ გამგეობას, ეს უნდა გადავიდეს ერობის ხელში სახელმწიფოს კონტროლს ქვეშ... ... ის ჩვენი ამხანაგები, რომელნიც იცავენ მიწის კერძო საკუთრებათ გადასვლას სოფლის მუშის ხელში, უმთავრესად ხელმძღვანელობენ

[1] *ჩვენი ვანდეა.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 28 ივნისი, N132, გვ. 1.

[2] *სასოფლო კომისიაში.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 25 ივლისი, N155, გვ. 3.

პოლიტიკური მოსაზრებით. ამ ნაირად სურს დასცენ პოლიტიკური გავლენა მსხვილი მიწათმფლობელების. ამასთან ერთად ჩარჩული, პარაზიტული ნიადაგი გამოაცალოს ჩვენს მიწათ მოქმედებას. ეს მართალი აზრია".[1]

რეფორმის დაწყებისას უცხო ქვეყნის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა რესპუბლიკის მთავრობას მიმართეს თხოვნით, რათა მიწების ჩამორთმევის პრაქტიკა არ გავრცელებულიყო იმ პირებზე, რომლებიც არ იყვნენ საქართველოს მოქალაქეები. მმართველი პარტიის პოზიცია ნათელი იყო, ისინი არ ემხრობოდნენ გამონაკლისების დაშვებას.[2] სამინისტრომ თათბირები გამართა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ კანონი გავრცელებულიყო უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მფლობელობაში არსებულ მიწებზეც, რადგანაც საერთო ფონდში ამ მიწებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.[3]

აგრარული რეფორმის ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნამდე, რეფორმა 1918 წლის 8 მარტის კანონის მიხედვით ინერციით მიმდინარეობდა. სამინისტროს ანგარიშებიდან ვიგებთ, რომ ძირითადად ამ პერიოდში სპეციალური კომისიები მუშაობდა ნორმის ზემოთ არსებული მიწების ჩამორთმევის მიმართულებით. თუმცა, ზოგადი სურათი მძიმე იყო, რადგანაც უმეტესწილად კომისიების მუშაობა შეფერხებით მიმდინარეობდა - „გორის მაზრა: გლეხები მოითხოვენ მათდამი მიწების კერძო საკუთრებათ (უფასოთ) გადაცემას. მიმღები კომისიის მუშაობა ნელის ნაბიჯით მიდის. ადგილობრივი პირობები მუშაობას ხელს უშლიან.

დუშეთის მაზრა: ამ ჟამათ მიმღები კომისიის მუშაობა სავსებით შეწყვეტილია. მიწის კანონს მცხოვრებლები იჭვის თვალით უყურებენ. იყო შემთხვევები, როცა მიმღები კომისიები დაატუსაღეს. გლეხები მიწებს იტაცებენ, ეშინიათ, რომ კვლავ მიწათმფლობელებს არ ჩაუვარდეთ ხელში.

---

[1] ბ. თეკლათელი [იოსებ სალაყაია], *მიწის საკითხი.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 31 ივლისი, N160, გვ. 2.

[2] *მიწის საკითხი და უცხოელები.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 7 ივლისი, N140, გვ. 1.

[3] *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1918 წლის 21 ნოემბერი, N97, გვ. 2

თბილისის მაზრა: მაზრაში მუშაობს 6 მიმღები კომისია. გლეხებისაგან აქტიური წინააღმდეგობა (დაბრკოლება) არ არის შემჩნეული, აგრეთვე აქტიური დახმარება. სულ მიღებულია 24 610 დესეტინა. აქედან გლეხების მიწებია 4 212 დესეტინა მემამულეების - 15 662, სამინისტროს 537 დეს., სხვადასხვა მიწები 4 212 დეს. მისაღებია კიდევ 115 389.

თელავის მაზრა: მაზრაში მუშაობს 5 მიმღები კომისია. მიღებულია 221 დეს. ვენახი, დიდი ბაღი 10 893 დეს. სახნავ სათესი 25 992 დეს. მიმღებ კომისას არ უყურებენ ნდობის თვალით. კომისიას გლეხებთან არ აქვთ კავშირი. კერძო საკუთრებისადმი მისწრაფება დიდია“.[1]

აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით 1918 წელს ბევრად მცირე მიწის ნაკვეთები დამუშავდა, ვიდრე წინა წლებში. ეს პროცესი კიდევ უფრო ამძიმებდა ისედაც გამწვავებულ სასურსათო კრიზისს. მიწათმოქმედების სამინისტრომ დაიწყო სპეციალური პროგრამის გატარება, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკაში ხორბლისა და სხვა მარცვლეულების იმპორტი თავისუფლდებოდა გადასახადისაგან, ხოლო ამავე პროდუქტების ექსპორტი, ფაქტობრივად, აკრძალული იყო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სასურსათო კრიზისის დაძლევის კუთხით ეს ნაბიჯები ნაკლებ ეფექტური იყო, რადგანაც რესპუბლიკა, ძირითადად, სამხრეთ რუსეთიდან მარაგდებოდა ამ რესურსებით, სადაც ამ დროს სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა, ამასთან საქართველოსა და ე.წ. „თეთრ რუსეთის“ სამხედრო ხელმძღვანელებს შორის არსებული ცუდი ურთიერთობების გამო, რუსული მხარე, ფაქტობრივად, კრძალავდა საქართველოში მარცვლეულისა და პურის ფქვილის იმპორტს.[2]

## IV.4. მიწათმოქმედების სამინისტროს სტრუქტურა

როგორც აღვნიშნეთ, 1918 წლის მაისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში მიწათმოქმედების მინისტრის პოსტი გავლენიანმა სოციალ-დემოკრატმა

---

[1] *თათბირი მიწად-მოქმედების სამინისტროსთან აგრარული რეფორმის გამო.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 2 აგვისტო, N162, გვ. 3.

[2] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 3, ფურც. 87.

ნოე ხომერიკმა დაიკავა, ხომერიკი თანამდებობაზე 1920 წლის დეკემბრამდე დარჩა, ფაქტობრივად, ის იყო აგრარული რეფორმის მთავარი გამტარებელი. ამ პერიოდში ხომერიკის ამხანაგი (მოადგილე) სოციალ-დემოკრატი პეტრე გელეიშვილი იყო, რომელიც შემდგომში მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე, ასევე, სოციალ-დემოკრატმა ისიდორე მალანიამ შეცვალა. მალანია მინისტრის მოადგილეობამდე სენაკის სამაზრო ერობის გამგეობის (აღმასრულებელი ორგანოს) თავმჯდომარე იყო. 1920 წლის 3 დეკემბერს ნოე ხომერიკი მინისტრის თანამდებობაზე, ასევე, გავლენიანმა სოციალ-დემოკრატმა, დამფუძნებელი კრების წევრმა, თბილისის სამაზრო ერობის ხმოსანთა საბჭოს თავმჯდომარემ დავით ონიაშვილმა შეცვალა. 1918-1920 წლებში მიწათმოქმედების სამინისტროს სტრუქტურა მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდიდა, თუმცა, ძირითადად, უწყებას შემდეგი შიდა განყოფილებები გააჩნდა: იურიდიული, ადმინისტრაციული, სასოფლო სამეურნეო, აგრარული რეფორმის, სახელმწიფო მამულთა, გადასახლებათა, საიჯარო და სატყეო.[1]

1918 წელს სამინისტროს საკმაოდ მოკრძალებული ბიუროკრატიული აპარატი გააჩნდა. მინისტრის ხელფასი 1 500 მანეთი იყო, სამინისტროს კანცელარიის (ადმინისტრაციის) უფროსის ჯამაგირი - 1000 მანეთი, ხოლო შიკრიკის მხოლოდ 300 მანეთი.[2] შედარებისათვის 1920 წელს ინფლაციიდან გამომდინარე, მინისტრის ხელფასი 6-ჯერ იყო გაზრდილი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჯამაგირი 5 000 მანეთს შეადგენდა, ხოლო შიკრიკის 1 300 მანეთს. სამინისტროს ბიუროკრატიულ აპარატში ათობით ქალი იყო დასაქმებული.[3] სამინისტროში მრავლად მუშაობდნენ ეროვნებით რუსი მოხელეებიც. მთავრობის მიერ არაერთხელ გაჟღერებული მოთხოვნის მიუხედავად, სამინისტროში ვერ დაინერგა 1918 წლის 1 ოქტომბრის კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. 1920 წლის შუა პერიოდშიც კი სამინისტროს საქმის წარმოება უმრავლეს შემთხვევაში რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. თავად მინისტრი ხომერიკი დოკუმენტებს ქართულ

---

[1] ირაკლი ირემაძე, *მიწადმოქმედების სამინისტრო,* საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბილისი: თსუ, გვ. 280-281.

[2] *ხარჯთ-აღრიცხვა.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 15 იანვარი, N10, გვ. 1.

[3] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 113, ფურც. 1-3.

ენაზე აწარმოებდა, თუმცა შიდა ბიუროკრატიული აპარატის სრულად გაქართულება ვერ მოხერხდა.[1]

დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული დეკრეტის თანახმად, 1920 წელს მიწათმოქმედების სამინისტროს ადმინისტრაციულ განყოფილებაში (ცენტრალურ დაწესებულებებში) 60 ადამიანი იყო დასაქმებული, რომელთა წლიურ სახელფასო ანაზღაურებაზე 1 422 000 მანეთი იხარჯებოდა.[2] 1919-1920 წლების სახელმწიფო ბიუჯეტი მრავალჯერ დაკორექტირდა მიწათმოქმედების სამინისტროსთან მიმართებაში. საბოლოოდ, დამფუძნებელი კრების დეკრეტის თანახმად, სამინისტროს ადმინისტრაციული განყოფილებების და დაწესებულებების შენახვისათვის 49 553 940 მანეთი იყო განსაზღვრული.[3] დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად, სამინისტროს დაფინანსება 1919-1920 საბიუჯეტო წელს 62 942 140 მანეთს შეადგენდა, რაც მთლიანი ბიუჯეტის 7.89% უდრიდა.[4] თუმცა, ინფლაციის გამო, საბოლოოდ მიწათმოქმედების სამინისტროსათვის 1919 წლის 1 ივლისიდან 1920 წლის 30 ივნისამდე სამინისტროს საჭიროებისათვის 89 მილიონი მანეთი დაიხარჯა. 1920-1921 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მხოლოდ პროექტის სახით არსებობდა, რომლის თანახმადაც მიწათმოქმედების სამინისტროს ადმინისტრაციის შესანახავად 1 946 000 მანეთი იყო გამოყოფილი.[5] ხოლო სამინისტროს საერთო ფინანსური ხარჯებისათვის 1920-1921. საბიუჯეტო წელს სამინისტროს ხარჯთაღრიცხვების 368 623 994 მანეთი იყო განსაზღვრული.[6] 1920 წლის მიწურულს აგრარული რეფორმის ძირითადი ნაწილის დასრულების პარალელურად მნიშვნელოვნად შემცირდა სამინისტროს განყოფილებების აპარატის თანამშრომელთა რაოდენობა.

[1] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 76, ფურც 1-24.

[2] *მიწად-მოქმედების სამინისტროს ცენტრალ დაწესებულებათა შტატი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 4 მარტი, N51, გვ. 1.

[3] *შტატი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 10 მარტი, N56, გვ. 1.

[4] *პროექტი სახელმწიფოს შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვისა 1919-1920 წლისათვის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.* ტფილისი: სახელმწიფო სტამბა, 1919, გვ. 7.

[5] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 27, ფურც. 1.

[6] *პროექტი სახელმწიფოს შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვისა 1920-1921 წლისათვის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.* ტფილისი: სახელმწიფო სტამბა, 1920, გვ. 35.

მიწათმოქმედების სამინისტროს თავის სტრუქტურაში გააჩნდა სპეციალური საბჭო, რომელიც აღჭურვილი იყო სათათბირო უფლებამოსილებით. 1920 წელს საბჭო გარდა მინისტრისა და მისი მოადგილისა შედგებოდა 4 მოწვეული წევრისგან. საბჭოს წევრის ანაზღაურება 5000 მანეთს შეადგენდა. საბჭო თვეში რამდენჯერმე იკრიბებოდა და განიხილავდა სამინისტროსათვის მნიშვნელოვან საქმეებს. 1920 წლის მიწურულს სამინისტროს საბჭოს (კომისიის) წევრთა რაოდენობა გაიზარდა და დამტკიცდა ახალი შემადგენლობა. კერძოდ, საბჭოში შედიოდნენ: მიწათმოქმედების მინისტრი დავით ონიაშვილი, მისი მოადგილე ისიდორე მალანია, მოწვეული წევრები - ს. ტიმოფეევი, ნ. მდივანი, კონსტანტინე ამირეჯიბი, ივანე ზურაბიშვილი (ეროვნულ-დემოკრატი), ლევან ბრეგვაძე. საბჭოს მდივნობდა ა. სვანიძე.[1]

1919 წელს სამინისტრო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სიმცირეს განიცდიდა. სამინისტროს არ გააჩნდა საკმარისი რაოდენობის სატრანსპორტო საშუალებები, საზომი მოწყობილობები და ასე შემდეგ. ამ დროს სამინისტროს სულ ორი ავტომობილი ჰქონდა, რომელსაც მინისტრი და მისი ამხანაგი იყენებდნენ.[2]

აგრარული რეფორმის გამტარებელი მთავარი ორგანო მიწათმოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილება იყო, რომელიც 1918 წლის აგვისტოში დაარსდა, მისი დირექტორი დავით ჩადუნელი იყო.[3] ახლად შექმნილ განყოფილებას დაექვემდებარა ყველა დონის საადგილმამულო კომისიები, რომლებიც რეგიონებში მოქმედებდა. განყოფილების საქმიანობა 1918 წელს ეკლექტური იყო, ძირითადად კი, დაკავებული იყო მიწების ჩამორთმევასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვით. მასზე დაკისრებული რეალური რეფორმის გატარების პასუხისმგებლობა განყოფილებამ მხოლოდ 1918 წლის 28 იანვრის კანონის დამტკიცების შემდეგ დაიწყო. ამავე კანონით განყოფილებაში შეიქმნა სპეციალური მცირე კომისია, რომელიც რეფორმასთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავდა. 1919 წლის გაზაფხულიდან განყოფილებას ექვემდებარებოდა 103 სარაიონო კომისია, რომელთაგანაც 48 თბილისის გუბერნიის

---

[1] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 67, ფურც. 1.

[2] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 6, ფურც. 134-135.

[3] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 57, ფურც. 1.

მაზრებში მოქმედებდა, ხოლო 53 ქუთაისის (რეფორმა არ დაწყებულა ბათუმისა და ზაქათალას ოლქებში, ხოლო სოხუმის ოლქში რეფორმას ადგილობრივი ორგანოები ახორციელებდნენ). აგრარულ რეფორმათა განყოფილების დანახარჯები მუდმივად იცვლებოდა, მაგალითისათვის, 1920-1921 წლების ბიუჯეტის თანახმად, 14.5 მილიონი მანეთით იყო განსაზღვრული.[1]

აგრარული კომისიების ანგარიშების მიხედვით, 1919 წლამდე გაწეული საქმიანობა დისპროპორციული იყო არა მხოლოდ მაზრებს შორის, არამედ თავად ცალკეული მაზრების ფარგლებში. მაგალითისათვის გორის მაზრაში სულ 1000-ზე მეტი მამული იყო ჩამორთმეული, მაგრამ პოლიტიკური ვითარების გამო, გორის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში - ჯავის რაიონში, სულ ორი მამულის ჩამორთმევა მოხერხდა. საომარი მოქმედებების გამო რეფორმა 1919 წლის გაზაფხულის გამო, ფაქტობრივად, არც კი იყო დაწყებული ახალციხის, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში.[2]

აგრარულ რეფორმათა განყოფილების მთავარ ადმინისტრაციაში სულ 17 ადამიანი იყო დასაქმებული. ხოლო განყოფილებაზე დაქვემდებარებულ უწყებებში შემდეგი საშტატო განრიგი არსებობდა - თითოეულ მაზრაში თითო-თითო სამაზრო კომისიის გამგე. სამაზრო კომისიაში შედიოდა ორ-ორი ინსტრუქტორი და თითო-თითო საქმის მწარმოებელი. სამაზრო კომისიებში სულ 80 ადამიანი იყო დასაქმებული. რესპუბლიკაში მოქმედებდა 160-მდე ადგილობრივი კომისია, რომელსაც 1-1 მდივანი ჰყავდა. სულ განყოფილებაში ჯამურად 257 კაცი ირიცხებოდა.[3] 1920 წლის ივნისში, დამფუძნებელი კრების დეკრეტის თანახმად, განყოფილების აგრარულ რეფორმათა განყოფილების გამგის - ჩადუნელის ხელფასი 5 000 მანეთი იყო, ხოლო უწყების ყველაზე დაბალანაზღაურებადი თანამშრომელი შიკრიკი იყო, რომელიც სულ რაღაც 1 225 მანეთს იღებდა გასამრჯელოდ. სამაზრო კომისიების გამგის ჯამაგირი 3 5000 მანეთით განისაზღვრა, ადგილობრივ კომისიის მდივნის ხელფასი, 3 000 მანეთით. განყოფილების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება სახელმწიფო ბიუჯეტს 8 566 700 მანეთი

[1] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 57, ფურც. 3-4.

[2] იქვე. ფურც. 1-2.

[3] იქვე. ფურც. 7.

დაუჯდებოდა, საიდანაც 8 მილიონი უშუალოდ  სამაზრო და ადგილობრივ კომისიებზე მოდიოდა.[1]

ერთ-ერთი ყველაზე დიდი განყოფილება, რომელიც მიწათმოქმედების სამინისტროს სტრუქტურაში მოქმედებდა იყო სამიჯნაო განყოფილება, რომელიც აგრარული რეფორმის გატარების კუთხით უმნიშვნელოვანესი უწყება იყო. განყოფილების ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მიწების გამიჯვნა, ნაკვეთების დაზომვა და ნახაზების მომზადება. უწყებაში 205 ადამიანი იყო დასაქმებული, მათგან რვა სამინისტროს ცენტრალურ უწყებაში მუშაობდა, ხოლო 197 რეგიონებში, მაზრებში. კერძოდ, განყოფილებას 17 მაზრაში გააჩნდა უჯრედი, რომელსაც გამგე ხელმძღვანელობდა, ამ უჯრედებში დასაქმებული იყო 17-17 საქმის მწარმოებელი და დარაჯი, ასევე, განყოფილებაში მუშაობდა ორი გადამწერი.[2]

მიწათმოქმედების სტრუქტურაში მოქმედებდა ტყეთა სამმართველო (განყოფილება), რომელსაც ვ. გოგოლაძე განაგებდა, ამავე განყოფილების მაღალჩინოსანი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი სიმონ ქურდიანი.[3] განყოფილების ფუნქციას წარმოადგენდა რესპუბლიკის ტყის რესურსის მართვა, მისი გამოყენების წესების განსაზღვრა და სამრეწველო დანიშნულებით ტყეთა გამოყენების გეგმების შედგენა. განყოფილების საქმიანობას ხშირად აკრიტიკებდნენ მთავრობაშიც და დამფუძნებელ კრებაშიც, რადგანაც განყოფილება ვერ აკმაყოფილებდა არსებულ მოთხოვნებს, აგვიანებდა სათბობად გამოსაყენებელ შეშათა გაცემას და ასე შემდეგ.[4]  სამინისტროს ფუნქციას წარმოადგენდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების გამოყენებისათვის ლიცენზიების გაცემა. სამინისტრო გასცემდა ნებართვებს ჰესების აშენების კუთხით. 1918 წელს სამინისტრომ აკაკი ხოშტარიას მიერ შექმნილ კონცესიას

[1] *შტატი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 20 ივნისი, N136, გვ. 1.

[2] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 62, ფურც. 1-2.

[3] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 58, ფურც. 1-2.

[4] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3. საქმე 25, ფურც. 176

„რუპერტის“ ნებართვა მისცა, რიონზე აეშენებინა მოცულობითი ჰიდროელექტრო სადგური.[1]

მიწათმოქმედების უწყების ოფიციალურ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენდა საიჯარო.[2] ეს დაწესებულება განაგებდა სახელმწიფოს ხელში არსებულ იმ მიწის ნაკვეთებს, რომელსაც არ მართავდა უშუალოდ სამინისტროს სხვა უწყება - სახელმწიფო მამულთა განყოფილება - და განკუთვნილი იყო კერძო პირებთან სხვადასხვა ტიპის პირობებით გასაცემად. განყოფილებაში ხშირად შედიოდა კერძო პირთა მოთხოვნები მიწების იჯარით აღებასთან დაკავშირებით, ამ განცხადებებს, როგორც წესი, განიხილავდა განყოფილების სათათბირო ორგანო და გასცემდა დასკვნებს.[3] განყოფილების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს ხშირად აქვეყნებდნენ მთავრობის ოფიციალურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, მაგალითად, „მამული „ვაჩნაძიანი“ იჯარით მიეცეს 12 წლით წინანდელ მფლობელს ლევან ჯანდიერს სამინისტროს სასოფლო სამეურნეო და სახელმწიფო მამულების განყოფილების მიერ შემუშავებულ პირობებში. მოიჯარადემ უნდა შემოიტანოს გირაოთ 30 000 მანეთი. მამული სულ ორი დესეტინის სივრცისაა. მოიჯარადემ მის ¾ ნაწილში ამერიკული ვაზები უნდა გააშენოს, ხოლო ¼ ნაწილში ხეხილები“.[4] გამომდინარე იქიდან, რომ მთავრობას მნიშვნელოვან მამულთა გასხვისების ნება ნაკლებად გააჩნდა, განყოფილებაში შესულ მოთხოვნათა აბსოლუტურ უმრავლესობას არ აკმაყოფილებდნენ.

1918 წელსვე, აგრარული რეფორმის ჩანასახშივე გამოიკვეთა, რომ რეფორმის შემდგომაც რესპუბლიკას ეყოლებოდა ათასობით საგლეხო ოჯახი, რომელიც მიწების სიმცირის გამო, მხოლოდ მცირე ზომის ნაკვეთებს მიიღებდნენ. რესპუბლიკის მთავრობას აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად ესახებოდა გეგმა, რომლის მიხედვითაც საჭირო იყო ამ მოქალაქეების ნებაყოფილობითი გადასახლება რესპუბლიკის იმ მაზრებში, სადაც

[1] ცსსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 33, ფურც. 1-9.

[2] ცსსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 63, ფურც. 1.

[3] ცსსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 12, ფურც. 18.

[4] *მიწად-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 12 ოქტომბერი, N230, გვ. 1.

მრავლად იყო აუთვისებელი და ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწები. მიწათმოქმედების სამინისტროში მთავრობის ამ გეგმის აღსასრულებლად შეიქმნა სპეციალური - გადასახლებათა განყოფილება, რომელსაც იოსებ მარუაშვილი განაგებდა.[1] მთავრობის დადგენილებით ძირითადად დასავლეთ საქართველოს ჭარბმოსახლეობიან და მცირემიწიან მაზრებიდან მოქალაქეებს შესთავაზებდნენ გადასახლებას თელავის, ბორჩალოს და თბილისის მაზრებში, კერძოდ კი ყარაიაზის ველზე და ალაზნის დაბლობზე. მალევე გადასახლების შესაძლო არეალები გაფართოვდა და დაემატა ახალქალაქის მაზრა და სოხუმის ოლქი. გადასახლების სურვილის მქონე მოქალაქეები მრავლად იყვნენ რაჭის, ლეჩხუმის, შორაპანის, ოზურგეთის და ზუგდიდის მაზრებში. სოხუმის ოლქში გადასახლება, ძირითადად, ბერძნული თემის მიგრაციით გამოთავისუფლებულ არეალებში იგეგმებოდა.[2]

მიწათმოქმედების სამინისტროს ქვეუწყებას წარმოადგენდა შინამრეწველობის სექცია (განყოფილება), რომელიც 1919 წლიდან ფუნქციონირებდა, განყოფილება ძირითადად აბრეშუმის წარმოებას კურირებდა.[3]

სტატისტიკის კომიტეტი მიწათმოქმედების სამინისტროს მნიშვნელოვანი შემადგენელი რგოლი იყო, რომელიც სამინისტროსა და მთავრობას მნიშვნელოვან ცნობებს აწვდიდა, ამზადებდა ანგარიშებს და მათ ნაწილს ასაჯაროვებდა კიდეც.[4] სტატისტიკის კომიტეტის საშტატო ნუსხა 69 ადაამიანისაგან შედგებოდა. კომიტეტში 28 სტატისტიკოსი და 25 მოანგარიშე ირიცხებოდა.[5] სტატისტიკის კომიტეტის თავმჯდომარე მ. მანდელშტამი იყო.

მიწათმოქმედების სამინისტროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვეუწყება იყო სახელმწიფო მამულთა განყოფილება. 1918 წლიდან სამინისტროს აღნიშნული განყოფილება 20-მდე დიდ მამულს მართავდა. აგრარული რეფორმის ფარგლებში აღნიშნული მამულები სახელმწიფოს ხელში რჩებოდა. ამ პოლიტიკის მიზეზი იყო ის,

---

[1] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 64, ფურც. 1.

[2] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 11, ფურც. 2-20.

[3] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 65, ფურც. 10.

[4] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 66, ფურც. 1.

[5] იქვე. ფურც. 5.

რომ აღნიშნულ მამულებს სამრეწველო დანიშნულება გააჩნდა და მისგან მიღებული შემოსავლები ბიუჯეტის შევსების რესურსად მიაჩნდათ. სახელმწიფოს ფინანსების ხარჯვის მთავარი მაკონტროლებელი ორგანო - სახელმწიფო კონტროლი - დეტალურად სწავლობდა განყოფილების საქმიანობას.[1] 19120 წელს განყოფილება მართავდა 18 სახელმწიფო მამულს: 1. ვარციხე, 2, ბორჯომი, 3. ვაჭევი, 4. გიურ-არხი, 5. გაგრა, 6. ნაფარეული, 7. მუკუზანი, 8. წინანდალი 9. მუხრანის, 10. მანავი, 11. კარდენახი, 12. სკრა, 13. ყარაია, 14. იგუმენოვი, 15. გულრიფში, 16. სინოპ-დიოსკურია, 17. მერეთი, 18. ჩაქვი.[2] მეურნეობის დარგების მიხედვით ყველაზე მეტი - 9 მამული - მევინეობის სფეროს წარმოადგენდა - წინანდლის, ნაფარეულის, მუკუზნის, მანავის, კარდენახის, ვაჭევის, ვარციხის, ქართლისა და ჭიაურის.[3]

1920 წელს შედგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით სახელმწიფო მამულების შემოსავლები ჯამურად 346 527 620 მანეთით იყო განსაზღვრული, ხოლო ხარჯები 196 182 506 მანეთით, სახელმწიფო ბიუჯეტს კი, შემოსავლის სახით 150 მილიონზე მეტი მანეთი უნდა მიეღო.[4]

სახელმწიფო მამულებს განყოფილების მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვით მნიშვნელოვანი შემოსავლები უნდა მიეღო, მაგალითად, მხოლოდ მუკუზნის მამულს მოგების სახით ბიუჯეტში 37 მილიონი უნდა შეეტანა, თუმცა ინფლაციის გამო ეს გეგმები ვერ სრულდებოდა.[5]

არცთუ იშვიათად მამულები არაკეთილსინდისიერად იმართებოდა, მაგალითად, ვარციხის მამულის მმართველი თავისივე თანამშრომლების მიერ მხილებული იქნა სახელმწიფოს ქონების მითვისებაში.[6]

---

[1] *მიწად-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 6 თებერვალი, N29, გვ. 2.

[2] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 3, ფურც. 14.

[3] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 28, ფურც. 3.

[4] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 28, ფურც. 1

[5] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 37, ფურც. 139.

[6] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 44, ფურც. 1-2.

ფართობის თვალსაზრისით ბორჯომის სახელმწიფო მამული ყველაზე დიდი იყო და 70 000 დესეტინას მოიცავდა. მათგან 42 000 ტყე იყო. მამულის ტერიტორიაზე მდებარეობდა მინერალური წყლები. ასევე არაერთი ფერმა და საძოვარი ტერიტორია.[1]

შემოსავლების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი „ჩაქვის მამული" იყო, რომელზეც რესპუბლიკის ხელისუფლების იურისდიქცია მხოლოდ 1920 წლის ივლისში გავრცელდა. სტატისტიკის კომიტეტის მიერ 1920 წლის ივლისიდან 1921 წლის ივნისის მიწურულამდე მამულიდან დაგეგმილი მოსალოდნელი წმინდა შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტისათვის 108 მილიონი მანეთი იყო. მამულის შემოსავლების 60% ჩაის კულტურაზე მოდიოდა.[2]

სოხუმის ოლქში ორი სახელმწიფო მამული - „დიოსკურია-სინოპი" და „გულრიფში" - მოქმედებდა, „დიოსკურია" აფხაზეთის ყოფილი მთავრის ალექსანდრე შერვაშიძის ყოფილი მამულის ბაზაზე შეიქმნა და მისი ფართობი 250 დესეტინას უდრიდა. სტატისტიკის კომიტეტის დაანგარიშებით 1920 წელს მამულს სახელმწიფო ბიუჯეტში 1 მილიონი მანეთი უნდა შეეტანა.[3] შერვაშიძის ყოფილი მამულების ბაზაზე დაფუძნებით შეიქმნა „სინოპის" მამული.[4] მამული „გულრიფში" ოჩამჩირის მაზრაში მდებარეობდა და ძირითადად, ციტრუსოვანი კულტურების წარმოებაზე იყო ორიენტირებული .[5]

ყარაიას მამული, რომელიც, ძირითადად, ბოსტნეულისა და ხორბლის საწარმოებლად გამოდგებოდა, მნიშვნელოვან ფუნქციას ატარებდა გადასახლების პროგრამის გასატარებლადაც. მამულიდან ბიუჯეტის შემოსავლები 1919 წელს დაგეგმილი იყო 3.5 მილიონი მანეთი.[6] ხოლო 19120 წელს 6 მილიონი მანეთი.[7] მამული თბილისთან სიახლოვის გამო ბოროტმოქმედთა მნიშვნელოვანი სამიზნეც იყო, ხშირი იყო ძარცვა და

---

[1] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 29, ფურც. 1.

[2] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 45, ფურც. 5-7.

[3] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 39, ფურც. 1.

[4] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 42, ფურც. 1.

[5] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 41, ფურც. 1.

[6] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 12, ფურც. 144-146.

[7] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 43, ფურც. 2-4.

ყაჩაღობები.[1] ყარაიას მამული 1919 წელს ჯერ კიდევ ნაკლებად ათვისებული იყო, ამიტომ სახალხო გვარდიის შტაბმა მიმართა მიწათმოქმედების სამინისტროს, რათა მათთვის გამოეყოთ 100 დესეტინა იმისათვის, რომ გვარდიელებს დაემუშავებინათ და მიღებული ხორბალი გამოეყენებინათ გვარდიის სასარგებლოდ. ეს პროცესი 1920 წელს დაიწყო კიდეც. მალევე ყარაიაზის ველზე მამულის მომიჯნავედ 200 დესეტინა მიწათმოქმედების სამინისტრომ რკინიგზის მთავარ სამმართველოს გადასცა, რომელიც თავის მხრივ რკინიგზელებს კოლექტიურად უნდა დაემუშავებინათ და მოსავალი რკინიგზელებზე გაენაწილებინათ.[2]

დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო მამულები თავისი წარმოების მასშტაბებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო მამულებს. მაგალითად, 1921 წელს მზარდი ინფლაციის მიუხედავად, „იგუმენობის“ („კოლხიდის“) მამულიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მხოლოდ 2.5 მილიონის შეტანა იგეგმებოდა.[3]

აღმოსავლეთ საქართველოში გორის მაზრის ფარგლებში გორის მაზრაში ფუნქციონირებდა  ორი მამული „მერეთი“ და „ქართლი“ (სკრა). თუმცა მათგან მისაღები დაგეგმილი შემოსავლების მოცულობა 10 მილიონს არ აღემატებოდა[4]

მიწათმოქმედების სამინისტრო სასურსათო დეფიციტის აღმოსაფხვრელად და მოქალაქეების დასასაქმებლად 1920 წელს გეგმავდა მასშტაბური სახელმწიფო წარმოების შექმნას მერძევეობის მიმართულებით ბორჩალოს მაზრაში. კერძოდ იგეგმებოდა ყოფილი კუჩენბახის და სხვა ადგილობრივ ფერმერთა მამულებისა და ფერმების ნაცვლად ერთიანი მამულის შექმნა.[5] 1920 წლის გაზაფხულზე დამფუძნებელმა კრებამ სპეციალური დეკრეტიც გამოსცა, რომლის ძალითაც მთავრობას მიეცა უფლება

---

[1] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 12, ფურც. 182.

[2] *მიწად-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 11 ნოემბერი, N255, გვ. 2

[3] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 44, ფურც. 2.

[4] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 47, ფურც. 2-4.

[5] *მიწად-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 29 აგვისტო, N195, გვ. 2.

დამატებით 8 მილიონი მანეთი მიეღო ბიუჯეტიდან სახელმწიფო მამულების გასაფართოებლად და წარმოების გასაზრდელად.[1]

სახელმწიფო მამულებში დასაქმებული მოქალაქეები მძიმე სოციალური ფონის პირობებში მუშაობდნენ. მათი ანაზღაურება მიზერული იყო. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 13 დეკემბრის დეკრეტით მამულებში მომუშავე ყველა პირის ხელფასი 40%-ით გაიზარდა, თუმცა ეს მარჟაც ვერ სწვდებოდა ცხოვრებისათვის საჭირო მოთხოვნილებებს.[2]

მართალია, სახელმწიფოს მამულის სტატუსი არ გააჩნდა, თუმცა თავისი არსით იგივე იყო გაგრის კლიმატური სადგური, რომლის ტერიტორიაზეც მრავლად იყო მინერალური წყლები, ტყის მასივები და ფილტვის დაავადებების სამკურნალო საავადმყოფო.[3] მიწათმოქმედების სამინისტროს სახელმწიფო მამულთა სამმართველოს ექვემდებარებოდა ღვინის ცენტრალური სარდაფები ბათუმსა და თბილისში. საარქივო წყაროებიდან ირკვევა, რომ ღვინის სარდაფებში კორუფცია და სახელმწიფოს ქონების დატაცება მასშტაბური იყო.[4]

სასოფლო მეურნეობის განყოფილება მიწათმოქმედების სამინისტროს , სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენდა. მის შემადგენლობაში შედიოდა სასოფლო-სამეურნეო განათლების სექცია, სასკოლო ბოსტნები, აგრონომიული დახმარების სექცია, კურორტების მმართველი სექცია, ბოტანიკური ბაღები და საცდელი მეურნეობები (სათბურები) და ასე შემდეგ.[5] სამეურნეო განათლების სექცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რესპუბლიკისათვის, რაშიც მოცულობით ფინანსურ რესურსსაც ხარჯავდა.[6] სექცია კურირებდა ათობით სამეურნეო სკოლას და კურსების, მათ შორის - თბილისის სასოფლო მეურნეობის უმაღლეს კურსებს, ქუთაისის სასოფლო სამეურნეო

[1] *დეკრეტი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 10 აპრილი, N80, გვ. 2.

[2] *ხელფასის ტარიფი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 14 დეკემბერი N283, გვ. 1

[3] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 38, ფურც. 1.

[4] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 52, ფურც. 1-4.

[5] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 53, ფურც. 1

[6] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 55, ფურც. 3-4.

სკოლა, თბილისის სასოფლო-სამეურნეო კულტურულ-ტეხნიკური სასწავლებელი, წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა, ლანჩხუთის ნოე ჟორდანიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო სკოლა და სხვა.[1] კურსების შესახებ ხშირად იბეჭდებოდა ანონსი პრესაში - „უმთავრეს სასოფლო სამეურნეო კურსებზე, რომელიც ტფილისში გაიხსნა თებერვლის 24-ს, სულ 72 კურსების მსმენელია მიღებული, მათ შორის 25 ქალი. ამის გარდა კურსებზე მიღებულ იქმნენ 18 თავისუფალი მსმენელნი“.[2] სასოფლო-სამეურნეო კურსებს ხსნიდა და აფინანსებდა ცალკეული სამაზრო ერობები, ეს პროცესი დეცენტრალიზებულადაც მიმდინარეობდა, მაგალითა,დ კურსები 1919 წელს გაიხსნა თბილისის მაზრის არაერთ თემში.[3] ასეთივე კურსები 1919 წელს გაიხსნა სიღნაღის მაზრაშიც.[4] სამინისტრო ზრუნავდა ახალი პროგრამების დანერგვისათვის სხვადასხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისათვის.[5] მოქალაქეები ოფიციალურად მიმართავდა სამინისტროს გაეხსნა სკოლები ცალკეულ თემებში. მაგალითად, ჯერ კიდევ 1918 წელს ოჩამჩირის მაზრის ოქუმის თემის მოსახლეობა მოითხოვდა სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნას.[6]

აგრარული საკითხზე პასუხისმგებლობა 1918 წლის მაისიდან (ფაქტობრივად, 1917 წლის ნოემბრიდან) საქართველოს ეროვნულ საბჭოში ჩამოყალიბდა მიწათმოქმედების კომისია. სწორედ ეს კომისია იყო 1919 წლის 28 იანვრის კანონის ერთ-ერთი თანაშემოქმედი. დემოკრატიულად არჩეულ დამფუძნებელ კრებაში 1919 წლის 28 მარტს დაამტკიცეს აგრარული კომისია, რომელშიც არჩეული იყვნენ: სოციალ-დემოკრატები - კირილე ნინიძე (თავმჯდომარე გარკვეული პერიოდი), ლავრენტი კიღურაძე, ილია კოპალეიშვილი, რაფაელ ჩიხლაძე, სარდიონ თევზაძე, პავლე ბიული, დიმიტრი გონაშვილი, ბარნაბ ძველაია, ივანე ტატიშვილი და იოსებ მაჭავარიანი; სოციალისტ

[1] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 55, ფურც. 12-73.

[2] *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 28 თებერვალი, N47, გვ. 3.

[3] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 13, ფურც. 1-2.

[4] იქვე. ფურც. 7.

[5] *სასოფლო-სამეურნეო რეფორმა.* გაზ. საქართველო, 1920 წლის 2 სექტემბერი, N89, გვ. 3

[6] *მიწად-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 3 სექტემბერი, N199, გვ. 2.

ფედერალისტი - სიმონ მდივანი, სოციალისტ-რევოლუციონერი - იოსებ გობეჩია და ეროვნულ-დემოკრატი - პეტრე სურგულაძეს.[1]

## IV.5. რეფორმის პირველი შედეგები

1918 წლის მაისიდან 1919 წლის იანვრამდე აგრარული რეფორმა ჯერ კიდევ ამიერკავკასიის სეიმის მიერ 8 მარტს მიღებული კანონის მიხედვით მიმდინარეობდა. 1918 წელს რეფორმის ტემპი ძალიან დაბალი იყო, ამას მოწმობს საარქივო წყაროები. 1918 წლის 20 აგვისტოს შედგენილ ანგარიშის თანახმად, სამინისტროს მიერ მაზრებში მივლენილ კომისიებს შემდეგი მოცულობის მიწები ჰქონდა მიღებული (ჩამორთმეული: თბილისის მაზრაში - 39 857 დესეტინა, გორის - 17 341, დუშეთის - 6 030, თიანეთის - 8 724, სიღნაღის - 9 785, თელავის - 16 073, სულ თბილისის გუბერნიაში - 97 812. ქუთაისის მაზრაში - 3 408, შორაპნის - 1 565, რაჭის - 35, ოზურგეთის - 10 382, ზუგდიდის - 1 833, სენაკის - 24 151, სულ ქუთაისის გუბერნიაში - 41 378.[2]

1918 წელს პრესაში ყოველკვირეულად ქვეყნდებოდა სტატიები, რომელიც მოუწოდებდა ხელისუფლებას შეეცვალათ და ჩამოეყალიბებინათ აგრარული რეფორმის ახალი საკანონმდებლო ბაზა.[3]

ოპოზიციური პარტიების პრესა კიდევ უფრო მეტ ადგილს უთმობდა აგრარულ რეფორმაზე საუბარს. სოციალ-ფედერალისტი აკაკი პაპავა, აგრარული რეფორმის გატარების აუცილებლობისა და მისი ფორმის შესახებ პარტიულ პრესაში წერდა: „ბერნშტეინი, დავიდი, ჰერცი იმ აზრისანი არიან, რომ ერთადერთ ბუნებრივ ბაზისად, რომელზედაც შეგვიძლია ავაგოთ ჯანსაღი და რაციონალური სახალხო მეურნეობის პოლიტიკა სოფლად, რომელიც ამზადებს ნიადაგს სოციალიზმისათვის, არის კოოპერაციები და გლეხთა ამხანაგობანი; ეს არის რეალური გზა და კონკრეტული ფორმა

---

[1] *საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტ. I.* თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019, გვ. 154-156.

[2] *საად.-მამულო რეფორმა.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 7 სექტემბერი, N191, გვ. 3.

[3] *აგრარული რეფორმის ერთი მხარე.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 18 ოქტომბერი, N223, გვ. 1.

აგრარულ სოციალისტურ მოძრაობისა. მაგრამ, რაც უფრო საყურადღებოა ამ შემთხვევაში ჩვენთვის, ისინი საჭიროდ ცნობენ ამხანაგობათა შექმნასთან დაცული იქმნას წვრილი საკუთრება, მათ შორის არ არსებობს წინააღმდეგობა და უკანასკნელი ამხანაგობათა შექმნით, თვითონ იქცევა გარდამავალ ფორმად, ბუნებრივად მოკვდება“.[1]

თავად სახელისუფლებო პარტიის გაზეთი „ერთობაც“ ღიად წერდა რეფორმის დაჩქარების შესახებ: „ამ ჟამათ მიწის საკითხის საქმე შემდეგ მდგომარეობაშია: მემამულეებს დატოვებული აქვთ თითო ოჯახს 7 ან 15 დესეტინა, სადაც საბალახოებია, ორმოცი დესეტინა. ჩამორთმეულ მამულებს ფაქტიურათ გლეხები ამუშავებენ იურიდიულათ კი საადგილ-მამულო კომიტეტები ფლობენ. ამას უნდა დაუმატოთ ის, რომ ჩვენი კანონით ტყეები და სახელმწიფო მნიშვნელობის მამულები განაწილებული არ იქნება. ასეთია მოკლეთ ჩვენი აგრარული კანონი და ის მუშაობა, რომელიც სამინისტრომ შეასრულა ამ კანონის ცხოვრებაში გასატარებლათ. როგორც ხედავთ, მთავარი კითხვაა რომელიც ყველაზე უფრო აინტერესებს გლეხობას, გადაუჭრელია: ეს არის ჩამორთმეულ მიწების ბედი, მათი ამა თუ იმ სახით განაწილება. როგორ უნდა განაწილდეს ეს მიწები ისე რომ გლეხებიც კმაყოფილი დარჩეს და ეკონომიური ცხოვრებაც არ აიწეწოს და საზოგადოებრივი განვითარება არ შეფერხდეს - საკითხის ეს მხარე გვაინტერესებს ჩვენ ყველაზე უფრო. ჩვენმა პარლამენტმა რაც შეიძლება ჩქარა უნდა გააკეთოს ეს საქმე“.[2]

რეფორმის ახალი ჩარჩოსათვის მზადების დროს გახშირდა პარტიებს შორის დაპირისპირებებიც. მაგალითად, ფედერალისტთა „სახალხო საქმე“ წერდა: „ჩვენ გადაჭრით უარყოფთ მიწის კერძო საკუთრებად დარიგებას. ჩვენის აზრით ეს ეწინააღმდეგება ჩვენს საბოლოო მიზანს. და საკვირველია, რომ სოციალ-დემოკრატები სწორედ ამ საბოლოო მიზანს იხსენიებენ, როცა მიწის საკითხს ეხებიან. ჩვენის აზრით რაიც არა ერთხელ გამოგვითქვამს, საქართველოში სოციალიზმი შეიძლება იყოს მხოლოდ აგრარული, რადგან ჩვენი ერის უმრავლესობა - გლეხობაა, ხოლო აღიარება, და დადასტურება რევოლიუციონურ ხანაში კერძო საკუთრებისა და მისი ახალი

---

[1] აკაკი პაპავა, *მიწის საკითხი.* გაზ. სახალხო საქმე, 1918 წლის 19 ოქტომბერი, N361, გვ. 3.

[2] *სამიწათმოქმედო რეფორმა.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 5 ნოემბერი, N238, გვ. 1.

ელემენტებით გამაგრება - არა სოციალისტური ნაბიჯია. ჩვენ მოვითხოვთ, მემამულეებისაგან ჩამორთმეული მიწა გლეხებს გადაეცეთ უფასოთ და სასარგებლოდ და არა საკუთრებად. სოციალისტისათვის ყოვლად შეუძლებელია ამ საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა“.[1]

მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 1918 წელს აცხადებდა, რომ უმნიშვნელოვანესი იყო სამართლიანი აგრარული რეფორმის გატარება, რაც პირველ რიგში უნდა დამყარებოდა ყოფილ მემამულეებისათვის სათანადო კომპენსაციის გადახდით.[2]

პოლიტიკური ჯგუფების აგრარული ხედვების შესახებ ვრცელი სტატია გამოქვეყნდა „საქართველოს ეკონომისტში“. პარტიები თავიანთ ძირითად პოსტულატებს ამგვარად აყალიბებდნენ: ა. სოციალ-დემოკრატები - უარს აცხადებდნენ თავიანთ ძველ ხედვებზე მუნიციპალიზაციის შესახებ, ემხრობოდნენ მიწების უკომპენსაციოდ ჩამორთმევას მემამულეებისათვის და კერძო საკუთრებად გადაცემას გლეხებისათვის. ბ. ეროვნულ-დემოკრატები მოითხოვდნენ კომპენსაციების გაცემას ყოფილ მემამულეებისათვის და მიწების გაყიდვას გლეხებზე. გ. სოციალისტ-ფედერალისტები ემხრობოდნენ მიწებზე სახელმწიფოს საკუთრების დამყარებას (ნაციონალიზაციას) და, ასევე, უშვებდნენ მიწების გლეხებისათვის კერძო სარგებლობაში გადაცემას. დ. სოციალისტ-რევოლუციონერები ემხრობოდნენ როგორც მიწის ნაციონალიზაციას ასევე სარგებლიანობის კუთხით ფაქტობრივ კოლექტივიზაციას.[3]

სოციალ-დემოკრატები აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით დამატებით აზუსტებდნენ, რომ კერძო საკუთრების პარალელურად ისინი მოითხოვდნენ სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებას ბუნებრივ რესურსებზე, ტყეებზე, საძოვრებზე და განსაკუთრებული მნიშვნელობის მამულებთან მიმართებით.[4]

---

[1] *მიწის საკითხის გამო.* გაზ. სახალხო საქმე, 1918 წლის 7 ნოემბერო, N377, გვ. 1-2.

[2] *აგრარული რეფორმის დამთავრება.* გაზ. საქართველო, 1918 წლის 27 აგვისტო, N170, გვ. 1.

[3] ნ. ელიანი [პავლე საყვარელიძე]. *საჭირბოროტო საკითხის გამო.* ჟურნ, საქართველოს ეკონომისტი, 1918 წლის 19 ნოემბერი, N5, გვ. 3-7.

[4] *სამიწათმოქმედო რეფორმა.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 8 ნოემბერი, N241, გვ. 2.

სახელისუფლებო გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1918 წლის შემოდგომაზეც ღიად აცხადებდა, რომ ამგვარად გაჭიანურებული აგრარული რეფორმა საბოლოოდ მძიმე შედეგებს იწვევდა როგორც შიდაპოლიტიკური სტაბილურობის კუთხით, ასევე, ეკონომიკური თვალსაზრისით: “მიწათ-მოქმედების მინისტრმა შემდეგი ცნობა მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრისაგან: „თანახმად ტფ. გუბერნიის კომისრის ცნობიდან, თიანეთის მაზრაში საქმის მდგომარეობის შესახებ, ირკვევა, რომ ამ მაზრის მცხოვრებთა შორის უკმაყოფილებას იწვევს ის გარემოება, რომ მიწის დაყოფა მცხოვრებთა შორის გვიანდება. მცხოვრებლებმა თვითონ დაიწყეს სახელმწიფო და კერძო მესაკუთრეთა მიწების დაყოფა, და რადგან ხშირად იარაღსაც მიმართავენ ხოლმე. დროზე მიღებულ ზომებით ეს შეიარაღებულ იქმნენ და მშვიდობიანათ ათავებენ საქმეს. გარდა ამისა ხშირად ხდება, რომ მიწის დამმუშავებელნიართმევენ მიწას უფრო შეძლებულთ, რომელთაც განსაზღვრულ ნორმაზე ნაკლები მიწა აბადიათ. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი სთხოვს მიწათ-მოქმედების მინისტრს შესაფერ განკარგულების ბოძებას“.[1]

1918 წლის შემოდგომაზე მიწათმოქმედების სამინისტროში რეგიონებიდან გამოგზავნილი წერილებიდან ირკვევა, რომ აგრარული რეფორმის შეფერხების მიზეზი ზოგადი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მიზეზების გარდა, კლიმატური პირობებიც არის.[2] თავის მხრივ, ნოე ხომერიკი ნოე ჟორდანიას ოფიციალურად აცნობებდა, რომ კლიმატური პირობების გაუარესების გამო, რეფორმა, ფაქტობრივად, ვარდებოდა ოქტომბრის ბოლოდან მარტის შუა პერიოდამდე, რადგანაც წვიმებისა და თოვლის გამო ველზე მუშაობა შეუძლებელი იყო.[3]

რეფორმის სწრაფი ტემპით განხორციელებას ხელს მაზრებში გამეფებული კრიმინალური პროცესებიც უშლიდა. მაგალითად, 1919 წლის 22 ივნისს ყაჩაღების თავდასხმის მსხვერპლი აღმოჩნდა დუშეთის მაზრის ახალგორის რაიონის სააგრარო კომისია. მიწისმზომელ სადკოვს ყაჩაღებმა 8 000 მანეთის პირადი ნივთები გასტაცეს.[4] აღნიშნული

---

[1] *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1918 წლის 10 ნოემბერი, N88. გვ. 3.

[2] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 10, ფურც. 12.

[3] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 40, ფურც. 43.

[4] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 2, საქმე 4, ფურც. 7.

ფაქტების სიხშირის გამო სარაიონო კომისიები ადგილობრივ ძალოვან უწყებებთან კოორდინაციით მოქმედებდნენ.

## IV.6. 1919 წლის 28 იანვრის კანონი - მიწა გლეხებს!

1918 წლის ოქტომბერ-ნოემბერში აქტიურად მიმდინარეობდა კანონპროექტის შემუშავების პროცესი მიწათმოქმედების სამინისტროსა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში (სოციალ-დემოკრატთა დომინაციის გამო ამ ინსტიტუტს დიდწილად ჩანაცვლებული ჰქონდა საპარლამენტო განხილვებიც კი), საბოლოოდ 1918 წლის ნოემბრის ბოლოს სამინისტრომ წარადგინა შემუშავებული დოკუმენტი, რომელშიც გაცხადებული იყო - "მიწადმოქმედების სამინისტროს კანონპროექტი ჩამორთმეული მიწების გაყიდვის შესახებ:

მუხლი 1. მიწები სახელმწიფო ფონდიდან გადაცემულ იქნება კერძო საკუთრებათ სოფლელთათვის იმ წესით, რომელიც აღნიშნულია კანონის მეორე მუხლში.

მუხლი 2. ადგილობრივ მცხოვრებთა შორის არ განაწილდება იმის მეტი მიწა, რაც აღნიშნულია ამიერ-კავკასიის კომისარიატის 16 დეკემბრის 1917 წლის დეკრეტის მეხუთე მუხლში და ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის 2 მაისის კანონში და არც ის მიწები, რომლებიც დანიშნულია მინისტრის განკარგულების გადასახლებისა და დასახლებისათვის.

მუხლი 3. მიწები ეძლევათ საკუთრებათ უმამულო და მცირე-მამულიან სოფლელთ, რომელთა უმთავრესი საარსებო წყაროს სოფლის მეურნეობა შეადგენს. შენიშვნა: 1917 წლის 1 მარტიდან დაარსებულ ქალაქების მცხოვრებთ, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემო-აღნიშნულ მესამე მუხლის მოთხოვნილებებს, არ ეკრძალება „ნადელის" საკუთრათ მიღება..." კანონი აზუსტებდა, რომ კერძო საკუთრების გარდა შემოღებული იქნებოდა საერთო საკუთრების ორი დონეც - მუნიციპალური და სახელმწიფო. ამავე დოკუმენტში დაზუსტებული იყო, რომ რეფორმის გატარებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებოდა ადგილობრივ კომისიებს, რომლებიც ადგილზე მაზრებსა და თემებში გაუძღვებოდნენ

მიწების ჩამორთმევის, გამიჯვნისა და გლეხებზე განაწილების პროცესს. ადგილობრივი კომისიების შემადგენლობა 3-5 კაცით განისაზღვრებოდა.[1]

კანონპროექტის გამოქვეყნებიდან მალევე გაირკვა, რომ აღნიშნულ დოკუმენტს მხარს არ დაუჭერდნენ ოპოზიციის წარმომადგენლები, ამის შესახებ მკითხველს „ერთობა“ აცნობდა - „როგორც ვიცით, ამ კანონ პროექტის პარლამენტში გატარება მარტოდ მარტო სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას მოუხდება, თუ სახეში არ მივიღებთ ისეთ უმნიშვნელო ჯგუფებს, როგორიცაა ფრაქცია რადიკალ-დემოკრატებისა, რომელიც კანონ-პროექტს მხარს ჭერს, სომხურ „დაშნაკცუთიუნს“ და სახალხო პარტიას რომელთა აზრი ოფიციალურათ ჩვენ ჯერ არ ვიცით“.[2] თუმცა, თავად ოპოზიციას შორის გაჩნდა ბრალდებები, რომ მიუხედავად საჯარო კრიტიკისა, ცალკეული პარტიები იზიარებდნენ სოციალ-დემოკრატების პროექტს. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან გამოყოფილ ნაციონალისტური პარტიის ლიდერი გრიგოლ ვეშაპელი აცხადებდა, რომ ეს კანონპროექტი, ფაქტობრივად, ეროვნულ-დემოკრატების იდეებს ეფუძნებოდა.

ოპოზიციური პარტიებისა და არცთუ იშვიათად თავად სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებისა და მხარდამჭერების კრიტიკის კვალდაკვალ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი პარტიული პრესის საშუალებით აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა კანონპროექტის სასარგებლოდ. მაგალითად, „ერთობა“ წერდა: „თავის თავად ფასი, რომელსაც კანონ პროექტი გულისხმობს, ერთობ მცირე და ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება: სახელდობრ დაახლოებით იმდენის გადახდა მოუხდება გლეხს დესეტინაზე, რამდენიც მას უნდა გადაეხადა ერთი წლის ღალის სახით (დაახლოებით ერთი წლის მოსავლის 25% უნდა გადაეხადათ მიწის სრულად შესაძენად). ამასთანავე უღარიბესი გლეხები სარგებლობენ ფულის ნაწილ-ნაწილათ გადახდის შეღავათით. გარდა ამისა ჩვენ ვფიქრობთ, რომ მუქთად გაცემულ მიწას გლეხებს ადვილათ წაართმევენ, პოლიტიკური წყობილება რომ შეიცვალოს, მაგრამ ფასით მიღებულს კი ვერა. აი ამ მოსაზრებით ვიცავთ ჩვენ მიწების შეღავათიან ფასებში

---

[1] *კანონ-პროექტი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1918 წლის 28 ნოემბერი, N103, გვ. 2.

[2] *აგრარული კანონ-პროექტები.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 16 იანვარი, N11, გვ. 1.

დარიგებას, თორემ დემაგოგია რომ გვსურდეს, ჩვენც უფასოთ დარიგებას მოვითხოვდით“.[1]

1919 წლის იანვარში კანონპროექტის განხილვა დაიწყო პარლამენტში (ყოფილ ეროვნულ საბჭოში), განხილვა დიდი დისკუსიებისა და დებატების ფონზე მიმდინარეობდა.[2] განხილვების პარალელურად ეროვნულ-დემოკრატებმა დააყენეს საკითხი, რომ კანონში დამატებოდა მუხლი, რომლის მიხედვითაც ჩამორთმეული მიწები გაიყიდებოდა არა სიმბოლურ ფასად, არამედ რეალურ საბაზრო ფასებში. გაზეთი „საქართველო“ წერდა: „ეს ფონდი უნდა გაიყიდოს არა სპეკულატიურსა და არა შეღავათიანის, არამედ ნორმალურ ფასებში. მაშინ ხაზინა მიიღებს საკმაო თანხას, როგორც მოსალოდნელი დეფიციტის დასაფარავად, ისე საკოლონიზაციო კაპიტალის შესადგენადაც, რომლის შემწეობით ადვილი იქნება უმიწაწყლო გლეხების გადასახლება და მოწყობა. როგორც პოლიტიკური, ისე ფისკალური და ეკონომიური ინტერესი საადგილმამულო ფონდის მაქსიმალურ გამოყენებას მოითხოვს“.[3]

პარლამენტში კანონპროექტის განხილვისას მთავარი მომხსენებელი მიწათმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი იყო, რომელმაც მნიშვნელოვანი სიტყვით მიმართა დეპუტატებს: „ბატონებო, აგრარული საკითხი საერთოდ, და მიწის საკითხი კერძოთ შეადგენს უდიდეს პოლიტიკურ და სოციალურ კითხვას. ამ საკითხში, ისე როგორც ფოკუსში, თავს იყრის თითქმის მთელი საზოგადოების ყველა წრეების ინტერესები. აქ საბრძოლველად ერთმანეთს ხვდებიან სხვა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები და აქედან იყო მათი გზა. დემოკრატია მუდამ წინ აყენებდა აგრარულ საკითხს, და ცდილობდა მის გადაჭრას, მაგრამ ძველი წყობილება, ჩვენი მთავრობა მუდამ გაურბოდა ამას და ცდილობდა ძველი ურთიერთობა დაეცვა... ... რევოლუციის პირველსავე თვეებში სოფლებში დაიწყო მოძრაობა; თუ ჩვენ გავითვალისწინებთ დოკუმენტებს რევოლუციის პირველ ხანებისას დავინახავთ, რომ ბევრ ადგილას გლეხკაცობა თითონ შეეცადა მიწის საკითხის მოგვარებას. ამ ნიადაგზე დაიბადა ექცესები, ამ ნიადაგზე გაჩაღდა ერთის

---

[1] *აგრარული კანონ-პროექტები.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 19 იანვარი, N14, გვ. 1.

[2] *საქართველოს პარლამენტი.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 23 იანვარი, N17, გვ. 2.

[3] *საადგილმამულო ფონდის განაღდება.* გაზ. საქართველო, 1919 წლის 24 იანვარი, N18, გვ.1

მხრივ მუშაობა რეაქციონურ წრეებში და მეორეს მხრივ ნიადაგი მოიპოვა ანარქიამ... ჯერ კიდევ საქართველოს გამოყოფამდე ამიერ-კავკასიის სეიმმა გამოსცა დეკრეტი მიწის ჩამორთმევის შესახებ. ამ დეკრეტში არ იყო განსაზღვრული პირობები თუ როგორ უნდა მომხდარიყო მიწების ჩამორთმევა, ეს იკისრა და შეასრულა ამიერ-კავკასიის სეიმმა. სეიმმა პრაქტიკულ ნიადაგზე გადაიტანა საკითხი, განსაზღვრა ის ნორმა, რომელიც მემამულეებს უნდა დარჩენოდათ ხოლო დანარჩენი მიწები გადავიდა სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდში... ...1861 წელს, კამერალური აღწერილობით ესე იგი ბატონ-ყმობის გადავარდნის წინ ტფილისის გუბერნიაში სულ ირიცხებოდა 1 751 მებატონე. ამათგან 537 ისეთი მებატონე იყო, რომელსაც ჰყავდა ყმები და მიწა ადგილი ჰქონდათ, ხოლო 214, ესე იგი 14% ისეთი, რომელსაც ყმები ჰყავდათ უმიწა-წყლოთ, ტფილისის, გორის, სიღნაღის, თელავის, თიონეთის მაზრებში ითლებოდა 17 261 კომლი ყმა. მათგან მამაკაცი 67 498, დედა-კაცი 54 622 სულ 122 120 სული. უმეტესი ნაწილი მებატონეებისა იყო წვრილი მიწათ-მფლობელი, საერთოთ ტფილისის გუბერნიაში ითვლებოდა 869 მებატონე, რომელსაც 21-ზე ნაკლები ყმა ჰყავდა. 21-100 ყმა ჰყავდა 729 მებატონეს, 101-800 ყმა 737 მებატონეს, 501-100 ყმა 12 მებატონეს, ხოლო 1000-ზე მეტი ყმა მხოლოდ 2-ს... ... ხიზნათ გასული გლეხები შეადგენდნენ 27%-ს. ქალაქებში წავიდნენ 5%. რეფორმამდე გლეხებს თავის განკარგულებაში გქონდათ 84  665 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა, რეფორმის შემდეგ ჩამოეჭრათ 28 986 დესეტინა, ასე რომ, თუ გათავისუფლებამდე კომლი გლეხი ექვს დესეტინამდე მიწას ფლობდა, გათავისუფლების შემდეგ ეს 3.9 დესეტინამდე ჩამოვიდა... ... მიწების გამოსყიდვა, როგორც იცით, არ იყო სავალდებულო, ეს დამოკიდებული იყო მებატონის სურვილზე.

წარმოდგენილი კანონი-პროექტიც სწორეთ აქედან გამოდის. როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ნაწილი ჩამორთმეულ მიწისა უნდა გადაეცეს გლეხობას კერძო საკუთრებათ ჩვენ ვიღებთ მხედველობაში იმას, რაც არსებობს; ფაქტიური მდგომარეობა გვიკარნახებს იმას, რომ ხსენებული ნაწილი მიწებისა გადაეცეს გლეხებს კერძო საკუთრებათ, არა იმისთვის, როგორც აქ ს.-რ. ორატორები ლაპარაკობდნენ, თითქოს ჩვენ გვინდა შევეგუოთ გლეხების მოთხოვნილებას მათ სურვილს მიწის საკუთრებათ მიღებისა. არა ჩვენ ამ სურვილში ვხედავთ ისეთ რამეს, რაც ხელს არ შეუშლის ჩვენს ეკონომიურ განვითარებას, ეს რო

მართლა ჩრდილავდეს ჩვენს მიზანს, ჩვენს საბოლოო მიზანს, მაშინ ჩვენ ამაზე ხელს ავიღებდით, და არავინ ჩვენგან ამას არ დაიცავდა. მაგრამ, ჩვენი ცხოვრების კონკრეტულ პირობებში ეს არ ეწინააღმდეგება არც საბოლოო მიზანს, არც უახლოესს, ჩვენ სოციალისტები ვართ, მართალია, მაგრამ ერთი დებულება ყველა სოციალისტის სავალდებულო არის: არ გადავდგათ ისეთი ნაბიჯი, რომელიც ეკონომიურ განვითარებას ხელს შეუშლის".

მინისტრი კერძო საკუთრების პრინციპის დასაცავად კიდევ ერთ არგუმენტს იშველიებდა. კერძოდ ის აცხადებდა, რომ რესპუბლიკაში არსებული მიწის ფონდი გაბნეული, დაქსაქსული და განსხვავებული იყო, რის გამოც ამ მიწის ნაკვეთების ნაციონალიზაცია და სახელმწიფოს ხელში თავმოყრა ეკონომიკური თვალსაზრისითაც გაუმართლებელი იყო, რადგანაც ამგვარი მიწების მართვა ცენტრალიზებულად შეუძლებელი იყო და უმჯობესი იყო ამგვარ მიწებს კერძო მფლობელები ჰყოლოდა.[1]

მინისტრი ხომერიკი პარლამენტში თავის გამოსვლისას პასუხობდა ოპონენტებს სხვადასხვა პარტიებიდან და ცდილობდა მათი არგუმენტების გაბათილებას და სოციალ-დემოკრატთა იდეების დაცვას: "... აი გუშინ ბატონმა ფირცხალავამ წამოაყენა სოციალისტ-ფედერალისტების მიერ ახალი პროექტი, სადაც ნათქვამია რომ წვრილ, კერძო მესაკუთრეებს მხოლოდ მაშინ ჩამოართმევენ მიწებს, თუ ისინი ამას მოისურვებენ. თავის თავად ცხადია, კითხვის ასე დასმა ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ თქვენი პროგრამის მთავარ მუხლზე უკვე ხელი აგიღიათ. ვინაიდან, თქვენ კარგად იცით, რომ თუ სურვილზე მიდგება საქმე, ორი აზრი არ შეიძლება იყოს: არც ერთი მესაკუთრე გლეხი არ მოინდომებს, მას მისი საკუთრება ჩამოერთვას; (სამსონ დადიანი (სფპ): სწორედ პროგრამის მუხლი არის წინააღმდეგი. ასე კითხულობთ პროგრამებს)... ... როცა ვლაპარაკობ სოციალიზაციაზე მხედველობაში მყავს უმთავრესად ს.-რ. პროგრამა. იქ აშკარად წერია, რომ ს-რევ. მოითხოვენ ყველა მიწის საზოგადო კუთვნილებათ გადაცემას, მათ სოციალიზაციას; და სოციალიზაცია თქვენ კარგად იცით, ნიშნავს, უპირველეს

[1] *მიწათ-მოქმედების მინისტრის ბ-ნ ნოე ხომერიკის სიტყვა აგრარულ კანონ-პროექტის შესახებ.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 25 იანვარი, N19, გვ. 2-4.

ყოვლისა, მიწის თანასწორად განაწილებას და გამოყენებას. "уравнительное землепользваные"/ „გათანასწორებული მიწათსარგებლობა" - ეს არ არის სოციალიზაციის ერთი უმთავრესი ელემენტი. თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენში, სადაც გლეხი და არა გლეხი - მეურნე მისდევს ვენახის მოშენებას, ჩაის, მანდარინის, დაფნის და სხვა ძვირფას მცენარეთა კულტურას, როგორ გინდათ თქვენ ასეთი პრინციპის გატარება, როგორ გინდათ თანასწორად მიწის განაწილება და გამოყენება, როცა იქ არ შეიძლება მიწების პერიოდული განაწილება..."[1]

კანონპროექტის განხილვისას წარმოიშვა კითხვები, კერძო საკუთრებად გადაცემა რამდენად იქნება განგრძობადი და ხომ არ მოხდებოდა ამ პრინციპის შემდგომში გადახედვა. ამის შესახებ ხომერიკი აზუსტებდა: „საჭიროდ მიმაჩნია განუმარტო ყველას, რომ ნორმაში დატოვებული მამული შეადგენს პატრონების სრულ საკუთრებას, რომლის მოხმარება მათ შეუძლიანთ ისევე თავისუფლათ, როგორც საზოგადოთ მიწის ყველა მესაკუთრეს, რომ არავის ნება არა აქვს ძალით დაიჭიროს ნორმაში დატოვებული მამული. ყველა ასეთ შემთხვევაში ყოფილ მემამულეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს, რომელიც დაადგენს მოძალადის გაძევებას და მთელს ზარალს და ხარჯებს დამნაშავეს დააკისრებს, რაც დაუყოვნებლივ შესრულებულ იქნება ადმინისტრაციის მიერ. მიწის პატრონზე ძალადობას არევა შეაქვს სოფლის მეურნეობაში რაც დაუშვებელია".[2]

მინისტრი ხომერიკი, თავის ხანგრძლივ სიტყვის ბოლოს აჯამებდა ზოგადად რეფორმის მნიშვნელობას და კვლავ იმეორებდა კანონპროექტის მიზნებს: "ორნაირი მოსაზრება წამოაყენეს ამ კანონპროექტის წინააღმდეგ. გვებრძვიან როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან. აღსანიშნავია ის რომ ერთი მოითხოვს სრულიად საწინააღმდეგოს იმისას, რასაც მეორე აუცილებლად აღიარებს. ჩვენ მოვისმინეთ აქ ნაციონალ-დემოკრატიის ფრაქციის წარმოდგენილი. გვეუბნებოდენ აგრარული კანონით დაეცით სასოფლო მეურნეობა. თუ გინდათ რომ მეურნეობა არ დაეცეს ნორმა უთუოთ გადიდდესო. ამავე დროს მეორე მხრიდან ჩვენ მოვისმინეთ სრულიათ საწინააღმდეგო მოსაზრება. ზ. თედო

---

[1] *მიწათ-მოქმედების მინისტრის ბ-ნ ნოე ხომერიკის სიტყვა აგრარულ კანონ-პროექტის შესახებ.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 26 იანვარი, N20, გვ. 2.

[2] *მიწათ-მოქმედების მინისტრისაგან.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 22 თებერვალი, N42, გვ. 2.

ღლონტი აქ წინადადებას იძლეოდა, რომ ნორმა შემცირდეს და სრულიად არ მიეცეს იმას, ვინც პირადათ მეურნეობას არ ეწევა სოფლად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც ერთი და არც მეორე მოსაზრება მისაღები არ არის. ჩვენ ვფიქრობთ რომ ბოღმა, რომელიც არსებობს, დატოვების ნორმა, 7 მარტის კანონის მიერ დაწესებული უსათუოდ უნდა დარჩეს. ამ ნორმის შემუშავების დროს მიღებული იყო მხედველობაში ყველა მოსაზრება კითხვის სწორად გადასაჭრელათ. დატოვების ნორმა საკმარისი არის, რომ მეურნე, თუ ის მართლა მეურნეობას ეწევა, თავის მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს (ხმა: ბევრი არის)... ...ბატონებო, აქ მოიყვანეს სხვათა შორის მოსაზრება, რომ ეს კანონი მიუღებელია სოციალისტთათვისო. წაგვიკითხეს ციტატები სხვა და სხვა სოციალისტურ მწერლების ნაწერებიდან. მიუთითეს სხვათა შორის, ენგელსზე, კაუცკიზე და სხვა სოციალისტ მწერლებზე. უნდა გითხრათ, რომ ეს ძალიან გაბედული დამოწმება იყო სოციალისტების მამამთავრებისა. და რომ ეს ასეა სჩანს თუ გინდ იმავე ენგელსის სიტყვებიდან. ენგელსი თავის ერთ წიგნში, სადაც იგი იკვლევს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცევიან სოციალისტები იმ მომენტში, როცა მათ ხელში გადავა ძალა-უფლება და სოციალიზმის განხორციელებას შეუდგებიან, და კითხულობს: როგორ მოიქცევიან სოციალისტები გლეხის მიწის მფლობელობის მიმართ? მოახდენენ თუ არა ისინი ამ მიწის ექსპროპიაციას? ენგელსი უპასუხებს: ჩვენ გლეხებს არას შემთხვევაში არ ჩამოვართმევთ მიწებსო (გაბაშვილი: როგორც ფედერალისტები) ეს რასაკვირველია, სრულებით არ ამართლებს იმას, რასაც დღეს ფედერალისტები ამბობენ. აქ ლაპარაკია, ბატონებო, იმ მომენტზე, როცა სოციალისტები ხელში ძალას ჩაიგდებენ და სოციალიზმის განხორციელებას შეუდგებიან და ამ მომენტში, წარმოიდგინეთ თქვენ, ამ მომენტში ენგელსის აზრით შეუძლებელია, რომ სოციალისტებმა მოისურვონ გლეხების კერძო საკუთრების ექსპროპრიაცია... ... თუ სადმე შესაძლებელია სოციალიზმის განხორციელება, მატერიალურის პირობების გამო ეს უპირველეს ყოვლისა შესაძლებელი არის დასავლეთ ევროპაში, შესაძლებელი არის ინგლისში, გერმანიაში და სხვა კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნებში, ასე რომ სოციალისტური თვალსაზრისით, არავითარი დანაშაულობა არ იქნება ჩადენილი, ჩვენ თუ მიწებს კანონ-პროექტში აღნიშნულ კერძო საკუთრებად გადავცემთ და ახალი წყობილებისათვის მოვიმხრობთ

გლეხკაცობას. ამას მოითხოვს ეკონომიურ განვითარების ინტერესები. მეორე მხრივ სახელმწიფო მიიღებს ამ პროექტის განხორციელებით ერთგვარ საშუალებას, რომლითაც ის გადაჭრის ბევრ იმ კითხვას, რომლების განხორციელება აუცილებელი არის მომავალი განვითარებისათვის (ტაში)“.[1]

ხანგრძლივი განხილვების შემდეგ 1919 წლის 28 იანვარს პარლამენტმა მხარი დაუჭირა კანონს - „სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემისა“. ეს, ფაქტობრივად, იყო აგრარული რეფორმის სრულფასოვანი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც თავის მხრივ 1918 წლის 8 მარტის კანონის ძირითად პრინციპებს ემყარებოდა, კანონში გაცხადებული იყო: „1 მუხლი. სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის მამულები მიეცემა სოფლის მცხოვრებთ კერძო საკუთრებად...“. „3 მუხლი. მიწა მიეცემა საკუთრებად იმ უმიწაწყლო და მცირედი მიწის მქონე სოფლელთ, რომელთა არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს სასოფლო-სამეურნეო შრომა“.[2] ახალი კანონმდებლობა ადგენდა მიწების მუნიციპალური და სახელმწიფო საკუთრების ფორმებსაც მსხვილ მამულებთან, ტყეებთან, საძოვრებთან და ბუნებრივ რესურსებთან მიმართებაში.

იმავე დღეს პარლამენტის მიერ დამტკიცებული მეორე კანონი - „ყოფილ სანადელო, სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადებისა“, რომლის თანახმადაც ყოფილი ე.წ. „სანადელო მიწები“, გორის მაზრის ოსური მოსახლეობის ე.წ. „ხიზნებისათვის“ დროებით გადაცემული მიწები, ასევე, განაპირა მხარეებში მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობისათვის დროებით გადაცემული მიწები ავტომატურად საკუთრებად დაუკანონდებოდათ გლეხებს და ეს ნაკვეთები არ დაექვემდებარებოდა აგრარული რეფორმის ფონდში გადატანის წესს .[3]

---

[1] *მიწათ-მოქმედების მინისტრის ბ-ნ ნოე ხომერიკის სიტყვა აგრარულ კანონ-პროექტის შესახებ.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 28 იანვარი, N21, გვ. 2-3.

[2] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), (სპეც.* რედ. ვ. შარაშენიძე). თბილისი: ივერთა მხარე 1990, გვ. 218.

[3] იქვე, გვ. 222- 223.

ახალ კანონმდებლობას დამტკიცების შემდეგ აქტიურად ეხმაურებოდა პრესა, მაგალითად, გაზეთი „ერთობა“ კანონის შესახებ წერდა: „ჩამორთმეული მიწები დაურიგდება გლეხებს სულ მცირე, შეღავათიან ფასებში, დაურიგდება, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა მცირე მამულიან და სრულიად უმამულო გლეხებს; ამ კანონს ორი მხრიდან გამოუჩდნენ მოწინააღმდეგეები ერთ მხრით ძველი თავდადების და ბურჟუაზიულ წრეების წარმომადგენელნი ნაც.-დემოკრატები, დამოუკიდებელნი და დამოკიდებულნი, აუხირდა კანონ-პროექტს და მთავარ ბრალდებათ წამოგვიყენეს ის, რომ ჩვენ ამ კანონით ვიცავთ სოფლის ღარიბთა კლასს, რომ „იქ უფრო სოფლის პროლეტარიატის ინტერესებია დაცული, ვინემ სახელმწიფოსი“. საბუთი ასეთი დასკვნისა ის გახლავთ, რომ ჩვენ მცირე, შეღავათიან ფასებს ვახდევინებთ გლეხებს და არა ბაზრის ფასებს. ე. ი. გაჭირვებულმაც შეძლოს მიწის შეძენა და ის ხელში არ ჩაუვარდეს სოფლის ჩარჩებს და მდიდრებს. სამაგიეროდ მეორე მხრით აგვიხირდენ ს. ფედერალისტები და სოც. რევოლუციონერები. ამ უკანასკნელთ ვერ წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება მიწაში ფული გადაახდევინო გლეხებს. რომ გლეხს უნდა მიეცეს უფასოდ და ისიც არა საკუთრებათ - არამედ სასარგებლოდ და საზიაროთ, ესე იგი სოციალიზაციის საფუძველზე“.[1]

1919 წლის იანვარში გრძელდებოდა დისკუსია, თუ რამდენად სამართლიანი და სწორი იყო ისედაც ღარიბი გლეხებისათვის მიწების გადაცემისას საფასურის გადახდევინების პრინციპი. ამის საპასუხოდ კანონის განმარტებით ბარათში ნოე ხომერიკი აცხადებდა: „ამნაირათ ჩვენ დავინახეთ, რომ მიწების მცირე საფასურით გლეხებზე გადაცემა მისაღებია პოლიტიკური, ეკონომიური და ფინანსიური მოსაზრებით, ყოველ მხრივ მიზანშეწონილი ზომაა. მათი უფასო დარიგება კი გარდა იმისა, რომ მიუღებელია თან შეუძლებელიც არის. ისტორიამ ჯერ არ იცის მაგალითი მიწის კერძო საკუთრებათ უფასოთ გადაცემისა“.[2]

---

[1] *მიწათ-მოქმედების მინისტრის ბ-ნ ნოე ხომერიკის სიტყვა აგრარულ კანონ-პროექტის შესახებ.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 25 იანვარი, N19, გვ. 1.

[2] *განმარტებითი ბარათი.* გვ. 8. დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. F559/5.

სეიმის 1918 წლის 8 მარტის კანონით მკაფიოდ იყო გაცხადებული, რომ ამიერკავკასიაში მიწის რეფორმის დასრულებამდე აკრძალული იყო მიწების ყიდვა-გაყიდვა როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის მოქალაქეებისთვის, ასევე, იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ვისაც ან ამ დროისთვის გააჩნდა მიწები ანდაც ჰქონდათ სურვილი მიწის შეძენის.[1]

1918 წლის 8 მარტის კანონის ის ნორმა, რომელიც მიწების ყიდვა-გაყიდვას კრძალავდა 1919 წლის 28 იანვრის კანონიც იყო, თუმცა ამ კანონში უკვე გათვალისწინებული იყო გამონაკლისი, რომლის ძალითაც მიწათმოქმედების სამინისტროს სპეციალური ნებართვით შესაძლებელი იყო მიწების ყიდვა-გაყიდვა.[2] ამ მიდგომას მკაცრად აკრიტიკებდა მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მთავრობისგან მოითხოვდა ყიდვა-ყადვის დაშვებას. 1920 წლის 10 თებერვლიდან საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ განიხილა კანონპროექტი, რომელიც ლეგალურს ხდიდა მიწების ყიდვა-გაყიდვას იმ მაზრებში, სადაც აგრარული რეფორმა დასრულებული იყო. ანუ ზედმეტი მიწის ნორმების ჩამორთმევის პროცესი დასრულებული იყო და მიწებიც კერძო საკუთრებად გადაცემული.[3] მიწების ყიდვა-გაყიდვის დაშვებას მკაცრად აკრიტიკებდნენ მემარცხენე პარტიები - სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები.

აგრარული რეფორმის კანონი ერთ-ერთი უკანასკნელი იყო იმათგან, რომელიც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა, რადგანაც პარლამენტმა მალევე მოქმედება შეწყვიტა. 1919 წლის 14-16 თებერვალს რესპუბლიკაში საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების არჩევნები გაიმართა. წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში თითოეული პარტია აქტიურად აცნობდა მოქალაქეებს თავიანთ საარჩევნო პროგრამებს, რომელშიც უმნიშვნელოვანესი ადგილი ეთმობოდა აგრარულ საკითხს. მაგალითად,

---

[1] თამარ ათანელიშვილი, *ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.),* ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი: თსუ, 2006, გვ. 48. იხ.: https://digitallibrary.tsu.ge/book/2022/May/dissertations/atanelishvili-ekonomikuri-disertacia.pdf (ნანახია: 26.08.2023)

[2] *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 12 დეკემბერი, N282, გვ. 3.

[3] ალექსანდრე ბენდიანიშვილი, *საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.).* თბილისი: მემატიანე, 2001, გვ. 246-247.

სოციალ-დემოკრატთა პროგრამაში გაცხადებული იყო ის იდეები, რაც 28 იანვრის კანონით მომდინარეობდა, კერძოდ - „გლეხთა განსათავისუფლებლათ მემამულეთაგან და სოფლის მეურნეობის განსავითარებლათ სოციალდემოკრატიის მეთაურობით და ინიციატივით უკვე ჩამორთმეულ იქნა მამულები საუფლისწულო და საკაბინეტო, აგრეთვე საეკლესიო და კერძო მემამულეების – უკანასკნელთ კანონით დაეტოვათ მხოლოდ განსაზღვრული ნორმა. ყველა ჩამორთმეული სახნავ-სათესი ადგილები დაურიგდება უმიწაწყლო და მცირე მამულიან მიწის მუშებს შეღავათიან ფასებში სრულ საკუთრებათ. მიწის წვრილი საკუთრება, როგორც სანადელო, ისე შეძენილი, უნდა დარჩეს მათი დღევანდელი მფლობელობის ხელში. ყველა იმ გლეხებს, რომელთაც მიწა ჰქონდათ მიცემული მუდმივ სამფლობელოთ ან ვორონცოვის თუ სხვა უფლებებით, მაგ. ხიზნებს, სახაზინო გლეხებს, მუდმივ მოიჯარადეებს და სხვებს, მათი მიწები უნდა დაუმკვიდრდეს კერძო საკუთრებათ, მაგრამ რომ ადგილ-მამული ხელში არ ჩაიგდონ ჩარჩ-ბაცაცებმა, ყიდვა-გაყიდვის დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს ადგილობრივ თვითმართველობას და სახელმწიფოს. ამ თვითმართველობის ხელში უნდა გადავიდეს აგრეთვე ყველა მიწე*ბი* და მამულები, რომელიც საჭიროა სამეურნეო შკოლებისთვის, საცდელი მინდვრების, სამაგალითო მეურნეობის მოსაწყობათ და სხვა. ხოლო ის მიწები, ტყეები და წყლები, რომელთაც აქვთ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, უნდა მთელი რესპუბლიკის საკუთრებათ დარჩეს, მათ სარგებლობაში კი მონაწილეობა დაედვას ადგილობრივ თვითმართველობას ამასთან სოციალდემოკრატები მოითხოვენ გამოცემულ იქნას კანონი, რომელიც დაიცავს სოფლის მეურნე მუშებს დამქირავებელთა გაყვლეფისაგან და გავრცელდეს მათზე შრომის დაცვის ყველა კანონები“.[1]

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები, რომლებიც მკაცრად გმობდნენ 1919 წლის 28 იანვრის კანონს და მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხედვებს, თავიანთ ხედვებს კი ამგვარად აყალიბებდნენ - „ჩვენ ერთნაირად ვიბრძოლებთ ქარხანა-ფაბრიკა სახელოსნოების და მიწის მუშების ინტერესებისათვის. რადგან სოფლის მუშა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობა დამოკიდებულია მიწაზე, ამიტომ მიწა უნდა ჩამოერთვას

---

[1] ირაკლი ირემაძე, ლევან ლორთქიფანიძე, სოფიკო შუბითიძე და ხვიჩა ყაზაიშვილი, *ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია*. თბილისი: თბილისის ფაბიანური საზოგადოება, 2015, გვ. 142-143.

ყველა არა მუშას და მიეცეს მხოლოდ იმას, ვინც თვითონ ან თავის ოჯახის შემწეობით დაამუშავებს მიწას. მოვითხოვთ მიწის ყიდვა-გაყიდვის მოსპობას. ვეცდებით, რომ მიწის მუშები შეამხანაგდნენ და შეერთებულად დაამუშაონ მიწა. მივაწოდებთ ასეთ ამხანაგობებს საჭირო ცოდნას და აღმოუჩენთ ყოველგვარ დახმარებას სახელმწიფოსაგან. მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლება სოფლის მუშა ხალხის, მიწის მუშა გლეხობის განთავისუფლება დღევანდელ სრულიად უმწეო და აუტანელ მდგომარეობისაგან“.[1]

პოლიტიკურ სპექტრში გავლენიან პარტიათა შორის ყველაზე რადიკალური მემარცხენე პარტია - სოციალისტ-რევოლუციონერები თავიანთ თავს გლეხთა ინტერესების დამცველ მთავარ პოლიტიკურ ძალად მიიჩნევდნენ და მკაცრად იდგნენ მიწების სახელმწიფოს ხელში თავმოყრის იდეაზე. სოციალისტ-რევოლუციონრები საარჩევნო პროგრამაში წერდნენ - „ჩვენი სამშობლო გლეხური ქვეყანაა. მიწის მუშები შეადგენენ ჩვენი ერის უდიდეს ნაწილს. მიწის მუშების კეთილდღეობა მჭიდროთ არის დაკავშირებული მიწის საკითხთან. მიწა არის მიწის მუშის მარჩენალი და მუდმივი ოცნების საგანი. მაგრამ მიწა მიწის მუშას უნდა არა სავაჭროთ, არამედ დასამუშავებლად. სასოფლო მეურნეობის განვითარება თავისებურ პირობებში ხდება. საკუთრების განსაზოგადოებრივობა მასში წინ უნდა უძღოდეს შრომის განსაზოგადოებრივობას. ეს აუცილებელი პირობაა სასოფლო მეურნეობაში მწარმოებელ ძალთა განვითარებისათვის. ამ მოსაზრებათა გამო სოც. -რევოლიუციონერთა პარტია მიწის საკითხში მოითხოვს: 1) მთელი მიწა მისი სიმდიდრით, წყლებით, ტყეებით, მადნეულობით გამოცხადდეს ხალხის საერთო ავლა-დიდებათ. 2) მიწა უნდა ჩამოერთვას უსასყიდლოდ მემამულეებს, ხაზინას, ეკლესიებს, მონასტრებს და ყველა არა მშრომელთ. 3) უნდა მოისპოს მიწაზე ყიდვა-გაყიდვა, იჯარით გაცემა და დაგირავება. ერთი სიტყვით, მიწა არ უნდა იქნეს ვაჭრობის საგანი. 4) მიწა გადაეცემა სასარგებლოთ მიწის მუშებს, იმათ, ვინც მიწაზე თვითონ შრომობს. 5) წვრილი მესაკუთრე – მიწის მუშებს მიწები არ ჩამოერთმევათ. 6) მიწის მუშას შეუძლია მიწა, რომელზედაც ის მუშაობდა, თავის შვილებს და სხვ. მემკვიდრეობით გადასცეს. 7) ადგილობრივი მნიშვნელობის მიწებს და ტყეებს განაგებს ერობათა და

[1] იქვე, გვ. 153-154.

თვითმართველობათა ადგილობრივი ორგანოები. საერთო მნიშვნელობის მიწებს და ტყეებს განაგებს რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოები. 8) მადნეულობანი და საერთოდ ყველა ის, რაც მიწის წიაღშია, გადადის რესპუბლიკის უმაღლეს განკარგულებაში. საერთოდ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ფართო ზომები სასოფლო მეურნეობის ასაყვავებლად და მიწის მუშათა ინტერესების დასაცავად. თავისუფალ მიწაზე თავისუფალი მიწის მუშა – ასეთია მოკლედ ს. -რევოლიუციონერთა აგრარულ პროგრამის მთავარი აზრი და საერთო მიმართულება“.[1]

მთავარ მემარჯვენე პარტიას ეროვნულ-დემოკრატებს საარჩევნო პროგრამა უშუალოდ დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის არ შეუმუშავებიათ, ისინი არჩევნებზე 1917 წელს მიღებული პარტიული პროგრამით გამოდიოდნენ, რომელიც აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით შემდეგ პრინციპებს ემყარებოდა: 1. ყოფილ დროებით ვალდებულ გლეხებს საკუთრებად უკანონდებოდათ ე.წ. „სანადელო“ მიწები, 2. ყოფილ თავადებსა და მემამულეებს ნორმის ზემოთ არსებული მიწები ჩამოერთმეოდათ შესაბამისი კომპენსაციის გაცემის შედეგად, 3. უმიწაწყლო გლეხებს მიწები გადაეცემოდათ უსასყიდლოდ, 4. სოფლის მეურნეობის წარმოების ვარდნის თავიდან ასაცილებლად ჩამორთმევას არ დაექვემდებარებოდა უკვე გაშენებული ბაღები, ვენახები, პლანტაციები და დიდი სამრეწველო მამულები.[2]

1919 წლის 28 იანვარს დამტკიცებული კანონი შეეხებოდა მხოლოდ სოფლად არსებულ მიწათა ფონდს, ქალაქების ადმინისტრაციული საზღვრებში არსებული მამულები არ ექვემდებარებოდა აღნიშნულ კანონს. 1918 წლის მიწურულს გამოქვეყნებული კანონ-პროექტის თანახმად, ქალაქებში დაგეგმილი რეფორმის მიხედვით მემამულეთათვის დასატოვებელი ნორმის მოცულობა ქალაქში 2 დესეტინით განისაზღვრებოდა.[3] კანონ-პროექტის განხილვა თვეობით გადაიდო, მხოლოდ 1919 წლის ზაფხულში პრესაში

---

[1] ირაკლი ირემაძე, ლევან ლორთქიფანიძე, სოფიკო შუბითიძე და ხვიჩა ყაზაიშვილი, *ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია.* თბილისი: თბილისის ფაბიანური საზოგადოება, 2015, გვ. 160-161.

[2] ოთარ ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბილისი: მეცნიერება, 2004, გვ. 178-179.

[3] *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1918 წლის 28 დეკემბერი, N127, გვ. 2.

გაჩნდა ცნობები, რომ კანონპროექტის განხილვა განახლდებოდა, ამასთან, დადგენილი იყო ახალი ნორმები, რომლებიც ბევრად მცირე ზომის ნაკვეთების დატოვებას განსაზღვრავდა მემამულეებისათვის, კერძოდ: “ნორმაზე ზევით მიწები მეპატრონეთ უსასყიდლოთ უნდა ჩამოერთვათ, ჩამორთმეული მიწები უნდა გადაეცეს საკუთრებად ქალაქის თვითმმართველობას. დატოვების ნორმა უნდა იქნეს თბილისში - 1. ცენტრში 400 კვ. საჟენი[1], 2. ცენტრის ირგვლივ მდებარე რკალში - 600 კვ. საჟ. 3. განაპირა გაშენებულს უბანში - 800 კვ. საჟ. და 4. გაუშენებელს გარე უბანში 1200 კვ. საჟ.“.[2] ქალაქში რეფორმის გატარების პროცესის გაჭიანურების ფონზე მიღებული იქნა დროებითი ზომა, რომლის ძალითაც 1919 წლის აპრილიდან აიკრძალა ქალაქის ტერიტორიებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ყიდვა-გაყიდვა.[3]

## IV.7. რეფორმის პროცესი

1918 წელს, აგრარული რეფორმის დაბალი ტემპის გამო არაერთ მაზრაში აჯანყებების კვალდაკვალ გლეხებმა დაიწყეს თვითნებურად მიწების მიტაცება. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში უკვე გაცხადებული იყო ყოფილ მემამულეებისათვის გარკვეული ნორმების დატოვების პრინციპი, გლეხები თვითნებურად იტაცებდნენ ყოფილი მიწისმფლობლის სრულ ქონებას, მათ შორის ეს პროცესი მიმდინარეობდა იმ მემამულეების წინააღმდეგაც, რომლებისთვისაც სახელმწიფოს უკვე ჩამორთმეული ჰქონდა დაწესებული ნორმის ზემოთ მფლობელობაში არსებული ნაკვეთები. აღნიშნული თვითნებობების საპირისპიროდ მიწათმოქმედების სამინისტრო საჯაროდ აცხადებდა: „ვალდებული ვართ განვმარტო, რომ ნორმის მიხედვით დატოვებული მამულს ყველა მემამულე ჰფლობს როგორც ნამდვილი მესაკუთრე და ნება არავის არა აქვს, მისი მამული

---

[1] 1 საჟენი = დაახლოებით 2.7 კვ. მეტრი.

[2] *მიწის რეფორმა ქალაქებში.* გაზ. საქართველო, 1919 წლის 19 ივლისი, N151, გვ. 1.

[3] თამარ ათანელიშვილი, *ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.).* ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი: თსუ, 2006, გვ. 49. იხ.: https://digitallibrary.tsu.ge/book/2022/May/dissertations/atanelishvili-ekonomikuri-disertacia.pdf (ნანახია: 26.08.2023)

ვინმემ ძალად მიისაკუთროს. ამისთანა შემთხვევებში ყოფილ მემამულეებს სრული უფლება აქვთ მოძალადეებს სასამართლოში უჩივლონ და ზარალი აანაზღაურებინონ დამნაშავეს სასამართლოს დადგენილება დაუყოვნებლივ იქნება სისრულეში მოყვანილი. ძალადობას მემამულეებზე ანარქია აძლიერებს, რაც ძნელი ასატანია მეტადრე ახლა. მოვუწოდებ სოფლის საზოგადოებას იბრძოლონ ამ მოვლენასთან და ამით აცილონ სასამართლოს და ადმინისტრაციას ამ საქმეში ჩარევა, ხალხმა არ უნდა მისცეს მიზეზი ჩვენ მტრებს ათქმევინონ, თითქოს ძველ მემამულეებს დემოკრატია ავიწროვებდეს".[1]

არცთუ იშვიათად ადგილობრივ გლეხთა მიერ გამოჩენილი რეკეტიორობის ფაქტებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ზომების გატარება უხდებოდა. მაგალითად, დუშეთის მაზრაში არაერთ შემთხვევაში გლეხებმა ყოფილ მემამულეს წაართვეს აგრარული კომისიების მიერ დატოვებული ნორმირებული ნაკვეთები, მიწათმოქმედების სამინისტროს თხოვნის საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ ზომები მიიღო ყოფილი მემამულის კერძო საკუთრების დასაცავად.[2] მსგავსი ფაქტები მრავლად იყო გორის მაზრაშიც, სადაც ყოფილ მემამულეებსა და გლეხებს შორის ალბათ ყველაზე მწვავე სიტუაცია იყო და ამ პროცესს საკმაოდ დიდი ისტორიული წინაპირობები გააჩნდა. ცალკეულ შემთხვევებში 1918 წელს გლეხებმა არა მხოლოდ მიწის ნაკვეთები, არამედ ყოფილ თავადთა კარმიდამოც კი მიითვისეს. მაგალითად, მიწათმოქმედების სამინისტროს მიმართვის შედეგად შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო ზომები ყოფილი თავადის, რევაზ ამირეჯიბისათვის რეფორმის შედეგად საკუთრებად დატოვებული ნორმის დასაცავად.[3] თუმცა, ადგილობრივი ადმინისტრაცია და სამართალდამცავი ორგანოები ფრთხილად ეკიდებოდნენ საკითხს, ცდილობდნენ არ გაეღიზიანებინათ წლების განმავლობაში ჩაგრული გლეხები და არ მიეცათ საბაბი ახალი კონფლიქტებისათვის.

1919 წლის მარტიდან პრესაში გაჩნდა განცხადებები, რომელიც გვამცნობს, რომ მიწათმოქმედების სამინისტროს სამაზრო კომისიები აქტიურად ეძებდა კვალიფიციურ

---

[1] *მიწათ-მოქმედების მინისტრის განმარტება.* გაზ. საქართველო, 1919 წლის 28 თებერვალი, N46, გვ. 3.

[2] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 7, ფურც. 134.

[3] იქვე. ფურც. 148-149.

კადრებს რეფორმის ფარგლებში ადგილობრივი კომისიებისათვის მიწის მზომლებისა და სხვა ტექნიკური რგოლების დასაკომპლექტებლად.[1] მიწათმოქმედების მინისტრმა 28 იანვრის კანონის საფუძველზე 1919 წლის აპრილში გამოსცა განკარგულება სამაზრო და სარაიონო აგრარული კომისიების დაკომპლექტების და მუშაობის წესთან დაკავშირებით, რომელშიც გაცხადებული იყო: "თანახმად 23 იანვრის კანონის მე-9 მუხლისა საფონდო მიწების დასანაწილებლათ მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით ყოველი მაზრა გაიყოფა სააგრარო რაიონებათ. თვითეულ რაიონში შესდგება სარაიონო კომისია 3-5 პირისაგან, რომელსაც ირჩევს სარაიონო თათბირი. თვითეულ სარაიონო კომისიას ჰყავს მდივანი და მიწის მზომელი, რომელთაც ნიშნავს მიწათ-მოქმედების მინისტრი განსაზღვრული ჯამაგირით. ამ მიზნით მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილება იწვევს მსურველთ სარაიონო კომისიების მდივნების თანამდებობაზე. მთხოვნელებს უნდა ჰქონდეთ საშუალო განათლების ცენზი მაინც. უპირატესობა მიეცემათ აგრარულ რეფორმის გატარებაზე ნამუშევარ პირთ. მსურველებმა თხოვნები უნდა წარმოადგინონ მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებაში არა უგვიანეს 6 აპრილისა".[2]

1918 წელს, არასტაბილურობისა და საომარი საფრთხეების გამო, აგრარული რეფორმის, მიწების ჩამორთმევის პროცესი, ფაქტობრივად, არ დაწყებულა ბორჩალოს მაზრაში. 1919 წლის გაზაფხულიდან ბორჩალოში აქტიურად დაიწყო მამულების ჩამორთმევის პროცესი. ბორჩალოს მაზრაში არაერთი მნიშვნელოვანი მამული და მასთან დაკავშირებული წარმოება მდებარეობდა. პრესის ცნობით, აღნიშნულ პროცესს თავად მინისტრი ხომერიკიც ესწრებოდა.[3] მაზრაში მდებარეობდა ბარათაშვილი, ამეტერების, კუჩენბაზების, ჰაჯი იდრის ნასიბოღლის, ბეჭუკლიშვილის, ნადირაშვილის, იარადყულიების და სხვათა უდიდესი მამულები, ყველის და რძის პროდუქტების ქარხნები. სამინისტრო ამ მამულთა ბაზაზე გეგმავდა ერთიან რძის პროდუქტების დიდი

---

[1] *საადგ.-მამულო რეფორმა.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 1 აპრილი, N73, გვ. 3.

[2] *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 1 აპრილი, N73. გვ. 2.

[3] *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 5 ივნისი, N121, გვ. 2

საწარმოს შექმნას.[1] თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა აღნიშნული ქარხნების ჩამორთმევისა თუ გამოსყიდვის ფორმები.

მიწათმოქმედების სამინისტრო მოქალაქეებს აცნობდა, რომ ბათუმის და ზაქათალის ოლქის გამოკლებით მთელს რესპუბლიკაში 1919 წლის 15 აპრილიდან სააგრარო კომისიებმა თავიანთი საქმიანობა წამოიწყეს. სამინისტრო მოქალაქეებს განუმარტავდა ამ კომისიების დადგენილებების გასაჩივრების წესებს: „კომისიის მოქმედებაზე საჩივარი შედის სარაიონო კომისიაში ერთი კვირის ვადაში დღიდან აქტის დადგენისა. სარაიონო კომისია დაუყოვნებლივ იხილავს საჩივარს და თავისი დასკვნით გაუგზავნის სათანადო ერობის გამგეობას საბოლოო დადგენილების გამოსატანად. ერობის გამგეობა ერთი კვირის ვადაში, დღიდან საჩივრის მიღებისა, ატყობინებს თავის დასკვნას სარაიონო კომისიას ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აგრარულ რეფორმათა განყოფილება წინადადებას აძლევს დაინტერესებულ პირებს პირადად, ან რწმუნებულის სახით ადგილობრივ დაესწრონ კომისიების მუშაობის დროს და ყოველი საჭირო ახსნა-განმარტებანი წარუდგინოს მას“.[2]

მიუხედავად ოფიციალური ცნობისა, რომ ყველა მაზრაში ადგილობრივმა კომისიებმა მუშაობა 15 აპრილიდან წამოიწყეს, პრესის საშუალებით ვიგებთ, რომ ახალციხესა და ახალქალაქში კომისიებმა რეალურად მხოლოდ მაისის მიწურულსა და ივნისში დაიწყეს მუშაობა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ სულ რამდენიმე თვის წინათ ეს რეგიონი სამხედრო მოქმედებების ასპარეზად იყო ქცეული.[3]

კომისიების მიერ მაზრებში მუშაობის დაწყებისთანავე პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ მიწათმოქმედების სამინისტროს კომისიების სრულად დასაკომპლექტებლად სურდა 34 მიწის ამზომველის, მხაზველებისა და მათი თანაშემწეების აყვანა სამსახურში.

[1] *მიწათ-მოქმედების სამინისტროს საგანგებო რწმუნებული.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 16 აპრილი, N85, გვ. 1.
[2] *მიწათ-მოქმედების სამინისტრო: აგრარულ რეფორმათა განყოფილება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 19 ივნისი, N132, გვ. 1.
[3] *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 20 ივნისი, N133, გვ. 1-2.

კვალიფიციური კადრების მოსაზიდად განცხადებებიც გამოქვეყნდა, მიწის ამზომველს ხელფასის სახით 900 მანეთს ჰპირდებოდნენ, მათ თანაშემწეებს კი, 750 მანეთს.[1]

სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა აგრარული რეფორმა ქუთაისის მაზრაში, ამას საარქივო და პრესის მასალები ადასტურებს. რეფორმის ფარგლებში ადგილობრივმა კომისიამ ნორმის ფარგლებით გათვალისწინებულზე მეტი მიწის ნაკვეთები (მამული) ჩამოართვა დამფუძნებელი კრების წევრ ნიკო ნიკოლაძეს.[2] 1919 წლის ივლისში კი, ქუთაისის მაზრაში მოქმედმა სააგრარო კომისიებმა უკვე დაიწყეს ჩამორთმეული მიწების დარიგება უმიწაწყლო გლეხებზე. კომისიებმა გამოაქვეყნეს დასარიგებელ მიწათა მოცულობები და ფასები.[3]

| N | რაიონები | რამდენი ქცევა[4] მიეცათ მცხოვრებს | საშუალო ფასი / ქცევა | საშუალო ფასი / დესეტინა |
|---|---|---|---|---|
| 1 | სვირის | 2 234 | 900 | 2 400 |
| 2 | კოპიტნარის | 4 712 | 747 | 2 000 |
| 3 | ქუთაისის | 4 169 | 747 | 2 000 |
| 4 | წყალტუბოს | 2 948 | 299 | 800 |
| 5 | ჯიხაიშის | 1 450 | 828 | 2 220 |
| | სულ | 15 513 | 704.34 | 1 890 |

1919 წლის 28 იანვრის აგრარული რეფორმის კანონი ითვალისწინებდა, რომ შემდგომში მთავრობას განესაზღვრა გლეხებისათვის გადასაცემი მიწის ფასები. რესპუბლიკის მთავრობამ იმავე წლის 24 ივლისს შეიმუშავა სპეციალური აქტი, რომელიც ადგენდა გლეხებისათვის გასაცემი მიწების კატეგორიებსა და ფასებს. რესპუბლიკის მიწათა ფონდი ოთხ დიდ კატეგორიად დაიყო: პირველი კატეგორია - ბოსტნები, ბაღები და ნაყოფიერი ადგილები, მეორე კატეგორია - მოსავლიანი სათესი მიწები, მესამე კატეგორია

---

[1] *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 9 ივლისი, N149, გვ. 2.

[2] *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 17 მაისი, N107, გვ. 2.

[3] *საფონდო მიწების შეფასება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 11 ივლისი, N151, გვ. 2.

[4] 1 კვ. ქცევა = დაახლოებით 0.36 კვ. ჰექტარს.

- მოუსავლიანი ეწერი მიწის ნაკვეთები და მეოთხე ბოლო კატეგორია საძოვრები, სათიბები და სხვა. მთავრობის დადგენილებაში დაზუსტებული იყო თითოეული კატეგორიის მიწის საშუალო და შეღავათიანი ფასები, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოსთან მიმართებაში :[1]

დასავლეთ საქართველოში (სიმინდი)

| მიწების კატეგორიები | მოსავალი (ფუთებში) სიმინდისა ერთი დესეტინიდან | ფასი (მანეთებში) ერთი ფუთი სიმინდისა | საერთო შემოსავალი 1 დესეტინა მიწისა | შეღავათიანი ფასი 1 დესეტინისა | ფასების ცვლილება |
|---|---|---|---|---|---|
| I კატეგორია | 150 | 100 | 15 000 | 1 500 | არა ნაკლებ 1500 |
| II კატეგორია | 100 | 100 | 10 000 | 1 000 | 1000-1500 |
| III კატეგორია | 60 | 100 | 6 000 | 600 | 600-1000 |
| საზალახო | - | - | - | 300 | 300-400 |

აღმოსავლეთ საქართველოში (ხორბალი)

| მიწების კატეგორიები | მოსავალი (ფუთებში) ხორბლისა ერთი დესეტინიდან | ფასი (მანეთებში) ერთი ფუთი ხორბლისა | საერთო შემოსავალი 1 დესეტინა მიწისა | შეღავათიანი ფასი 1 დესეტინისა | ფასების ცვლილება |
|---|---|---|---|---|---|
| I კატეგორია | 60 | 200 | 12 000 | 1 200 | არა ნაკლებ 1200 |
| II კატეგორია | 50 | 200 | 10 000 | 1 000 | 1000-1500 |
| III კატეგორია | 30 | 200 | 6 000 | 600 | 600-1000 |
| საზალახო | - | - | - | 200 | 200-300 |

[1] *ჩამორთმეული მიწების ფასები.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 31 ივლისი, N168, გვ. 3.

თბილისის მაზრამ აღმოსავლეთ საქართველოს თვითმმართველობებს შორის პირველმა აცნობა მოქალაქეებს, რომ 1920 წლის ივნისისათვის მოსალოდნელი იყო მაზრის მთელ ტერიტორიაზე აგრარული რეფორმის პროცესის დასრულება.[1] მაზრაში მიწის ფასი საკმაოდ დაბალი იყო, მაგალითისათვის 1920 წლის იანვარში მანგლისის რაიონში 1 დესეტინა მიწა სულ რაღაც 387 მანეთი ღირდა, თელეთის რაიონში კი, 717 მანეთი. მაზრის მასშტაბით ყველაზე ძვირად მიწა გლეხებს საგარეჯოსა და ავჭალაში შეეძლოთ ეყიდათ 1 დესეტინა 990-მანეთიდან 1100-მანეთამდე ღირებულებით.[2]

1919 წელს საკმაოდ კარგი ტემპით წარიმართა აგრარული რეფორმა დუშეთის მაზრაში. კერძოდ, 1919 წელს მაზრაში მოქმედმა კომისიებმა დაგეგმილი 42 ათასი დესეტინიდან მოახერხა 40 000-მდე დესეტინის ჩამორთმევა. მაზრაში ყოფილ მემამულეებს ნორმების ფარგლებში ჯამურად 1 1783 დესეტინა მიწა დაუტოვეს.[3]

1920 წლის გაზაფხულიდან შემოდგომამდე ინფლაციისა და ვალუტის კურსის სწრაფად ზრდის შედეგად მიწის ფასები მნიშვნელოვნად დაკორექტირდა და გაიზარდა. მაგალითისათვის, მიწათმოქმედების სამინისტროს დადგენილებებით ირკვევა, რომ ოზურგეთის და სენაკის მაზრაში პირველი კატეგორიის ერთი ქცევა მიწის ფასი 800-900 მანეთს შეადგენდა.[4] 1920 წლის აგვისტოში მინისტრის მოადგილე ისიდორე მალანიას მიერ გამოცემული დადგენილებით ირკვევა, რომ გორის მაზრის ხაშურის რაიონში პირველი კატეგორიის 1 დესეტინა მიწის ღირებულება 5000 მანეთს შეადგენდა, ხოლო მეორე კატეგორიისა 4 000 მანეთს. სამინისტროს მიერ შედგენილი გეგმის თანახმად, რაიონში თითოეული გლეხის ოჯახს სურვილის შემთხვევაში შეეძლო 2 დესეტინა მიწა უნდა მიეღო. ამავე გეგმის თანახმად, ხაშურის რაიონში სახელმწიფო მიწის ფონდის გლეხებზე დარიგების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტი 2 362 375 მანეთით შეივსებოდა.[5]

[1] *ტფილისის თვითმმართველობაში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 5 დეკემბერი, N276, გვ. 3.
[2] *აგრარული რეფორმა 1919 წელს.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 1 იანვარი, N1, გვ. 1-2.
[3] *აგრარული რეფორმა.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 27 იანვარი, N19, გვ. 2.
[4] *აგრარული რეფორმა.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 17 აგვისტო, N184, გვ. 3-4.
[5] *საადგილ-მამულო რეფორმა.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 24 აგვისტო, N190, გვ. 3.

1919 წლის აპრილიდან ივნისის ბოლომდე სარაიონო კომისიებმა აქტიურად იმუშავეს მამულების ჩამორთმევის კუთხით. ამას მოწმობს საარქივო და პრესის მასალები. 1919 წლის ივლისში სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების თანახმად, ადგილობრივ კომისიებს კონკრეტულ მაზრებში შემდეგი რაოდენობისა და ფართობების მიწები ჰქონდათ მიღებული სახელმწიფოს საადგილმამულო ფონდში:[1]

| მაზრა | მამულების რაოდენობა | ფართობი/დესეტინა |
|---|---|---|
| თბილისის | 367 | 67 773 |
| სიღნაღის | 268 | 37 058 |
| თელავის | 449 | 44 462 |
| ბორჩალოს | 102 | 55 287 |
| დუშეთის | 117 | 20 612 |
| თიანეთის | 73 | 31 634 |
| გორის | 959 | 120 506 |
| ახალციხის | 4 | 1 185 |
| ქუთაისის | 168 | 8 307 |
| ზუგდიდის | 20 | 2 887 |
| ლეჩხუმის | 5 | 2 261 |
| ოზურგეთის | 129 | 22 227 |
| რაჭის | 4 | 64 |
| სენაკის | 148 | 27 443 |
| შორაპნის | 127 | 5 801 |

1919 წელს რეფორმის მიმდინარეობისას არაერთხელ მოხდა პროცესის განხილვა სამინისტროს სხვადასხვა თათბირის ფარგლებში. აგრარულ რეფორმათა განყოფილების გამგე ჩადუნელი მინისტრისა და სამინისტროს საბჭოს თითქმის ყოველთვიურად წარუდგენდა რეფორმის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშებს. 1919 წლის 4 აგვისტოს გაკეთებულ მოხსენებაში ჩადუნელი აცხადებდა: „ თანახმად 28 იანვრის კანონის მე-9

[1] *ჩამორთმეული მიწების რაოდენობა.* გაზ. ახალი საქართველო, 1919 წლის 9 ივლისი, N4, გვ. 3.

მუხლისა თითოეულ რაიონში შეადგინა სარაიონო კომისია 3-5 კაცისაგან, დაანაწილა მდივნები და მიწისმზომელები სათანადო რაიონებში, მისცა მათ ყოველი საჭირო მასალა და დაგზავნა დანიშნულებისამებრ. ამ ჟამათ კომისიები დაგზავნილია და მუშაობა სწარმოებს შემდეგ მაზრებში“.[1]

თბილისის გუბერნიაში:

| მაზრა | მიმღებ კომისიათა რაოდენობა |
|---|---|
| თბილისის | 7 |
| თელავის | 4 |
| სიღნაღის | 4 |
| ბორჩალოს | 5 |
| თიანეთის | 2 |
| დუშეთის | 5 |
| გორის | 16 |
| ახალციხის | 3 |
| ახალქალაქის | 2 |
| სულ | 47 |

ქუთაისის გუბერნიაში:

| მაზრა | მიმღებ კომისიათა რაოდენობა |
|---|---|
| ზუგდიდის | 8 |
| ოზურგეთის | 9 |
| ქუთაისის | 12 |
| შორაპნის | 8 |
| რაჭის | 2 |
| ლეჩხუმის | 6 |

[1] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 21, ფურც. 67.

| | |
|---|---|
| სენაკის | 7 |
| სულ | 52 |

სოხუმის ოლქი - 6 კომისია

სულ მუშაობს 106 კომისია“.[1]

ჩადუნელი თავის მოხსენებაში იმეორებდა მანამდე ნოე ხომერიკის მიერ გაჟღერებულ პრობლემას ცალკეულ მაზრებში მიწათა სიმცირის შესახებ. კერძოდ, მისი თქმით დასავლეთ საქართველოში რაჭის, ლეჩხუმის, შორაპნისა და ოზურგეთის მაზრებში მიწების დანაწილების შემდეგაც დაახლოებით 1 200 გლეხი ვერ მიიღებდა საკმარის მიწებს და საჭირო იყო მათი გადასახლება აღმოსავლეთ საქართველოს მაზრების დაუსახლებელ არეალებში, სადაც ნაყოფიერი მიწები თავისუფალი იყო.[2]

უმამულო გლეხების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო იყენებდა იმ სახლ-კარსა და მამულს, რომელიც 1918 წლიდან მიტოვებული იქნებოდა. ამგვარი მამულები და სახლები ჯერ ავტომატურად გადადიოდა სახელმწიფოს საკუთრებაში, ხოლო შემდეგ საჭიროებისამებრ ნაწილდებოდა.[3]

ოფიციალური მოხსენებებითა და პრესაში გამოქვეყნებული ცნობებით აგრარული რეფორმა 1919 წელს თითქოს კარგად მიმდინარეობდა და დასახული მიზნები მნიშვნელოვნად მიღწეული იყო. თუმცა სამინისტროს თანამდებობის პირთა წერილებითა და მიმართვებით ირკვევა, რომ რეფორმა ჩიხში ექცეოდა, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა გეგმას და ვერ აღწევდა დროში გაწერილ გეგმას. აღნიშნული პრობლემების ფონზე 1919 წლის 25 ნოემბერს აგრარული რეფორმის განყოფილების ხელმძღვანელმა დავით ჩადუნელმა მინისტრის მოადგილე პეტრე გელეიშვილს გადადგომის შესახებ მიმართა. ჩადუნელის ცნობით, მას თანამდებობაზე მუშაობის მოტივაცია გაცამტვერებული ჰქონდა, ის გულაცრუებული იყო რეფორმის ტემპებით და მიიჩნევდა, რომ თავისი რესურსი ამოწურული ჰქონდა. ჩადუნელი გელეიშვილს სთხოვდა, რომ მისი

---

[1] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 21, ფურც. 67-68

[2] იქვე. ფურც. 69.

[3] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 37, ფურც. 52.

გადაწყვეტილება გაეცნო მინისტრ ხომერიკისთვის და აეხსნა გადადგომის რეალური მიზეზები.[1] როგორც შემდგომი მიწერ-მოწერიდან ირკვევა გელეიშვილმა უარი განაცხადა ჩადუნელის გადადგომის განცხადების დაკმაყოფილებაზე და სთხოვა გაეგრძელებინა მუშაობა. ერთი თვის შემდეგ ჩადუნელმა უკვე უშუალოდ მინისტრ ხომერიკს მიმართა გადადგომის განცხადებით, თუმცა არც ხომერიკმა დააკმაყოფილა მოთხოვნა.[2] საბოლოოდ 1920 წელსაც აგრარულ რეფორმის განყოფილებას სწორედ დავით ჩადუნელი ხელმძღვანელობდა, უცნობია შემდგომში კმაყოფილი იყო ის თუ არა რეფორმის პროცესით.

1919 წლის მარტიდან აგრარული რეფორმის პროცესს აქტიურად უჭერდა მხარს ადგილობრივი თვითმმართველობები, ამავდროულად ერობათა კავშირი მიწათმოქმედების სამინისტროსთან კოორდინაციით ამუშავებდა წესს, რომლის მიხედვითაც გლეხების მიერ აგრარული რეფორმის ფარგლებში მიწის შესაძენად გადახდილი ფინანსების 40% ადგილობრივ სამაზრო თვითმმართველობების ბიუჯეტში უნდა შესულიყო. ეს თვითმმართველობებს მისცემდა საშუალებას აკუმულირებული თანხებით ადგილობრივი მუნიციპალური საჭიროებები დაეკმაყოფილებინა, გაეხსნა სკოლები და საავადმყოფოები, გაეყვანა გზები და ასე შემდეგ.[3] 1921 წელს სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული დეკრეტის პროექტიდან ირკვევა, რომ ის იზიარებდა რეფორმისგან მისაღები შემოსავლების 40/60%-ით განაწილების პარიტეტს, რომლის მიხედვითაც სამაზრო ერობები მიიღებდნენ რეფორმიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლების 40%-ს.[4]

სოხუმის ოლქი 1918-1921 წლებში განსაკუთრებული დაკვირვებისა და სიფრთხილის საგანს წარმოადგენდა, ამის მიზეზი ოლქში განვითარებული სამხედრო და პოლიტიკური მოქმედებები იყო, რომელსაც ხშირად აგრარულ ნიადაგზე წარმოშობილი შიშები უძღოდა, განსაკუთრებით გავლენიანი აფხაზი თავადების შიშები მათთვის ქონების

[1] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 44, ფურც. 11-12.
[2] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 116, ფურც. 5.
[3] *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 28 ნოემბერი, N270, გვ. 2.
[4] *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1921 წლის 14 იანვარი, N9, გვ. 2.

ჩამორთმევის შესახებ. რესპუბლიკის მთავრობამ თავისი ფრთხილი პოლიტიკა გამოხატა იმ კუთხით, რომ რეალურად სოხუმის ოლქში აგრარული რეფორმა სრულად დეცენტრალიზებულად დაიწყო, იქ მოქმედი კომისიები ექვემდებარებოდა არა ცენტრალურ ხელისუფლებას, არამედ ადგილობრივ ავტონომიურ წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს. სამთავრობო გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ სოხუმის ოლქში რეფორმის განხორციელების პროცესის სპეციფიკურობის შესახებ მკითხველს აცნობდა: „აფხაზეთში აგრარული რეფორმის განხორციელება და სახელმწიფო მამულების გამგებლობა ეკისრება აფხაზეთის კომისარიატის მიწათმოქმედების განყოფილებას. მიწათ-მოქმედების განყოფილების გამგე, სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობის პირნი და აგრეთვე სახელმწიფო კულტურულ მამულების გამგეს ნიშნავს მიწათ მოქმედების განყოფილება მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან შეთანხმებით. მიწათ მოქმედების განყოფილება თავის მოქმედების შესახებ ანგარიშს აზარებს აფხაზეთის კომისარიატს და აგრეთვე ყოველთვიურათ - მიწათ მოქმედების სამინისტროს. აგრარულ რეფორმის გასატარებლათ აფხაზეთის კომისარიატის მიწათ-მოქმედების განყოფილებასთან არსდება სამიჯნო ნაწილი. სახელმწიფო კულტურულ მამულების მიღებას საჩქაროთ ახდენს მიწათ მოქმედების განყოფილების მიერ არჩეული 3 პირისაგან შემდგარი საგანგებო კომისია“.[1] ოლქში რეფორმას კურირებას აფხაზეთის კომისარიატი უწევდა, 1920 წლიდან ეს უწყება უძღვებოდა ოლქში არსებულ დიდ სახელმწიფო მამულებსაც.[2] რეალურად ადგილობრივი კომისიები საკმაოდ სუსტად მუშაობდნენ, გამონაკლის სამურზაყანოს მაზრა წარმოადგენდა, აქ სულ სამი კომისია საქმიანობდა, 1919 წლის განმავლობაში ამ კომისიებმა ჯამში 12 ათას დესეტინამდე მიწა მიიღო სახელმწიფო ფონდში.

1919 წლის მიწურულს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე ნოე ხომერიკმა ვრცელი მოხსენება გააკეთა აგრარული რეფორმის მიმდინარეობის შესახებ. ეს მოხსენება შემდგომში საფუძვლად დაედო ხომერიკის მცირე მოცულობის წიგნს „აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა“. ხომერიკი წიგნში

---

[1] *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 3 იანვარი, N2, გვ. 3.

[2] *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 13 თებერვალი, N34, გვ. 3.

მიმოიხილავს საქართველოს მიწის ფონდსა და მის აგრარულ შესაძლებლობებს, შედარებისათვის მოჰყავს ევროპის სახელმწიფოთა მაჩვენებლები. მისივე გეგმით, რესპუბლიკის აგრარული სისტემის ხსნა არის მიწის ფონდის გაფართოება ჭაობებისა და დღემდე გამოუყენებელი სივრცეებით, ასევე, გეგმის მეორე ნაწილი შეეხება მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების ჩართვით მოსავლიანობის მაჩვენებლის ზრდას, რომელთან მიმართებაში საქართველო ევროპაში, ასევე, უკანასკნელ საფეხურებს იკავებდა.[1] შედარებისათვის, საქართველოში ხორბლის მოსავლიანობა 1 დესეტინაზე იყო 57 ფუთი, დანიაში 183,  ბელგიაში 161, გერმანიაში კი 134 ფუთი. რესპუბლიკაში 1 დესეტინაზე სულ 95 ვედრო ყურძენი მოდიოდა, გერმანიაში იგივე მაჩვენებელი 235 იყო, საფრანგეთში კი 137.[2] მინისტრის ცნობით, რესპუბლიკას შედარებით უკეთესი მაჩვენებლები (საშუალო ევროპული) გააჩნდა მესაქონლეობის მიმართულებით. კერძოდ, რესპუბლიკაში 100 ადამიანზე 95 თხა-ცხვარზე მეტი და 20-მდე ღორი მოდიოდა. ჯამურად 1917 წელს საქართველოში საშუალოდ 1.3 მილიონი მსხვილფეხა და 2.1 წვრილფეხა პირუტყვი.[3] ეს მაჩვენებელი მიუთითებდა, რომ რესპუბლიკაში ხორცისა და მესაქონლეობასთან დაკავშირებული სურსათის ნაკლებობა მწვავედ არ იდგა.

1920 წელს პრესაში რამდენჯერმე გაჟღერდა, რომ საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად აუცილებელი იყო ევროპიდან აგრონომების ჩამოყვანა. ამ იდეას მხარს უჭერდა მიწათმოქმედების სამინისტროც.[4]

ნოე ხომერიკი თავის მოხსენებაში და წიგნში არ მალავდა, რომ აგრარული რეფორმა ბევრი გამოწვევისა და პრობლემის ფონზე მიმდინარეობდა, რაც საბოლოო ჯამში აფერხებდა რეფორმის ტემპებსა და შედეგებს. ხომერიკი შემაფერხებელი ფაქტორების ერთგვარ სისტემატიზაციას ახდენდა. კერძოდ: „1. სირთულე თვით მუშაობისა, 2. გაუმიჯნაობა ჩამოსართმევ და გაუნაწილებელ ადგილებისა, 3. მამულების წვრილ-წვრილ ნაკვეთებად

---

[1] ნოე ხომერიკი, *აგრარული რეფორმა და ჩვენი სოფლის მეურნეობა.* თბილისი: საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის გამოცემა, 1920, გვ. 10-11.

[2] იქვე. გვ. 32.

[3] იქვე. გვ. 46-47.

[4] *მიწად-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 19 ოქტომბერი, N236, გვ. 2.

დაქუცმაცება... 4. მუშაობის სეზონური ხასიათი, 5. გამოუცდელი და სათანადო ცოდნით აღჭურვილი ტეხნიკური ძალების სიმცირე, რომელთა დაუხმარებლად მუშაობა შეუძლებელია, 6. გადასაზიდ-გადასაყვან საშუალების უქონლობა და საჭირო მუშახელის არ ყოლა... 7. ცუდი ამინდი (წვიმა)... 8. ანარქიული გამოსვლები, რომელსაც ბევრ მაზრაში ჰქონდა ადგილი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში და რამაც ძალიან შეაფერხა სოფლად სააგრარო კომისიების მუშაობა და 9. ომი გარეშე მტრებთან, როდესაც მთელი მაზრები ხდებოდა საომარი მოქმედებების ასპარეზად და მით მეზობელ რაიონებშიაც კი შეუძლებელი ხდებოდა მუშაობის გაგრძელა შემოჭრილი მტრის საზღვრებიდან განდევნამდე“.[1]

ამავე წიგნში ხომერიკს დეტალურად აქვს წარმოდგენილი ცალკეული მაზრების მიხედვით, თუ რა მოცულების მიწის ფონდი აქვს რესპუბლიკას და როგორ ნაწილდება იგი მაზრის მოსახლეობის მიხედვით:[2]

| მაზრები | ვარგისი მიწები (სახნავ სათესი და საკარმიდამო) - დესეტინა | | სახნავ-სათესი მიწები - დესეტინა | |
|---|---|---|---|---|
| | ოჯახზე | სულზე | ოჯახზე | სულზე |
| რაჭის | 2.81 | 0.37 | 1.11 | 0.15 |
| შორაპნის | 1.91 | 0.35 | 1.38 | 0.25 |
| ლეჩხუმის | 2.19 | 0.33 | 1.23 | 0.19 |
| ახალქალაქის | 7.39 | 0.96 | 6.40 | 0.84 |
| თბილისის | 3.74 | 0.66 | 3.20 | 0.56 |
| კოდორის | 5.81 | 1.06 | 3.83 | 0.78 |

ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ რესპუბლიკის მაზრების მიხედვით მიწის ფონდის განაწილების დისპროპორცია ძალიან მაღალი იყო და რესპუბლიკაში რეფორმა ერთიანი

[1] ნოე ხომერიკი, *აგრარული რეფორმა და ჩვენი სოფლის მეურნეობა.* თბილისი: საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის გამოცემა, 1920, გვ. 18-19.
[2] იქვე. გვ. 21.

მიდგომითა და დადგენილი ფორმულებით ვერ განხორციელდებოდა და მაზრების მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლებოდა დასარიგებელ მიწათა მოცულობები.

რეფორმის აქტიურად დაწყებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგაც კი მიწათმოქმედების სამინისტრო აცხადებდა, რომ რეფორმის დაჩქარებით განსახორციელებლად მას სჭირდებოდა 800-მდე მიწის მზომელი, მაშინ როდესაც 1920 წლის იანვარში ყველა სააგრარო კომისიაში ჯამურად 250 მიწისმზომელი ძლივს ირიცხებოდა. სამინისტრომ 1920 წლის გაზაფხულზე კვლავ იწვევდა სამუშაოდ მიწის ამზომველებსა და მათ თანაშემწეებს. ამ პროცესში სამინისტრო დახმარებას სთხოვდა თბილისის მიწისმზომელთა სასწავლებელს.

1920 წლის დასაწყისში თბილისში რამდენიმე თათბირი გაიმართა, თავდაპირველად სამაზრო ერობების წარმომადგენლებთან, შემდეგ კი, აგრონომებთან. თათბირების მიზანი იყო სხვადასხვა ინსტიტუტების გაერთიანებული ძალებით წლის ბოლომდე დასრულებულიყო აგრარული რეფორმის ძირითადი ნაწილი.[1]

1920 წლის ივლისში პრესაში გამოქვეყნდა სტატისტიკური ცნობები, რომლის მიხედვითაც აგრარული რეფორმის დაწყებიდან - 1918 წლიდან, 1920 წლის დასაწყისამდე სააგრარო კომისიებმა შემდეგი მოცულების მიწების ჩამორთმევა განახორციელეს:[2]

აღმოსავლეთ საქართველოში

| მაზრა | ჩამორთმეული მიწის ფართობი (კვ. დესეტინებში) |
|---|---|
| თფილისის | 42 139.71 |
| სიღნაღის | 39 159.68 |
| თელავის | 44 901.74 |
| ბორჩალოს | 91 314.18 |
| დუშეთის | 20 612.62 |

[1] *სრულიად საქართველოს აგრონომთა პირველი ყრილობა.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 28 იანვარი, N20, გვ. 3.
[2] *მიწის რეფორმის შედეგები.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 2 ივლისი, N147, გვ. 3.

| | |
|---|---|
| თიანეთის | 31 636.79 |
| ახალციხის | 78 376.24 |
| ახალქალაქის | 12 685.61 |
| გორის | 120 506.12 |
| სულ | 511 538.97 |

დასავლეთ საქართველოში

| მაზრა | ჩამორთმეული მიწის ფართობი (კვ. დესეტინებში) |
|---|---|
| ქუთაისის | 9 273.09 |
| ზუგდიდის | 2 887.03 |
| ლეჩხუმის | 37 668.33 |
| ოზურგეთის | 22 227.67 |
| რაჭის | 139.72 |
| სენაკის | 28.541 |
| შორაპნის | 9 420.42 |
| სულ | 110 157.95 |

ანგარიშებიდან ისიც იკვეთებოდა, რომ ჩამორთმეულ მიწათა აბსოლუტური უმრავლესობა არ გამოდგებოდა ხვნა-თესვისათვის. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში ჩამორთმეული სახნავ-სათესი მიწების მოცულობა სულ 146 784.01 დესეტინა იყო (ჩამორთმეული მიწის 28.7%), ხოლო დასავლეთ საქართველოში 29 932.26 (ჩამორთმეული მიწების 27.2%). ამავე ანგარიში მოყვანილი იყო სტატისტიკა, რომლის თანახმადაც საქართველოში სულ 3 631 სოფელი (1917 წლის მდგომარეობით) იყო, სადაც ჯამურად 1 862 419 ადამიანი ცხოვრობდა (მოსახლეობის დაახლოებით 79.2%).[1]

[1] *მიწის რეფორმის შედეგები.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 2 ივლისი, N147, გვ. 3.

ანგარიშებიდან ირკვევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში კომისიებმა ყოფილ მემამულეებს 2 714 დესეტინა მამული ჩამოართვეს, ხოლო მათვე ნორმის ფარგლებში დაუტოვეს 27 572.46 დესეტინა. შედარებისათვის, ყოფილ მემამულეებისათვის დატოვებული მიწის ფართობები ამავე პირთა მიერ 1917 წლამდე მფლობელობაში არსებული მიწების მხოლოდ 5.4%-ს უდრიდა.[1] ეს მონაცემები მიუთითებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მიწების აბსოლუტური უმრავლესობა ცალკეულ მემამულეთა ხელში იყო კონცენტრირებული, რაც, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო დიდ სოციალურ უფსკრულს აჩენდა მემამულეებსა და გლეხებს შორის.

1920 წელს მოსალოდნელი იყო რესპუბლიკის სასურსათო დეფიციტის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება, რადგანაც რეფორმის შედეგად 1920 წლის გაზაფხულზე, სამეურნეო სეზონის დასაწყისში მიწების ნაწილს უკვე ახალი მფლობელი - გლეხი ამუშავებდა. თუმცა პრობლემები წარმოიშვა სათესლე მასალასთან დაკავშირებით. მიწათმოქმედების სამინისტრო თავისივე დაბალი რანგის თანამშრომლებსა და სამაზრო ერობების წარმომადგენლებს კორუფციასა და სახელმწიფო სახსრების გაფლანგვაში ადანაშაულებდა, რადგანაც სათესლე მასალის შესაძენად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაღებული ფინანსები დახარჯული იყო, ხოლო ხორბალი, კარტოფილი და სხვა მასალები არასაკმარისი.[2]

1920 წელს მთავრობა გეგმავდა მკაცრი ნაბიჯების გადადგმას იმ მიწის მფლობელებისადმი, რომლებიც არ ამუშავებდნენ თავიანთ ნაკვეთებს. 1920 წლის 6 იანვარს მთავრობამ გამოსცა დადგენილება რომელის მიხედვით სამაზრო ერობებს შეეძლოთ იმ პირთა მიწები, რომელსაც არ ან ვერ ითვისებდნენ სამეურნეოდ, იძულებითი იჯარით გაეცათ სხვა პირებზე.[3] ეს მიდგომა მთავრობას ესახებოდა სასურსათო კრიზისის შემსუბუქების ერთ-ერთ გზად.

---

[1] *მიწის რეფორმის შედეგები.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 2 ივლისი, N147, გვ. 3.

[2] *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 12 თებერვალი, N33, გვ. 2.

[3] *მიწათ-მოქმედების სამინისტროსგან.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 7 აპრილი, N78, გვ. 2.

1919-1920 წლებში აგრარული რეფორმის გატარების კვალდაკვალ ხშირად იჩენდა თავს უკმაყოფილობები როგორც ყოფილ მემამულეებში, ასევე, გლეხებში. 1919 წლის 28 იანვრის კანონით რეფორმასთან დაკავშირებული დავები სპეციალურ უწყებას უნდა განეხილა. 1920 წლის 28 მაისს დამფუძნებელმა კრებამ დამატებითი დეკრეტი გამოსცა დავების განხილვის წესების მიმართულებით.[1] გარდა საჩივრების საფუძველზე აღძრული საქმეებისა, არცთუ იშვიათად თავად სამინისტრო ახდენდა რეაგირებას ადგილობრივ კომისიათა მიერ ჩადენილი უკანონობის აღსაკვეთად. მაგალითად, მინისტრ ხომერიკის განკარგულებით, დაითხოვეს გორის მაზრის ავლევის თემის ადგილობრივი კომისია, მისი მიწის ამზომველი კი, დააპატიმრეს კიდეც.[2] ადგილობრივი კომისიების მიერ ჩადენილი უკანონობის რევიზიას დამფუძნებელი კრების აგრარული კომისიაც ახდენდა. მაგალითად, კრების წევრების მიმართვის საფუძველზე მინისტრმა დაითხოვა შორაპნის მაზრის სვირის თემის ადგილობრივი კომისია და გააუქმა ამ კომისიის მუშაობის შედეგად გამოცემული ოქმები.[3]

რესპუბლიკის ფარგლებში (ზაქათალის ოლქის გამოკლებით) ყველაზე გვიან აგრარული რეფორმა ბათუმის ოლქში დაიწყო, ამის მიზეზი ოლქზე ბრიტანეთის საოკუპაციო მმართველობის არსებობა იყო. 1920 წლის ივლისში შემოერთებულ ოლქში აგრარული რეფორმის დაწყება 1920 წლის სექტემბერში იგეგმებოდა.[4] თუმცა ეს პროცესი საკმაოდ მძიმედ დაიწყო და კონფლიქტიც კი წარმოშვა ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელს - ოლქის გენერალ-გუბერნატორ ბენია ჩხიკვიშვილსა და ადგილზე მოქმედ სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისს შორის. მეჯლისის წევრთა დიდი ნაწილი მიწისმფლობელები იყვნენ და მოითხოვდნენ რეფორმა ან გადადებულიყო, ანდაც რესპუბლიკის აგრარული რეფორმის ზოგადი მოდელის ნაცვლად ოლქში სხვა ფორმით გატარებულიყო, ადგილობრივი სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის ლიდერებს შორის. მეჯლისის ლიდერთაგან რამდენიმე იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ოლქის გლეხობა

[1] *კანონი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 6 ივნისი, N124, გვ. 1.

[2] *განკარგულებანი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 16 ივნისი, N132, გვ. 1.

[3] *საად.-მამულო რეფორმა.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 6 აგვისტო, N176, გვ. 4.

[4] *მიწათ-მოქმედების სამინსიტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 21 ივლისი, N161, გვ. 2.

(რომლებიც მცირემიწიანი ან უმიწაწყლო იყო) არ მოითხოვდა რეფორმის გატარებას და არსებული სოციალური წყობის შენარჩუნება აუცილებელი იყო.

1920 წლის მიწურულს რესპუბლიკის მთავრობას მიეცა საშუალება მეტ-ნაკლებად დაეთვალა აგრარული რეფორმის გარკვეული შედეგები. მაგალითად, მიწათმოქმედების სამინისტრომ წარადგინა ანგარიში, რომლითაც ირკვეოდა, რომ 1920 წელს 1916 წელთან შედარებით 57%-ით გაიზარდა დამუშავებულ მიწათა რაოდენობა. 1920 წელს დამუშავებულ მიწათა მოცულობამ 1913 წელს მსოფლიო ომამდე დამუშავებულ მიწების 88% შეადგინა. შედარებისთვის სამწუხაროდ, არ მოიპოვება ანალოგიური მონაცემები კავკასიის რესპუბლიკების შესახებ. კონსტანტინე კანდელაკს თავის წიგნში მოჰყავს მონაცემები რუსეთის ყოფილი იმპერიის დასავლურ ნაწილში წარმოქმნილი რესპუბლიკებიდან. მაგალითისათვის 1913 წელთან შედარებით 1920 წელს პოლონეთში მიწების 62% იყო დამუშავებული, ლატვიის რესპუბლიკაში 75%, ხოლო ყველაზე მაღალი ეს მაჩვენებელი, 95% იყო ლიეტუვაში.[1]

აგრარული საკითხის შესახებ ჩანაწერები გაჩნდა 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული კონსტიტუციის 116-ე მუხლში: „წვრილი მწარმოებლის - სოფლის მეურნის, ხელოსანის, შინამრეწველის-შრომის ნაყოფის დაცვა კერძო პირთა ექსპლუატაციისაგან სახელმწიფოს განსაკუთრებული საზრუნავი საგანია. რესპუბლიკის განსაკუთრებული საზრუნავია აგრეთვე სოფლის მეურნეობის აყვავება; მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე“.[2] ოფიციალურად დამტკიცებული კონსტიტუციის გარდა, პრესის საშუალებით 1921 წლის იანვარში გავრცელდა ალტერნატიული პროექტებიც. აგრარულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის პროგრამა, პარტიის,

---

[1] კონსტანტინე კანდელაკი, *საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა.* პარიზი:Institute for the study of the USSR, Paris, 1960, გვ. 160.

[2] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული* (სპეც. რედ. ვ. შარაშენიძე). თბილისი: ივერთა მხარე, 1990. გვ. 477-478.

რომელიც თავის თავს ელექტორალური თვალსაზრისით გლეხთა პარტიას უწოდებდა. ესერები თავის პროექტში აცხადებდნენ - „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ყველა მიწები, ტყეები და წყლები და აგრეთვე ყოველივე ის, რაც მიწის წიაღშია შეადგენს ამიერიდან და სამუდამო ხალხის საერთო ავლადიდებას“. 106-ე მუხლში კი - „ყველა მოქალაქეს აქვს თანასწორი უფლება მიწაზე, ტყეზე და წყლებზე და აგრეთვე ყოველივე მასზე, რაც მიწის წიაღშია“.[1]

სოციალ-დემოკრატების მიერ გატარებული აგრარული რეფორმა გააკრიტიკა და დაგმო კომუნისტურმა პარტიამ. ბოლშევიკთა კრიტიკა ორი მიმართულებით მიმდინარეობდა, პირველი ეს შეეხებოდა ყოფილ თავადთათვის მიწების თუნდაც გარკვეული ნორმების საკუთრებად დატოვებისაკენ, ხოლო კრიტიკის მეორე მიმართულება დაკავშირებული იყო რეფორმის ზოგად შინაარსთან, სოციალ-დემოკრატთა მიერ მიწათა ნაციონალიზაციაზე უარის თქმასა და კერძო საკუთრების შემოღებისაკენ.[2]

ბოლშევიკები ოკუპაციის შემდეგაც აკრიტიკებდნენ სოციალ-დემოკრატთა პოლიტიკას, თუმცა 1920-იან წლებში ეს სისტემა სრულად არ მოუშლიათ. საბჭოთა საქართველოში გამოცემულ არაერთ ნაშრომში გამოქვეყნებულია სტატისტიკები, რომელიც მკითხველს აუწყებდა, რომ სოციალ-დემოკრატთა აგრარულმა პოლიტიკამ სრულად გაანადგურა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. საბჭოთა პერიოდში გამოცემულ ნაშრომებში ბოლშევიკები სოციალ-დემოკრატებს აკრიტიკებდნენ და კონკრეტული სტატისტიკების მიხედვით საუბრობდნენ აგრარული რეფორმის წარუმატებლობის შესახებ. ერთ-ერთი მთავარი საბჭოთა ქართველი მკვლევარი, რომელიც აქტიურად აქვეყნებდა ნაშრომებს „მენშევიკთა ბატონობის“ შესახებ წერდა, რომ 1920 წელს რესპუბლიკაში ძირითადი სასოფლო-სამეურნეო წარმოებები (ჩაი, თამბაქო, აბრეშუმი) 5-8-ჯერ ჩამორჩებოდა 1914 წლის მაჩვენებლებს.[3]

---

[1] *საქართველოს კონსტიტუციის პროექტი წარდგენილი სოციალისტ-რევოლუციონერთა მარტიის მიერ.* გაზ. შრომა, 1921 წლის 23 იანვარი, N4, გვ. 1-2.

[2] ერიკ ლი, *ექსპერიმენტი - საქართველოს მივიწყებული რევოლუცია.* თბილისი: პოეზია, 2018, გვ. 157.23

[3] გაიოზ დევდარიანი, *მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში.* ტფილისი: სახელგამი, 1931, გვ. 300-306.

## IV. 8. მიწათა სიმცირე და გადასახლებების პროგრამა

რესპუბლიკისათვის დიდ გამოწვევას წარმოადგენდა თითოეული გლეხის ოჯახის მიწით დაკმაყოფილება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცალკეულ მაზრებში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში შეუძლებელი იყო თითოეული გლეხისათვის მიწის გადაცემა საკუთრებაში შესაბამისი მიწის ფონდის არარსებობის გამო. აღნიშნული გამოწვევის დასაძლევად და შესაძლო სოციალური ჯანყის თავიდან ასაცილებლად რესპუბლიკის მთავრობამ 1918 წლიდან დაიწყო მუშაობა ე.წ. „ნებაყოფლობითი გადასახლების" პროგრამის შესამუშავებლად. პარალელურად, 1918 წლის ზაფხულიდანვე დასავლეთ საქართველოს ცალკეული მაზრების გლეხებმა ქაოტურად მცირე მასშტაბებით დაიწყეს გადასახლებები აღმოსავლეთ საქართველოს იმ ტერიტორიებზე, სადაც ნაყოფიერი მიწები იყო და მოქალაქეები არ ცხოვრობდნენ. 1920 წლის ზაფხულში ხელისუფლებამ უკვე სისტემური პოლიტიკა წამოიწყო გადასახლებებთან დაკავშირებით. ამავე წელს, 1920 წლის ზაფხულში კი უკვე მთავრობის ოფიციალური პოლიტიკის შედეგად, აქტიურად მიმდინარეობდა მოსახლეობის გადასახლება თავისუფალ მიწებზე. 1920 წელსვე მხოლოდ თელავის მაზრის ლაგოდეხის რაიონში 7 დასახლებულ პუნქტში 1 239 ადამიანი გადასახლდა, თბილისის მაზრის ყარაიაზის რაიონის 3 სოფელში კი, 200-ზე მეტი ადამიანი დასახლდა. 1920 წლის ზაფხულში მხოლოდ თბილისისა და ბორჩალოს მაზრებში 13 სოფელი მოინიშნა, სადაც შესაძლებელი იყო ასობით მოქალაქის გადასახლება. ამავე პერიოდში საქართველოში შემოვიდნენ რუსეთის სამოქალაქო ომს ალაგირიდან გამოქცეული ეროვნებით ქართველი მოქალაქეები, რომელთა ახალშენის მოსამზადებლად რესპუბლიკის მთავრობამ 25 542 დესეტინა მიწა გამოყო. აღნიშნულ ტერიტორიაზე 3 000-მდე ადამიანი უნდა დასახლებულიყო.[1]

1920 წლის დასაწყისში მიწათმოქმედების სამინისტროს ანგარიშებიდან ირკვევა, რომ 1918 წლიდან მოყოლებული 1919 წლის ბოლომდე ქაოტურად თუ სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს მაზრების (თბილისი, თელავი,

[1] *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 8 აგვისტო, N177, გვ. 2.

სიღნაღი, ბორჩალო ახალციხე, გორი) 23 სოფელში 2 072[1] კომლი გადასახლდა.[2] აღნიშნული სტატისტიკიდან მხოლოდ ლაგოდეხის რაიონზე მოდის 923 კომლი. 1920 წლის მიწურულის სტატისტიკიდან ირკვევა, რომ 1918-1920 წლებში თბილისის მაზრაში სულ 1 177 კომლი გადასახლდა, ჯამში 6 889 ადამიანი.[3] გადასახლებულთა საერთო ჯამური რაოდენობის გამოთვლა რთულია ანგარიშების ფრაგმენტულობიდან გამომდინარე. 1920 წლის მიწურულს გადასახლებების ახალი ეტაპები დაიწყო ახალქალაქის მაზრის აუთვისებელ არეალებსა და ყარაიაზის ველის იმ ტერიტორიაზე, რომელიც დაუსახლებელი იყო.[4]

მიწათმოქმედების მინისტრმა დავით ონიაშვილმა 1920 წლის დეკემბრის მიწურულს მთავრობის წინაშე ვრცელი მოხსენება წარადგინა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან 300 მილიონი მანეთი მოითხოვა, რათა გადასახლების პროგრამის ახალი ეტაპი წამოეწყო. სამინისტროს. გეგმის თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოში 84 600 დესეტინა მიწა იყო ასათვისებელი, ძირითადად, ახალქალაქის, ბორჩალოს, თბილისის, სიღნაღისა და თელავის მაზრებში. ასევე ჩამონათვალს ემატებოდა გორის მაზრა, სადაც ახალი დასახლებების შექმნა ჯავის[5] რაიონში იგეგმებოდა, ასევე მოხსენებაში პირველად გაჟღერდა, რომ გადასახლებებისათვის თავისუფალი მიწების ჩამონათვალს ემატებოდა არტაანის ოლქის ჩრდილოეთი ნაწილიც.[6] სამინისტროს სპეციალური რუკები ჰქონდა შემუშავებული ახალი დასახლებების მშენებლობასთან დაკავშირებით.[7] 300 მილიონი მანეთი უნდა დახარჯულიყო საჯარო ინფრასტრუქტურისა და სახლების ასაშენებლად. ჯავის რაიონში ახალი დასახლებების შექმნა იგეგმებოდა უშუალოდ ყოფილი როკის სასოფლო თემის ადგილზე, სადაც რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დადგენილებით,

---

[1] აღნიშნულ პერიოდში ერთ საკომლო ოჯახში საშუალოდ 6-8 ადამიანი ითვლებოდა.

[2] ნოე ხომერიკი, *აგრარული რეფორმა და ჩვენი სოფლის მეურნეობა.* თბილისი: საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის გამოცემა, 1920, გვ. 22.

[3] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 52, ფურც. 1.

[4] *მიწად-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 1 დეკემბერი, N273, გვ. 2.

[5] ჯავაში ჩასახლება იგეგმებოდა 1920 წლის აჯანყების შედეგად დაცლილ სოფლებში.

[6] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 83, ფურც. 1-2.

[7] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 84, ფურც. 9.

ადგილობრივ მოსახლეობას უკვე ეკრძალებოდათ ცხოვრების გაგრძელება.[1] სასაზღვრო არეალებში დასავლეთ საქართველოდან ეროვნებით ქართველი მოსახლეობის ჩასახლების პროცესს რესპუბლიკის ხელისუფლება სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისითაც უყურებდა. მაგალითად, ახალი დასახლებები იქმნებოდა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზეც.[2]

1920 წლის ზაფხულიდან გადასახლებების ახალი აქტიური ლოკაცია გახდა გორის მუნიციპალიტეტის ჯავისა და ყორნისის რაიონები. ამ გადასახლებების გეგმებს სოციალ-ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკური მიზნებიც ჰქონდა. 1920 წლის ივნისის აჯანყების შემდეგ ჯავის რაიონი ძირითადად დაცლილი იყო. აჯანყების დამარცხების შემდეგ თავდაცვის სამინისტრო გამოვიდა ინიციატივით, მთავრობას გამოეყო 9 მილიონი მანეთი, რათა რაჭის მაზრიდან, სადაც მიწის სიმცირე უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა, გადმოესახლებინათ ჯავასა და ყორნისში გლეხები.[3] საარქივო დოკუმენტების მიხედვით, გადასახლების განყოფილების გამგე მარუაშვილი მიწათმოქმედების მინისტრს აცნობებდა, რომ ჯავის, ყორნისისა და ორტევანის რაიონები, სადაც ისედაც მეჩხრად იყო მოსახლეობა (მაქსიმუმ 2800 კომლი), ფაქტობრივად, დაცლილი იყო. რაიონებში პირველ ეტაპზე იგეგმებოდა 700 კომლის გადასახლება.[4] თავად რაჭველი გლეხები აქტიურად აგზავნიდნენ წერილებს ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან გადასახლების სურვილის შესახებ.[5]

1920 წლის მიწურულს დამფუძნებელმა კრებამ თავისი წევრები - გიორგი გაგლოევი, ლადო ცაბაძე და კირილე ნინიძე მიავლინეს ჯავისა და ყორნისის რაიონში. დეპუტატების მიერ მომზადებული ანგარიშებით ირკვევა, რომ ცხინვალსა და ჯავაში უკვე დაბრუნებული იყვნენ ოსების ნაწილი, ასევე, გადასახლებული იყვნენ ეროვნებით ქართველი გლეხები რაჭისა და დუშეთის მაზრიდან. ამავე ანგარიშის თანახმად, როგორც

---

[1] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 86, ფურც. 2.

[2] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 87, ფურც. 1.

[3] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 86, ფურც. 4.

[4] იქვე. ფურც. 9.

[5] იქვე. ფურც. 57.

დაბრუნებული ოსები, ასევე ახლად ჩასახლებული გლეხები, ფაქტობრივად, მიტოვებული იყვნენ ხელისუფლების მიერ. გადასახლებულები გეგმავდნენ მიეტოვებინათ ეს არეალები და დაბრუნებულიყვნენ რაჭასა და დუშეთში.[1]

## IV.9. რეფორმის შედეგები

1920 წლის მიწურულს აგრარული რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილი დასრულებული იყო. ამავე პერიოდში მიწათმოქმედების სამინისტრომ მოამზადა ვრცელი ანგარიში, რომელიც 1917-1920 წლების საქმიანობას აჯამებდა. ანგარიშში წარმოდგენილი იყო არა მხოლოდ დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტროს, არამედ 1917-1918 წლების გარდამავალი პერიოდის დროებითი ინსტიტუტების საქმიანობაც.

ანგარიშებიდან ირკვევა, რომ ჯერ კიდევ საიმპერიო მმართველობიდან მიღებულ სამიწათმოქმედო ინსტიტუტებში 1917 წლის დეკემბერში ამიერკავკასიის კომისარიატის მმართველობისას 626 კაცი იყო დასაქმებული. 1918-1920 წლებში აგრარული რეფორმის მიმდინარეობისას უწყებაში დასაქმებულთა რაოდენობა 800-იდან 1000-მდე მერყეობდა. 1920 წლის ბოლოს, მაშინ როდესაც აგრარული რეფორმის ძირითადი ეტაპი დასრულებული იყო, სამინისტროს ცენტრალური და ადგილობრივი უწყებების შემადგენლობაში 415 კაცი იყო დასაქმებული (სავარაუდოდ, ამ ციფრში არ შედიოდნენ დროებით დასაქმებული მიწის აზომველები). მიწათმოქმედების სამინისტროს ქვეუწყებებს შორის ყველაზე მეტი, 205 თანამშრომელი სამიჯნაო განყოფილებაში იყო დასაქმებული. 1920 წლის მიწურულისათვის სამინისტროს შემადგენლობა სტრუქტურული თვალსაზრისით მცირედით სახეცვლილი იყო, კერძოდ სამინისტრო შედგებოდა შემდეგი ქვეუწყებებისაგან - სამინისტროს ცენტრალური კანცელარიისაგან, ფინანსური (კომერციული), იურიდიული აგრარული რეფორმის, სამიჯნაო, სატყეო, საიჯარო, სასოფლო-სამეურნეო (დამხმარე), სახელმწიფო მამულების, წყალთა,

[1] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 86, ფურც. 261-263.

გადასახლებისა და შინამრეწველობის განყოფილებებისაგან, ასევე, სტატისტიკური კომიტეტისაგან.[1]

სამინისტროს ანგარიშში კრიტიკულად იყო შეფასებული 1918 წელს გაჟღერებული გეგმები. სასოფლო-სამრეწველო პროდუქტების ექსპორტის მონოპოლიზაციის პოლიტიკა. ანგარიშში ამგვარი კრიტიკულობა უშუალოდ პრაქტიკულ გამოცდილებას ეფუძნებოდა, რადგანაც 1919 წელს მონოპოლიზაციის პოლიტიკამ არათუ გაამართლა, არამედ კიდევ უფრო დაამძიმა სიტუაცია. მონოპოლიზაციას მხოლოდ ერთი დადებითი ფაქტორი გააჩნდა, ხელი შეუშალა რესპუბლიკიდან უმნიშვნელოვანესი სასურსათო პროდუქტების უკონტროლო გატანას და არსებული სასურსათო კრიზისის გამწვავებას. სამინისტრო თავადვე აღიარებდა, რომ მონოპოლიზაციამ აშკარად ხელი შეუწყო სპეკულანტთა ჯგუფებს ფრთები გაეშალათ კონტრაბანდული საქმიანობის მიმართულებით.[2]

კონსტანტინე კანდელაკი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, მოგვიანებით ემიგრაციაში თავის ვრცელ ნაშრომში აგრარულ რეფორმის შეფასებას აკეთებდა: „1921 წლის იანვარში აგრარული რეფორმა ჩვენში თითქმის სავსებით დასრულებული იყო და ცხოვრებაში გატარებული. ამ რეფორმის გამო ბევრ შემთხვევაში, წვრილ მეურნეობას, უკვე არსებულს ფაქტიურათ იჯარის სახით, კერძო საკუთრებას უფლებრივი საფუძველი მიეცა. მართლაც თუ სახნავ-სათესი მიწის რაოდენობა თითო ოჯახს (ოჯახში 5, 8 სული) ანუ მეურნეობას უწევდა საშუალოთ არა უმეტეს 2.5 ჰექტარისა თეორიულათ (სინამდვილეში ზოგს მეტი ჰქონდა, ზოგს - ნაკლები და ზოგს არაფერი)“.[3] ...„ჩვენში ისე, როგორც რუსეთში, მოსახლეობის 80-90 პროცენტს გლეხობა შეადგენდა. მოსახლეობის ამ უმრავლესობისთვის რესპუბლიკა, ეროვნული თავისუფლება და სხვა ყოველგვარი სიკეთე ცარიელი სიტყვა იქნებოდა. თუ

---

[1] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 3, ფურც. 2.

[2] სცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 3, ფურც. 9-11.

[3] კონსტანტინე კანდელაკი, *საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა.* პარიზი: Institute for the study of the USSR, Paris, 1960, გვ. 154.

იგი ნივთიერათ და უფლებრივათ იმავე მდგომარეობაში დარჩებოდა, რომელშიაც იმყოფებოდა. თავისუფლებას გლეხობა იმიტომ უჭერდა მხარს, რომ ამ თავისუფლებისაგან იგი თავის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას მოელოდა; ხოლო გლეხობის გარეშე, გლეხობის მიერ მხარის დაუჭერლად ვერც ერთი წყობილება ჩვენში ფეხს ვერ მოიმაგრებდა. ასე ყოფილა ყველგან, სხვა ქვეყნებშიაც, რევოლიუციის თუ დიდი რეფორმების ხანაში. და ისტორიაში ნათლათ ჩანს, რომ გლეხკაცობა ყოველგან ორივეს ერთად მოითხოვდა: მიწას და თავისუფლებას (ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში)“.[1] კანდელაკი აღნიშნავდა, რომ 1921 წლისათვის რესპუბლიკას აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული გამოწვევები დიდწილად გადალახული ჰქონდა, 1919-1920 წლების დინამიკა კი აჩვენებდა, რომ წინა წლებთან შედარებით პროგრესი საგრძნობი იყო როგორც დამუშავებული მიწების, ასევე,მოსავლის თვალსაზრისით.[2]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია რესპუბლიკაში გატარებულ აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით თავის მოგონებებში წერდა: „მთავრობის სფეროში დავა გამოიწვია მხოლოდ ერთმა საკითხმა: რამდენი ვარგისი სახნავ-სათესი მიწა დავუტოვოთ მემამულეს მისი მამულიდან. მე ვიცავდი დიდი მემამულეებისათვის 15 დესიატინას, ნ. ხომერიკი შვიდ დესიატინას. გაიმარჯვა უკანასკნელმა. ჩვენმა სოციალიზმმა ამ [აგრარულ] სფეროში მიიღო სპეციალური ქართული ხასიათი. ჩამორთმეული სახნავ-სათესი მიწები გადავეცით გლეხობას კერძო საკუთრებათ, რაიცა ეწინააღმდეგებოდა სოციალისტურ დოქტრინას. ამ აზრის ვიყავით ჩვენ თავიდანვე, პარტიული შენობის დაწყებიდანვე, როგორც ეს ზემოთ განვმარტეთ. წინანდელ ჩვენს საბუთებს, წმინდა ეკონომიური ხასიათისას, ახლა მიემატა ნაციონალური ხასიათის საბუთებიც. ჩვენი ხელმძღვანელი აზრი იყო, საქართველოს მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას - გლეხობას დაენახა რომ საქართველოს

---

[1] კონსტანტინე კანდელაკი, *საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა.* პარიზი: Institute for the study of the USSR, Paris, 1960, გვ. 145

[2] იქვე. გვ. 163.

დამოუკიდებლობამ მას მოუტანა მიწა, მისცა ცხოვრების ახალი საშუალებანი. ასე რომ, აგრარული რეფორმა გახდა უაღრესათ ნაციონალური რეფორმა ჩვენში“.[1]

რეფორმის ანგარიშში გაცხადებული იყო: „აგრარული რეფორმა იმ სახით, რა სახითაც იგი დაიწყო ჩვენში, დღეს თითქოს დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. მემამულეთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია გათავდა - მიწები მათ ჩამოერთვათ, ხოლო ჯერ არ დასრულებულა ამ მიწების ფორმალურათ გადაცემა ღარიბი გლეხებისათვის, მარა ამ მუშაობის დიდი ნაწილი ადგილობრივათ უკვე შესრულებულია. კიდევ ერთი ზაფხულის მუშაობა და ჩვენ საბოლოოთ გვეცოდინება თუ რა მისცა რეფორმამ გლეხკაცობას. მიუხედავათ ამისა, ახლაც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ცხოვრებამ სავსებით გაამართლა... ... აგრარული რეფორმის წყობილებით გაიბა მუშათა დემოკრატიასა და გლეხკაცობის შორის ის მჭიდრო კავშირი, რომელიც დღემდე არ დარღვეულა და რაც შეადგენდა და ახლაც შეადგენს ჩვენი რესპუბლიკის სიმტკიცის მთავარ საფუძველს. გლეხი აფასებს მომხდარ ცვლილებას და ამიტომ არის, რომ იცავს რესპუბლიკას თავისი სიცოცხლითა და ქონებით“.[2] სახელმწიფო ბიუჯეტის მოსალოდნელი შემოსავლები აგრარული რეფორმიდან დაგეგმილი იყო 1-1.4 მილიარდის ფარგლებში.[3] თუმცა, რეალურად ბევრად მცირე თანხა (დაგეგმილის 15-20%) მიიღო ბიუჯეტმა.

ანგარიშს ერთვოდა შემდეგი დასკვნა: „ჩვენ უკვე გავიარეთ ნგრევის ხანა და თანდათან დგება დრო დადებითი მუშაობის. ამ მხრივ ყველაზე მეტი გასაკეთებელი მიწათ-მოქმედების სამინისტროს აქვს. ამ უწყების უმთავრესი დამსახურება წარსულში იმაში მდგომარეობდა, რომ მან დიდი ანარქიისა და არევ დარევის ხანაში გადაურჩინა სახელმწიფოს უდიდესი და უძვირფასესი ქონება. მომავალში მან ეს ქონება უნდა მოიხმაროს სახელმწიფოს მიზანშეწონილათ და მით შეამსუბუქოს ის საშინელი კრიზისი, რომელსაც დღეს ასე მწვავეთ განიცდის ჩვენი ახალგაზრდა რესპუბლიკა“.[4]

---

[1] ნოე ჟორდანია, *ჩემი წარსული.* თბილისი: სარანგი, 1990, გვ. 101.

[2] ცსა, ფონდი 1915, ანაწ. 3, საქმე 3, ფურც. 27-28

[3] იქვე. ფურც. 28.

[4] იქვე. 28-29.

მინისტრ ხომერიკის მიერ გაკეთებული მოხსენებით, 1920 წელს, რეფორმის მიწურულს რესპუბლიკის მიწათა ფონდი, რომელიც სასოფლო-სამეურნეოდ გამოდგებოდა და მალე სრულად განაწილებული იქნებოდა, ერთ სულზე დათვით მხოლოდ 1,3 დესიატინას შეადგენდა, ეს საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი იყო.

## ბოლოსიტყვაობა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას თავისი არსებობის 1028 დღის განმავლობაში არაერთ ეგზისტენციალურ საფრთხესთან უხდებოდა გამკლავება. ხშირად ამ საფრთხეების განეიტრალება რესპუბლიკის ისედაც მწირ ფინანსურ-მატერიალურ და ადამიანური რესურსების უდიდეს ნაწილს მოითხოვდა. შესაბამისად, რესპუბლიკას მცირე რესურსები თუ რჩებოდა ფუნდამენტური რეფორმების გასატარებლად და გამართული პოლიტიკური ინსტიტუტების შესაქმნელად.

სოციალური პოლიტიკა სახელმწიფოსათვის ერთ-ერთი მთავარი საყრდენია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, როგორც ყოფილი კოლონიისათვის, რომელშიც მეტროპოლია ატარებდა არა მხოლოდ ნაციონალურ, არამედ სოციალური ჩაგვრის პოლიტიკასაც, უმნიშვნელოვანესი იყო მყარი სოციალური ინსტიტუტების ფორმირება. საქართველოს მოქალაქეები 1917 წლამდე, ფაქტობრივად, მოკლებული იყვნენ იმპერიის ისედაც შეზღუდული სოციალური სისტემის ბენეფიტებს.

მოქალაქეები განიცდიდნენ ჩაგვრას შრომის ადგილებზე, ვერ სარგებლობდნენ გაერთიანების უფლებით. მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა მოკლებული იყო სწავლა-განათლების მიღების შესაძლებლობას, განათლება იმპერიის მოქალაქეებისათვის იყო არა უფლება, არამედ პრივილეგია. მოსახლეობის უმრავლესობა, გლეხები მიწის უქონელი სოფლად მცხოვრები პროლეტარები იყვნენ, მიწაზე საკუთრება კი, მხოლოდ მოსახლეობის ვიწრო წრეს, სახელმწიფო ინსტიტუტებს და ეკლესიას გააჩნდა. რუსეთის იმპერიას თავისი არამოდერნულობისა და ჩამორჩენილობის გამო, არ ჰქონდა სისტემური სოციალური დაცვისა და საპენსიო ინსტიტუტები, ეს უკანასკნელი მოქალაქეების მხოლოდ ვიწრო წრეზე იყო ფოკუსირებული.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, არაერთი ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური კრიზისებისა და გამოწვევების ფონზე, 1918 წლის ზაფხულიდანვე დაიწყო შრომის პოლიტიკის შემუშავება, საკანონმდებლო ბაზის შექმნა, თავისუფალი პროფკავშირებისთვის განვითარების შესაძლებლობების მიცემა და მუშათათვის ღირსეული შრომის პირობების

შექმნა. ეს პროცესები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ მიმდინარეობდა განცალკევებით და მასში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ევროპული გამოცდილების გააზრებას.

1918-1921 წლებში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა შრომის სისტემაში, მუშებმა მოიპოვეს გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მუშებს მიეცათ სრულიად თავისუფალი ასპარეზი პროფესიული კავშირების გაფართოებისა და განვითარებისა. 1917 წლიდან მოყოლებული საქართველოს მუშათა კლასი ეტაპობრივად იღებდა ყველა იმ უფლებას, რომელიც ამ პერიოდისათვის ევროპულ მუშათა კლასს გარანტირებულად გააჩნდა. რესპუბლიკაში სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვრა 8 საათით, გარანტირებული უწყვეტი დასვენების ხანგრძლივობით. მუშებს მიეცათ კანონიერი გაფიცვების უფლება. შეიქმნა სპეციალური ორგანო - სატარიფო პალატა, რომელიც არეგულირებდა რესპუბლიკაში წარმოშობილ შრომით დავებს და, რაც მთავარია, ტურბულენტულ ვითარებაში აღმოჩენილ სახელმწიფოში ეს ორგანო ადგენდა მუშათა ანაზღაურების ტარიფებს.

მუშათა გაფიცვის უფლებებსა და სახელმწიფო პოლიტიკის კრიტიკის სივრცეებს ხშირად ზღუდავდა მმართველი პარტიისა და პროფკავშირების ერთმანეთში შეზრდა, რისი შედეგიც იყო მუშათა ინტერესებზე წინ სახელმწიფო (სახელისუფლებო) ინტერესების დაყენება. რესპუბლიკის არსებობის პირობებში უშუალოდ მუშათა სოციალური მდგომარეობა, ფაქტობრივად, ვერ გაუმჯობესდა, ცალკეულ შემთხვევებში გაუარესდა კიდეც მზარდი ინფლაციისა და საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისებიდან გამომდინარე.

საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდგომ მუშათა ორგანიზაციების მიმართ განხორციელებული რეპრესიების დინამიკა ცხადჰყოფს, რომ 1918-1921 წლებში შექმნილი შრომის პოლიტიკისა და თავისუფალი პროფკავშირების სისტემა უმნიშვნელოვანესი იყო დემოკრატიული ტიპის სახელმწიფოსათვის. ხოლო დიქტატორული რეჟიმისათვის ამგვარი სისტემა ყოვლად მიუღებელი და საფრთხის შემცველი გახლდათ, რადგანაც სამი წლის განმავლობაში

თავისუფალი და უფლებებით აღჭურვილი მუშები ანტისაბჭოთა წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენდნენ.

მუშათა პროფკავშირები და ზოგადად მშრომელები აქტიურად იყვნენ ჩართული 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში. 1920-იანი წლების პირველ ნახევარში საბჭოთა რეჟიმის ძირითადი სამიზნე სოციალ-დემოკრატიული პარტია და მუშათა მოძრაობა იყო.

რესპუბლიკა, რომელიც მუდმივად განიცდიდა ინფლაციის უდიდეს ზეწოლას, სავალუტო კრიზისსა და სასურსათო დეფიციტს, რა თქმა უნდა, ვერ შექმნიდა მყარ სოციალური დაცვის სისტემას. 1921 წლისათვის რესპუბლიკას კვლავ არ გააჩნდა სოციალური დაცვისა და საპენსიო სისტემები. ამ სფეროებში ხელისუფლება სრული ეკლექტურობით გამოირჩეოდა. პოლიტიკურ-სამხედრო და ეკონომიკური კრიზისების შედეგად ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეები ხელისუფლებას სოციალური დახმარების გაწევის მოთხოვნით მიმართავდნენ, კანცელარიები გადავსებული იყო მსგავსი შინაარსის წერილებით, თუმცა რესპუბლიკის ხელისუფლება მხოლოდ ცალკეულ, ინდივიდუალურ შეხვედრებში უწევდა მოქალაქეებს ერთჯერად დახმარებას, სისტემურად კი სოციალურად დაუცველების მდგომარეობა კვლავ მოუგვარებელი რჩებოდა.

სოციალური პოლიტიკის თვალსაზრისით, 1918-1921 წლებში, ალბათ, ყველაზე დიდი წინსვლა საყოველთაო განათლების მიმართულებით აღინიშნა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ შექმნილი განათლების სისტემა ცალსახად ორიენტირებული იყო მოქალაქეთათვის სოციალური მობილობის ახალი შესაძლებლობების შექმნისაკენ. განათლების პროგრამის ტექსტშივე გაწერილი იყო, რომ ახალი სისტემის ძირითადი ორიენტირი არსებული სოციალური ჩაგვრის მექანიზმების მოსპობა, საგანმანათლებლო სისტემის განგრძობადობა და მოქალაქისათვის თავისი ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობის მიცემა იყო.

ხელისუფლება საკმაოდ წარმატებით ართმევდა თავს განათლების სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას - ახალ სკოლათა გახსნას და მათ გეოგრაფიული განფენილობის

ზრდას, თუმცა ნაკლებ წარმატებით ახერხებდა ეზრუნა ყველა სკოლაში ხარისხიანი განათლების დანერგვას. ამას ობიექტური და სუბიექტური მიზეზები მრავლად გააჩნდა.

მართალია, ხელისუფლებისათვის სამიზნე უფასო და საყოველთაო სწავლების დანერგვა იყო, თუმცა ფაქტია, რომ 1921 წლისთვისაც კი, სკოლის მოსწავლეები იხდიდნენ სწავლის სიმბოლურ საფასურს.

სახელმწიფო გვერდს ვერ აუვლიდა ზრდასრულთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის კატასტროფულ მაჩვენებლებს, ამიტომ მისი მუშაობის ერთ-ერთ მიმართულებას ზრდასრულთა/არაფორმალური განათლების სისტემის დანერგვა იყო, რომლისთვისაც სახელმწიფოს მცირე რესურსები რჩებოდა და არცთუ სისტემური გეგმები გააჩნდა განათლების სისტემის რეფორმირების დაწყებიდან ორი წლის შემდეგაც კი. არაფორმალური განათლების ინსტიტუტები - სახალხო უნივერსიტეტები, ბიბლიოთეკები, თეატრები და ა.შ. მძიმე ფინანსურ სიდუხჭირეს განიცდიდნენ.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918 წლიდან მოყოლებული არ განახორციელებდა აგრარულ რეფორმას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის გახდებოდა შიდა არეულობებისა და აჯანყებების ტყვე. 1918-1919 წლებში. გლეხები, რომლებიც 1918 წლისათვის მოქალაქეების 80%-ს შეადგენდნენ, საქართველოს ახალი დემოკრატიული რესპუბლიკისაგან, გარდა პოლიტიკური უფლებებისა, მოითხოვდნენ სოციალურ უფლებებსაც, კერძოდ საკუთრების უფლებას - საკუთრებას მიწაზე, რომელიც მათ არ გააჩნდათ.

1919 წლიდან მოყოლებული საქართველოს გლეხთა კლასის უდიდესმა ნაწილმა პირველად მიიღო კერძო საკუთრებად მიწა. ამ რეფორმამ რესპუბლიკას ფაქტობრივად შეუქმნა გარანტიები საშინაო უსაფრთხოების თვალსაზრისით. გლეხებს ახალმა რესპუბლიკამ მოუტანა უმთავრესი - მიწა. გლეხები მიწის საკუთრებად გადაცემის პროცესში მხოლოდ მცირე, სიმბოლურ საფასურს იხდიდნენ. სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ათეული წლები ემხრობოდნენ საერთო საკუთრების ფორმას - მუნიციპალიზაციას, არსებული რეალობის გათვალისწინებით აღმოჩნდნენ მცირე მესაკუთრეობის მთავარი მცველები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალური პოლიტიკის მშენებლობის გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ფინანსური რესურსების სიმწირის, ადამიანური რესურსების ნაკლებობისა და ეგზისტენციალური საფრთხეების პირობებში სისტემური სოციალური პოლიტიკის დანერგვა და ხორცშესხმა შეუძლებელია. პოლიტიკური იდეები და საარჩევნო პროგრამები, შესაძლოა პასუხობდნენ არსებული მდგომარეობის სწორად გააზრებას, თუმცა რესურსების სიმცირიდან გამომდინარე, რეალური პოლიტიკის იმპლემენტაცია შეუძლებელი ხდება. თუმცა, რესპუბლიკის ხელისუფლებამ აჩვენა, რომ ამგვარი კრიზისების ფონზე ადამიანური ძალების მაქსიმალურად მობილიზების და საყოველთაო თანხმობის კვალდაკვალ შესაძლებელია ისეთი მასშტაბური რეფორმების გატარება, როგორიცაა საყოველთაო განათლების სისტემის შემოღება და აგრარული საკითხის გადაჭრა.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

საარქივო მასალა (საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)):

1. სცსა, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 3.
2. სცსა, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 13.
3. სცსა, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 15.
4. სცსა, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 20.
5. სცსა, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 36.
6. სცსა, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 38.
7. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 4.
8. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 10.
9. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 12.
10. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 13.
11. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 28.
12. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 29.
13. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 38.
14. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 39.
15. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 41.
16. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 42.
17. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 43.
18. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 44.
19. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 45.
20. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 47.
21. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 52.
22. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 53.
23. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 55
24. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 57.
25. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 58.

26. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 62.
27. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 63.
28. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 64.
29. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 65.
30. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 66.
31. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 2, საქმე 67.
32. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 3, საქმე 3.
33. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 3, საქმე 6.
34. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 3, საქმე 7.
35. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 3, საქმე 11.
36. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 3, საქმე 12.
37. სსცსა, ფონდი 1915, ანაწერი 3, საქმე 21.
38. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 3, საქმე 25.
39. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 3, საქმე 27.
40. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 3, საქმე 33.
41. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 3, საქმე 37.
42. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 3, საქმე 40.
43. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 3, საქმე 44.
44. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 3, საქმე 63.
45. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 3, საქმე 67.
46. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 3, საქმე 76.
47. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 3, საქმე 113.
48. სცსა, ფონდი 1915, ანაწერი 3, საქმე 116.
49. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 3.
50. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 11.
51. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 17.
52. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 19.
53. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 27.

54. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 32.
55. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 50.
56. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 53.
57. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 54.
58. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 58.
59. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 80.
60. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 83.
61. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 84.
62. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 86.
63. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 87.
64. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 154.
65. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 161.
66. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი. 1, საქმე 175.
67. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 497.
68. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 509.
69. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 734.
70. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 902.
71. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 917.
72. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 934.
73. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 1000.
74. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 1039.
75. სცსა, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 1116.
76. სცსა, ფონდი 2047, ანაწერი 1, საქმე 2.
77. სცსა, ფონდი 2047, ანაწერი 1, საქმე 129.
78. სცსა, ფონდი 2075, ანაწერი 1, საქმე 3.
79. სცსა, ფონდი 2075, ანაწერი 1, საქმე 15.
80. სცსა, ფონდი 2075, ანაწერი 1, საქმე 30.
81. სცსა, ფონდი 2075, ანაწერი 1, საქმე 37.

82. სცსა, ფონდი 2075, ანაწერი 1, საქმე 41.

83. სცსა, ფონდი 2075, ანაწერი 1, საქმე 54.

84. სცსა, ფონდი 2075, ანაწერი 1, საქმე 60.

85. სცსა, ფონდი 2075, ანაწერი 1, საქმე 61.

86. სცსა, ფონდი 2075, ანაწერი 1, საქმე 82.

87. სცსა, ფონდი 2075, ანაწერი 1, საქმე 86.

88. სცსა, ფონდი 2075, ანაწერი 1, საქმე 89.

89. სცსა, ფონდი 2075, ანაწერი 1, საქმე 104.

90. სცსა, ფონდი 2077, ანაწერი 1, საქმე 1.

91. სცსა, ფონდი 2077, ანაწერი 1, საქმე 5.

92. სცსა, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 41.

პერიოდული პრესა:

93. *1 მაისი პროვინციებში.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 21 აპრილი, N28.

94. *აგრარული არეულობის გამო.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 28 დეკემბერი, N226.

95. *აგრარული კანონ-პროექტები.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 16 იანვარი, N11.

96. *აგრარული კანონ-პროექტები.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 19 იანვარი, N14.

97. *აგრარული რეფორმა.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 27 იანვარი, N19.

98. *აგრარული რეფორმა.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 17 აგვისტო, N184.

99. *აგრარული რეფორმა 1919 წელს.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 1 იანვარი, N1.

100. *აგრარული რეფორმის დამთავრება.* გაზ. საქართველო, 1918 წლის 27 აგვისტო, N170.

101. *აგრარული რეფორმის ერთი მხარე.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 18 ოქტომბერი, N223.

102. *აგრარული საკითხი.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 16 მარტი, N2.

103. ასათიანი, ალექსანდრე., *მიწის საკითხი საქართველოში.* გაზ. საქართველო, 1918 წლის 9 ივნისი, N113.

104. ასათიანი, ალექსანდრე., *მიწის საკითხი საქართველოში.* გაზ. საქართველო, 1918 წლის 23 ივნისი, N124.

105. *ახალი ამბები.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 26 დეკემბერი, N280.

106. *ახალი ამბები.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 6 ივნისი, №125.

107. *ახალი ამბები.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 12 ივნისი, N130.

108. *ახალი ამბები: მედიკამენტების გატანის აკრძალვა.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 12 აგვისტო, N180.

109. *ახალი ამბები: ომში დაღუპულ და დაჭრილ პირთა მშობლების დახმარება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 18 ივლისი, N159.

110. *ახალი ამბები: სოციალური დახმარება.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 23 ივნისი, N139.

111. *ახალი ამბები: სოციალური დახმარება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 1 ივლისი, N145.

112. *ახალი ამბები: სოციალური დახმარება ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთ.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 12 ივნისი, N129.

113. *ახალი ამბები: სოციალური დახმარების ორგანიზაცია.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 6 ივლისი, N149.

114. *ბათომში,* გაზ. ერთობა, 1920 წლის 21 აგვისტო, N189.

115. ბზვანელი, ლადო., *მასწავლებელთა კურსები ქუთაისში.* გაზ. სახალხო საქმე, 1918 წლის 23 ივნისი, N264.

116. ბზვანელი, ლადო., *მასწავლებელთა კურსები ქუთაისში.* გაზ. სახალხო საქმე, 1918 წლის 6 ივლისი, N274.

117. *ბოლშევიკების მუშაობა პროფ. კავშირებში.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 29 აპრილი, N95.

118. ბოცვაძე, ნ. *ცოტა რამ მასწავლებელთა ყრილობის შესახებ.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1921 წლის 28 იანვარი, N20.

119. გაბაშვილი, რევაზ., *საღმვთო სჯული პარლამენტში.* გაზ. „კლდე“, 1918 წლის 1 დეკემბერი, №12.

120. *განათლების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 17 აპრილი, N86.

121. *განათლების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 11 ივლისი, N153.

122. *განათლების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 8 აგვისტო, N177.

123. *განათლების სამინისტროში.* გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა,* 1920 წლის 10 აგვისტო, N178.

124. *განკარგულებანი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 16 ივნისი, N132.

125. *განცხადება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 17 მაისი, №107.

126. *განცხადება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 6 ნოემბერი, N251.

127. *გაფიცვა.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 20 ოქტომბერი, N175.

128. *გაფიცული მასწავლებლები.* გაზ. საქართველო, 1919 წლის 11 აპრილი, N80.

129. გიორგაძე, ა., *სასკოლო საკითხი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 9 მარტი, N55.

130. გორგაძე, ა., *სახალხო მასწავლებლის ცხოვრებიდან.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 13 ოქტომბერი, N169.

131. *დეკრეტი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 11 მარტი, N57.

132. *დეკრეტი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 15 აპრილი, N82.

133. *დეკრეტი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 10 აპრილი, N80.

134. *დეკრეტი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 11 მარტი, N57.

135. *დეკრეტი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 15 აპრილი, N82.

136. *დეკრეტი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 25 აგვისტო, N191.

137. *დელეგატ მასწავლებელთა კრება.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 9 ნოემბერი, N192.

138. *ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) გასვენება.* გაზ. კვალი, 1894 წლის 15 მაისი, N21.

139. *ევროპის და ამერიკის მუშებს განურჩევლად მიმართულებისა.* ჟურნ. თავისუფალი საქართველო, 1921 წლის 20 დეკემბერი, N14.

140. ელიანი ნ. [პავლე საყვარელიძე], *საჭირბოროტო საკითხის გამო.* ჟურნ, საქართველოს ეკონომისტი, 1918 წლის 19 ნოემბერი, N5.

141. ვასო-მუშა, *ანარქია ზუგდიდის მაზრაში.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 10 ივლისი, N142.

142. *თათბირი მიწად-მოქმედების სამინისტროსთან აგრარული რეფორმის გამო.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 2 აგვისტო, N162.

143. თამაზაშვილი, მიხეილ., *სახალ. უნივერსიტეტი და მისი დანიშნულება.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 7 მაისი, N98.

144. თეკლათელი, ბ. [იოსებ სალაყაია], *მიწის საკითხი.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 31 ივლისი, N160, გვ. 2.

145. *თფილისის გუბრენიის სახალხო მასწავლებლების დელეგატთა კრება.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 9 აპრილი, N19.

146. *თფ. გუბ. სახ. სკოლების მასწ. საყურადღებოდ.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 24 სექტემბერი, N203.

147. *თფ. სახალ. უნივერსიტეტი.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 3 მაისი, N90.

148. *ისევ მასწავლებელთა გაფიცვის გამო,* გაზ. ერთობა. 1918 წლის 17 იანვარი, N12.

149. *კანონი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 6 ივნისი, N124.

150. *კანონ-პროექტი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1918 წლის 28 ნოემბერი, N103.

151. *კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, იუსტიციის სამინისტროს კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილები გამოცემა.* 1919 წლის 25 ივნისი, N9, პირველი ნაწილი.

152. *კურსები.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 28 ოქტომბერი, N182.

153. *ლოთობა მუშა-ხელოსნებში,* გაზ. ერთობა, 1918 წლის 30 ივლისი, N159.

154. *მამულების კონფისკაცია.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 7 სექტემბერი, N141.

155. *მთავრობაში: დახმარება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 9 სექტემბერი, N201.

156. *მასწავლებელთა კურსებზე.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 6 აგვისტო, N165.

157. *მასწავლებელთა კურსების შესახებ წალკაში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 4 ივლისი N145.

158. *მაჰმადიან მასწავლებელთათვის.* გაზ. საქართველო, 1919 წლის 21 იანვარი, N15.

159. *მთავრობაში: უარი პენსიაზე.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 12 სექტემბერი, N204.

160. *მისალმება საერთაშორისო პროფ. კავშ. კონფერენციას,* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 26 ივლისი, N164.

161. *მიწად-მოქმედების სამინისტროს ცენტრალ დაწესებულებათა შტატი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 4 მარტი, N51.

162. *მიწად-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 12 ოქტომბერი, N230.

163. *მიწად-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 6 თებერვალი, N29

164. *მიწად-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 11 ნოემბერი, N255.

165. *მიწად-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 19 ოქტომბერი, N236.

166. *მიწად-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 29 აგვისტო, N195.

167. *მიწად-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 3 სექტემბერი, N199.

168. *მიწად-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 1 დეკემბერი, N273.

169. *მიწათ-მოქმედების მინისტრისაგან.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 22 თებერვალი, N42.

170. *მიწათ-მოქმედების მინისტრის განმარტება.* გაზ. საქართველო, 1919 წლის 28 თებერვალი, N46.

171. *მიწათ-მოქმედების მინისტრის ბ-ნ ნოე ხომერიკის სიტყვა აგრარულ კანონ-პროექტის შესახებ.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 25 იანვარი, N19.

172. *მიწათ-მოქმედების მინისტრის ბ-ნ ნოე ხომერიკის სიტყვა აგრარულ კანონ-პროექტის შესახებ.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 25 იანვარი, N19.

173. *მიწათ-მოქმედების მინისტრის ბ-ნ ნოე ხომერიკის სიტყვა აგრარულ კანონ-პროექტის შესახებ.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 26 იანვარი, N20.

174. *მიწათ-მოქმედების მინისტრის ბ-ნ ნოე ხომერიკის სიტყვა აგრარულ კანონ-პროექტის შესახებ.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 28 იანვარი, N21.

175. *მიწათ-მოქმედების სამინისტრო: აგრარულ რეფორმათა განყოფილება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 19 ივნისი, N132.

176. *მიწათ-მოქმედების სამინისტროს საგანგებო რწმუნებული.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 16 აპრილი, N85.

177. *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1918 წლის 21 ნოემბერი, N97.

178. *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1918 წლის 10 ნოემბერი, N88.

179. *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1918 წლის 28 დეკემბერი, N127.

180. *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 28 თებერვალი, N47.

181. *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 1 აპრილი, N73.
182. *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 17 მაისი, N107.
183. *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 5 ივნისი, N121.
184. *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 20 ივნისი, N133.
185. *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 9 ივლისი, N149.
186. *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 28 ნოემბერი, N270.
187. *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 12 დეკემბერი, N282.
188. *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 3 იანვარი, N2.
189. *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 12 თებერვალი, N33.
190. *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 13 თებერვალი, N34.
191. *მიწათ-მოქმედების სამინისტროსგან.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 7 აპრილი, N78.
192. *მიწათ-მოქმედების სამინსიტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 21 ივლისი, N161.
193. *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 8 აგვისტო, N177.
194. *მიწათ-მოქმედების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1921 წლის 14 იანვარი, N9.

195. *მიწის ახალი კანონი უკრაინაში.* გაზ. საქართველო, 1918 წლის 25 ივლისი, N147.

196. *მიწის დეკრეტი.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 20 დეკემბერი, N221.

197. *მიწის რეფორმა ქალაქებში.* გაზ. საქართველო, 1919 წლის 19 ივლისი, N151.

198. *მიწის რეფორმის შედეგები.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 2 ივლისი, N147.

199. *მიწის საკითხი.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 8 მარტი, N54.

200. *მიწის საკითხი და უცხოელები.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 7 ივლისი, N140,.

201. *მიწის საკითხის გამო.* გაზ. სახალხო საქმე, 1918 წლის 7 ნოემბერო, N377.

202. *მიწების ჩამორთმევა.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 10 მარტი, N56.

203. *მონტესორის კურსების გახსნა.* გაზ, საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 11 აგვისტო, N179.

204. *მოსწავლეთა უზრუნველყოფა.* გაზ, ერთობა, 1920 წლის 14 აგვისტო, N183.

205. *მოქალაქენო.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 17 სექტემბერი, N210.

206. *მუნიციპალური პლატფორმა საქართველოს სოც.-დემოკ. მუშათა პარტიისა.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 17 იანვარი, N12.

207. *მუნიციპალური ცხოვრება: სოციალური დახმარება მცხოვრებლებს.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 13 მაისი, N103.

208. *მუშათა დაზღვევა.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 23 ოქტომბერი, N241.

209. *მუშა მოსამსახურეთა ერთდროული დახმარება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 27 ივლისი, N166.

210. *მუშათა საკითხი.* გაზ. საქართველო, 1919 წლის 2 აპრილი, N73.

211. *მუშათა შორის.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 10 თებერვალი, N33.

212. *მუშათა შორის.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 20 აგვისტო, N175.

213. *მუშების დათხოვნა.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 14 ოქტომბერი, N170.

214. *ნაციონალიზაცია და საპროფესიო კავშირები.* გაზ. საქართველო, 1918 წლის 24 ივლისი, N146.

215. *ნებაყოფილობითი შრომის ბეგარა.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 28 იანვარი, N20.

216. ნოდე, *სრულიად საქართ. მასწავლებელთა მეორე კონფერენცია.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 27 ოქტომბერი, N244.

217. *ორი გაფიცვა,* გაზ. ერთობა, 1919 წლის 25 მარტი, N67.

218. პაპავა, აკაკი., *მიწის საკითხი.* გაზ. სახალხო საქმე, 1918 წლის 19 ოქტომბერი, N361.

219. *პენსიები რკინის გზის მოსამსახურეთათვის.* გაზ. საქართველო რესპუბლიკა, 1920 წლის 19 თებერვალი, N39.

220. *პროექტი: დებულება სატარიფო პალატისა.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 29 მაისი, N116.

221. *პროვინციის ქრონიკა: ჩოხატაური.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 28 დეკემბერი, N226.

222. *პროფესიონალური კავშირები და პოლიტიკა.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 10 აპრილი, N80.

223. *პროფესიონალურ კავშირთა ყრილობა.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 25 თებერვალი, N44.

224. *პროფესიონალურ კავშირების საბჭოში.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 4 თებერვალი, N27.

225. *პროფესიონალურ კავშირებში.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 7 მაისი, N101.

226. *პროფესიონალურ კავშირებში.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 18 ივლისი, N160.

227. *რას ასწავლიან ბავშვებს?* გაზ, ერთობა, 1920 წლის 23 დეკემბერი, N293.

228. *რას გვასწავლის რკინის გზის დემოკრატია.* გაზ. ერთობა, 1921 წლის 11 იანვარი, N6.

229. *რვა საათის სამუშაო დღე.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 19 მარტი, N5.

230. *რვა საათის სამუშაო დღის შემოღება.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 20 აპრილი, N27.

231. *საად.-მამული რეფორმა.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 30 მარტი, N73.

232. *საად.-მამული რეფორმა.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 11 აპრილი, N83.

233. *საად.-მამულო რეფორმა.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 7 სექტემბერი, N191.
234. *საად.-მამულო რეფორმა.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 1 აპრილი, N73.
235. *საად.-მამულო რეფორმა.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 6 აგვისტო, N176.
236. *საად.-მამულო რეფორმა.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 24 აგვისტო, N190.
237. *საადგილ-მამულო ფონდის განაღდება.* გაზ. საქართველო, 1919 წლის 24 იანვარი, N18.
238. *საკოდიფიკაციო განყოფილები გამოცემა.* 1919 წლის 25 ივნისი, N9.
239. *სამიწათმოქმედო რეფორმა.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 5 ნოემბერი, N238.
240. *სამიწათმოქმედო რეფორმა.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 8 ნოემბერი, N241.
241. *სამღვთო რჯულის სწავლების გაუქმება.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 18 იანვარი, N13.
242. *საპენსიო კომისია და მომავალი პენსიონერები.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 30 ნოემბერი, N273.
243. *სასკოლო საკითხები.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 11 მარტი, N57.
244. *სასკოლო საკითხი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 11 მარტი, N57.
245. *სასოფლო კომისიაში.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 25 ივლისი, N155.
246. *სასოფლო-სამეურნეო რეფორმა.* გაზ. საქართველო, 1920 წლის 2 სექტემბერი, N89.
247. *სასწავლებელთა ნაციონალიზაცია.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 4 ოქტომბერი, N161.
248. *სატარიფო პალატის ცირკულიარი.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 17 ივნისი, N134.
249. *საუფლისწულო მამულების ბედი.* გაზ. საქართველო, 1917 წლის 24 მარტი, N67.
250. *საფონდო მიწების შეფასება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 11 ივლისი, N151.

251. *საქართველოს კონსტიტუციის პროექტი წარდგენილი სოციალისტ-რევოლუციონერთა მარტიის მიერ.* გაზ. შრომა, 1921 წლის 23 იანვარი, N4.

252. *საქართველოს პარლამენტი.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 23 იანვარი, N17.

253. *საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა კონფერენცია.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 30 აპრილი, N93.

254. *საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ყრილობა,* გაზ. ერთობა, 1919 წლის 16 აპრილი, N85.

255. *საქართველოს ყველა მუშათა ორგანიზაციებს.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1921 წლის 19 თებერვალი, N39.

256. *სახალხო განათლება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1918 წლის 11 სექტემბერი, N38.

257. *სახალხო განათლება.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1918 წლის 29 სექტემბერი, N53.

258. *სახალხო განათლების მინისტრის განმარტება.* გაზ. შრომა, 1918 წლის 14 აგვისტო, N8.

259. *სახალხო განათლების სამინისტროს მოხსენებიდან.* გაზ. ერთობა, 1921 წლის 19 იანვარი, N13.

260. *სახალხო განათლების სამინისტროს მოხსენებიდან.* გაზ. ერთობა, 1921 წლის 21 იანვარი, N14.

261. *სახალხო განათლების სამინისტროს მოხსენებიდან.* გაზ. ერთობა, 1921 წლის 25 იანვარი, N17.

262. *სახალხო განათლების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 12 მარტი, N57.

263. *სახალხო განათლების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 9 მაისი, N100.

264. *სახალხო განათლების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 23 მაისი, N112.

265. *სახალხო განათლების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 26 ივნისი, N138.

266. *სახალხო განათლების სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 27 ივნისი, N139.

267. *სახ. განათ. სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 17 ნოემბერი, N261.

268. *სახალხო უნივერსიტეტი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 27 ივლისი N165.

269. *სახალხო უნივერსიტეტი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 5 მარტი, №52.

270. *სკოლის გარეშე განათლება.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 18 იანვარი, N13.

271. *სკოლის რეორგანიზაციისათვის.* გაზ. საქართველო, 1919 წლის 4 აპრილი, N75.

272. *სოციალური დახმარების ორგანიზაცია.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 4 ივნისი, N123.

273. *სოციალური დახმარებისთვის.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 14 აგვისტო, N183.

274. *სრულიად საქართველოს აგრონომთა პირველი ყრილობა.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 28 იანვარი, N20.

275. *სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების მე-2 ყრილობა.* გაზ. ერთობა, 1921 წლის 13 იანვარი, N8.

276. *სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების მე-2 ყრილობა.* გაზ. ერთობა, 1921 წლის 14 იანვარი, N9.

277. *სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების მე-2 ყრილობა.* გაზ. ერთობა, 1921 წლის 19 იანვარი, N13.

278. *სხვა და სხვა.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 9 აპრილი, №79.

279. *ტექნიკურ საზოგადოებაში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა 1919 წლის 8 ივლისი, N148.

280. *ტფილისის თვითმმართველობაში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 5 დეკემბერი, N276.

281. *ტყიბულის მუშების გაფიცვა.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 20 სექტემბერი, N201.

282. *უმუშევართა დღეები.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 7 მარტი, N53.

283. *უფასო სჩაიეში,* გაზ. ერთობა, 1919 წლის 18 ივლისი, N158.

284. *ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 13 თებერვალი, N35.

285. *ფურნეებში მომუშავეთა გაფიცვა.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 8 ივლისი, N91.

286. *ქალაქის თვითმმართველობაში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 12 მარტი, N58.

287. *ქრონიკა.* გაზ. საქართველო, 1918 წლის 1 ოქტომბერი, N182.

288. *ქრონიკა.* გაზ. საქართველო, 1919 წლის 26 თებერვალი, N44.

289. *ქუთაისის მკერავი მუშა-ქალები.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 3 აგვისტო, N163.

290. *ღარიბთა თავშესაფარი.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 24 ივნისი, N138.

291. შარაშიძე, გრიშა., *სწავლა-განათლების საქმე.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 31 მაისი, N118.

292. *შრომის ბირჟა.* გაზ. ერთობა, 1917 წლის 12 ოქტომბერი, N168.

293. *შრომის სამინისტროს განცხადება,* გაზ. ერთობა, 1920 წლის 13 ოქტომბერი, N232.

294. *შრომის სამინისტროსგან.* გაზ. საქართველო, 1919 წლის 11 მარტი, N55.

295. *შრომის სამინისტროსგან.* გაზ. ერთობა, 1920 წლის 4 აპრილი, N77.

296. *შრომის სამინისტროში.* გაზ. ერთობა, 1919 წლის 8 მარტი, N54.

297. *შრომის სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 26 ივნისი, N138.

298. *შრომის სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 1 ივლისი, N142.

299. *შრომის სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 23 აგვისტო, N187.

300. *შრომის სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 9 ნოემბერი, N254.

301. *შრომის სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 18 იანვარი, N13.

302. *შრომის სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 3 თებერვალი, N25.

303. *შრომის სამინისტროში.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 6 ნოემბერი, N251.

304. *შტატი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 10 მარტი, N56.

305. *შტატი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 20 ივნისი, N136.

306. *ჩამორთმეული მიწების რაოდენობა.* გაზ. ახალი საქართველო, 1919 წლის 9 ივლისი, N4.

307. *ჩამორთმეული მიწების ფასები.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 31 ივლისი, N168.

308. *ჩარექიშვილი, პ., თფ. გუბ. სახ. მასწავლებელთა საყურადღებოთ.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 20 იანვარი, N15.

309. *ჩვენი ვანდეა.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 28 ივნისი, N132.

310. *ხარჯთ-აღრიცხვა.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 15 იანვარი, N10.

311. *ხელფასის ტარიფი.* გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 14 დეკემბერი N283.

312. ხვადაგიანი, დავით., *„სამხრეთ ოსეთი“, წითელი ვანდეა.* თბილისი: სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი - საქართველო (საინფორმაციო თავდაცვის ლეგიონი - infoarmu.ge), 2020 წლის 18 ივნისი.

313. ხუხუნაიშვილი, თედო., *სახალხო უნივერსიტეტის განყ. საჭიროება სოფლათ.* გაზ. ერთობა, 1918 წლის 6 სექტემბერი, N190.

წყაროთა პუბლიკაციები:

314. *განმარტებითი ბარათი [აგრარული რეფორმის კანონისა],* გვ. 8. დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. F559/5.
315. *პროექტი სახელმწიფოს შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვისა 1919-1920 წლისათვის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.* ტფილისი: სახელმწიფო სტამბა, 1919.
316. *პროექტი სახელმწიფოს შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვისა 1920-1921 წლისათვის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.* ტფილისი: სახელმწიფო სტამბა, 1920.
317. *საქართველოს დამფუძნებელი კრება - სხდომის ოქმები - ტომი I* (სარედ. საბჭო: იაკობაშვილი, ირაკლი., ხოსიტაშვილი, მზია და ჯგერენაია, ემზარ). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019.
318. *საქართველოს დამფუძნებელი კრება - სხდომის ოქმები - ტომი II* (სარედ. საბჭო: იაკობაშვილი, ირაკლი., ხოსიტაშვილი, მზია და ჯგერენაია, ემზარ). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019.
319. *საქართველოს დამფუძნებელი კრება - სხდომის ოქმები - ტომი III* (სარედ. საბჭო: იაკობაშვილი, ირაკლი., ხოსიტაშვილი, მზია და ჯგერენაია, ემზარ). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019.
320. *საქართველოს დამფუძნებელი კრება - სხდომის ოქმები - ტომი IV* (სარედ. საბჭო: იაკობაშვილი, ირაკლი., ხოსიტაშვილი, მზია და ჯგერენაია, ემზარ). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019.
321. *საქართველოს დამფუძნებელი კრება - სხდომის ოქმები - ტომი V* (სარედ. საბჭო: იაკობაშვილი, ირაკლი., ხოსიტაშვილი, მზია და ჯგერენაია, ემზარ). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019.
322. *საქართველოს დამფუძნებელი კრება - სხდომის ოქმები - ტომი VI* (სარედ. საბჭო: იაკობაშვილი, ირაკლი., ხოსიტაშვილი, მზია და ჯგერენაია, ემზარ). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019.

323. *საქართველოს დამფუძნებელი კრება - სხდომის ოქმები - ტომი VII* (სარედ. საბჭო: იაკობაშვილი, ირაკლი., ხოსიტაშვილი, მზია და ჯგერენაია, ემზარ). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019.

324. *საქართველოს დამფუძნებელი კრება - სხდომის ოქმები - ტომი VIII* (სარედ. საბჭო: იაკობაშვილი, ირაკლი., ხოსიტაშვილი, მზია და ჯგერენაია, ემზარ). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019.

325. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული* (სპეც რედაქტორი ვ. შარაშენიძე), თბილისი: ივერთა მხარე, 1990.

326. *საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტომი XIII, ნოე ჟორდანია* (მთავარ. რედ. ჯონსი, სტივენ. რედ. ჯგერენაია, ემზარ). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2018.

327. *საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტომი XIV, ნოე ჟორდანია* (მთავარ. რედ. ჯონსი, სტივენ. რედ. ჯგერენაია, ემზარ). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2018.

328. *საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტომი XV, ნოე ჟორდანია* (მთავარ. რედ. ჯონსი, სტივენ. რედ. ჯგერენაია, ემზარ). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2018.

სამეცნიერო მონოგრაფიები/კრებულები/სამეცნიერო სტატიები:

**329.** ავალიანი, სიმონ., *მიწისმფლობელობა საქართველოში.* ქუთაისი: სამაზრო ერობის სტამბა, 1920.

**330.** ათანელიშვილი, თამარ., *ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.),* ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენიი დისერტაცია. თბილისი: თსუ, 2006.

**331.** ანდერსენი, ენდრიუ., *აფხაზეთი და სოჭი: კონფლიქტის ფესვები 1918-1921.* Eagle head Publishing, 2016.

**332.** ბენდიანიშვილი, ალექსანდრე., *საქართველოს პირველი რესპუბლიკა.* თბილისი: მემატიანე, 2001.

333. გიორგაძე, გრიგოლ., *საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905.* თბილისი: სახელგამი, 1928.

334. დევდარიანი, გაიოზ., *მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში.* ტფილისი, სახელგამი, 1931.

335. ვადაჭკორია, შოთა., *ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში.* თბილისი: მეცნიერება, 2001.

336. ვოიტინსკი, ვლადიმერ., *ქართული დემოკრატია.* თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2018.

337. ირემაძე, ირაკლი., *მიწადმოქმედების სამინისტრო*, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბილისი: თსუ, 2018.

338. ირემაძე, ირაკლი., *სატარიფო პალატა,* წიგნი - *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ენციკლოპედია- ლექსიკონი* (სამეცნიერო რედაქტორი დიმიტრი შველიძე). თბილისი: თსუ, 2018.

339. ირემაძე, ირაკლი., *შრომის საკითხი და პროფკავშირები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.* (კრებულში - *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ - მოდელი ევროპისთვის?* (რედ. ო. ჯანელიძე და დ. სილაქაძე)). თბილისი: თსუ, 2018.

340. ირემაძე, ირაკლი., ლორთქიფანიძე, ლევან., შუბითიძე, სოფიკო და ყაზაიშვილი, ხვიჩა., *ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია, ტ. I.* თბილისი: თბილისის ფაბიანური საზოგადოება, 2015.

341. კანდელაკი, კონსტანტინე., *საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი პირველი.* პარიზი: დ. ხელაძის გამოცემა, 1935.

342. კანდელაკი, კონსტანტინე., *საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე.* პარიზი: სსრკ-ს შემსწავლელი ინსტიტუტი, 1960.

343. კაუცკი, კარლ., *საქართველო: სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა – შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი.* თბილისი: თსუ, 2018.

344. კობახიძე, ბექა., ირემაძე, ირაკლი., ხვადაგიანი, ირაკლი და ხვადაგიანი დავით. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონტროლი / The State Controller's Office of the Democratic Republic of Georgia.* თბილისი: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2020.

345. კობახიძე, რუსიკო., სილაქაძე, დიმიტრი., ხვადაგიანი, დავით., და ხვადაგიანი, ირაკლი., *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 100 ამბავი.* თბილისი: არტანუჯი, 2018.

346. ლი, ერიკ., *ექსპერიმენტი: საქართველოს მივიწყებული რევოლუცია.* თბილისი: პოეზია, 2018.

347. ჟორდანია, ნოე., ჩემი წარსული. თბილისი: სარანგი, 1990, გვ. 114.

348. სილაქაძე, დიმიტრი., *ლორთქიფანიძე გრიგოლ,* საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ენციკლოპედია ლექსიკონი (სამეცნიერო რედაქტორი - დიმიტრი შველიძე), თბილისი: თსუ, 2018

349. უროტაძე, ჯაბა., *საპენსიო სისტემები: განვითარების ტენდენციები და მოლოდინები.* თბილისი: თსუ, ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი, 2016 წლის 3 ივლისი, N3.

350. ქაზემზადე, ფირუზ., *ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921.* თბილისი: პოეზია, 2016.

351. შველიძე, დიმიტრი., *გიორგი ლასხიშვილი.* თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2018

352. შველიძე, დიმიტრი (ავტორ შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი/რედაქტორი)., *დამოუკიდებლობის 1028 დღე.* თბილისი: თსუ, 2013.

353. შველიძე, დიმიტრი (ავტორ შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი/ სამეცნიერო რედაქტორი)., *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი* (სამეცნიერო. თბილისი: თსუ, 2018.

354. ჩიჩუა, ზაქარია (შემდგენელი)., *საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მოკლე ისტორია.* პარიზი: საქართველოს ს.-დემ, მ. პ. საზღვ.-გარ. ბიუროს გამომცემლობა, 1933.

355. ჩხაიძე, ირაკლი., *ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი „თერგდალეულები“,* თბილისი, ახალი აზრი, 2009, გვ. 82.

356. ჭკადუა, გიორგი., *პირველი პირველი მაისი.* თბილისი: ინდიგო, 2021 წლის 1 მაისი. იხ. ბმული https://indigo.com.ge/articles/pirveli-pirveli-maisi (ინახა 07.05.2024).

357. ჭუმბურიძე, დოდო., *განათლება 1918-1921 წლებში,* თბილისი, მემატიანე, 2000

358. ჭუმბურიძე, დოდო., *სახალხო განათლების სამინისტრო,* საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ენციკლოპედია ლექსიკონი, თბილისი, თსუ, 2018,

359. ხვადაგიანი, ირაკლი., *საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919*, თბილისი: SovLab, 2016

360. ხომერიკი, ნოე., *აგრარული რეფორმა და ჩვენი სოფლის მეურნეობა.* თბილისი: საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის გამოცემა, 1920.

361. ჯანელიძე, ოთარ., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბილისი: მეცნიერება, 2004

362. ჯანელიძე., ოთარ., დაუშვილი, ალექსანდრე და ხოსიტაშვილი, მირიან., *თავისუფალის აქართველოს დედაქალაქი. თბილისი 1918-1921 წლებში.* თბილისი: თბილისის მერია & საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019.

363. ჯონსი, სტივენ., *სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა.* თბილისი: ლიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018.

364. Hovannisian, G. Richard., The Republic of Armenia, Volume II: From Versailles to London, 1919-1920. Los Angeles: University of California press, 1982.

365. Jones, Stephen., *Between ideology and pragmatism: social democracy and economic transition in Georgia 1918-20. Caucasus Survey, Vol. 1, N2 (2014) pp. 63-81.*

366. Iremadze, Irakli., *Education System Construction in the Democratic Republic of Georgia* (Article), in the book „Modern History of Georgia". Warsaw: KEW (The College of Eastern Europe), 2018.

367. Mironov, N. Boris., *The Development of Literacy in Russian and the Ussr from the tenth to Twentieth Centuries.* History of Education Quarterly Vol. 31, No 2 (Summer), Cambric University Press. pp.229-252. 1991.

368. Welt, Cory., *A missed Opportunity? Ethnic Autonomy and Revolutionary Violence in the democratic Republic of Georgia (1918-1921).* 2012, pp. 2-3. In book "Democracy and State Building in Georgia, 1918-2010" (ed. Stephen F. Jones). London: Forthcoming, 2013.

369. Woytinsky, S. Wladimir., *Stormy Passage: A Personal History Through Two Russian Revolutions to Democracy and Freedom: 1905-1960.* New York: The Vanguard Press, 1961.